რევაზ გოგოხია

შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2004

უაკ (UDC) 338.1
ბ 616

ნაშრომში გამუქებულია ის კარდინალური ცვლილებები, რაც XX საუკუნის 90-იან წლებში მთელ მსოფლიოში მიმდინარეობდა. ამიერიდან მსოფლიო გახდა ერთიანი სისტემა საერთო ინტერესებითა და გრანდიოზული პერსპექტივებით, დაადგა ევოლუციურ-მემკვიდრეობითი განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ გზას. ამ ფონზე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მერეული ეკონომიკური სისტემის არსზე, მის მოდელებზე, მათი ისტორიული განვითარების გზებზე. ამასთან, ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ახალი თვისებრიობის განვითარებას.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებათა დაუფლება დიდ სარგებლობას მოუტანს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც.

წიგნი განკუთვნილია ლექტორების, სტუდენტების, ბიზნესმენების, სახელმწიფო მოხელეების, პოლიტიკოსებისა და საერთოდ ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი **პროფ. ე. მექვაბიშვილი**

რეცენზენტები: **პროფ. თ. ჩიკვაიძე**

პროფ. ლ. ყორღანაშვილი

პროფ. პ. ლემონჯავა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

ISBN 99940-20-03-X

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 5

თავი I. განვითარებული ქვეყნები როგორც შერეული ეკონომიკური სისტემის სამყარო

1. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, ძირითადი ნიშნები 9
2. მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის ტენდენციები და წინააღმდეგობები 24
3. განვითარებული ქვეყნების სამეურნეო მექანიზმი 39
4. ეკონომიკური რყევები განვითარებულ ქვეყნებში 43
5. განვითარებული ქვეყნების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 52

თავი II. დასავლეთი ევროპა მსოფლიო ეკონომიკაში

1. დასავლეთი ევროპის ზოგადი დახასიათება. განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მოდელი 55
2. ეკონომიკური განვითარების თავისებურებები და ძირითადი პრობლემები 58
3. ინტეგრაციული პროცესები დასავლეთ ევროპაში 64

თავი III. ამერიკის შეერთებული შტატების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი

1. აშშ-ის ზოგადი დახასიათება 76
2. აშშ-ის სოციალურ-ეკონომიკური მოდელის რეტროსპექტიეა 80
3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელის ძირითადი ნიშნები 85
4. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები და ტენდენციები 89
5. აშშ-ის საგარეო-ეკონომიკური კავშირები და განვითარების საგარეო ფაქტორები 97
6. აშშ-ის შერეული ეკონომიკის მოდელის ევოლუციის საერთო დახასიათება 103

თავი IV. გერმანია – სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის კლასიკური ქვეყანა

1. ლ. ერჰარდი – სოციალური საბაზრო მეურნეობის მთავარი იდეოლოგი და პრაქტიკულად განმახორციელებელი 106
2. გერმანიის საერთო დახასიათება 137
3. ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორები და მაჩვენებლები 139
4. საგარეო-ეკონომიკური კავშირები 149
5. გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების მოდელის ძირითადი ნიშნები
და განვითარების მიმართულებები 152
 თავი V. საფრანგეთის შერეული ეკონომიკური
მოდელის სპეციფიკა და მოდიფიკაცია
1. ქვეყნის საერთო-ეკონომიკური
განვითარების ძირითადი ეტაპები 162
2. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების
მოდელის თავისებურებები და მოდიფიკაცია
უკანასკნელ წლებში 169
3. ეკონომიკის სტრუქტურა და დინამიკა 179
4. საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები 185
თავი VI. ეკონომიკური სისტემის შვედური მოდელი
1. შვედეთის ზოგადი დახასიათება 189
2. შვედური სოციალური მოდელის
(„სკანდინაეიური სოციალიზმის") არსი 192
3. მითი შვედური სოციალური
მოდელის ფიასკოს შესახებ 202
თავი VII. იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური
განვითარების მოდელი („იაპონური სასწაული")
1. ზოგადი დახასიათება 211
2. ომისშემდგომი განვითარების თავისებურებანი
და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების
ძირითადი მიმართულებები 213
3. იაპონიის ეკონომიკის სტრუქტურა
და ძირითადი ნიშნები 220
4. საგარეო-ეკონომიკური კავშირები 234
5. იაპონიის ეკონომიკური განვითარების მოდელის
(„იაპონური სასწაულის") არსი, ძირითადი ნიშნები,
მიღწევები და სიძნელეები 238
თავი VIII. კორეის რესპუბლიკის „ექსპორტზე
ორიენტირებული" ეკონომიკური მოდელი
1. ქვეყნის ზოგადი დახასიათება 250
2. საექსპორტო სტრატეგიის კონცეფცია – კორეის
ეკონომიკური განვითარების მოდელის გენერატორი 252
3. ქვეყნის სამეურნეო მექანიზმი: ეკონომიკური
განვითარების ძირითადი მახასიათებლები 262
4. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები 278
ლიტერატურა 286

შესავალი

XX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოს განვითარებაში კარდინალური ცვლილებები მოხდა. კრახი განიცადა ერთ ან რამდენიმე ცალკე აღებულ (და ისიც ჩამორჩენილ) ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ანტიმარქსისტულმა თეზისმა, ბოლო მოელო კვაზისოციალისტურ სისტემას, იმავდროულად კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა, მიაღწია რა თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს, გადაიზარდა ახალ — სოციალურად ორიენტირებულ შერეულ ეკონომიკურ სისტემაში, რომელმაც მაქსიმალურად შეითვისა კაპიტალისტური და სოციალისტური ეკონომიკური სისტემების ყველა დადებითი მახასიათებელი, ამით, ფაქტობრივად, განხორციელდა ჯონ გელბრეითის თეორიულ-ეკონომიკური სკოლის — კონვერგენციის თეორია და მსოფლიო გახდა რა ერთიანი სისტემა საერთო ინტერესებითა და გრანდიოზული პერსპექტივებით, კვლავაც დაადგა გენეტიკურ-მემკვიდრეობითი განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ გზას.

ამ უდიდესი ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებმა საბოლოოდ გაათავისუფლა ე.წ. სოციალისტური სისტემის ორბიტაში მოქცეული ქვეყნები ძალდატანებით მართვადი საკომანდო ეკონომიკის მარწუხებისაგან. ეს უდიდესი მნიშვნელობის რეალობაა, რომელმაც მსოფლიოს აღნიშნული სისტემის მოსახლეობასაც გაუხსნა გზა, რათა მან ღირსეულად დაიმკვიდროს ადგილი ცივილიზებული მსოფლიოს თანამეგობრობაში. მაგრამ ეს პრობლემის, მართალია, მთავარი, თუმცა მაინც ერთი მხარეა. მეორე მხარე კი, არცთუ სახარბიელოა ის, რომ ზოგიერთი პოსტსოციალისტური ქვეყანა, მათ შორის, განსაკუთრებით, საქართველო, სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ახალი ეკონომიკური სისტემისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისათვის. უფრო მეტიც, დესტრუქციულმა ძალებმა ერთი ხელის მოსმით მიწასთან გაასწორეს ქვეყნის საკმაოდ განვითარებული ეკონომიკა, ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობის საწარმოები, ინფრასტრუქტურა, მთლიანად მწარმოებლური ძალები. ქვეყანა მოიცვა სისტემურმა კრიზისმა (ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, კულტურული, მეცნიერული, ტრადიციების და ა.შ.), რომლი-

დანაც გამოსელა აუტანლად ჭიანურდება, ხოლო პერსპექტივა — თითქმის ბნელითაა მოცული.

ასეთ პირობებში დიდ ინტერესს იწვევს და ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს ღრმად გავეცნოთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, რომელთაც მიაღწიეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაღალ დონეს. შესაბამისად, წიგნში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შერეული ეკონომიკური სისტემის (ანუ ე.წ. საბაზრო ეკონომიკის) მოდელებზე, მათი ისტორიული განვითარების გზებსა და ზიგზაგებზე, იმაზე, თუ საიდან დაიწყეს მათ, რა მიზანი დასახეს, როგორ, რა გზებით, რას მიაღწიეს და რა პრობლემები დგას დღეს მათ წინაშე. ამასთან, ნაშრომში ჯეროვანი ადგილი ეთმობა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ახალი თვისებრიობის განვითარებას, სისტემისა, რომელიც დღეისათვის არა მხოლოდ ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობაა, არამედ ერთიანი მთლიანი, საერთო ეკონომიკური ინტერესების მქონე რთული მეგაეკონომიკური წარმონაქმნია. აღმოცენებულია ეკონომიკის მძლავრი საინფორმაციო სექტორი, რომელსაც განვითარებული ქვეყნების მშპ-ში ყველაზე მეტი წვლილი შეაქვს. ამ სექტორის ბირთვია საინფორმაციო ინდუსტრია, რომლის წიაღშიც ფორმირდება ინტერნეტ-ეკონომიკა, რაც უკვე მყარად შეიჭრა ეკონომიკური საქმიანობის ბევრ ტრადიციულ სფეროში.

ასეთ პირობებში ძნელია დაეთანხმო მოსაზრებას, რომ დღეისათვის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელია ბრძოლა სახელმწიფოსა და ბაზარს, უფრო სწორად, ადამიანთა ორ ჯგუფს შორის, რომელთაგან პირველთა ინტერესები დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, მეორესი — ბაზართან.[1]

მიგვაჩნია, რომ თითოეული მხარე ორივეს წარმომადგენელია და არა დაპირისპირებული, ისინი ცხოვრობენ და საქმიანობენ როგორც საბაზრო მექანიზმის, ასევე სახელმწიფო რეგულირების რეალიებში. ამიტომ მსოფლიო ეკონომიკის მამოძრაველი ძალაა მათი ერთიანობა, ე.ი. ის დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის ზოგადი ფილოსოფიური კანონის მოთხოვნას გამოხატავს.

---

[1] **А. Г. Мовсесян, С. Б. Огнивцев, Мировая экономика. Уч. , М., 2001, გვ. 641.**

ასეთ ვითარებაში, გარდამავალი ეკონომიკის ანუ პოსტსოციალისტური ქვეყნები მსოფლიოს თავისებური, თვისებრივად ახალი შინაარსის მატარებელი „შენაკადია“, რომელსაც მეტად სპეციფიკური, დღემდის უცნობი და ურთულესი ამოცანა – კვაზისოციალისტურიდან სოციალურად ორიენტირებულ, შერეულ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემა აქვს გადასაწყვეტი.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებათა ცოდნა და გათვალისწინება დიდ სარგებლობას მოუტანს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოსაც. ჩვენი დღევანდელი, და რა თქმა უნდა, პერსპექტივის ამოცანაა საქართველო არათუ საერთოდ არ გაქრეს მსოფლიო რუკიდან, არამედ XXI საუკუნეში კვლავაც მტკიცედ დაიმკვიდროს თავისი ღირსეული ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში. ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა არ გვაძლევს იმის იმედს, რომ მოსალოდნელი იყოს ეკონომიკური სიტუაციის სწრაფი გაუმჯობესება, რაც გვაიძულებს მოთმინებით შეეისწავლოთ და გავაანალიზოთ უცხოეთის ქვეყნების როგორც დადებითი გამოცდილება, ასევე წარუმატებლობის, შეცდომებისა და ჩავარდნების მწარე გაკვეთილები. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ხომ ფაქტია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მოკლე პერიოდში მიღწეულმა „ეკონომიკურმა სასწაულმა“ საქართველოს უბიძგა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდავად, ქვეყნის, კერძოდ, ბაზრის გახსნილობისაკენ. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის გამო, მოსალოდნელი ინვესტიციები არ შემოვიდა, რის გამოც, აღნიშნული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენ მივიღეთ ისეთი სავალუტო-ფინანსური კრიზისი, რაც დამახასიათებელია ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის. ამასთან, ბაზრის გახსნილობამ ქვეყანა გაავსო უხარისხო, ეკოლოგიურად უსუფთაო, იაფფასიანი პროდუქციით, რამაც თითქმის ჩაკლა სამამულო წარმოება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსთვის მეტად სასარგებლო იქნება მსოფლიოს ეროვნულ მეურნეობათა მაკროეკონომიკური მოდელების არსის, განვლილი ისტორიული გზების, სპეციფიკური მახასიათებლების, თანამედროვე პრობლემე-

ბისა და პერსპექტივების მეცნიერული ანალიზი და თეორიული განზოგადება.

ნაშრომის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ პირველ თავში მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის ტენდენციებისა და წინააღმდეგობების ფონზე, განხილულია თანაფარდობა მსოფლიო ეკონომიკასა და ეროვნულ ეკონომიკებს შორის, მსოფლიო სამეურნეო კავშირების ძირითადი მექანიზმები და განვითარების თავისებურებები, ეკონომიკური ზრდის სტაბილურობისა და რყევების მონაცელეობის ფაქტორები და მიზეზები; აქვე ავტორი ეხება შერეული ეკონომიკური სისტემის არსისა და ძირითადი ნიშნების პრობლემას და ხაზს უსვამს საბაზრო ეკონომიკის დამოუკიდებელ ეკონომიკურ სისტემად წარმოჩენის უმართებულობას, მიიჩნევს რა მას შერეული ეკონომიკური სისტემის ორგანულ ნაწილად.

ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ევროპაში მიმდინარე უდიდესი მნიშვნელობის ეკონომიკური და პოლიტიკური, მ.შ. განსაკუთრებით — ინტეგრაციული პროცესების დახასიათებას.

ნაშრომში განხილულია შერეული ეკონომიკის მოდელები, რომელთა შორის დომინირებადი პოზიცია უკავია აშშ-ს, რომელიც როგორც მსოფლიო ეკონომიკის ლიდერი, საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პოსტინდუსტრიული ეკონომიკის მაღალი ეფექტიანობის დემონსტრირებას ახდენს და ახალ, შთამბეჭდავ პერსპექტივებს უსახავს მთელ მსოფლიოს.

დღეისათვის აშშ-ს ღირსეული პარტნიორი და კონკურენტია იაპონია, რომელიც წარმოადგენს არა „უბრალოდ" პოსტინდუსტრიულს, როგორც აშშ., არამედ ზეინდუსტრიული ეკონომიკის სახელმწიფოს, რომელიც ახლო მომავალში ახალ „იაპონურ სასწაულს" შესთავაზებს მსოფლიოს.

ნაშრომში ჯეროვანი ადგილი ეთმობა გერმანიის, საფრანგეთის, შვედეთის, კორეის რესპუბლიკის შერეული ეკონომიკური მოდელების არსისა და სპეციფიკის დახასიათებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღევანდელი საქართველოსთვის.

თავი I

განვითარებული ქვეყნები როგორც შერეული ეკონომიკური სისტემის სამყარო

1. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, ძირითადი ნიშნები

განვითარებული ქვეყნების თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის არსი შეიძლება განისაზღვროს როგორც სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკური სისტემა. რას ნიშნავს შერეული ეკონომიკური სისტემა და რა მიმართებაშია ის მრავალწყობიან ეკონომიკასთან?/არის თუ არა ისინი იდენტური სისტემები? ამის პასუხი (თუმცა, ალბათ, მაინც საკამათო) შემდეგია: უმართებულოა ის, რომ ბოლო პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით, ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში, ტერმინები — „მრავალწყობიანი ეკონომიკა“ და „შერეული ეკონომიკა“ სინონიმებად გამოიყენება. უწინარესად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მრავალწყობიანობა გარდამავალი ეკონომიკის თვისებაა. ეკონომიკური წყობა კი ეკონომიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებული ტიპია, რომელიც ამა თუ იმ ეკონომიკური სისტემის არსს განსაზღვრავს. შესაბამისად, ასეთი არსის განმსაზღვრელი ფენომენი განვითარებული ეკონომიკური სისტემის პირობებში არ შეიძლება იყოს რამდენიმე, როგორც ეს გარდამავალ პერიოდს ახასიათებს.

მრავალწყობიანობა გარდამავალი ეკონომიკის არამდგრადობაა, რომელსაც ახასიათებს განვითარების უმყარობა, როგორც მისი შინაგანი ობიექტური თვისება. სტაბილური გარდამავალი, ანუ მრავალწყობიანი ეკონომიკა არ არსებობს, რამდენადაც მასში ადგილი აქვს სხვადასხვა წყობის ინტერესთა შეჯახებას, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა მუდმივ გამწვავებას.

ამიტომ, ობიექტური კანონზომიერებაა ის, რომ დაპირისპირებულთა ბრძოლის პროცესში, როცა ისინი იმავდროულად გარკვეულწილად თანამშრომლობენ კიდევაც, გამოიკვეთება ახალი, პროგრესული, წამყვანი ეკონომიკური სისტემა. ის ეკონომიკური წყობები, რომლებიც ამ უკანასკნელის განმტკიცებას ხელს უშლის, თანდათანობით ტოვებს ასპარეზს, როგორც მოძველებულ ეკო-

ნომიკურ ურთიერთობათა მატარებელი. გარდამავალ პერიოდში ახალი პროგრესული წყობა წამყვან, დომინირებად როლს ასრულებს და მისი რეალური მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. გარდამავალი პერიოდის ბოლოს ის ხდება გაბატონებული, ხოლო შემდგომ – საყოველთაო, გარდაიქმნება რა წყობიდან მეურნეობის ახალ ერთიან ეკონომიკურ სისტემად. გარდამავალ პერიოდში მისი წამყვანი როლი დაკავშირებულია იმასთან, რომ ის წარმოებით ურთიერთობათა ყველაზე პროგრესული ტიპია, რომელსაც უნარი შესწევს, სხვა ტიპებთან შედარებით ფართო გასაქანი მისცეს მწარმოებლური ძალების განვითარებას. ასევე, ეს წყობა მოიცავს ეკონომიკის მთავარ საკვანძო სფეროებს, მის საკომანდო სიმაღლეებს და, რაც მთავარია, ეს წყობა დასაწყისიდანვე ეყრდნობა სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას, რაც მას შესაძლებლობას აძლევს დაიცვას თავისი თავდაპირველად არცთუ ძლიერი პოზიციები და საბოლოოდ დაიმკვიდროს გაბატონებული, ყოელისმომცველი პოზიცია.

მრავალწყობიანი, გარდამავალი ეკონომიკისაგან განსხვავებით, შერეული ეკონომიკა ჩამოყალიბებული, ერთიანი, მღვრადი ეკონომიკური სისტემაა, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს საკუთრებისა და მეწარმეობის სხვადასხვა ფორმა, რომლებიც თავსდებიან კერძო ან სახელმწიფოებრივი საკუთრების ფარგლებში და წარმოდგენილი არ არიან სხვადასხვა ეკონომიკური წყობის სახით. უფრო მეტიც, პოსტინდუსტრიულ ციეილიზაციაში საკუთრება, როგორც საზოგადოებაში სოციალური სტრატიფიკაციის კრიტერიუმი, კარგავს თავის განმსაზღვრელ ძალას და გადამწყვეტი ხდება ინტელექტი, განათლებისა და ცოდნის დონე.

თუმცა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ აზრის აბსოლუტიზება ყოვლად დაუშვებელია და კვლავაც საყურადღებოა მოსაზრება, რომ „საკუთრების უფლება განსაზღვრავს ადამიანთა ან ფირმების უნარს ფლობდნენ, ყიდულობდნენ, ყიდდნენ და იყენებდნენ კაპიტალურ საქონელს და სხვა საკუთრებას საბაზრო ეკონომიკაში... საკუთრების უფლება ცხოვრებაში საშართლებრივი სისტემის („იურიდიული ჩარჩოები“) მეშვეობით ტარდება, რომელიც შედგება რიგი კანონებისაგან, რომლის დახმარებითაც მოქმედებს ეკონომიკა. ეფექტიანი და საბაზრო ეკონომიკის მისაღები სამართ-

ლებრივი სისტემა თავის თავში მოიცავს საკუთრების უფლებათა განსაზღვრას."[1]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ შერეული ეკონომიკა საკუთარ საფუძველზე კლავწარმოებადი სისტემაა, ანუ ეს ეს ეს, როცა გარდამავალი, მრავალწყობიანი ეკონომიკა, ასალი პროგრესული წყობის გამოკლებით, თავის ბუნებით არაკვლავწარმოებადია, ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეში გარდამავალი, არამყარი და ცვალებადია. შერეული ეკონომიკა კი წარმოდგენილია როგორც მიკრო და მაკრო დონის სტრუქტურულ ელემენტთა ორგანული ერთიანობა.

ამასთან, სწორედ ის, რომ საბაზრო მექანიზმი განსაზღვრავს ფასებს და წარმოების მოცულობას ბევრ სფეროში, ხოლო სახელმწიფო არეგულირებს ბაზარს გადასასადების მეშვეობით, რომ ორივე მხარე – ბაზარი და სახელმწიფო – არსებითია, ანუ ეკონომიკის მართვა რომელიმეს გარეშე შეუძლებელი ან არაეფექტიანია, განსაზღვრავს შერეული ეკონომიკის არსს და არა მრავალწყობიანობას. „მრეწველურად განვითარებული ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელია შერეული ეკონომიკა, რომელშიც ბაზარი განსაზღვრავს გამოშვებას და აწესებს ფასებს მისი სექტორების უმეტესობაში, ხოლო სახელმწიფო მართავს ეკონომიკას მთლიანად გადასახადით დაბეგვრის, ხარჯებისა და საკრედიტო-ფულადი რეგულირების პროგრამების დახმარებით. ორივე მხარე – ბაზრები და სახელმწიფო – მნიშვნელოვანია ეკონომიკის შეუფერხებელი მუშაობისათვის. თანამედროვე ეკონომიკის არსებობა ერთ-ერთი ამ მხარის გარეშე – იგივეა, რაც ცალი ხელით ტაშის დაკვრა."[2] ამრიგად, შერეული ეკონომიკა გულისხმობს სახალხომეურნეობრივი პროპორციულობის საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალურ შეხამებას. სწორედ ესაა შერეული ეკონომიკის არსი. აქედან კიდევ ერთი პრინციპული დასკვნა: საბაზრო ეკონომიკა შერეული ეკონომიკური სისტემის ბირთვია და არა დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი მთლიანი ეკონომიკური სისტემა.

აქედან გამომდინარე, მართებული არ უნდა იყოს ზოგიერთ ეკონომიკურ ლიტერატურაში მოცემული აზრი, რომ „ეკონომიკუ-

---

[1] პოლ ა. სამუელსონი, ვილიამ დ. ნორდჰაუსი. ეკონომიკა. მეთხუთმეტე გამოცემა, ტომი I, თბ., 2000, გვ. 104.
[2] იქვე, გვ. 117-118.

რი მინაარსით სოციალური საბაზრო მეურნეობა დღეს მერეული ეკონომიკის სახესხვაობაა";[1] რომ თანამედროვე ეკონომიკური სისტემა „მერეული საბაზრო ეკონომიკაა". პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობა და, მით უმეტეს, მერეული საბაზრო ეკონომიკა, საერთოდ არ არსებობს, რამდენადაც, ჯერ ერთი, საბაზრო ეკონომიკა დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემა არ არის; მეორეც, საბაზრო მეურნეობა თავისი ბუნებით, არსით არასოციალურია. სოციალურობას ის როგორც მერეული ეკონომიკური სისტემის ბირთვი, იძენს სახელმწიფოებრივი რეგულირების მეშვეობით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა მერეული ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი, ამ უკანასკნელს არ ძალუძს შეცვალოს კონკურენტული საბაზრო ორგანიზაცია. ის უნდა მიესადაგოს მას და ორივე უნდა რეალიზდებოდეს როგორც მერეული ეკონომიკის ქვესისტემა. რაოდენ გეგმაზომიერადაც არ უნდა ფუნქციონირებდეს რეგულირება, ის, საბოლოო ანგარიშით, ყოველთვის ხორციელდება როგორც საბაზრო ორგანიზაციას მისადაგებული ფენომენი. თვითრეგულირების ბუნებაც ორადია — ის გეგმაზომიერებისა და არაგეგმაზომიერების დიალექტიკური წინააღმდეგობრივი ერთიანობაა.

მერეულ ეკონომიკაში სახელმწიფო და კერძო სექტორები ერთობლივად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საყოველთაოდ ცნობილი საკითხების (რა, როგორ და ვისთვის) წარმატებით გადაწყვეტაში. ეს გასაგებია, რამდენადაც ყველა ეკონომიკური სისტემა არის მერეული, თუმცა ისინი, ერთ შემთხვევაში საკომანდოსკენ იხრებიან, სხვა შემთხვევაში — საბაზრო მეთოდებისაკენ.[2] ამ მხრივ უფრო გამოკვეთილია პოზიცია, რომლითაც აღიარებულია, რომ ,ყველა ქვეყანას მერეული ეკონომიკა აქვს — ეკონომიკა ბაზრისა და მართვის მბრძანებლური ფორმის ელემენტებით. ჯერ კიდევ არასოდეს არ არსებულა 100%-იანი საბაზრო ეკონომიკა (თუმცა XIX საუკუნის ინგლისი ახლოს იყო მასთან).

---

[1] Курс экономической теории. Общие основы. Микроэкономика. Макроэкономика. Переходная экономика. Рук. авторского коллектива и научный ред. Сидорович А.В. М., 1997, გვ. 446.

[2] Фишер С., Дорнбуш Р., Шмелензи Р. Экономикс, М., 1993, გვ. 12.

თანამედროვე პერიოდში აშშ-ში გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი ბაზრის მიერ მიიღება. მაგრამ ქვეყნის მთავრობაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბაზრის მუშაობის შეცელამში ხელისუფლები გამოსცემენ კანონებსა და დებულებებს, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკურ ცხოვრებას, მომსახურებას სთავაზობენ განათლების სფეროსა და მართლწესრიგის დაცვას, აკონტროლებენ ბიზნესსა და გარემოს დაბინძურებას"[1].

ამრიგად, „თანამედროვე ეკონომიკური სისტემა შერეული ეკონომიკური სისტემაა, რომელშიც სახელმწიფო და კერძო სექტორები თანამოქმედებენ როგორც განუყოფელი ნაწილები, სხვანაირად, ეს ეკონომიკური სისტემა არც სახელმწიფოებრივია და არც კერძო, არამედ ორივეს ნარევია.

ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორს მიდის და საკუთრივ საბაზრო ეკონომიკასაც განიხილავს როგორც შერეულს. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ მონოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ „საბაზრო ეკონომიკის ყველა სახეობა არის „შერეული" იმიტომ, რომ ყველა თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო, რომელიც გამოხატავს საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებს."

აქ კომენტარის გარეშე მოგვყავს შემდეგი მოსაზრება: „განსხვავებული შეხედულება სახელმწიფოზე, როცა იგი ბაზარს კი არ ავსებს, მისი იმანენტური ნაწილია, „ეკონომიკის" მრავალი საკითხის ხელახალ გააზრებას მოითხოვს."[3]

საკითხის ამ ასპექტით განხილვისას ზოგიერთი მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ეკონომიკური სისტემის „შერეულობის" დონე განისაზღვრება არა მხოლოდ სახელმწიფობრივი სექტორის სიდიდით ან კიდევ მშპ-ში მისი დანახარჯების წილით, არამედ აგრეთვე სხვა პარამეტრებით. მაგალითად, იაპონიას, განვითარებულ ქვეყნებს შორის მშპ-ში სახელმწიფო დანახარჯების წილით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, მა-

---

[1] **პოლ ა. სამუელსონი, ვილიამ დ. ნორდჰაუსი.** ეკონომიკა. მეთხუთმეტე გამოცემა, ტომი I, თბ., 2000, გვ. 50-51.

[2] **Исаксен А., Гамильтон К., Гулфасон Т.** Экономика переходного периода. Перевод с английского. Кн. 1, М., 1993, 13-14.

[3] **ვლადიმერ პაპავა.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 199.

გრამ ეკონომიკის რეგულირებითა და მართვით, რაც სახელმწიფოს თავისებურ ფუნქციად იქცა და მაღალი ეფექტიანობით ხასიათდება, გამორჩეულ ადგილს იკავებს. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ შერეული ეკონომიკის საერთოდ, და კერძოდ, მასში სახელმწიფო რეგულირებისა და თავისუფალი ბაზრის თანაფარდობის პრობლემა მრავალწახნაგოვანია, მასზე წინასწარ მოცემული რეცეპტებით მსჯელობა შეუძლებელია და დაუშვებელიც. ყველაფერი დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკაზე, მისი განვითარების დონესა და იმ კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა წრეზე, რომელიც იქ წყდება მოცემულ პერიოდში. მაგალითად, შერეული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესში მოკლე პერიოდში დიდ წარმატებას („ეკონომიკური სასწაული") მიაღწიეს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა: იაპონია, ჰონკონგი, სინგაპური, სამხრეთი კორეა, ტაივანი, ტაილანდი და ა.შ., უწინარეს ყოვლისა იმით, რომ გადამწყვეტი უარი თქვეს როგორც წმინდა მონეტარიზმზე, ასევე ეკონომიკურ პროცესებში ტოტალურ სახელმწიფოებრივ ჩარევაზე და ეკონომიკურ პოლიტიკაში მარჯვედ და გონივრულად შეახამეს ერთიმეორეს რეგულირების სახელმწიფოებრივი და თავისუფალი ბაზრის მექანიზმები. ბუნებრივია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს ყველასთვის წარმატების უზრუნველმყოფელი ერთიანი „აზიური ეკონომიკური მოდელი". საქმე ისაა, რომ თუ ჰონკონგში ძირითად ორიენტირად მიჩნეული იყო საბაზრო ძალების თავისუფალი თამამი, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში აქტიურად გამოიყენებოდა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი, რომელიც შეცვლილი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისად კორექტირდებოდა. და მაინც, მიუხედავად ყველა განსხვავებისა, აღნიშნული ქვეყნებისათვის საერთო დამახასიათებელი იყო: ინფლაციის დაბალი დონე, დანაზოგთა მაღალი დონე, დიდი ინვესტიციები განათლებაში, უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების დიდი მოდინება, ეკონომიკის „გახსნილობის" ოპტიმალურად მაღალი დონე.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ბოლო პერიოდში შერეული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში გამოიკვეთა სოციალური მიმართულება. ამ მხრივ გამოირჩევა შერეული ეკონომიკის შვედური, გერმანული და იაპონური მოდელები, მაგრამ

მთავარია ის, რომ ლიბერალურთან ყველაზე მიახლოებული ამერიკული სისტემაც კი სულ უფრო სოციალურად გარანტირებულობის ხასიათს იღებს. უფრო მეტიც, დღეს აშშ-ში ფორმირებულია პრინციპულად ახალი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობები: ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განვითარების მამოძრავებელი საზოგადოებრივი მოთხოვნილებებია, დომინირებს საზოგადოებრივი (ე.წ. საჯარო) საკუთრება და შრომის შედეგთა საზოგადოებრივი მითვისება, რომელმაც თავისი მოცულობით დიდად გადააჭარბა კერძო სექტორს. დღეისათვის აშშ-ში სახელმწიფოს სოციალური დანასარჯები მყარად ლიდერობს საერთო სამთავრობო დანახარჯებში, თუმცა კერძო კაპიტალმა ამ სფეროში როდი ამოწურა თავი. პირიქით, იქ ბიზნესი მასობრივად აკმაყოფილებს ინდივიდუალიზებულ მოთხოვნილებებს, რამაც გამოიწვია ბიზნესის მიზნების ჰუმანიზაცია, ანუ წარმოების „გაადამიანურება". ამასთან, ბიზნესმენებმა საესებით გაითავისეს ის, რომ განვითარების ყველა ვექტორიდან ამოუწურავ შესაძლებლობებს ფლობს მხოლოდ ადამიანისეული პოტენციალი და აქტიურად ჩაებეს მუშაკები წარმოების მართვასა და მოგების განაწილებაში. სწორედ ამ და სხვა ფენომენალურ მოვლენათა შედეგია ის, რომ აშშ-ის ეკონომიკას დღეს, ფაქტობრივად, მართავს სამუალო ფენა, ანუ განხორციელებულია საზოგადოების სოციალიზაციის პროცესი, რომლისთვისაც, ზოგიერთი „მოძღვრების" საპირისპიროდ, სრულიადაც არ ყოფილა აუცილებელი შეიარაღებული რევოლუციური გადატრიალება.

ანტიადამიანურ თეზისს — „ყველაფერი ძვირდება", აშშ-სა და მის მსგავს სხვა ქვეყნებში გასავალი არა აქვს. ფასების ზრდის კვალობაზე, მთავრობისა და სხვა ინსტიტუტების ხელდასხმით, იზრდება ხელფასიცა და სოციალური უზრუნველყოფის სიდიდეც. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსახლეობას არ აწუხებს ან თითქმის არ აწუხებს „გაძვირების" პროცესი.

როგორც ცნობილია, შერეული სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის იდეური სულისჩამდგმელი გერმანელი ვალტერ ოიკენია (იგი ავტორია შესაბამისი წიგნის — „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები", 1952წ.), ხოლო გერმანიაში მისი პრაქტიკულად განმახორციელებელი — ლ. ერჰარდი. მათ საერთო იდეალი ჰქონდათ — ადამიანის როგორც უზენაესი სიმდიდრის თავისუფლება

ეკონომიკასა და პოლიტიკაში. „კეთილდღეობა ყველასათვის“, „ეკონომიკა ჩვენი ბედია“ და ა.შ. — ასეთი იყო ლ. ერჰარდის საბაზრო მეურნეობის კონცეფციის ძირითადი დევიზი.

ამრიგად, სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკის მშენებლობისა და ფუნქციონირების მდიდარი დასავლური გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ იქ ახალი სამყარო შეიქმნა ძველის ნგრევის გარეშე, ძველის გარდაქმნით. ე.ი. კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანია არა ანტაგონისტური დაპირისპირებულობა, არამედ ერთიანობა და ამ ნიადაგზე თანმიმდევრული მოძრაობა სოციალიზებული საზოგადოებისაკენ, რაც მთელი მსოფლიოს ერთიანობის საფუძველია.

აქეე არ შეიძლება იმის შესახებაც არ აღვნიშნოთ, რომ შერეული ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია იმანენტურად გულისხმობს სოციალურ პასუხისმგებლობასაც, რაც კონცენტრირებულად ვლინდება მოქალაქეთა პასუხისმგებლობით ეკონომიკური განვითარების შედეგებისათვის. ეს მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების ძირეული საკითხია, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გარდამავალ პერიოდში, რამდენადაც საკომანდო ეკონომიკამ ვერ უზრუნველყო სოციალური დოვლათის შექმნის ეფექტიანი სისტემა.

ეკონომიკურ პროგრესსა და ეკონომიკურ ეფექტიანობაში მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა, როგორც მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, მიიღწევა, როცა, ჯერ ერთი, ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა უმჯობესდება მათი საქმიანი აქტივობის საფუძველზე; მეორე, სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა შემოსავლებისა და მოხმარების სამართლიანი დიფერენციაციით, მოქალაქეთა სამეწარმეო აქტიურობის კვალობაზე; და მესამე, სახელმწიფოსა და სხვა მეწარმეთა მიერ სოციალურ მიზნებზე გაღებული დანასარჯების ოპტიმალურობით.

განვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ინოვაციები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თანამედროვე შერეული ეკონომიკური სისტემა, პოსტინდუსტრიული თუ ინფორმაციული საზოგადოების სახით, არც კაპიტალისტური სისტემაა და არც სოციალისტური, ეს არის ცოდნის საზოგადოება, ანუ ცოდნა გადაქცეულია საკვანძო საწარმოო რე-

სურსად, რასაც მეორე პლანზე გადააქვს ტრადიციული ეკონომიკური რესურსები — მიწა, კაპიტალი, შრომა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

ერთობლივი კაპიტალის სტრუქტურის
დინამიკა დასავლეთის ქვეყნებში (%%)[1]

	1800	1860	1913	1950	1973	1997-1998
ფიზიკური კაპიტალი	78-80	77-79	67-69	52-53	43-44	31-33
ადამიანისეული კაპიტალი	20-22	21-23	31-33	47-48	56-57	67-69

განვითარებული ქვეყნების ერთობლივი კაპიტალის სტრუქტურაში ადამიანისეული კაპიტალის დომინირებადობა, რაც გასული საუკუნის უკანასკნელ ორ ათწლეულში წარმოჩინდა, ნიშნავს იმას, რომ წინა პლანზე წამოიწია იმ სექტორებმა, რომლებიც აწარმოებენ და ანაწილებენ არამატერიალურ პროდუქციას — ცოდნასა და ინფორმაციას, სწორედ აქ გროვდება საზოგადოების სიმდიდრე.

ინფორმაციული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა არა მატერიალური დოვლათის წარმოება და მოხმარება, არამედ სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაციულ ფასეულობათა და ღირებულებების შექმნა და მოხმარება, მათ შორის განივთებული ფორმითაც — მაღალი ტექნოლოგიების სახით.

ამიერიდან ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია მატერიალური წარმოებისათვის არა მოხმარებული ნიეთიერებებისა და ენერგიის რაოდენობაზე, არამედ მოხმარებული ინფორმაციის ხარისხზე.[2]

წარმოებლურ ძალებში ძირეულ ცვლილებებთან ერთად ადგილი აქვს შესაბამის ძვრებს სოციალურ-ეკონომიკურ წყობასა და უწინარესად — საკუთრებით ურთიერთობებში. უფრო მეტიც, პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციაში საკუთრება როგორც საზოგა-

---

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2001, № 12, გვ. 43.
[2] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2001, № 2, გვ. 12.

ღებამი სოციალური სტრატიფიკაციის კრიტერიუმი, სულ უფრო კარგავს თავის განმსაზღვრელ ძალას და გადამწყვეტი ხდება ინტელექტი, განათლებისა და ცოდნის დონე. დასავლეთის ქვეყნების პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასელასთან ერთად აღმოცენდა ეროვნულ მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილის რეალური განსაზოგადოების ტენდენცია, ე.ი. დადგა საკუთრებით ურთიერთობათა ევოლუციის ახალი ფაზა.[1] ამ ურთიერთობებში განსაკუთრებულად იზრდება ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა, რამიც იგულისხმება ინტელექტუალური შრომის პროდუქტთა ფლობის, განკარგვისა და გამოყენების გამო სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობები. სწორედ ინტელექტუალური შრომის პროდუქტია ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი დღეისათვის.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე შერეული სოციალურ-ეკონომიკური მოდელის შინაარსი და კონფიგურაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება, თუნდაც ორი-სამი ათწლეულის წინანდელი მოდელისაგან. უწინარესად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ თანამედროვე შერეული ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მოდელის თვითმოძრაობის მექანიზმებისა და ორგანიზაციულ-სამმართველო ფორმების სპეციფიკა, რაც აყალიბებს თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას. ეს არის ოთხი ძირითადი ქვესისტემა: სახელმწიფო, ბაზარი, საზოგადოებრივი სექტორი (რომლის მიზანი არ არის მოგების მიღება) და საოჯახო მეურნეობები.[2] საქმე ის არის, რომ შერეულ ეკონომიკაში საბაზრო სექტორის და საერთოდ საბაზრო კომპონენტების დომინირების თეორია დღევანდელ რეალობას არ მიესადაგება, ან თითქმის არ მიესადაგება. მით უფრო უმართებულოა საბაზრო ეკონომიკის, საბაზრო სისტემის გაიგივება თანამედროვე ეკონომიკურ სისტემასთან, კერძოდ, შერეულ ეკონომიკასთან. თანამედროვე საზოგადოებრივი კვლავწარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტები, მით უფრო მისი არცთუ შორეული პერსპექტივები საერთოდ, მასობრივი „რეალური" წარმოების უზრუნველყოფის პროცესი — განსაკუთრე-

---

[1] ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2002, № 3, გვ. 41.

[2] ჟურნ.. „Мировая экономика и международные отношения", 2001, № 1, გვ.18.

ბით, სულ უფრო ნაკლებად არის და კიდევ უფრო ნაკლებად იქნება დაკავშირებული საბაზრო ფორმებსა და პროცესებთან. მხედველობაშია ის გარემოება, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის „არეალებში" სულ უფრო ნაკლებად ხვდება საზოგადოების კარდინალური სოციალური და ინოვაციური პრობლემები, ასევე სხვა უაღრესად აქტუალური თანამედროვე პროცესები, რომლებიც ვერ ეტევიან ან ვერ თავსდებიან საბაზრო სისტემის მექანიზმებში. ეს, ამ უკანასკნელის, ასე ვთქვათ, ვიწრო (ბევრ შემთხვევაში – ეგოისტური) პრინციპების მოძველებასა და შესაძლებლობების თანდათან ამოწურვაზეც მიგვანიშნებს. პოსტინდუსტრიული საზოგადოების საკაცობრიო, მაღალციფილიზებული იდეალები და „სქემები" სულ უფრო ავიწროებს ინდუსტრიული საზოგადოების მამოძრავებელს და ბირთვს – საბაზრო სისტემის სახით. სხვანაირად რომ ვთქვათ, თანამედროვე შერეული ეკონომიკური სისტემის მოდელში სულ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება და მყარ ადგილს იკავებს საზოგადოებრივი სტრუქტურების ელემენტები, რაც ემყარება არასაბაზრო ურთიერთობებს, ორიენტირებს, მოტივებსა და ინდიკატორებს.

ᲨᲔ დაბოლოს, ყოველივე აღნიშნულის პრიზმით, დიდ ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ რა, როგორი ამოცანები და პრობლემები დგას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების, მათ შორის, განსაკუთრებით საქართველოს წინაშე.

დღეს ბევრი მკვლევარი თუ პოლიტიკოსი მსჯელობს იმის შესახებ, რომ საქართველოს (ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების) ამღცანაა საბაზრო ეკონომიკის, საბაზრო სისტემის მშენებლობა.

„და მართლაც, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე არსებით გამონაკლისს: არმიას, პოლიციასა და სკოლას, ჩვეულებრივი ეკონომიკური ცხოვრების დიდი ნაწილი მიმდინარეობს სახელმწიფოს ჩარევის გარეშე და ეს საბაზრო ეკონომიკის რეალური ძალაა".[1] „სახელმწიფო საკვანძო როლს თამამობს უსაფრთხო ატმოსფეროს შექმნით, რომელშიც ბაზრებს აყვავება და უკიდურესობათა თავიდან აცილება შეუძლია... (თანამედროვე ეკონომიკის აყვავება

[1] პოლ ა. სამუელსონი, ვილიამ დ. ნორდჰაუსი. ეკონომიკა. მეთხუთმეტე გამოცემა, ტომი I, თბ., 2000, გვ. 87.

დამოკიდებულია საჭირო წონასწორობისა და მოვალეობათა სწორი განაწილების შენარჩუნებაზე ბაზარსა და მთავრობას შორის)[1]

(როგორც ამას ბევრი სხვა დასავლელი მკვლევარიც აღიარებს, თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს „წმინდა" საბაზრო ეკონომიკა. მეტიც, ასეთი ეკონომიკური სისტემა არც არასოდეს ყოფილა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის საქართველოს გარდამავალი პერიოდის წინაშე დგას კარდინალური ამოცანა – საბაზრო სისტემის როგორც ახალი ეკონომიკის საფუძვლის ფორმირება და მთელი ეკონომიკის შეგნებული მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმთა სისტემის შექმნა) შესაბამისად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ის მტკიცება, რომ საქართველოს ეკონომიკის კატასტროფული მდგომარეობა გამოწვეულია საბჭოური სოციალიზმიდან საბაზრო სისტემაზე გადასვლით, რომ „საქართველოში დღეს ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა", რომ თითქოს ამით „გამოამჟკარავდა საბაზრო მექანიზმების „ღვთაებრივი ხასიათის", ბაზრის თვითრეგულირების უნივერსალური ბუნების, „უხილავი ხელის" განსაკუთრებულობისა და სხვა ილუზიების მავნეობა".

მთელი უბედურება ის არის, რომ ჩვენი დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირე და მანკიერებანი მოგვიტანა არა საბაზრო ეკონომიკამ, რამდენადაც ის არ არსებობს (უკეთეს შემთხვევაში ჩვენ ვიმყოფებით მასზე გარდამავალი პერიოდის მხოლოდ საწყის და ისიც ჩრდილოვან სტადიაზე), არამედ იმან, რომ ჩვენს სინამდვილეში არარსებული „უხილავი ხელის" იმედით საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკას მოჰკვეთა „ხილული ხელი" (მართვის არსებული სისტემა), რითაც ის ქაოსურ მდგომარეობაში ჩააგდო.

თუ ბერდიაევს დავესესხებით, რომ „სოციალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი ფორმაა", (იმას რაც დღეს საქართველოშია, რაიმე ეკონომიკურ სისტემას ვერ ვუწოდებთ. მეტიც, ის ორივე დრომოჭმული სისტემის – როგორც კაპიტალიზმის, ასევე საბჭოური სოციალიზმის მაქსიმალურად დამახინჯებული ფორმაა.)

---

[1] პოლ ა. სამუელსონი, ვილიამ დ. ნორდჰაუსი. ეკონომიკა. მეთხუთმეტე გამოცემა, ტომი I, თბ., 2000, გვ. 86.

(შესაბამისად, ჩვენი დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა სიდუხჭირე და მანკიერებანი მოგვიტანა საბაზრო სისტემაზე გადასვლის მცდელობის პროცესში დაშვებულმა უხეშმა სუბიექტურმა შეცდომებმა და ობიექტური ხასიათის სიძნელეებმა.)

საქართველო კვლავაც ღრმა ეკონომიკურ კრიზისშია. ეკონომიკური რეფორმა თითქმის შეჩერებულია ან გაუკულმართებულად ხორციელდება. ამის კონცენტრირებული გამოხატულებაა ეკონომიკის სტაგნაცია, მისი გაქვავებული მდგომარეობა, რომელსაც არათუ სტაბილური აღმავლობის, არამედ გამოცოცხლების ნიშანწყალიც არ ეტყობა. ამ ფონზე ძნელი დასაჯერებელია მავანთა მტკიცება, რომ „რეფორმების პირველი ეტაპის ამოცანა – ფინანსური სტაბილიზაცია მიღწეულია, მეორე ეტაპი – სოციალური პრობლემების გადაწყვეტა – ქვეყანას წინ უდევს". აქ, როგორც იტყვიან, ყველაფერი თავდაყირაა; მასში საერთოდ არ ფიგურირებს როგორც ფინანსური სტაბილიზაციის, ასევე სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ფუნდამენტი – ეკონომიკის აღმაველობის სახით.

მიგვაჩნია, რომ რეალური ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა ეკონომიკური სტაბილიზაციის გარეშე, მხოლოდ სურვილი ან ფუჭი ილუზიაა, რასაც განხორციელება არ უწერია. ჩვენდა სამწუხაროდ თუ სავალალოდ, ფაქტობრივად, ეს დღეს ასეცაა. საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის არსებობა მხოლოდ წმინდა ნომინალური საკითხია. მას იღებენ და ამტკიცებენ მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოებრიობის ეს ატრიბუტი არსებობდეს, ნეგატიური ტენდენციები კი მყარად იკვეთება. ქვეყანაში პერმანენტული საბიუჯეტო კრიზისია, რაც საერთო სისტემური კრიზისის განუყოფელი ნაწილია. (გარდამავალ პერიოდში საქართველოს „გამოცდილებამ" თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ სტიქიური საბაზრო ძალების თარეში ერთობ სახიფათოა, რომ ის არათუ არ დაგვეხმარება მწვავე ტოტალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში, არამედ, როგორც წესი, უფრო ართულებს და აღრმავებს მათ სიმწვავეს. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ბევრი ქვეყანა, რომელიც შეუდგა საბაზრო სისტემის შექმნას, იძულებული გახდა აღედგინა სახელმწიფო რეგულირება, რათა თავიდან აეცილებინა ეკონომიკური კატას-

ტროფა, რომ ეკონომიკურ პროცესებში, განსაკუთრებით რადიკალური გარდაქმნის პერიოდში, სახელმწიფოს აქტიური ჩარევა აუცილებელია. მაგრამ ის ეფექტიანი შეიძლება იყოს შესაბამისი ინსტიტუციური წანამძღვრების არსებობისას, როცა ქვეყანაში შექმნილია მაღალკვალიფიციური და ნაკლებად კორუმპირებული სახელმწიფო აპარატი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს ეკონომიკური მიზანშეწონილებიდან და არა პირადი სარგებლობიდან, ანგარებითი მიზნებიდან გამომდინარე. ეკონომიკურ გარდაქმნებს ხომ მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და პოულობს ფართო სოციალურ მხარდაჭერას, როცა შესაძლებლობას იძლევა ამაღლდეს მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრების დონე, შემცირდეს ღარიბთა რაოდენობა, სოციალური უთანასწორობა.

ამ მხრივ დღეს საქართველოში გაორებული მდგომარეობაა: ერთი მხრივ, არის მცდელობა შეიქმნას სახელმწიფოს გარკვეული კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, მეორე მხრივ, მიმდინარეობს ფარული თუ ამკარა ბრძოლა ეს კანონები მოერგოს დღევანდელ ხელისუფლებას, მის უზომოდ გაბერილ ბიუროკრატიულ აპარატს, რომლის დიდი ნაწილიც ვიწროეგოისტური ინტერესებისათვის იღვწის და არა — ქვეყნის უკეთესი მერმისისთვის. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ბოლო პერიოდში მსოფლიოში ორი დიდი სამარცხვინო რეკორდი დავამყარეთ — საქართველო მსოფლიოში თითქმის ბოლო ადგილზეა მოსახლეობის ცხოვრების დონით, ხოლო ერთ-ერთ პირველზე — კორუფციით.

ერთი შეხედვით, საქართველოსა და მის მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს სხვა არაფერი დარჩენიათ, თუ არა ეკონომიკური რაციონალურობისა და ეფექტიანობის საგარეო ძალებისადმი დაქვემდებარება, რომლითაც ისინი კაპიტალის, ტექნოლოგიების, მართვის გამოცდილების „იმპორტით“ ეკონომიკურად წინ წაიწევენ. მაგრამ, ფაქტობრივად, საბოლოო ანგარიშით, ეროვნული მეურნეობები ეროვნული დამოუკიდებლობის საშიანოდ, ეკონომიკური დაქვემდებარების ისეთ ქსელში ეხვევიან, საიდანაც ძნელია თავის დაღწევა და საიდანაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ უპირატესობას, არცთუ იშვიათად, იღებს არა სახელმწიფო ან საზოგადოება მთლიანად, არამედ გარკვეული კლანები, რომლებიც, ბუნებრივია, თავიანთ ასეთ კეთილდღეობას არასოდეს გაცვლიან ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, უარესი ეკონომიკური პირობებით. სხვა-

ნაირად რომ ვთქვათ, ასეთ პირობებში ვიწრო ეკონომიკური მიზნები ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ორიენტირად იქცევა ეროვნულ-საზოგადოებრივი იდეალების საპირისპიროდ.

მით უმეტეს, თუ ზემოაღნიშნულ არაეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს სახელმწიფო, რომელიც ძალზე ბიუროკრატიულია, არად აგდებს კანონებს, პრაქტიკულად მხოლოდ ეროვნული სიმდიდრის გადანაწილებით და არა მისი წარმოების პირობების შექმნით არის დაკავებული, ის შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც მერკანტილისტური – ყველაზე ცუდი გაგებით.

საქართველომ რომ თავი ისსნას მსგავსი მდგომარეობიდან, რომ ის რეალურად არ გახდეს ნეოკოლონია და მართლაც რომ იყოს ევრაზიის დამაკავშირებელი, თანასწორთა შორის თანასწორი ქვეყანა, და არა დერეფანი ან კიდევ „გვირაბი", ქვეყნისათვის ყველაზე კარგი პოლიტიკა, ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული თვითშეგნების აღდგენასა და განმტკიცებასთან ერთად, ფეხზე მყარად მდგომი ეკონომიკაა, რაც, საბოლოო ანგარიშით, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას, მსოფლიო თანამეგობრობის სისტემაში მის ღირსეულ შესვლას განაპირობებს.

ამიტომ, საქართველოში ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების სიძნელეთა დაძლევისათვის, უწინარესად აუცილებელია სოციალურად ორიენტირებულ მერეულ ეკონომიკაზე გარდამავალი პროცესის სტრატეგიული ამოცანები მთავრობის ძალისხმევით წყდებოდეს. როგორც ბევრი პოსტსოციალისტური ქვეყნის განვითარების გამოცდილება ცხადყოფს, წარმატებული ეკონომიკური გარდაქმნა საზოგადოებაში შეუძლებელია განხორციელდეს სახელმწიფოს აქტიური და თანმიმდევრული ჩარევის გარეშე. ამასთან, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა შედეგიანობის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია მოსახლეობის ნდობა და მხარდაჭერა. ამიტომ ეკონომიკური გარდაქმნების წარმატების გადამწყვეტი მოთხოვნაა გარდამავალი პოლიტიკის მიმართულებათა ნათელი ფორმულირება და ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა. თუ ასეთი მხარდაჭერა არ არის, რეფორმის კრახიც გარდუვალია.

ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს ობიექტურად განვსაზღვროთ გარდამავალი ეკონომიკის ძირითადი ამოცანები „გამომ-

დინარე იქიდან, რომ მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესის საბოლოო მიზანია პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში[1]

2. მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის ტენდენციები და ფინანსმდგომობები

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს მთელი მსოფლიოს მომცველი ეკონომიკური ურთიერთობების ქსელის წარმოშობასა და განვითარებას. უფრო კონკრეტულად, გლობალიზაცია არის სახელმწიფოებს შორის საქონლისა და მომსახურების, წარმოების ფაქტორების, მათ შორის, განსაკუთრებით – შრომის, კაპიტალისა და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა. მთელი ეს პროცესები ვითარდებოდა და გროვდებოდა ათეულობით წლების განმავლობაში, განსაკუთრებულად ინტენსიური ხასიათი მიიღო XXს. მეორე ნახევარში, რის შედეგადაც დამკვიდრდა თვისებრივად ახალი ეკონომიკური მოვლენები და განვითარდა საერთოპლანეტარული პროცესები ეკონომიკაში, იდეოლოგიაში, ეკოლოგიასა და სოციალურ ურთიერთობათა სფეროში, რომელიც მოიცავს მსოფლიოს ყველა ადამიანის ინტერესებს, რის გამოც მიიღო მან გლობალურის სახელწოდება. შესაბამისად, დღეისათვის მსოფლიოში ჩამოყალიბებულია გლობალური მასშტაბის თვისებრივად ახალი ეკონომიკური სისტემა, რასაც სამართლიანად უწოდებენ მეგაეკონომიკას.[2]

ეს უკანასკნელი გულისხმობს მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის უმაღლეს საფეხურს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ, ჯერ ერთი, მსოფლიოს უმეტესი ქვეყანა წარმოდგენილია როგორც ღია და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო; მეორე, მრავალფეროვან საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მეშვეობით, ქვეყნების სულ უფრო მზარდი რაოდენობა ქმნის ერთიან პლანეტარულ სისტემას; მესამე, ცალკეული ეროვნული მეურნეობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ისეთ სტრუქტუ-

---

[1] თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001. გვ. 93.

[2] А.Г. Мовсесян, С.Б. Огнивцев, Мировая Экономика, уч., М., 2001, გვ. 69.

რულ შემადგენლებზე, როგორიცაა: გლობალური ფინანსური, სავალუტო, სანედლეულო და ენერგეტიკული და ა.შ. ბაზრები; მეოთხე, გლობალიზაცია ემყარება პლანეტარულ ინფრასტრუქტურას.[1]

მეგაეკონომიკის საფუძვლის – წარმოების ინტერნაციონალიზაციისათვის დამახასიათებელია ისეთი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების განვითარება, რომლებიც ერთიმეორესთან აკავშირებს ქვეყანათა ერთი ჯგუფის წარმოების შედეგების სხვა ქვეყნებში მოხმარებასთან. ეროვნულ ეკონომიკათა საერთაშორისო კავშირები მუდმივი ხდება, როცა შრომის საერთაშორისო დანაწილება მაღალგანვითარებულია. ამასთან, წარმოების ინტერნაციონალიზაციის ახალი, თანამედროვე ეტაპი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირმშოა. მის განვითარებასა და შედეგებს აქვს მსოფლიო ხასიათის ზოგი ნიშან-თვისება, რაც განპირობებულია ერთობლივი საერთაშორისო ძალისხმევით. შესაბამისად, წარმოების ინტერნაციონალიზაციის დონე დამოკიდებულია რიგ ფაქტორზე, რომელთა შორის მთავარია – ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების დონე, საწარმოო სპეციალიზაციის ხასიათი და საქონელთა და მომსახურების ეროვნული წარმოების დონე. ამასთან, თანამედროვე, უწყვეტად განახლებადი მეცნიერება, ტექნიკა და ტექნოლოგია იმდენად მასშტაბური და ყოველმხრივია, მათი გამოყენება და მართვა შეუძლებელია მხოლოდ ერთი, თუნდაც დიდი ქვეყნისთვის (ვთქვათ, კოსმიური სივრცის ათვისება, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, სიღარიბის ლიკვიდაცია და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.). მესაბამისად, აუცილებელი და ეკონომიკურად გამართლებულია წარმოების განვითარება არა მხოლოდ ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფზე გათვლით, არამედ მსოფლიო ბაზრის მსხვილრეგიონულ პოტენციურ მომხმარებელზე ორიენტაციითაც.

ამის აუცილებლობას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოებაც, რომ გლობალიზაციის პროცესი, XX-XXI სს. მიჯნაზე, ისეთი თვისებრივად ახალი მომენტებით აღინიშნა, როგორიცაა: სისწრაფე, მასშტაბურობა, მრავალფეროვნება. თანამედროვე ეტაპზე საქონლისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება უზრუნველყოფილია არა მხოლოდ ტექნიკური, ინფორმაციული და კომუნიკაცი-

[1] Е.Ф. Борисов. Экономическая теория. уч., М., 2002, გვ. 376.

ური სამუალებებით, არამედ აგრეთვე მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით, ორმხრიეი და მრავალმხრიეი ხელშეკრულებით, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ეკუთვნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, სადაც გაერთიანებულია მსოფლიოს 130-ზე მეტი ქვეყანა. ამავე დროს, სულ უფრო აფართოებენ თავიანთ საქმიანობას საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები — საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) და განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი). ეკონომიკის გლობალიზაციის გაღრმავების მომასწავებელია ევროსაავალუტო კავშირის შექმნა, რამაც სულ მოკლე დროში დაადასტურა სახელმწიფოთა ერთიან ფულად სისტემაზე გადასვლის მაღალი ეფექტიანობა.[1]

გლობალიზაციის პროცესი მრავალასპექტიანია და მკვლევრებიც ყურადღებას ამახვილებენ მის სხვადასხვა მხარეზე, როგორიცაა: ინსტიტუციურ-ცივილიზაციური (ძირითადად სხვადასხვა ცივილიზაციის ურთიერთმეღწევის ასპექტით); საკუთრივ გლობალური პრობლემების კლასიფიკაცია, რომლებიც მეტ-ნაკლებად თანაბრად აწუხებს ყველა ქვეყანასა და მსოფლიოს მოსახლეობას (ეკოლოგიური, სასურსათო, დემოგრაფიული, ჯანდაცვის, მიგრაციული და ა.შ.); ინტეგრაციული (განსაკუთრებით, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობის თვალსაზრისით) და ა.შ. ყველა ეს მიდგომა ასახავს გლობალიზაციის განსაზღვრულ მხარეს და თავისთავად საჭირო და აუცილებელია. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ „გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარების ინსტიტუციურ საფუძველს ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს... გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც უმთავრესად მიმართულია ეკონომიკური განვითარების არსებული დონის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მისი ამაღლებისაკენ".[2] რაც შეეხება საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის „მამოძრავებელი ძალა მეტწილად საბაზრო ურთიერთობათა გაღრმავებაა",[3] დასაზუსტებელია. საქმე ისაა, რომ საბაზრო ურთიერთობათა გან-

---

[1] ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2003, № 3, გვ. 102-103.
[2] იქვე, გვ. 67-68.
[3] იქვე, გვ. 103.

ვითარებამ უსათუოდ ხელი შეუწყო, კიდევაც დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი, ამავე პროცესს ასევე ხელი შეუწყო 1990-იან წლებში მსოფლიო სამეურნეო კავშირების გაფართოებამ, უწინარეს ყოვლისა, პოსტსოციალისტური ეკონომიკის ფორმირებამ, მსოფლიო საბაზრო ურთიერთობებში მეორე თაობის ახალი ინდუსტრიული და სხვა განვითარებადი ქვეყნების ჩართვამ და ა.შ. მაგრამ თანამედროვე ეტაპზე თვით გლობალიზაციის პროცესი, მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით, კანონზომიერად, ობიექტური აუცილებლობითა და გარდუვალობით ავიწროებს ბაზრისა და მისი მექანიზმების ფუნქციონირების სფეროს, და შესაბამისად, განაპირობებს ახალი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, ახალ საკაცობრიო ფასეულობებზე (და არა საბაზრო ღირებულებებზე) აგებულ ადამიანურ ურთიერთობათა ფორმირებას, რაც სპეციალური და ღრმამეცნიერული კვლევის საგანია.

საბოლოო ანგარიშით, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე გლობალური ეკონომიკის, ანუ მეგაეკონომიკის მთავარი სტრუქტურაქმნადი ელემენტები და იმავდროულად ძირითადი მამოძრავებელია: ეროვნული სახელმწიფოები, ტრანსნაციონალური კაპიტალი და ტრანსნაციონალური ბანკები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ქვეყანათა ბლოკები, მსხვილი ქალაქები და მეგაპოლისები და ა.შ.

და მაინც, უპრიანია დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ზრდის მიუხედავად, მეგაეკონომიკის უმთავრესი მონაწილე ეროვნული სახელმწიფოებია, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ საკუთარი ვალუტა და ტერიტორია, რის გამოც ვერ ძალუძთ პლანეტის ბუნებრივი რესურსების დამოუკიდებელი კონტროლი, არა აქვთ ერთიანი მოქალაქეობა, და რაც მთავარია, არ აქვთ საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნისა და შენახვის უფლება.[1]

შესაბამისად, გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს საფუძველს ეროვნული სახელმწიფო და ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს, რისი კიდევ ერთი ნათელი დასტურიც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული საზოგადოების სულ უფრო მტკიცედ დამ-

---

[1] К.С. Гаджиев. Введение в геополитику. М., 1997, გვ. 155-156.

კვიდრება წარმოადგენს. უფრო მეტიც, მსოფლიოს ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში დღეისათვის, ფაქტობრივად, ძირეულადაა შეცვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების არსი, ჩამოყალიბებულია ინფორმაციული საზოგადოება და ფუნქციონირებს წარმოების ახალი – ინფორმაციული წესი. სწორედ ეს არის თანამედროვე ეპოქის პირმშოს – მეგაეკონომიკის საფუძველი, მეგაეკონომიკისა, რომელიც სულ უფრო გადალახავს ღირებულებით კატეგორიებზე აგებულ საბაზრო ურთიერთობათა არტახებს და უზრუნველყოფს (თუმც – შორეულ მომავალში) მსოფლიოს განვითარებას ადამიანისეული, პუმანური ანუ ფასეული კატეგორიების მძლავრად ამოქმედებით და საბოლოო ანგარიშით, საყოველთაოდ დამკვიდრებით. ამის წინარე საფუძველი და ხილული ნიშნებია თანამედროვე უახლესი გლობალური, უწინარესად – ინფორმაციული, კომპიუტერული და ქსელური ტექნოლოგიები. სწორედ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებია გლობალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა: მსოფლიო საინფორმაციო სივრცისა და ინფორმაციული „სტანდარტების" წარმოშობა და განვითარება უზრუნველყოფს მსოფლიოს ეკონომიკური, ფინანსური, ტექნოლოგიური და კულტურული ერთიანობის ზრდას. ამის „მატერიალური" დასტურია ის, რომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ქსელი დღეისათვის მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე მსხვილი სექტორია, რომელზეც მოდის მშპ-ს 20%-ზე მეტი, ხოლო უკანასკნელ ათწლეულში ამ სექტორის საშუალოწლიური ზრდა 15-20%-ია, რის საფუძველზეც ამავე პერიოდში საერთაშორისო კავშირები გაიზარდა 5-ჯერ და მეტად. თანამედროვე კომპიუტერული ქსელები (ინტერნეტი და ა.შ.), როგორც გლობალური საინფორმაციო კომუნიკაციური საშუალება, უზრუნველყოფს ფინანსური და საქონლური ბაზრების გამართულ, ეფექტიან ფუნქციონირებას მსოფლიო მასშტაბით. საკმარისია აღინიშნოს, რომ კომპიუტერული სისტემა SWIFT აერთიანებს 5000 ბანკს, ემსახურება რა კომერციულ ოპერაციებს, ფასიანი ქაღალდებით გარიგებებს, გადასცემს 1270 ათას ინფორმაციას დღეში.[1]

ინტერნეტ-ქსელი XX საუკუნის 80-იანი წლებიდან განვითარდა, რომლის უნიკალურობაც არის არა მხოლოდ მისი მასშტაბები და უნიკალურობა, არამედ მისი ეკონომიკური არსი – ინტერ-

---

[1] **А.Г. Мовсесян, С.Б. Огнивцев,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 83.

ნეტი არავის ეკუთვნის, მაგრამ ყველას ეკუთვნის, ის ვინმეს მიერ კი არ რეგულირდება — თვითრეგულირებადი ფენომენია. ინტერნეტი — ეკონომიკური ლიბერალიზმია განვითარებულ ქსელურ საინფორმაციო ტექნოლოგიაში, რის გამოც ასე ბუნებრივად შემოიჭრა ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის, რომ სულ რაღაც უკანასკნელ ათ წელზე მცირე პერიოდში ინტერნეტის მიერ ათვისებულია ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფერო, ანუ გაჩნდა: ინტერნეტ-ვაჭრობა, ინტერნეტ-რეკლამა, ინტერნეტ-ბირჟა, ინტერნეტ ბანკინგი, ინტერნეტ-ინვესტირება და სხვ., ე.ი. დღეს, ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის ყველა სფერო იყენებს კომპიუტერულ ქსელებს.

ინტერნეტ-ეკონომიკა და ტრანსნაციონალური კაპიტალი დღეისათვის გახდა გამარჯვებული ლიბერალიზმის სიმბოლო. ინტერნეტი და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიები მძლავრ ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ საზოგადოებაზე მთლიანად. ის, ღირებულებითი კატეგორიებით შებოჭილი საბაზრო ურთიერთობების ევოლუციის გზით, თანდათანობით ახალ საკაცობრიო ცივილიზაციას ამკვიდრებს.

საბოლოოდ, გლობალურობის პროცესის კრიტერიული თვისებაა მისი ზეგავლენა ჩვენი პლანეტის მთელ მოსახლეობაზე და მასში მიმდინარე ყველა პროცესზე, როგორიცაა ომისა და მშვიდობის, ლოკალური სამხედრო კონფლიქტების, სურსათის, ენერგეტიკული, პლანეტარული ეპიდემიური ავადმყოფობისაგან დაცვის, მდიდარი ჩრდილოეთისა და ღარიბი სამხრეთის ქვეყნების დაპირისპირების, მსოფლიო საქონლური და ფინანსური ბაზრების რეგულირების და ა.შ. პრობლემები.

მეგაეკონომიკას, ემყარება რა აღნიშნულ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სისტემებსა და მაღალგანვითარებულ ეროვნულ ეკონომიკურ ფენომენებს, გააჩნია თვითრეგულირების ისეთი გლობალური მახასიათებლები, როგორიც არის: 1) იდეოლოგიური გლობალიზაცია ლიბერალიზმის სახით, რაც წარმოდგენილია ერთიანი საგანმანათლებლო სისტემისა და მასობრივი საინფორმაციო სისტემის ფორმით; 2) ინსტიტუციური გლობალიზაცია, რაც ნიშნავს მსოფლიოში საბაზრო თამაშებისა და საზოგადოებრივი ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრებას; 3) საქონელთა და მომსახურების მოხმარებისა და გასაღების ბაზრების გლობალიზაცია — მოხ-

მარების სტანდარტიზაციისა და ერთიანი მარკეტინგული ტექნოლოგიების სახით; 4) ფინანსური გლობალიზაცია, რაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე მაღალტექნოლოგიურად მართვადი კონტურია, რომელშიც ორგანულადაა შეხამებული საბაზრო და ქსელური კომპიუტერულ-ინფორმაციული ტექნოლოგიები. პლანეტარული ელქსელის მეშვეობით ფინანსური ნაკადების დაუყოვნებლივ გადაადგილების შესაძლებლობა კარდინალურად ცელის მსოფლიო სამეურნეო საქმიანობისა და ურთიერთობის პირობებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ დღეისათვის ყველა სახეობის ბანკთაშორისი ოპერაცია 1,5 ტრლნ დოლარის ფარგლებშია, რაც ნიშნავს, რომ ერთი კვირის ბრუნვა უტოლდება აშშ-ს წლიურ მშპ-ს;[1] 5) დაგროვებისა და ინვესტიციების, კაპიტალის გლობალიზაცია; 6) სამუშაო ძალის გლობალიზაცია, რაც უშუალოდ უკავშირდება შრომის ბაზრის გლობალიზაციას; 7) მეცნიერებისა და ინოვაციების გლობალიზაცია; 8) ეკოლოგიური გლობალიზაცია; 9) კელავწარმოებითი პროცესების გლობალიზაცია, რომელსაც გამოელენის მრავალი ფორმა აქვს, მაგრამ ყველაზე არსებითი და მასშტაბური ტრანსნაციონალური კაპიტალის ფუნქციონირებაა. სწორედ ამ უკანასკნელზე, როგორც მეგაეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ელემენტზე გავამახვილებთ ამჯერად ყურადღებას, რამეთუ ტრანსნაციონალური კაპიტალი დღეისათვის ეროვნული სახელმწიფოსაგან ფაქტობრივად „გამოყოფილ", მისი იურისდიქციიდან გამოსულ დამოუკიდებელ ფენომენს წარმოადგენს. ტრანსნაციონალური კაპიტალი, როგორც მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის ფაქტორი, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა (ტნკ) და ტრანსნაციონალური ბანკების (ტნბ) მეშვეობით ეროვნულ სახელმწიფოთა თითქმის თანაბარმნიშვნელოვანი ძალა გახდა. მანამდე კი მან განვითარების დიდი გზა განელო. პირველი ტნკ-ები აღმოცენდა XIX ს. ბოლოს, მათი საქმიანობა დაკავშირებული იყო კოლონიური ქვეყნების სანედლეულო რესურსების გადამუშავებასთან („კოლონიურ-სანედლეულო ტნკ"), ხოლო ორგანიზაციულად წარმოდგენილი იყო კარტელების, სინდიკატებისა და პირველი ტრესტების სახით. ეს უკანასკნელი, განვითარებული ფორმით, ტნკ-ს მეორე თაობას განეკუთვნება; მე-

---

[1] **А.Г. Мовсесян, С.Б. Огнивцев,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 87.

სამე თაობა – კონცერნებისა და კონგლომერატების სახით, XXს. 60-იან წლებიდან ფუნქციონირებს და მათი საქმიანობა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა ეფექტიან გამოყენებას ემყარება; 60-80-იანი წლების ტნკ-ებისათვის დამახასიათებელია ეროვნული და საზღვარგარეთული წარმოების ორგანული შერწყმა, რაც 80-იან წლებში მეოთხე თაობის ტნკ-ების ფორმირებით სრულდება. მისი ძირითადი მახასიათებლებია: ბაზრების პლანეტარული ხედვა და კონკურენციის დიდი მასშტაბები, მსოფლიო ბაზრების დანაწილება, ტნკ-ების ფილიალების ქსელის საქმიანობის კოორდინაცია ახალი ქსელური ინფორმაციული ტექნოლოგიის საფუძველზე, ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენის განხორციელება იმ სახელმწიფოებზე, სადაც ტნკ-ებია განლაგებული და ა.შ. და, რაც მთავარია, მეოთხე თაობის ტნკ-ების არსებითი მახასიათებელია პირდაპირი საპორტფელო ინვესტიციები.

ამჟამად, სავსებით სამართლიანად, ლაპარაკია 90-იან წლებში აღმოცენებულ მეხუთე თაობის ტნკ-ების შესახებ, რომელიც ფუნქციონირებს გლობალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში, როგორც ფინანსურად მძლავრი, ეროვნული სახელმწიფოს დარად და მისგან დამოუკიდებლად მოქმედი, თავისი ორგანიზაციული სტრუქტურითა და განვითარების შინაგანი მიზნებით აღჭურვილი ეკონომიკური ორგანიზმი. თანამედროვე ტნკ-ების არსებითი ნიშანია, ჯერ ერთი, კაპიტალდაბანდებები უპირატესად და უმთავრესად მომსახურების სფეროში, დაახლოებით 50% და მეტი; და მეორე, მძაფრი კონკურენციული ბრძოლა თვით ტნკ-ებს შორის, რაც არსებითად განპირობებულია ტექნოლოგიური რევოლუციის ფართო მასშტაბებით, წარმოების ბევრ დარგში ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა კონვერგენციით, მსოფლიო მასშტაბით კორპორაციათა შერწყმით და ა.შ.[1]

დღეისათვის, მსოფლიო მასშტაბით, ტნკ-ები – ეს არის დაახლოებით 60 ათასი ძირითადი კომპანია და 500 ათასზე მეტი საზღვარგარეთული ფილიალი თუ დამოუკიდებელი კომპანია, რომლებიც აკონტროლებენ მსოფლიო სამრეწველო წარმოების დაახლოებით ნახევარს, საგარეო ვაჭრობის – 63%, ხოლო ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე პატენტებისა და ლიცენზიების – 4/5-ს.

---

[1] Шиман М. Государство и транснациональные компании. Проблемы теории и практики управления, 1999, №4, გვ. 54.

ტნკ-ების დაგროვებისა და პირდაპირი ინვესტიციების მთლიანი მოცულობა აღემატება 4 ტრილიონ დოლარს, ხოლო ტნკ-ების გაყიდვათა მოცულობა მსოფლიო მაჩვენებლის 25%-ია.

თანამედროვე ტნკ-ების საქმიანობის არსებითი ასპექტია ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიის განვითარებისათვის აქტიური ხელშეწყობა და, პირიქით, მსოფლიო საინფორმაციო ინფრასტრუქტურა – განვითარებული ინტერნეტის ქსელი, დიდად უწყობს ხელს ტნკ-ების განვითარებას, რამდენადაც ამით მათთვის უზრუნველყოფილია ყოველგვარი ინფორმაციის მიღებისა და გაცვლის განუსაზღვრელი შესაძლებლობა.

ტრანსნაციონალური კაპიტალის განუყრელი ნაწილი და ძირითადი ფაქტორი, რითაც ის გახდა მსოფლიო ეკონომიკის, ძლიერი და დამოუკიდებელი მოთამაშე, ასევე მძლავრი ტრანსნაციონალური ბანკებია, რომლებიც ახორციელებენ ტნკ-ების საქმიანობისათვის საჭირო ყველა ფინანსურ ფუნქციას. ტნკ-ები მსოფლიოში მრავალ ფუნქციას ასრულებენ, რითაც ზემოქმედებენ მსოფლიო ეკონომიკის ზრდაზე. მათ შორის უმნიშვნელოვანესია, ჯერ ერთი ის, რომ ტნკ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურასა და დინამიკას, მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე კონკურენციის ხასიათსა და ღონეს; მეორე, ტნკ აკონტროლებს კაპიტალისა და პირდაპირი ინვესტიციების საერთაშორისო მოძრაობას, ამასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კაპიტალის ძირითადი ინვესტორებია განვითარებად ქვეყნებში, რითაც აქტიურად და ეფექტიანად ზემოქმედებენ მათი განვითარების დონეზე; მესამე, ტნკ-ებში თავმოყრილია სამეცნიერო-ტექნიკური წარმოების ძირითადი ბერკეტები და, შესაბამისად, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ცოდნის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მასობრივად გავრცელებაში; მეოთხე, ტნკ ასტიმულირებს შრომის საერთაშორისო მიგრაციას, რის შედეგადაც იქმნება შრომის საერთაშორისო ბაზარი და ა.შ.

ამასთან, ტნკ-ს როლი არ შეიძლება ცალსახად დადებითად შეფასდეს. საქმე ის არის, რომ მათი საქმიანობა, არცთუ იშვიათად, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს, რამდენადმე ბოჭავს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და სხვა. მაგრამ, რაც მთავარია, მძლავრი კორპორაციები არ ერიდებიან მთავრობის მსგავს საქმიანობას, რაც, ფაქტობრივად, ორხელისუ-

ფლებიანობას წარმოშობს. საბოლოოდ მაინც, სახელმწიფოსა და ტნკ შორის ურთიერთობა ატარებს დიალექტიკურ ხასიათს – ის უნდა წარმოვიდგინოთ როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის გამოვლენის სპეციფიკური ფორმა, რომელიც სხვა ასპექტით ვლინდება – პირდაპირი დაპირისპირებულობიდან სრული კონსტრუქციული ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ნიშნით და, პირიქით. თვალსაწიერ მომავალში, ეროვნულ სახელმწიფოებსა და ტნკ-ებს შორის ასეთი წინააღმდეგობრივი ურთიერთობები გაგრძელდება გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის ყველა სფეროში. ამასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული შეხედულებები იმის შესახებ, თუ რომელ მათგანს, ე.ი. სახელმწიფოსა თუ ტნკ-ს დაუჭერს მხარს მოსახლეობა? – დომინირებს აზრი, რომ მოსახლეობა როგორც მომხმარებელი, მხარს დაუჭერს ტნკ-ებს, რამდენადაც ისინი უზრუნველყოფენ საქონელთა და მომსახურების შედარებით დაბალ ფასებს, ხოლო როგორც მწარმოებელი – მხარს დაუჭერს ეროვნულ სახელმწიფოს, რომელიც იცავს სამამულო მწარმოებლებს და ახორციელებს პროტექციონისტულ ღონისძიებებს. ამასთან, სავარაუდოა, რომ როგორც სახელმწიფოს, ასევე ტნკ-ების მისწრაფება იქნება – შეიქმნას რეგულირების ზესახელმწიფოებრივი ორგანოები, რომელთაც გრძელვადიანი პერსპექტივისათვის შანსი ექნებათ გახდნენ მსოფლიო მთავრობა, თუმცა, მსოფლიო ეკონომიკის ამ ორი ძირითადი ფაქტორის მიზნები განსხვავებული იქნება. ეროვნული სახელმწიფო დაინტერესებული იქნება ზესახელმწიფოებრივი რეგულირებით, რათა კონტროლი დაწესდეს ტნკ-ებზე და მათს თითქმის თავისუფალ სახიფათო გადაადგილებაზე პლანეტარული მასშტაბით. ტნკ-ები მხარს დაუჭერენ ზეეროვნულ ორგანოთა შექმნას, რათა შეიზღუდოს ეროვნულ სახელმწიფოთა ზემოქმედება ტნკ-ზე. ამ ორ უმძლავრეს მეტოქეს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლა წარიმართება გარკვეული კომპრომისული გადაწყვეტილებით, მაგრამ საერთო გამოსავალი იქნება ეკონომიკის მართვის ზეეროვნული ორგანოთა შექმნა, დღევანდელთან შედარებით, ხელისუფლების უფრო ლიბერალური მიმართულებით.

მკვლევართა და პოლიტიკოსთა დიდ ინტერესს იწვევს ტნკ პერსპექტივების საკითხი. ინტერესი სავსებით კანონზომიერია,

რამდენადაც ტნკ საქმიანობის საფუძველია კვლავწარმოებითი პროცესების ორგანიზაციაში სახელმწიფოთა შორის ყველა შესაძლებელი განსხვავების გამოყენება. ტნკ-ებს გადააქვთ კვლავწარმოებითი პროცესების ნაწილი იმ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც მისი განხორციელებისათვის არსებობს ლოკალური უპირატესობები. როგორც მიიჩნევენ, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და საერთო ეკონომიკური კანონზომიერებები განუწყვეტლივ დაასტიმულირებს ქვეყნებს შორის უთანაბრობის დაძლევას, რითაც მასაზრდოებელ წყაროს გადაუკეტავს ტნკ-ებს. და მაშინ რა აზრი ექნება სხვა ქვეყნებში მათს ცალკეულ ეკონომიკურ თუ ფინანსურ ოპერაციას, თუ პირობები ყველგან თანაბარი იქნება? მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ ოცნების სფეროს განეკუთვნება: ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში განსხვავება ყოველთვის დარჩება, დარჩება მრავალი სხვა სახეობის განსხვავებაც. ტნკ-ებს დიდხანს ექნებათ კონკურენტუნარიანობა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი, რეგიონული და ეროვნებათაშორისო განსხვავების გამო, ხოლო, როცა მსოფლიო მართლაც თუ გახდება უნიკალურად ერთიანი (რაც ძნელი წარმოსადგენი და დასაჯერებელია), ტნკ-ებს უბრალოდ სახელი შეეცვლებათ და გახდებიან გლობალური (ზედსართავ „ტრანსნაციონალურის" გარეშე) კორპორაციები.

ეს საკითხის ერთი მხარეა, რა ბედი უწერიათ მომავალში მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს? აღიარებულია, რომ პერსპექტივაში მსოფლიო მიიღებს ოთხპოლუსიან სტრუქტურას: ეკონომიკური განვითარების წამყვანი იქნება აშშ, ევროკავშირი, იაპონია და ჩინეთი. ლიდერობას უახლოეს ორ ათეულ წელიწადში აშშ შეინარჩუნებს, მაგრამ ევროკავშირი შეძლებს არსებითად შეავიწროოს იგი საქონლურ და ფინანსურ ბაზრებზე. მომავალში გაგრძელდება ბრძოლა ტნკ-ებსა და ეროვნულ სახელმწიფოებს შორის. ამასთან, თანდათანობით შეიქმნება ზეეროვნული რეგულირების ორგანოები, რომლებიც, ერთი მხრივ, დაარეგულირებენ ტრანსნაციონალური კაპიტალის მოძრაობით გამოწვეულ მეგაეკონომიკურ უმყარობას, ხოლო მეორე მხრივ, თავის თავზე აიღებენ ეროვნულ სახელმწიფოთა ფუნქციების ნაწილს და ამით რამდენადმე შეზღუდავენ მათს სუვერენიტეტს.[1]

---

[1] **А.Г. Мовсесян, С.Б. Огнивцев,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 629.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ეფლინდება მყარი, ყოველმხრივი ურთიერთკავშირების ფორმირებით საერთაშორისო სფეროში შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე. ფორმირდება მსოფლიო მეურნეობის ახალი სისტემა: ერთი მხრივ, ის შეადგენს ურთიერთდაკავშირებულ მეურნეობათა სისტემას, მეორე მხრივ კი — ტრანსნაციონალურ საწარმოო-სამეურნეო წარმონაქმნებს. ეს ორმხრივობა დაიძლევა იმით, რომ ეროვნული მეურნეობები სულ უფრო დაქვემდებარებულ მდგომარეობას დაიკავებენ მსოფლიო მეურნეობასთან მიმართებით.

ყოველივე ეს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების საკუთარი კანონზომიერი პროცესია, მაგრამ უცნაური ისაა, რომ მას არცთუ იშვიათად თან ახლავს მცდარი და მიუღებელი ინტერპრეტაციები თუ დასკვნები. მაგალითად, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგად ქრება განვითარების ეროვნულ და საგარეო-ეკონომიკურ ფაქტორთა შორის მკაფიო განსხვავება.[1]

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ზრდის კვალობაზე, სამუშაო ძალის ბაზრების ინტერნაციონალიზაციის, კაპიტალის გადანის, დაბოლოს, საწარმოო კომპლექსების ეროვნულ საზღვრებს გარეთ გასვლის მეშვეობით, ერებს შორის ეკონომიკური საზღვრები ერთობ ინტენსიურად იშლება.[2]

ამის ყველაზე რეალურ მაგალითად ასახელებენ „ევროკავშირს", რომელიც ემყარება საგალუტო კავშირს, რაც ბოლო სტადიაზე მიიღებს პოლიტიკური კავშირის ნიშნებს, რამდენადაც ეკონომიკური პოლიტიკის მაღალი ჰარმონიზაცია გულისხმობს ეროვნული მთავრობების მიერ თავიანთი უფლებების შორსგამიზნულ უარყოფას თანამეგობრობის მმართველობითი ორგანოების სასარგებლოდ და ევროპის პარლამენტის როლის გაძლიერებას.[3]

---

[1] Дайджест экономической теории. Под ред. Соколинского В.М. М., 1998, გვ. 181.

[2] Теоретическая экономика. Политэкономия. Уч. под. ред. Журавлевой Г.П., Мильчаковой Н.Н. М., 1997, გვ. 415.

[3] იქვე, გვ. 416.

ასეთი და სხვა მსგავსი მსჯელობა მიუღებლად თუ არა, ფრიად საეჭვოდ მაინც მიგვაჩნია. ეს და სხვა მსგავსი შეხედულებები, ნებსით თუ უნებლიეთ, პროგრესული კაცობრიობისათვის მავნე და მიუღებელი „თეორიის“ გამოძახილია, რომელიც მსოფლიოს კოსმოპოლიტური გლობალიზაციის სახელით ბოგინობს. მსოფლიო კოსმოპოლიტური გლობალიზაციის, როგორც დანაშაულებრივი უპერსპექტივობის, მიზანია დენაციონალიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება ყოველგვარი განსაზღვრული რელიგიურ-ზნეობრივი ფასეულობებისა და კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის გარეშე. ასეთი მიმართულებით მსოფლიო გლობალიზაციის ცდებს, რაც დღეს ესოდენ მოძალებულია, ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მსოფლიოს ყველა ქვეყნის რჩეულთა მეცადინეობით იგი კრახით დამთავრდა. დღეს ეს თეორია კვლავ გამოდის წინა პლანზე და ცდილობს თავის ორბიტაში ჩაითრიოს ყველა ქვეყანა. განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი ამისათვის მას ხვდება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომელთა უმეტესობა სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ კრიზისს განიცდის და რომელთა „მოქცევაც“ კოსმოპოლიტური გლობალიზაციის ორბიტაში შედარებით იოლია. როგორც იტყვიან, ყველამ თავის გაჭირვებას მიხედოს, მაგრამ ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ საქართველოსთვის უცხო, უნიადაგო კოსმოპოლიტური თეორიები, უცხოურ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე აგებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა, გარკვეულწილად იმ „დიდი პოლიტიკის“ შემადგენელი ნაწილია, რომელიც სამამულო ინდუსტრიისა და არსებითად მყარი ეკონომიკის ჩაკვლას ისახავს მიზნად და საქართველოს ნავთობსადენის, გაზსადენის, ევრაზიული დერეფნისა და სამომავლოდ – ტურისტთა საჯირითო ქვეყნის მხოლოდ მიზერულ პერსპექტივას უტოვებს. განსხვავებით ამისგან, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავითავისოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს კანონზომიერი ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის სამოსელს.

ცხადია, საქართველოში ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების მნიშვნელოვანი მიმართულება ღია ეკონომიკაზე გადასელაა. საქართველო დღეისათვის, მსგავსად სხვა პოსტსაბჭოური

ქვეყნებისა, შედარებით ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემის სახითაა წარმოდგენილი, რის გამოც მნიშვნელოვანწილად მოწყვეტილია მსოფლიო ეკონომიკას. ღია ეკონომიკაზე გადასვლა ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს ქვეყნის თანდათანობით სულ უფრო ფართოდ ჩაბმას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, თუმცა ეს პროცესი არ უნდა განვიხილოთ მის უპირატესობათა გამოყენებით მხოლოდ როგორც ეროვნული წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საშუალება.

უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკია მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეკონომიკის ორგანული ჩართვის შესახებ, რაც საბაზრო ეკონომიკის შექმნის გარანტი იქნება. ეს პროცესები დღეს არა მხოლოდ შეინიშნება, არამედ საკმაოდ ინტენსიურადაც მიმდინარეობს, რაც ვლინდება იმით, რომ ქვეყნის ეკონომიკის მეფარდებითი ჩაკეტილობის უწინდელი ორიენტაცია სულ უფრო უთმობს ადგილს კურსს ღია ეკონომიკაზე და მის ინტეგრაციას მსოფლიოსამეურნეო კავშირების სისტემაში, მთელი საგარეოეკონომიკური საქმიანობის ფორმათა ლიბერალიზაციას. ეს პრინციპულად ცვლის სამამულო ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობასთან ურთიერთდამოკიდებულებისა და შიგამეურნეობრიობის პირობებს. რაც მთავარია, ღია ეკონომიკაზე გადასვლისას საქართველოს ეროვნული ეკონომიკა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული იმ სიტუაციებზე, რომლებიც ყალიბდება საერთაშორისო საქონლურ და ფინანსურ ბაზრებზე, მსოფლიო არენაზე მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. „გახსნილობის“ პირობებში ეროვნულმა წარმოებამ კონკურენცია უნდა გაუწიოს უცხოელ მწარმოებლებს არა მხოლოდ საგარეო ბაზრებზე, არამედ საკუთარ, შიგა ბაზარზეც.

საქართველოში ღია ეკონომიკის ფორმირება ხელს შეუწყობს, ჯერ ერთი, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მისი მონაწილეობის გაფართოებას; მეორე, გააძლიერებს საგარეოეკონომიკურ კავშირებს, რაც ეკონომიკური ზრდისა და სტრუქტურულ გარდაქმნათა ინტენსიური ფაქტორია; მესამე, სამამულო წარმოებას მიუახლოებს მსოფლიო წარმოების დონეს მისი ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა: ტექნიკური აღჭურვილობა, პროდუქციის წარმოების დანასარჯები, ხარისხი და ა.შ.; მეოთხე, დააჩქა-

რებს ქვეყანაში საბაზრო ინსტიტუტებისა და მექანიზმების ფორმირებას და ა.შ.

მიუხედავად ასეთი დადებითი შედეგებისა, ღია ეკონომიკაზე გადასვლა უნდა მოხდეს არა ფორსირებულად, არამედ თანდათანობით, ეკონომიკის დეფორმაციული სტრუქტურისა და საერთოდ ღრმა, ყოვლისმომცველი სოციალურ-ეკონომიკური (და პოლიტიკურიც) კრიზისის თანმიმდევრული დაძლევის კვალობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფრიად ნეგატიურ შედეგს მივიღებთ, რაც ეროვნული ეკონომიკის სრული მოშლით აღინიშნება. ამიტომაც ქვეყანაში ღია ეკონომიკის ფორმირების საკვანძო საკითხია ეკონომიკის შიგა და საგარეო ასპექტების ლიბერალიზაციის სინქრონიზაცია ეროვნული ეკონომიკის დაცვის პირობებში. ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი თვისებრივი მახასიათებელია, რომელიც განსაზღვრავს მის უნარს უზრუნველყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების თანმიმდევრული რეალიზაცია, მეურნე სუბიექტების მეურნეობრიობის და, საერთოდ, მოსახლეობის ცხოველუნარიანობის ნორმალური პირობები.

დაბოლოს, აქ დასკვნის სახით ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა XX საუკუნის მეორე ნახევარმა აშკარა გახადა „ღია ეკონომიკის“ მაღალი ეფექტიანობა და „ჩაკეტილთან“ შედარებით მისი უპირატესობა, მაგრამ საბოლოოდ ისიც დადასტურდა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა არ არსებობს ეროვნული თვითგანსაზღერულობის გარეშე, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოებრივი კელავწარმოება ყოველთვის ხორციელდება როგორც ეროენული კვლავწარმოება. ეს მომენტი ობიექტური აუცილებლობით აყენებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ღია ეკონომიკის ფორმირებისა და იმავდროულად ეროვნული საზოგადოებრივი კვლავწარმოების მოდელის მოძიებისა და ამოქმედების ამოცანას. ეს უნდა იყოს ეროვნულ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკა, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის საუკეთესო მერმისს. ასეთი ეკონომიკის მქონე ეროვნული სახელმწიფო მოწოდებულია ყოველმხრივ დაიცვას თავისი ქვეყნის ინტერესები და არეგულიროს სიტუაცია არა გლობალიზაციის საწინააღმდეგოდ, არამედ ქვეყნის უფრო თავისუფალი, უფრო უკონფლიქტო ინტეგრაციისათვის ამ

გლობალურ პროცესში. სწორედ ამის გამო, ეროვნული სახელმწიფოს როლი კიდევაც იზრდება, რათა მოქნილად მოახდინოს თავისი საზოგადოების ეროვნული ტრადიციების, მთლიანად ქვეყნის ინტეგრირება მსოფლიოსთან.

3. განვითარებული ქვეყნების სამეურნეო მექანიზმი

(მსოფლიო სამეურნეო კავშირების თანამედროვე გლობალურ სისტემაში ჩამოყალიბდა მაკროეკონომიკური განვითარების რამდენიმე მოდელი. ბუნებრივია, თითოეულ ქვეყანას აქვს განვითარების ინდივიდუალური თავისებურება, მაგრამ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისათვის განზოგადებულად გამოიყოფა ზოგიერთი მოდელი. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის მიღებულია მსჯელობა სამი ძირითადი მოდელის შესახებ: ანგლოსაქსური ტიპის ნეოლიბერალური ეკონომიკა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ახალი ზელანდია), ე.წ. სოციალური საბაზრო მეურნეობა (ევროკავშირის კონტინენტური ქვეყნები, კანადა, ისრაელი) და აღმოსავლეთაზიური მოდელი (იაპონია და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის წამყვანი ქვეყნები). პოსტსოციალისტური ქვეყნები კი თავსდებიან გარდამავალი ეკონომიკის მოდელში. დაბოლოს, ცალკე შეიძლება გამოიყოს ეკონომიკის ჩინური მოდელი, რაც ბევრის მიერ აღიარებულია როგორც „სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის“ მოდელი.)

პირველი სამი მოდელი, მათი ერთიმეორისაგან მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, თავსდება სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკური სისტემის ფარგლებში და თითქმის ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია სამეურნეო მექანიზმის სამდონიანი იერარქიული წყობა, როგორც ეკონომიკური ცხოვრების რეგულირების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა. ესენია: 1. სპონტანურ-საბაზრო რეგულირების, 2. კორპორაციული რეგულირებისა და 3. სახელმწიფო რეგულირების საფეხურები, რომლებიც არც ერთდროულად წარმოშობილან, მაგრამ არც ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად.

სპონტანურმა საბაზრო რეგულირებამ ფორმირება იწყო ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში, ე.ი. დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვის პერიოდში, ხოლო სრულად რო-

ტორც აღნიშნულ რეგიონში, ასევე აშშ-ში ჩამოყალიბდა XX საუკუნის 50-60-იან წლებში, როცა სამეურნეო ცხოვრების საფუძველი გახდა მსხვილი მანქანური წარმოება, ხოლო შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომელმაც განაპირობა საბაზრო ურთიერთობათა განვითარება, რომლის მარეგულირებელი საქონელთა და მომსახურების საბაზრო ფასია.

კორპორაციული რეგულირების საფეხური ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დამლეესა და XX საუკუნის დამდეგს, როცა ამ პერიოდში შექმნილმა მძლავრმა კორპორაციებმა წარმოების გადამწყვეტი მოცულობის მიღწევით შეძლეს წარმოების სიდიდესა, პროდუქციის გასაღებასა და ფასებზე მიზანსწრაფული ზემოქმედება მაღალი მოგების მიღების მიზნით.

სახელმწიფოებრივი რეგულირების საფეხური ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის ყველაზე ღრმა — 1929-1933 წლების, ე.ი. „დიდი კრიზისის" და განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კრიზისმა აშკარა გახადა, რომ სამეურნეო მექანიზმის იმ დროისათვის არსებული „ორსაფეხურიანი" სისტემა ამიერიდან მაინც უძლური იყო უზრუნველეყო ეკონომიკის, მით უმეტეს, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილური განვითარება.

რაც შეეხება თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მოდელებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, არის გარკვეული განსხვავება, მაგრამ ის არსებითად რაოდენობრივია და არა თვისებრივი. ეს განსხვავება ვლინდება სამეურნეო ცხოვრებისა და სოციალური ორიენტაციის მიმართულებებში დასახელებული სამი დონის შეუარდებით როლში. ამასთან, სამეურნეო მექანიზმის პირველ და მეორე დონეებზე განვითარებულ ქვეყნებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა, რამდენადაც ორივეს მეშვეობით ნათლად წარმოჩინდება მოცემული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განმსაზღვრელი თვისება — საბაზრო კონკურენციის სახით, და მიზანი — მაქსიმალური მოგების მიღება. განვითარებულ ქვეყნებს შორის მესამე დონეზე განსხვავება აშკარაა სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში.

ფაქტი ისაა, რომ განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში, ზოგიერთი მცირე ქვეყნის (ავსტრია, დანია, ირლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, ფინეთი, სადაც თითქმის არ არის მსოფლიო კლასის ტრანსეროვნული კომპანიები, ხოლო წამყვან როლს ასრუ-

ლებს საშუალო ზომის ფირმები) გარდა, ეკონომიკაში წამყვან როლს ასრულებს მძლავრი კორპორაციები, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც ტრანსეროვნული კომპანიები. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ბოლო ორ-სამ ათწლეულში ყველა განვითარებულ ქვეყანაში აღორძინებას განიცდის წერილი ბიზნესი, რომელიც განუწყვეტლივ აკელავწარმოებს საზოგადოების სოციალური სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორს – ფართო საშუალო ფენას.

განვითარებულ ქვეყნებს შორის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების დარგში ბევრი რამ საერთოა მიზნებში, საშუალებებში, მიმართულებებსა და ფორმებში. სახელმწიფოებრივი რეგულირების საშუალებას, უწინარესად, მიეკუთვნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტრუმენტარიები, რომლის ამოცანაა შერეული ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია სახელმწიფო ფინანსები, რაც აქტიურად გამოიყენება საზოგადოებრივი კვლავწარმოების ტემპებსა და პროპორციებზე ზემოქმედების, ციკლური რყევების აღმოფსერისათვის, სახელმწიფოებრივი რეგულირების უაღრესად ქმედითი ბერკეტია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც მთავრობა ზემოქმედებას ახდენს ფულადი და საკრედიტო მასის, ასევე კრედიტის სარგებლის სიდიდეზე, ხოლო ამით – კაპიტალის კვალავწარმოების ტემპებსა და პროპორციებზე.

ეკონომიკის რეგულირებაში მნიშვნელოვანია სახელმწიფო საკუთრების (სექტორის) როლი, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანი მასშტაბითაა წარმოდგენილი. მაგალითად, თუ ის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეორე მსოფლიო ომის პირველ წლებში დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებსა (საფრანგეთსა და ავსტრიაში – წამყვანსაც) და იაპონიაში, 60-იანი წლების დამდეგიდან შეინიშნება მისი როლის თანდათანობით შემცირება, რაც შეეხება აშშ-ს, კანადას, ავსტრალიასა და ზოგ სხვა ქვეყანას, სახელმწიფო საკუთრებას ყოველთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საერთოდ, ყველა განვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა მშპ-ში საშუალოდ 7%-ის ფარგლებშია, ხოლო შესაბამისი საწარმოები, როგორც წესი, ფუნ-

ქციონირებენ ინფრასტრუქტურის (რკინიგზა, საფოსტო კავშირი, ენერგეტიკა, კომუნალური მეურნეობა) სფეროში.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ მთლიანობაში განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებებია ინვესტიციების, პროდუქციისა და მომსახურების გასაღების, შრომის ბაზრისა და სტრატეგიული მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის რეგულირება.

საკმაო განსხვავებაა განვითარებული ქვეყნების სოციალურ ორიენტაციაში. მაგალითად, დასავლეთ ევროპის უმეტესი ქვეყნების მოსახლეობა დაცულია სოციალური დაზღვევის მძლავრი და მყარი სისტემით, შედარებით ნაკლებად — აშშ-ისა და იაპონიის მოსახლეობა. ამის შესახებ მეტყველებს თუნდაც ის, რომ 1990-იანი წლების შუა ხანებში ყველა სოციალური დანახარჯის წილი ცენტრალურ ბიუჯეტში შეადგენდა: იაპონიაში — 45,2%-ს, აშშ-ში – 55%-ს, ხოლო დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში — 60%-სა და მეტსაც, მათ შორის საფრანგეთსა და ავსტრიაში, შესაბამისად, – 72,5 და 77,8%-ს.

განვითარებული ქვეყნების მთავრობების საქმიანობის სისტემაში დიდი ადგილი ეთმობა ეკონომიკის დერეგულირებას — ფინანსური სიძნელეების დაძლევას, რაც სამ ძირითად სფეროს ეხება: პირველი, სახელმწიფო საკუთრების ნაწილის გაყიდვა; მეორე, ბიუჯეტის სამუალებების ხარჯვის მკაცრი ეკონომიის რეჟიმის დაწესება; მესამე, გადასახადების განაკვეთების შემცირება ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისა და ბიუჯეტის საერთო შემოსავლების გადიდების მიზნით. ამ ღონისძიებათა ეფექტიანი განხორციელების შედეგად ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს მიმართ 1997წ. შეადგინა: აშშ-ში — 0,5% (ნაცვლად 3%-ისა 1990წ.), ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში — საშუალოდ 2,3% (ნაცვლად 3,5%-ისა 1990წ.).

საბოლოო ანგარიშით, უნდა დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ საბაზრო ურთიერთობათა ფუძემდებლური პრინციპების გარკვეული ერთიანობისას, სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ტიპები პრინციპულად განსხვავებულია. არაერთგვაროვანია, კერძოდ, ბაზრის ფუნქციონირების ხასიათი, მოტივაციათა სისტემა, ეფექტიანობის კრიტერიუმები, საწარმოო და ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურები, სახ-

ელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური დაცვის სისტემა, საბაზრო-კონკურენციულ ურთიერთობათა და სახელმწიფო რეგულირების შეთანაწყობის კონკრეტული ფორმები და მექანიზმები და სხვ.[1]

4. ეკონომიკური რყევები განვითარებულ ქვეყნებში

კლასიკური კაპიტალიზმის ეპოქაში საზოგადოებრივი კელავწარმოება ხორციელდებოდა ქრონიკულად განმეორებადი ეკონომიკური კრიზისების თანხლებით, რაც ციკლურ ხასიათს ატარებდა. ციკლი (ინტერვალი ერთი კრიზისიდან მეორე კრიზისამდე) კი შედგებოდა კრიზისის, დეპრესიის, გამოცოცხლებისა და აღმავლობისაგან. რა იყო დამახასიათებელი თითოეული მათგანისათვის?

კრიზისის დროს კელავწარმოების პროცესი ირღვევა, აღგილი აქვს შეფარდებით ჭარბწარმოებას, საქონელი არ საღდება მიუხედავად ფასების დაცემისა, იკვეცება წარმოების პროცესი და ა.შ.

კრიზისის მომდევნო ფაზაა დეპრესია, რომელსაც კელავაც ახასიათებს ეკონომიკური მოშლილობა, წარმოების დონე სტაბილურია, თუმცა იმაზე დაბალი, ვიდრე კრიზისის დაწყებამდე იყო. შენარჩუნებულია მაღალი უმუშევრობა, ფასების დაცემა შეჩერებულია. ამასთან, კონკურენციული ბრძოლის მექანიზმის გაელენით თანდათანობით იწყება იარაღ-მანქანების განახლება. წარმოიშობა მზარდი მოთხოვნა, რითაც დეპრესია გამოცოცხლებაში გადადის. ამისათვის დამახასიათებელია წარმოების მასშტაბების უმნიშვნელო ზრდა, რომელიც კრიზისამდელი დონის ფარგლებშია, უმუშევრობის რამდენადმე შემცირება, იზრდება ფასები და სასესხო სარგებელი, საქონელთა ბაზარზე შეიმჩნევა წარმოების საშუალებებზე მოთხოვნის ზრდა. შემდგომ, წარმოების ზრდა ჩქარდება და აღმავლობის ფაზა დგება. ამ ფაზის დამახასიათებელია წარმოების სწრაფი ზრდა, რომელსაც თან ახლავს ძირითადი კაპიტალის მასობრივი განახლება, ახალ საწარმოთა ამოქმედება, საქონელთა ფასების გადიდება, მასობრივი დასაქმება და ხელფასის ზრდა და ა.შ. ამ და სხვა პროცესების შედეგად ბაზარი თანდათანობით გაივსება საქონლით, უფრო მეტიც, იწყება ჭარბ-

[1] ნ. სანთელაძე. საბაზრო ეკონომიკის მოდელები თბ., 1993, გვ. 3.

წარმოება, თუმცა ფარული ფორმით, რომელიც მალე აშკარა ხასიათს იღებს. დაბოლოს, ყველაფერი თავიდან იწყება — კრიზისი, დეპრესია, გამოცოცხლება, აღმავლობა. რა იყო კრიზისების საერთოდ, და კერძოდ, პერიოდულობის საფუძველი? კ. მარქსის მიხედვით, კრიზისების პერიოდულობის მატერიალური საფუძველია ძირითადი კაპიტალის განახლება. ამასთან, რაც მთავარია, ასეთად კ. მარქსი მიიჩნევდა წარმოების იარაღებს არა თავისთავად მათი ფიზიკური თვისებების გამო, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ისინი ფუნქციონირებენ კაპიტალის სახით. ციკლის ხანგრძლივობა, ეადები, რომლის შემდეგაც მეორდება ჭარბწარმოების კრიზისები, დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალის სამსახურის საშუალო ვადასთან. კრიზისი ახალი კაპიტალური დაბანდებების ამოსავალი პუნქტი და ბიძგია. საქმე ისაა, რომ კრიზისის პროცესში მორალურად გაცვეთილი ძირითადი კაპიტალის გაუფასურება ახალ ტექნიკურ ბაზაზე საწარმოო აპარატის განახლების საწინდარია. ე.ი. კრიზისი გზას უკაფავს მასობრივ ინვესტირებას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ციკლის შემდგომ ფაზაზე გადასვლაში. თავის მხრივ, ძირითადი კაპიტალის ინტენსიური განახლებისა და გაფართოების პროცესი ახალ კრიზისულ აფეთქებას ამზადებს.

მაგრამ, ეკონომიკურ კრიზისებთან დაკავშირებით ყოველივე აღნიშნული არსებითად ისტორიაა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიო მასშტაბით ფართოდ განვითარდა წარმოების განსაზოგადოების პროცესი, ჩამოყალიბდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების რთული სისტემა, მოხდა სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია. წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის გაძლიერებას თან ახლდა თვისებრივი ცვლილებები კაპიტალისტურ საკუთრებაში, რომელიც სააქციო საზოგადოებათა სახით სულ უფრო კოლექტიურ და საზოგადოებრივ ხასიათს იძენს წარმოების შედეგების განაწილების ფორმების განვითარებასთან ერთად. ამ ტენდენციებს განამტკიცებს და საზოგადოებრივი წარმოების პროცესის დინამიკურობას აძლიერებს კონკურენციული საბაზრო მექანიზმის მოქნილობა, რაც თავისი ავტომატური ბერკეტების მეშვეობით, როგორც წესი, წარმატებით ძლევს საბაზრო ეკონომიკაში წარმოშობილ დისპროპორციებს. უფრო მეტიც, განვითარებულმა შე-

რეულმა, სოციალურად ორიენტირებულმა ეკონომიკურმა სისტემამ, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიურ საფუძველზე ფუნქციონირებს, ყოველმხრივ წარმოაჩინა თავისი უპირატესობები დღემდე არსებულ ყველა ეკონომიკურ სისტემასთან შედარებით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სწრაფი სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის უზრუნველყოფა და ამის შესაბამისად მწარმოებლური ძალების ცვალებად მოთხოვნათა მიმართ მოქნილი მისადაგება, განსაზღვრულ გადახდისუნარიან მოთხოვნათა შესაბამისად პროდუქტებსა და მომსახურებაზე მოთხოვნის სრული დაკმაყოფილების უნარი და მრავალი სხვა.

ამასთან, თანამედროვე შერეული ეკონომიკა უხარვეზო და სერიოზულ შინაგან წინააღმდეგობებს მოკლებული როდია. მათ შორის უმთავრესია საზოგადოებრივი კლავწარმოების მოძრაობის რყევითი (მას ბევრი მკვლევარი ციკლურსაც უწოდებს, თუმცა ეს შეფასება რამდენადმე გადაჭარბებულია რეალურ სინამდვილესთან შედარებით) ხასიათი, ეკონომიკური კონიუნქტურის ხშირი მერყეობა, ე.ი. მეურნე სუბიექტების ეკონომიკური აქტიურობის სხვადასხვანაირი გამოვლენა.

აღნიშნულთან ერთად, გარკვეული დისპროპორცია ახლავს საზოგადოებრივი წარმოების გაფართოების პროცესს. კერძოდ, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის გადიდება გზას უკაფავს წარმოების გაფართოებას საზოგადოებრივი წარმოების II ქვედანაყოფში, რაც, თავის მხრივ, დამატებით მოთხოვნებს უყენებს I ქვედანაყოფის პროდუქციას. შესაბამისად, ეკონომიკაში იზრდება ინვესტიციები, ორივე ქვედანაყოფში ფართოვდება წარმოების მასტიმულირებელი მოტივაციები. ამასთან, დროდადრო I ქვედანაყოფის საწარმოო სიმძლავრეთა ზრდა შეუარდებით დამოუკიდებლობას იძენს და ზოგჯერ სცილდება საბოლოო მოთხოვნილებათა დონეს. ეს, საბოლოო ანგარიშით, კაპიტალის საერთო ჭარბდაგროვებით ვლინდება, რაც ეკონომიკური რყევების მატერიალური საფუძველია. გარდა ამისა, თანამედროვე ეკონომიკური სისტემა გარკვეულად შეიცავს სხვა სიღრმისეულ მიზეზებსაც, რომლებიც იწვევენ ეკონომიკურ რყევებს, უმუშევრობას, ინფლაციასა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. მათ შორის, თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სტრუქტურული კრიზისები, რომელიც აზიანებს მატერიალური

წარმოების რიგ წამყვან დარგებს, იწვევს სერიოზულ ჩავარდნებს კაპიტალის დაგროვებაში. სტრუქტურულ კრიზისებს ხშირად მიაკუთვნებენ ეკოლოგიურ, სასურსათო, სავალუტო, ფინანსურ და სხვა კრიზისებს. ასეთი სტრუქტურული კრიზისები შეიმჩნეოდა XX საუკუნის 70-80-იან წლებში, რასაც წინ უძღოდა ენერგეტიკული და სანედლეულო კრიზისები, რომელთაც გააძწვავეს კაცობრიობის გლობალური პრობლემები.

სტრუქტურული კრიზისები იწვევს სერიოზულ დისპროპორციებს წარმოების ცალკეულ სფეროებსა და დარგებს შორის. ის გაჭიანურებულ ხასიათს ატარებს და ყოველთვის არ ემთხვევა ციკლს, უფრო მეტიც – სტრუქტურული კრიზისი არ ატარებს ციკლურ ხასიათს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გამორიცხულია მათი დამთხვევა ან ერთიმეორეში გადახლართვა, რაც მკვეთრად ამწვავებს ეკონომიკურ რყევათა სიღრმესა და ხანგრძლივობას. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში სტრუქტურულმა კრიზისებმა შეიძინეს ახალი რთული მახასიათებლები. მაგალითად, ე.წ. სოციალისტური სისტემის დაშლა, ეროვნებათაშორისი და რეგიონული კონფლიქტები და სხვ. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია არასტაბილურობა. იცვლება ნედლეულის ტრადიციული ბაზრები, გარკვეული რყევადობით ხასიათდება ესა თუ ის სავალუტო სისტემა, აქტიურად ვითარდება წარმოება ეკოლოგიური კონტროლის სისტემას დაუქვემდებარებელ ზონებში, რასაც შეუძლია დიდი უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს.

რა თქმა უნდა, პროგრესული ორიენტაციის მთავრობები ეკონომიკაში ნეგატიურ მოვლენათა დაძლევის ახალ გზებსა და მეთოდებს ეძებენ, სრულყოფენ და ავითარებენ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმებს. მათ შორის უმთავრესია მწვავე სტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტის მსხვილი ეროვნული პროგრამების შემუშავების, ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავების, ქვეყანათა სამეურნეო პოლიტიკის კოორდინაციის მიმართულებით განხორციელებული მასშტაბური ღონისძიებები, რომლის საფუძველიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების მიღწევებია.

როგორც აღინიშნა, კაპიტალიზმმა ბოლო პერიოდში ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა, რაც უწინარესად განპირობებულია მწარმოებლური ძალების დინამიკური ცვლილებით სამეცნიერო-

ტექნიკური რევოლუციისა და წარმოების ინტენსიფიკაციის გაღრმავებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან ერთად ძირეულად შეიცვალა წარმოების როგორც ფორმა, ასევე შინაარსი. ეს გამოვლინდა, ერთი მხრივ, საზოგადოების მწარმოებლური ძალების გიგანტური განვითარებით და მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის შესაბამისი ერთობლივი სამუშაო ძალის ფორმირებით, მეორე მხრივ, ახალი თვისებრიობა შეიძინა წარმოების განსაზოგადოების დონემ, შეიქმნა ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა თანამედროვე სისტემა, რაც შრომის ღრმა დანაწილებითა და საზოგადოებრივი წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების, ოპტიმალური კონცენტრაციის სახით ვლინდება.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია საწარმოთა დონეზე წარმოების განსაზოგადოების კანონზომიერი პროცესი, რაც მრავალმხრივი მიმართულებით ხასიათდება. ეს არის ერთ კომპლექსში წარმოების კომბინირება, რომელიც მოიცავს ნედლეულის დამუშავებისა თუ მზა პროდუქციის გაიმოშვების ყველა პროცესს. თვისებრივი სიახლეებია საწარმოთა მიგამეურნეობრივ ორგანიზაციაში, რაც ხასიათდება საწარმოო რიტმის მკაცრი რეგლამენტაციით, სამმართველო საქმიანობის კომპიუტერიზაციით და ა.შ.

საწარმოთა შიგნით მიმდინარე ამ პროცესების ორგანული გაგრძელებაა ფირმათაშორისი ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა თანამედროვე ყაიდაზე მოწყობა. თანამედროვე წარმოებისათვის დამახასიათებელია პირდაპირი ეკონომიკური კავშირები, რაც ფირმათაშორისი საწარმოო კოოპერაციის, საკონტაქტო სისტემების ორგანიზაციის თუ შეკვეთით მუშაობის სახით ვლინდება.

ყოველივე აღნიშნული ახალ, თვისებრივად მაღალ დონეზე წარმოაჩენს საზოგადოებრივი წარმოების განსაზოგადოების დონეს. ამ ფონზე დღეს ფაქტობრივად არ არსებობს ან ძალიან შეზღუდული მასშტაბით ფუნქციონირებს (ძირითადად წერილ საცალო ვაჭრობასა და მომსახურების სფეროს რიგ დარგში) წმინდა სტიქიური ბაზარი. საქმე ისაა, რომ ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებაში მთავრობის მონაწილეობა აფართოებს წარმოების კონცენტრაციისა და კაპიტალის ცენტრალიზაციის, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების და სხვა პროცესებს, სულ ახალ

და რთულ ფორმას აძლევს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, რაც არსებითად აძლიერებს წარმოების განსაზოგადოების მასშტაბებს.

ეკონომიკის განსაზოგადოების ფართო მასშტაბი გარკვეულწილად ზღუდავს კერძო საკუთრების ინსტიტუტს, შესაბამისად მოდიფიცირდება ეკონომიკის რეგულირების საბაზრო მექანიზმი. ბაზარი, მართალია, კვლავაც არის საწარმოო და გაცვლითი პროცესების მონაწილეთა ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირებისა თუ გადაწყვეტილების მიღების მოქნილი ასპარეზი, მაგრამ მისთვის დღეისათვის თითქმის უცხოა ანარქიულობის, სტიქიურობის კატეგორიები. ამ პროცესს, ბაზრის თვითმარეგულირებელ მექანიზმთა საათივით აწყობილ მუშაობასთან ერთად, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით ბაზრის სფეროს ზოგიერთი მხარის მკაცრი რეგლამენტაცია, ასევე გაცვლისა და მოხმარების ძირითად აგენტებს შორის პირდაპირი, უშუალო კავშირების ფართოდ განვითარება. სამრეწველო თუ სხვა კორპორაციებისათვის ეკონომიკურად ოპტიმალური სტრუქტურების შემუშავებისათვის, საბაზრო ფასსა და მოგების შესახებ ინფორმაციასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ისეთ წყაროებს, როგორიცაა საწარმოო, ფასობრივი და ა.შ. პროგნოზები, კონკურენტთა ძალების, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დარგში მდგომარეობის შეფასება და ა.შ.

ამრიგად, თანამედროვე ცივილიზებული ეკონომიკური სისტემა მძლავრ საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს ფლობს, რაც მაღალი შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის გარანტია. ჩამოყალიბებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმები, ერთი მხრივ, მრავალდარგოვანი სამეურნეო კომპლექსებისა და გაერთიანებების მართვის სისტემების და, მეორე მხრივ, მთელი ეკონომიკის მაკროეკონომიკური სახელმწიფოებრივი რეგულირების სახით, სრულად შეესაბამება მწარმოებლური ძალების განვითარების გიგანტურ დონეს. ამის უმთავრესი შედეგი კი ისაა, რომ თანამედროვე ეკონომიკურმა სისტემამ არსებითად მოხსნა კაპიტალისტური მითვისებითი ურთიერთობის განპირობებული ეკონომიკური და სოციალური შეზღუდულობა.

ყოველივე აღნიშნული თანამედროვე ეკონომიკური სისტემის რეალობაა, მაგრამ ფაქტობრივად არ არსებობს ისეთი იდეალური

ეკონომიკა, რომელშიც რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტი ყოველთვის იზრდებოდეს სწრაფი და მყარი ტემპებით, ხოლო ფასები სტაბილური იყოს ან ძალიან ნელა იზრდებოდეს და ამის შედეგად უმუშევრობა და ინფლაცია უმნიშვნელო იყოს.

ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური რყევა ერთიანი ეკონომიკური განვითარების ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ციკლის თეორიის ცენტრშია ეკონომიკაში რყევის პროცესის ანალიზი — ეკონომიკურ მაჩვენებელთა მოძრაობაში კრიზისებისა და აღმაველობის მონაცვლეობა. ზრდის თეორია განვითარების წონასწორობითი ტრაექტორიის, ხოლო ციკლის თეორია — წონასწორობიდან გადახრის ამსახველია. რეალური ეკონომიკა ყალიბდება სწორედ ამ ორი პროცესის ურთიერთმოქმედების შედეგად.

სხვადასხვა რყევის პროცესი ეკონომიკაში უამრავია. ზოგი მათგანი მოქმედებს ეკონომიკის მხოლოდ განსაზღვრულ სფეროებში, ზოგიც — ცალკეულ მაჩვენებელთა სახით, სხვები კი მოიცავს სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა მხარეს. მათ შორისაა ეკონომიკური აქტიურობის გრძელვადიანი რყევა, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს. „გრძელი ტალღების" მიზეზთა გარშემო მრავალი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს. მათ შორის პოპულარულია ი. შუმპეტერის იდეა „გრძელი ტალღების" სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან კავშირის შესახებ. ეს უკანასკნელი არათანაბრად მიმდინარეობს — მისი სწრაფი განვითარების ხანგრძლივ პერიოდებს ენაცვლება ნელი ზრდის პერიოდი, ანუ საკუთრივ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპი განიცდის გრძელვადიან რყევას. ამასთან, გრძელვადიანი რყევები თან ახლავს შრომის მწარმოებლურობის, კაპიტალალჭურვილობის და ა.შ. ზრდის ტემპებსა და თვით ეკონომიკურ ზრდას.

ყოველივე ამით „გრძელ ტალღებში" ნათლად ვლინდება ეკონომიკური ზრდისა და ციკლის კავშირი, მათი ურთიერთმოქმედება და ერთიანობა. ციკლურობა გამოდის როგორც ეკონომიკური ზრდის რეალიზაციის ფორმა. განუწყვეტლივ აღმოცენებადი დისპროპორციების, ანუ წონასწორობის დარღვევის პროცესში გრძელვადიან პერიოდში ფორმირდება ეკონომიკური განვითარების წონასწორობითი ტრაექტორია. ამასთან, ეკონომიკურ თეორიაში სამრეწველო ციკლებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომაა. ერთ შემთხვევაში ციკლი განიხილება როგორც ეკონომიკურ

სისტემაზე გარე ფაქტორების ზეგავლენის შედეგი (ექსტერნალური თეორია). ასეთ ფაქტორთა შორის ასახელებენ პოლიტიკური ხასიათის რყევებს, ომებს, მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებს, მძლავრ სამეცნიერო-ტექნიკურ გარღვევებს, რაც ძირეულად ცვლის საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურას და სხვ.

ინტერნალური თეორიით (შიგა ფაქტორები) ციკლი წარმოდგენილია როგორც ეკონომიკური სისტემის შინაგანი, იმანენტური თვისება (განსაკუთრებით ფულის მიმოქცევის სფეროში). ციკლის შიგა ფაქტორებს მიაკუთვნებენ ძირითადი კაპიტალის ფუნქციონირების ვადებს, ცვლილებებს პირად მოხმარებაში, რაც ზემოქმედებს წარმოებისა და დასაქმების მოცულობაზე, ინვესტიციებს წარმოებაზე, მოთხოვნასა და მოხმარებაზე, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკით პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზემოქმედებას და სხვ.

ამასთან, მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი ციკლის გარე ფაქტორებსა და შიგა ფაქტორებს ერთიანობაში განიხილავს, რაც ყველაზე სწორ მიდგომად მიგვაჩნია.

აქ იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ექსტერნალურ და ინტერნალურ ფაქტორებს შეუძლიათ გამოიწვიონ ეკონომიკური აქტიურობის როგორც აღმავლობა, ასევე დაქვეითება, დროის გარკვეული მონაკვეთის მონაცვლეობით.

ეკონომიკური ციკლის შემსწავლელ თითქმის ყველა თეორიაში განიხილება აქსელერატორის ეფექტი, რომლის მიხედვითაც მოხმარების საგნებზე მოთხოვნის გადიდება გარდუვალად იწვევს წარმოების სამუალებებზე მოთხოვნას და, შესაბამისად, ინვესტიციების კიდევ უფრო სწრაფ ზრდას, რაც ეკონომიკის ციკლური განვითარების საკვანძო მომენტადაა მიჩნეული. აქსელერატორის ეფექტის შესახებ არის განსხვავებული შეხედულებებიც, მაგრამ მთლიანად ის განიხილება როგორც ეკონომიკურ რყევათა განუყოფელი ელემენტი.

ეკონომიკური რყევის პრობლემა ყოველთვის აღელვებდა ეკონომისტებსა თუ პოლიტიკოსებს. საქმე ისაა, რომ რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპი საკმაოდ მერყეობს წლიდან წლამდე. ხშირია საქმიანი აქტიურობის დაქვეითება, როცა შემოსავლები მცირდება, ხოლო უმუშევრობა იზრდება. ასეთ და სხვა მსგავს მოვლენებს, ე.ი. წარმოების მოცულობისა და დასაქმების რყევებს, ზოგიერთი მკვლევარი ეკონომიკურ ციკ-

ლებს უწოდებს, რაც უმართებულოა. ეკონომიკური ციკლი ეკონომიკის რეგულარულად განმეორებადი, მეტ-ნაკლები ზომით პროგნოზირებული ხასიათის მატარებელი რყევაა, რასაც განვითარებულ ქვეყნებში დღეს რეალურად არ აქვს ადგილი. მართალია, ეკონომიკური რყევა შეიძლება ხშირიც იყოს და ასე თუ ისე ხანგრძლივიც, მაგრამ უფრი მეტი ხანგრძლივობით, სტაბილურობითა და მაღალი ტემპებით ხასიათდება ეკონომიკური ზრდა. და მაინც თუ მას ციკლს ვუწოდებთ, თანამედროვე ციკლი არსებითად განსხვავდება XIX და XX საუკუნის პირველი ნახევრის ციკლებისაგან. ეკონომიკური ციკლის ზოგიერთი ფაზა მნიშვნელოვან მეტამორფოზას განიცდის ან საერთოდ ქრება. მაგალითად, უკვე აღარ არის, ან თითქმის არ არის, დეპრესიის ფაზა, ხოლო გამოცოცხლება და აღმავლობა ერთ ფაზად – აღმავლობად გაერთიანდა. ამასთან, ზოგიერთი მკვლევარი დამოუკიდებელ, ახალ ფაზებად გამოყოფს აღმავლობის მწვერვალს – ბუმს და დაქვეითების ქვედა წერტილს – დაცემას.

მკვლევართა გარკვეული ჯგუფის აზრით, სამრეწველო ციკლის ფაზები წაშლის ტენდენციით ხასიათდება. სწორედ ამ პოზიციებიდან ახლებურად ცდილობენ ახსნან ეკონომიკური არამყარობის მიზეზები. მათგან გამოირჩევა დიდი ეკონომიკური ციკლების თეორია, რომლის მიხედვითაც მოკლევადიან და საშუალოვადიან ეკონომიკურ ციკლებთან ერთად არსებობს ხანგრძლივი ეკონომიკური ციკლები (მეტ-ნაკლებად – 50-წლიანი). ამას ხსნიან ხანგრძლივი ფუნქციონირების სხვადასხვა დოვლათის არაერთგვაროვნებით. შესაბამისად, განიხილავენ ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობისა („ამამაღლებელი ტალღები") და დაქვეითების („დამაქვეითებელი ტალღები") ხანგრძლივ პერიოდებს, როცა ეს უკანასკნელი ქმნის წანამძღვრებს მწარმოებლური ძალების თვისებრივად ახალი აღმავლობისათვის.

5. განვითარებული ქვეყნების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეროვნულ მეურნეობათა ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია მათი „გახსნილობა" გარესამყაროსთან, უწინარეს ყოვლისა, ერთიმეორესთან. ყველა

განვითარებული ქვეყანა ეწევა ინტენსიურ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას, რითაც აქტიურად იყენებს შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებს. ქვეყნების საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში ჭარბობს ურთიერთშორის ეკონომიკური გაცვლა სხვადასხვა ფორმით. ყველა განვითარებული ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო ვაჭრობაში. მათი საექსპორტო კვოტა (ექსპორტის მოცულობის თანაფარდობა მშპ-სთან) განუხრელად იზრდებოდა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და შთამბეჭდავ მაჩვენებელს მიაღწია: იაპონიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში ის უტოლდება 25%-ს, ევროპის სხვა განვითარებულ პატარა ქვეყნებში უახლოვდება 40-50%-ს; აშშ-სთვის ის ფორმალურად შეადგენს 10%-ს, რაც რეალობას არ ასახავს. საქმე ისაა, რომ აშშ-ის საზღვარგარეთ გააჩნია უმსხვილესი „მეორე ეკონომიკა" — ამერიკული ტნკ-ების სახით, რომელთაც გაბატონებული პოზიციები უკავიათ ტრანსნაციონალურ ბიზნესში.

უკანასკნელ ორ ათწლეულში განვითარებული ქვეყნების წილი მსოფლიო ვაჭრობაში მერყეობდა 70-76%-ის, ხოლო განვითარებადისა — 20-24%-ის ფარგლებში (დანარჩენი მოდის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებზე). მსოფლიოში უმსხვილესი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნებია აშშ, გერმანია და იაპონია.

აღსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნების საგარეო ვაჭრო რეჟიმი ხასიათდება სრული ლიბერალიზაციით, რაც მათი ეროვნული ეკონომიკების მაღალი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შედეგია. ამასთან, ლიბერალიზაცია არ ნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნები პასიურები არიან საგარეო ვაჭრობის სფეროში. პირიქით, ისინი ყოველნაირად უჭერენ მხარს თავიანთ ექსპორტიორებს, მათ შორის ექსპორტის სუბსიდირებით და განსაკუთრებით — საექსპორტო კრედიტის გარანტიებით, ამასთან, თუ ეს უკანასკნელი მოიცავს ყველა დარგს, სუბსიდირება — დარგთა განსაზღვრულ წრეს. მათ ტრადიციულად მიეკუთვნება სოფლის მეურნეობა, ასევე სტრუქტურულად კრიზისული დარგები.

განვითარებული ქვეყნები დომინირებენ კაპიტალის მიგრაციის, განსაკუთრებით, პირდაპირი ინვესტიციების სფეროში (1997 წელს მათზე მოდიოდა მსოფლიო პირდაპირი ინვესტიციების 90%). კაპიტალის ექსპორტისა და იმპორტის მთავარ სუბიექტად

გამოდის ტნკ-ები, რომლებმაც საზღვარგარეთ შექმნეს მძლავრი „მეორე ეკონომიკა“. მათი ყოველწლიური ბრუნვა შეადგენს 7 ტრილიონ დოლარს, რაც აღემატება საქონელთა მსოფლიო ექსპორტის ღირებულებით მოცულობას. საზღვარგარეთული წარმოების მოცულობა აღწევს განვითარებული ქვეყნების მშპ-ის 1/4-ს.

კაპიტალის ექსპორტიორებს შორის პირდაპირი ინვესტიციების ფორმით ლიდერობენ აშშ და დიდი ბრიტანეთი — შესაბამისად, 114,5 და 58 მლრდ დოლარი მხოლოდ 1997 წელს (მთელი მსოფლიო — 424 მლრდ დოლარი); უდიდეს იმპორტიორთა შორის ლიდერი ისევ ეს ქვეყნებია (91 და 37 მლრდ დოლარი).

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგარციის დარგში განვითარებული ქვეყნები გამოდიან როგორც მიმღები მხარე უცხოელი მუშებისა. მათ შორის ლეგალურად შესულები შეადგენენ ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის თვითმოქმედი მოსახლეობის 5-10%-ს. იაპონიაში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. უცხოელი მუშები (მათი უმეტესობა მოდის ახლო და შუა აღმოსავლეთის მდიდარ ნავთობგადამამუშავებელ ქვეყნებზე, განსაკუთრებით საუდის არაბეთზე). განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, ასრულებენ დაბალკვალიფიციურ ან ნახევრადკვალიფიციურ შრომას, შედარებით დაბალი ანაზღაურებით, ვიდრე ადგილობრივი კადრები. იმავდროულად, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციაში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს განვითარებულ ქვეყნებში სხვა ქვეყნებიდან მეცნიერთა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ნაკადები, ე.წ. „ტვინის გადინების“ სახით, რომელთათვისაც შესვლის შეღავათიანი პირობებია დაწესებული. მაგალითად, აშშ-ში ასეთ პირთათვის გარანტირებულია ყოველწლიური კვოტის არანაკლებ 20%-ის გამოყოფა.

ზემოთ განხილული პროცესებიდან კანონზომიერად გამომდინარეობს განვითარებული ქვეყნების დომინირებადი როლი საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებში. ფაქტია, რომ ყველა განვითარებული ქვეყანა ფლობს პირველი კლასის და სრულად კონვერტირებად ვალუტას, რაც ერთობ აიოლებს ურთიერთანგარიშსწორებებს. ამასთან, ყველა ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელია ლიბერალური სავალუტო პოლიტიკა, რაიმე შეზღუდვის გარეშე. რაც შეეხება ეროვნული ვალუტის კურსზე ზემოქმედებას, ის ხორციელდება, უწინარეს ყოვლისა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის

მემვეობით და ცენტრალური ბანკების სავალუტო ინტერვენციებით. ბევრ საქონელსა და მომსახურებაზე ანგარიშსწორება ხდება უპირატესად დოლარით, ხოლო ზოგიერთზე, მაგალითად, ნავთობზე, მხოლოდ დოლარით. დოლარებით წესდება მსოფლიო ფასებიც, თუ ისინი საერთოდ არსებობენ ამა თუ იმ სახეობის საქონელსა და მომსახურებაზე. ამასთან, მოსალოდნელია, რომ ევროკავშირის ვალუტა „ევრო", როგორც კოლექტიური ვალუტა, პირველხარისხოვან როლს შეასრულებს მსოფლიო მეურნეობაში და ღირსეულ კონკურენციას გაუწევს ამერიკულ დოლარს.

თავი II

დასავლეთი ევროპა მსოფლიო ეკონომიკაში

1. დასავლეთი ევროპის ზოგადი დახასიათება. განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მოდელი

დასავლეთი ევროპა დიდი რეგიონია (ჩრდილოეთი და სამხრეთი ევროპის ჩათვლით), რომელიც მოიცავს 25-მდე ქვეყნის ტერიტორიას, რომელთა შორისაა მსხვილი, საშუალო, მცირე და ჯუჯა სახელმწიფოები. თითქმის ყველა ეს ქვეყანა მიეკუთვნება განვითარებულთა კატეგორიას, რაც მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის საფუძველია. ამასთან, დასავლეთი ევროპა სრულიადაც არ არის რაღაც კონგლომერატის მსგავსი, მით უმეტეს — „ზესახელმწიფო" ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართებით. თუმცა ფაქტია, რომ ინტეგრაციული პროცესების მეოხებით რეგიონი სულ უფრო ყალიბდება ერთიან სამეურნეო კომპლექსად და დღეისათვის ის მსოფლიო მეურნეობაში, აშშ-სა და იაპონიასთან ერთად, მსოფლიოს სამი წამყვანი ჰაბიდან ერთ-ერთია. შესაბამისად, დასავლეთ ევროპას განსაკუთრებული ადგილი უკავია მსოფლიო მეურნეობაში. მასზე მოდის მსოფლიო მშპ-ის 28% (დაახლოებით 8 ტრლნ დოლარი) და მოსახლეობის 7%.

დასავლეთ ევროპაზე მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მესამედი, ეროვნული შემოსავლის მეოთხედი და მსოფლიო საპატენტო ფონდის მეხუთედი ნაწილი. ევროპული ქვეყნები აშშ-ს აჭარბებენ საქონელთა და მომსახურების მსოფლიო ექსპორტით და უტოლდებიან იმპორტით.

ასეთი მაღალი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიუხედავად, დასავლეთი ევროპა ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ ღარიბია, რაც განაპირობებს ამ მხრივ მის მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულებას გარესამყაროსადმი. საკმარისია აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპას შემოაქვს ენერგომატარებლების 2/5-ზე მეტი და სხვა სახეობის ნედლეულის დაახლოებით 3/4. სამაგიეროდ, უზრუნველყოფილია და ცალკეულ შემთხვევაში სიჭარბესაც განიცდის წარმოების ისეთი ფაქტორებისა, როგორიცაა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა და ფულადი კაპიტალი. აშკარა სიჭარბეა

შრომის ბაზარზე, რაც ჩანს იქიდან, რომ ზოგიერთ ქვეყანაში უმუშევრობა შეადგენს 10-12%-ს)

შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლებით დასავლეთი ევროპა ჩამოუვარდება აშშ-სა და იაპონიას, თუმცა უკანასკნელ 10-15 წელიწადში ეს ჩამორჩენა რამდენადმე შემცირდა (3-5 პროცენტული პუნქტით). მიუხედავად ამისა, 1997 წელს თვით ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ შეადგენდა აშშ-ის მხოლოდ 70,2%-ს და იაპონიის — 82,6%-ს.

(ეკონომიკის ტრადიციული საბაზო დარგების ტექნოლოგიური დონით დასავლეთი ევროპა არაფრით ჩამორჩება აშშ-სა და იაპონიას, ხოლო ქიმიური მრეწველობით აშკარა მსოფლიო ლიდერია) ამასთან, გარკვეულწილად ჩამორჩება ისეთი უახლესი დარგების განვითარებით, როგორიცაა: მიკროელექტრონიკა, რობოტოტექნიკა, ბიოტექნოლოგია, ახალი მასალები და ოპტიკური ელექტრონიკა.

დასავლეთი ევროპის სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ძირითადი ნიშნები, რითაც ის განსხვავდება ამერიკულისა და იაპონურისაგან, შემდეგია:

ა) სამღონიანი სამეურნეო მექანიზმის ფარგლებში ზედა „იარუსი", სახელმწიფოებრივი რეგულირების სახით, ასრულებს უფრო დიდ როლს;

ბ) დასავლეთ ევროპაში საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაცია ყველაზე მაღალია თანამედროვე მსოფლიოში, სახელმწიფო ძალზე ინტენსიურად ასრულებს ბევრ სოციალურ ფუნქციას, მოდელი კი ესადაგება სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკურ სისტემას;

გ) თუ აშშ-ისა და იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ფარგლებში ინდივიდუალიზმი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი პრინციპი და წესი, ჭარბობს სოლიდარობას, დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა მათ შორის შეფარდებითი ბალანსი პირველის წამყვანი როლით;

დ) მსოფლიო მეურნეობისათვის უმაღლესი დონის გახსნილობა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია)

'დასავლეთევროპული ეკონომიკის გახსნილობის დონე უწინარესად გამოიხატება საგარეო ვაჭრობის მდგომარეობით. ასე, მაგალითად, ევროკავშირის წევრთა საექსპორტო და საიმპორტო კვოტები უცვლელად 30%-ის დონეზეა, მაშინ როცა აშშ-ის — 9-11%,

ხოლო იაპონიის — 11-13%-ია. (დასავლეთევროპული ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მისი ძირითადი ნაწილი მოდის შიგარეგიონულ ბრუნვაზე, ე.ი. დასავლეთევროპული ქვეყნები, განსაკუთრებით კი ევროკავშირისა, ერთიმეორის უმნიშვნელოვანესი პარტნიორები არიან საგარეო ბაზარზე)

(განსხვავებული სურათია პირდაპირი ინვესტიციების სფეროში. დასავლეთი ევროპის პირდაპირი საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდების 60% და მეტი განლაგებულია რეგიონის გარეთ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ისინი ეძებენ თავიანთი კაპიტალის დაბანდების ისეთ ქვეყნებსა და რეგიონებს, სადაც საინვესტიციო კლიმატი რაიმე პარამეტრით მაინც პრინციპულად უკეთესია, ვიდრე განსახილველ რეგიონში. ასეთი ჩრდილოეთი ამერიკაა (უწინარესად აშშ), ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები და სხვ)

საერთოდ, დასავლეთი ევროპისათვის მის საგარეო-ეკონომიკურ კავშირებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-სა და იაპონიასთან ურთიერთობას, რომელიც თანასწორუფლებიან პარტნიორთა ურთიერთობის სასიათ კამოდის.

ამჟამად დასავლეთი ევროპის მშპ დაახლოებით უტოლდება აშშ-ს, ხოლო მსოფლიო ვაჭრობაში ხვედრითი წონით ის სამჯერ აღემატება აშშ-ს. დასავლეთგერმანელ ინვესტორებს ეკუთვნის აშშ-ში პირდაპირი უცხოური დაბანდებების 2/3. რაც შეეხება იაპონიასთან ურთიერთობას, შედარებით აშშ-სთან, ნაკლებია. მაგალითად, ევროკავშირის ექსპორტი აშშ-ში დაახლოებით ხუთჯერ აღემატება იაპონიაში გაგანას. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთი ევროპა-იაპონიის ვაჭრობაში უცელელად არსებობს დიდი დისბალანსი იაპონიის სასარგებლოდ. ეს ძირითადად ორი გარეგანებითაა გამოწვეული. ჯერ ერთი, იაპონიის ზოგიერთი საქონლის კონკურენტული უპირატესობით (ფასებით, ხარისხით და სხვ.), მაშ შორის, პირველ რიგში, ელექტრონული საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ავტომობილებისა, რომლებიც იაპონიის სავაჭრო ექსპანსიაში მთავარ როლს ასრულებენ. მეორე, იაპონიის პროტექციონისტული საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც თავის ექსპორტიორთა აქტიურ მხარდაჭერას გულისხმობს. იმავდროულად, იაპონიაში ექსპორტი გაძნელებულია ქვეყნის საშინაო ბაზრის ეროვნული თავისებურებებით. თუმცა აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულების შემდეგ შეიმჩნევა ევროკავშირსა და იაპონიას შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა გააქტიურება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მათ შორის დაბალანსებულობის ხასიათის გაძლიერებას.

დასავლეთი ევროპის უახლოეს 15-20 წელიწადში ეკონომიკური განვითარების ტენდენციათა შორის უნდა გამოიყოს, ჯერ ერთი, რეგიონში ინტეგრაციული პროცესების განვითარება სიგანესა და სიღრმით, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მის ძლიერებას მსოფლიო მეურნეობაში; მეორე, ინტეგრაცია ხელს უწყობს დასავლეთ ევროპაში სამეურნეო ცხოვრების სწრაფ რეგიონიზაციას, რომლის მსვლელობაშიც ყალიბდება მყარი სუბრეგიონული სამეურნეო კომპლექსები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ რეგიონის განვითარებაში.

(არსებული პროგნოზებით, 2005-2020 წლებში დასავლეთ ევროპაში მშპ გაიზრდება ზომიერი ტემპით — 2,5-3%-ის ფარგლებში), რაც თითქმის შეესაბამება მსოფლიოს დანარჩენი ორი ცენტრის საპროგნოზო მაჩვენებელს. ეკონომიკური ზრდის ასეთი ტემპისას დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემის დღევანდელი სიმწვავე შენარჩუნებული იქნება.

2. ეკონომიკური განვითარების თავისებურებები და ძირითადი პრობლემები

როგორც აღინიშნა, დასავლეთ ევროპის ქვეყნები მიეკუთვნებიან ეკონომიკურად განვითარებულთა რიცხვს. მათ 2-44-ე ადგილი უკავიათ მეპ-ის წარმოებით მოსახლეობით ერთ სულზე. ეკონომიკური განვითარების დონით, ეკონომიკის სტრუქტურის ხასიათითა და სხვა მაჩვენებლებით დასავლეთი ევროპა რამდენიმე ჯგუფად იყოფა. (რეგიონის ძირითადი ეკონომიკური სიძლიერე მოდის ოთხ მსხვილ მაღალგანვითარებულ ქვეყანაზე: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი (აქ ცხოვრობს მოსახლეობის 50% და იწარმოება მშპ-ს 70%). დანარჩენები პატარა, მაგრამ მრეწველურად განვითარებული ქვეყნებია, რომლებიც ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდებიან მეპ-ის წარმოების მოცულობით. მათ შორის პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ესპანეთი, ნიდერლანდები, შვედეთი, ბელგია, შვეიცარია. ისინი ჩამორჩებიან რე-

გიონის მსხვილ ქვეყნებს 4-5-ჯერ და მათზე მოდის მშპ-ს 20%. მეორე ჯგუფში შედიან ავსტრია, დანია, ნორვეგია, საბერძნეთი, ფინეთი, რომელთა წილი მეპ-ში 8%-ია. მესამე ჯგუფშია პორტუგალია, ირლანდია, ლუქსემბურგი, ისლანდია, კვიპროსი, მალტა – 2%. ცალკე ჯგუფია ე.წ. ჯუჯა სახელმწიფოები – მონაკო, სან-მარინო, ანდორა, ლიხტენშტეინი.)

ევროპის ქვეყნები საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან ეკონომიკური განვითარების დონით. მაგალითად, ირლანდიის, საბერძნეთის, პორტუგალიისა და ესპანეთის ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე არ აღემატება ყველა მათგანის საშუალო მაჩვენებლის 60%, საკუთრივ პორტუგალიისა კი – 50%-ს.

დასავლეთი ევროპის ქვეყნების განვითარება ბოლო ათთხუთმეტ წელიწადში მიმდინარეობს სტრუქტურული ცვლილებების ნიშნით, რაც შეესაბამება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.(თუმცა არ შეიძლება არ ითქვას იმის შესახებაც, რომ იმავე პერიოდში გარკვეულ ჩამორჩენას ადგილი აქვს დარგობრივი სტრუქტურის პროგრესულ ცვლილებებში, ძირითად კონკურენტებთან შედარებით. მაგალითად, ნაკეთობებზე, რომელიც მაღალი მოთხოვნით სარგებლობს, მოდის გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის 25% ევროკავშირზე (შემდგომში – ეკ), 30% – აშშ-ზე და 40% – იაპონიაზე) დასავლეთი ევროპის ეკონომიკაში დიდი ადგილი უკავია რენტაბელურად ფუნქციონირებადი საწარმოო აპარატის მოდერნიზაციას (ნაცვლად მისი ძირეული განახლებისა უახლესი ტექნიკის ბაზაზე).

დასავლეთი ევროპის ქვეყნებზე მოდის მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების 20%. რამდენადმე გაუმჯობესდა ამ დარგის შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი, თუმცა აშშ-ის შესაბამის მაჩვენებელს ორჯერ ჩამორჩება. ეკ-ის მასშტაბით სოფლის მეურნეობის საქონლური პროდუქციის ძირითადი მწარმოებელია საფრანგეთი – 14,5%, გერმანია – 13%, იტალია – 10%, დიდი ბრიტანეთი – 8%. სოფლის მეურნეობის საკმაოდ მაღალი განვითარებულობა განაპირობებს დასავლეთი ევროპის ქვეყნების შესაბამისი პროდუქციით თვითუზრუნველყოფის ზრდას. მაგალითად, 80-იანი წლების ბოლოს ისინი 90%-ით და მეტით იკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. რაც შეეხება რძესა და რძის ნაწარმს, შაქარს, მარცვლეულს, კვერცხს – აღემატება საშინაო მოთხოვნილებას და ექპორტის საგანია.

(1990-იან წლებში დასავლეთ ევროპის პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში რამდენადმე შეიცვალა. ასე, მაგალითად, მისი ხვედრითი წონა მსოფლიო მეპ-ში 1970-1980 წლებში 25-დან 31%-მდე გადიდდა, ხოლო 90-იანი წლებისათვის შემცირდა 28%-მდე. თუ შევადარებთ მშპ-ისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს ეკ-სა, აშშ-სა და იაპონიაში) — 1985-1995 წლებში, შემდეგ სურათს მივიღებთ — მშპ-ს საშუალოწლიური ზრდის ტემპი შეადგენდა: 1986-1990წწ. ეკ-ში — 3,3%, აშშ-ში — 2,8%, იაპონიაში — 4,5%. 1991-1995წწ. შესაბამისი მაჩვენებლები იყო: 1,3; 2,2 და 1,3%. შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპი იყო 1986-1990წწ.: ეკ-ში — 1,9, აშშ-ში — 0,6, იაპონიაში — 3%. 1991-1995წწ. კი, შესაბამისად — 2,0; 1,1 და 0,5%.

(ძალიან დიდია დასავლეთი ევროპის ეკონომიკის სამეცნიერო-ტექნიკურ გამოკვლევათა პოტენციალი. წამყვანი ქვეყნები მასზე ხარჯავენ მშპ-ის 2%-ს. ამ მაჩვენებლით დასავლეთი ევროპა ჩამორჩება აშშ-ს, თუმცა ეს ჩამორჩენა სწრაფი დაძლევის ტენდენციით ხასიათდება) მაგალითად, თუ საკუთრივ ეკ-ის ქვეყნების შესაბამისი ხარჯები 1970წ. შეადგენდა აშშ-ის შესაბამისი ხარჯების მხოლოდ 37,4%-ს, 1990-იანი წლებისათვის მიაღწია მის 60%-ს.

(აღსანიშნავია ისიც, რომ ეკ-ის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ეროვნული ეკონომიკების მონოპოლიურ სტრუქტურათა სიმყარე. უმსხვილეს კომპანიათა კონტროლით ხორციელდება მეპ-ის დიდი ნაწილის წარმოება: 400 წამყვან სამრეწველო კომპანიაზე (დასავლეთი ევროპაში სულ 10 მლნ-ზე მეტი ფირმაა) მოდის დასაქმებულთა 39%, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის 38%. მსხვილი კაპიტალის სტრუქტურულმა გარდაქმნამ მნიშვნელოვნად განამტკიცა დასავლეთი ევროპის პოზიციები მსოფლიო მეურნეობაში) 70-80-იან წლებში მსოფლიოს 50 უმსხვილეს კომპანიათა რაოდენობაში ევროპული 9-დან 24-მდე გაიზარდა. ბუნებრივია, ყველა მათ საერთაშორისო ხასიათი აქვთ.

(დასავლეთი ევროპის ქვეყნებში 90-იანი წლების ეკონომიკური ზრდის თავისებურებაა ის, რომ მას საფუძველად უდევს თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც საყოველთაოდ ინერგება ევროპაში, ასევე ღრმა ცვლილებები ეკონომიკურ სისტემაში, ევროპული ინტეგრაციის ინტენსიური პროცესი და ევროკავშირის ქვეყნების საექსპორტო პოტენციალის ზრდა)

აღნიშნულ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა დერეგულირების პროცესი, რომელიც შეეხება ბიზნესის ისეთ სფეროებს, როგორიცაა საბანკო და ფინანსური საქმიანობა, ავიატრანსპორტი, ენერგეტიკა, მასმედია. ბოლო მოეღო, უწინარეს ყოვლისა, არაეფექტიან სახელმწიფო საწარმოთა მონოპოლიზმს, რამაც ახალი იმპულსი მისცა სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურებასა და კონკურენციულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

ევროპის ეკონომიკის დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გლობალურ კონკურენტუნარიანობას, შემდეგია: 1. ავიამშენებლობა (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი); 2. საბანკო საქმიანობა (დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, გერმანია, ესპანეთი); 3. ბიოტექნოლოგია (გერმანია); 4. ავტომშენებლობა (გერმანია, საფრანგეთი); 5. ციფრული ტელევიზია (საფრანგეთი); 6. ფინანსური მომსახურება (დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი); 7. დამზღვევა (ნიდერლანდები); 8. მობილური კავშირი (ფინეთი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი); 9. საგამომცემლო საქმე; 10. პროგრამული უზრუნველყოფა (გერმანია, ბელგია, ირლანდია); 11. წყალმომარაგება (საფრანგეთი); 12. საფეიქრო მრეწველობა (იტალია).

როგორია თანამედროვე დასავლეთევროპული ეკონომიკის ძირითადი პრობლემები? სანამ ამას ვუპასუხებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ განვითარების ევროპული მოდელი განსხვავებულია ამერიკული ტიპის ნეოლიბერალური მოდელისაგან უწინარესად იმით, რომ ისტორიულად ევროპაში ყოველთვის დიდი იყო სახელმწიფოსა და სახელმწიფო ეკონომიკის როლი ეკონომიკაში. ეს და სხვა თანამდევი მოვლენები ევროპის ეკონომიკურ სისტემას სოციალურად უფრო ორიენტირებულს ხდის, ვიდრე აშშ-ს, მისი სამოქალაქო საზოგადოება კი უფრო კონსოლიდირებული და შემოსავლების დონით ნაკლებად დიფერენცირებულია, ხელი ეწყობა სოციალური თანასწორობის მიღწევას.

მიუხედავად ამისა, დასავლეთი ევროპის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელი საკმაო პრობლემების წინაშე დგას. პირველი პრობლემა ევროპის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობაა. საქმე ისაა, რომ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოებრივი დაფინანსების პრიორიტეტი არის არა სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები, როგორც ეს აშშ-შია, არამედ სოციალური პროგრამები. ამასთან კავშირშია ისიც, რომ ევროპაში

პროფესიული მომზადების სისტემა ოდითგანვე ძირითად ყურადღებას ამახვილებდა სახელმწიფო სამსახურისათვის პოტენციური კადრების სწავლებაზე, რაც ნაკლებად უპასუხებს ბიზნესის მოთხოვნებს. შესაბამისად, ევროპის ქვეყნებში მართვის სისტემაც ნაკლებად ეფექტიანია, ვიდრე აშშ-ში.

მიუხედავად ასეთი ტექნოლოგიური პრობლემებისა, რიგ ევროპულ ქვეყანას საკმაოდ მაღალი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა აქვს (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია). ამასთან, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევისათვის დასავლეთი ევროპაში მოქმედებს თანამშრომლობის ერთიანი პროგრამები: ესპრიტი (ელექტრონიკის სფეროში), რასე (ტელეკომუნიკაციების სფეროში), კუბე (ბიოტექნოლოგიებში), ევრიკა (ევროპულ სახელმწიფოთა სამეცნიერო-ტექნიკურ კავშირურთიერთობაში). საბოლოოდ, საყოველთაოდ აღიარებულია დასავლეთი ევროპის დამსახურება ისეთი მეცნიერული მიმართულებების განვითარებაში, როგორიცაა ფარმაცევტიკა, ფუნდამენტური გამოკვლევები, კლასიკური ბიოტექნოლოგიები, თვითმფრინავმშენებლობა, კოსმოსური პროგრამები, მაღალი სიჩქარის მატარებლები, ატომური ენერგეტიკა, კავშირგაბმულობის საშუალებანი და ა.შ.

დასავლეთი ევროპის მეორე და ყველაზე ძირითადი პრობლემა არის ეკონომიკის ღრმა სტრუქტურული გარდაქმნის აუცილებლობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთი ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი აშშ-ზე გვიან შეუდგა განვითარების კეინზური მოდელისაგან ნეოკონსერვატიულ რეფორმებზე გადასვლას. ამიტომ ევროპა დგას იმის აუცილებლობის წინაშე, რომ ინტენსიურად გააგრძელოს დერეგულირების კურსი, გააფართოოს ეკონომიკის ლიბერალური სექტორების რიცხვი.

დასავლეთი ევროპის მესამე პრობლემაა რეგიონული ბაზრის, ევროპის ეკონომიკური სივრცის გაფართოება ცენტრალურ-აღმოსავლეთი ევროპის ხარჯზე.

ფაქტია, რომ ახალი წევრების მიღება ეკ-ში მოითხოვს მათი ეკონომიკური განვითარების დონის მიახლოებას წევრი-ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელთან, რაც დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამასთან, არცთუ ისე ერთფეროვანია ევროპის ბაზარი, როგორც გარედან ჩანს, ხოლო ეკ-ის სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკა განსხვავებულ მდგომარეობაშია. ინგლისური მოდელი ახლოსაა

ამერიკულ ლიბერალიზმთან, ხოლო გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ა.შ. სოციალური შერეული ეკონომიკისკენ იხრებიან)

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ასევე დასავლეთი ევროპის მეტოქეობა აშშ-სა და იაპონიასთან.

(საინტერესოა ეკ-ში სტრუქტურულ გარდაქნათა გამოცდილება და მისი ძირითადი გაკვეთილები. მათ შორის ერთ-ერთი მთავარია ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება (მშპ-ში სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მომსახურების სფეროს წილი, ასევე შიგადარგობრივი თანაფარდობა); მეორე, თანამედროვე შერეული ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილება (ეროვნულ მეურნეობაში სახელმწიფო და კერძო სექტორის თანაფარდობა); მესამე, მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურის ცვლილება.)

ბუნებრივია, სტრუქტურული გარდაქმნები ეკ-ის ყველა ქვეყანაში ერთნაირი სცენარით როდი მიმდინარეობდა. შეიძლება გამოვყოთ მისი ორი ძირითადი სახეობა: ა) ნეოლიბერალური ტიპის და ბ) ე.წ. სოციალურ-საბაზრო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნების სახით.

1980-იან წლებში ნეოლიბერალური ტიპის სტრუქტურული გარდაქმნები ხდებოდა ინგლისსა და ირლანდიაში. კერძოდ, შერეული ეკონომიკის ანგლოსაქსურ მოდელში არსებითი ძვრები მოხდა კერძო სექტორის სასარგებლოდ (ფართომასშტაბიანი პრივატიზება, დერეგულირების პროგრამები, საგადასახადო რეფორმა), რამაც გამოაცოცხლა სამეწარმეო აქტიურობა, შრომის ბაზარი, გამოიწვია უცხოური ინვესტიციების მოდინება, სახელმწიფო ფინანსების გაჯანსაღება. გამომდინარე აქედან, დღეისათვის ინგლისისა და ირლანდიის ეკონომიკა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით, უმუშევრობის დაბალი დონით, ვალუტის სიმყარით, მზარდი საშინაო და საგარეო მოთხოვნით ხასიათდება. შეიცვალა ასევე ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურაც. ორივე ქვეყანაში სწრაფად ვითარდება მრეწველობისა და მომსახურების სფეროს მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური დარგები.

მრეწველობის ტრადიციული დარგები, როგორიცაა მოპოვებითი და მძიმე მრეწველობა, უკვე აღარ დომინირებს მშპ-ს სტრუქტურაში. დღეისათვის დიდი ბრიტანეთისა და ინგლისის საექსპორტო პროდუქცია გამოირჩევა მაღალი კონკურენტუნარიანობით.

რაც შეეხება „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ტიპის სტრუქტურულ გარდაქმნებს, გარეგნულად ის უფრო მიმზიდველია განვითარების დიდი სტაბილურობის, მოსახლეობის სოციალური დაცულობის მაღალი დონისა და სხვათა გამო, მაგრამ მაკროეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ზოგიერთი ნაკლოვანება ახლავს თან. ეს ყველაზე მეტად ვლინდება იმით, რომ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ქვეყნებში არ ტარდება ან თითქმის არ ტარდება ინვესტიციისა და ირლანდიის მსგავსი რადიკალური სტრუქტურული ძვრები. რეფორმების შენელება შეიძლება აიხსნას კონტინენტური ევროპის მცხოვრებთა პრინციპულად განსხვავებული მენტალიტეტით, განვითარების სხვა ისტორიული ტრადიციებით, რომელშიც ყოველთვის ძლიერი იყო სახელმწიფოს როლი. ამის შედეგია აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალი ტემპები, ზოგ შემთხვევაში უმუშევრობის მაღალი დონე და სხვ.

(დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებაში უეჭველი წარმატებების მიუხედავად, დასავლეთი ევროპის ქვეყნების ეკონომიკა განიცდის განსაზღვრულ სტრუქტურულ სიძნელეებს. არასაწარმოო სფეროს, განსაკუთრებით ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში აშშ-თან შედარებით ჩამორჩენა, ასევე „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მოდელის თავისებური კრიზისი აიძულებს ევროპას კი არ შეჩერდეს მიღწეულზე, არამედ მოახდინოს თავისი მაკროეკონომიკური პოლიტიკის კორექტივი და მისი მისადაგება მსოფლიო ნოვაციებთან.)

3. ინტეგრაციული პროცესები დასავლეთ ევროპაში

(დასავლეთი ევროპის ეკონომიკურ განვითარებაზე სერიოზული გავლენა მოახდინა ინტეგრაციულმა პროცესებმა, რაც საერთაშორისო დონეზე მიმდინარეობს. დასავლეთ ევროპაში გამოიყოფა ქვეყნების ორი მთავარი ინტეგრაციული დაჯგუფება: ევროპული კავშირი და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (თვეა), ანუ ზონა. რამდენადაც ორ ინტეგრაციულ კავშირს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებაა, ფაქტობრივად, უკვე შეიძლება ლაპარაკი ერთიანი დასავლეთევროპული სივრცის წარმოშობის შესახებ, რომელიც მოიცავს ეკ-სა და თვეა-ს.)

ეკ-ში შედის (2000წ.) 15 ქვეყანა: ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია (ქვეყნების პირველი ექვსეული, რომლებმაც 1957წ. რომის შეთანხმებას მოაწერეს ხელი ევროპული ეკონომიკური გაერთიანების (ეეგ) შესახებ), დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და დანია (რომლებიც შეუერთდნენ ეეგ-ს 1973 წელს), საბერძნეთი (ეეგ-ში შევიდა 1981წ.), ესპანეთი და პორტუგალია (ეეგ-ის წევრები არიან 1986 წლიდან), ფინეთი, შვედეთი და ავსტრია (ეეგ-ში შევიდნენ 1995წ.).

თვეა-ში შედიან შვეიცარია, ლიხტენშტეინი, ისლანდია და ნორვეგია.

ევროპის გაერთიანების იდეას შორეული წარსული აქვს, მაგრამ ევროპის როგორც ერთიანი ეკონომიკური სივრცის განვითარება დაიწყო მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. დასავლეთი ევროპის ომისშემდგომ განვითარებაში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ეტაპები:

პირველი, 1945-1957 წლები – სახალხო მეურნეობის ომის შემდგომი აღდგენის პერიოდი, რაშიც კაპიტალისტური სამყაროს ერთადერთმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ლიდერმა აშშ-მ დიდი დახმარება გაუწია დასავლეთ ევროპას. 1948-1951წწ. აშშ-მ რეგიონში განახორციელა გრანდიოზული მარშალის გეგმა, რომლითაც ძირითადად დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს და გურ-ს მისცა 12,3 მლრდ დოლარის სახელმწიფო ასიგნება. ამავე გეგმით, კერძოდ, დასავლეთ გერმანიაში განსორციელდა ლ. ერჰარდის რეფორმა. 1948 წელს მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარებების რეგულირებისა და განაწილებისათვის შეიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ხოლო 1949 წელს – ევროპის საბჭო.

1950 წლიდან დიდი პოპულარობა მოიპოვა შუმანის (საფრანგეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი) გეგმამ ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძველზე აგების შესახებ, რომლის მიზანიც, საბოლოო ანგარიშით, ერთიანი ინტეგრაციული ევროპის შექმნა იყო. ევროპული ინტეგრაციის თეორიული საფუძველი გახდა ფრაიბურგის ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის ვალტერ ოიკენის სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია, რომლის არსია: კონკურენცია მონოპოლიის გარეშე და ურყევი კერ-

ძო საკუთრება, მეწარმეთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი).

(*მეორე* ეტაპი მოიცავს 1957-1974წწ., რაც არის ევროპული ინტეგრაციის დასაწყისი და ევროპული ქვეყნების განვითარების ექსტენსიური მოდელი. ამ პერიოდში ეეგ-ის მონაწილე ქვეყნები ახორციელებენ რომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პუნქტებს, რომელთა შორის აღსანიშნავია საბაჟო კავშირისა და საქონელთა საერთო ბაზრის შექმნა, საერთო-აგრარული და სავაჭრო პოლიტიკა, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია)

მოცემულ პერიოდში დასავლეთი ევროპის ეკონომიკური განვითარება ხასიათდება უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე აშშ-ის. ყველაზე დიდი წარმატება მიღწეულ იქნა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და საგარეო ვაჭრობის სფეროში, თუმცა აქაც, ისევე როგორც სხვაგან ყველგან, ეკონომიკური ზრდა არსებითად ექსტენსიური იყო. ზრდას საფუძვლად ედო მოთხოვნის ფორმირებაში კეინზური მოდელი სახელმწიფო ხარჯების გადიდებისა და საწარმოო შესაძლებლობების მოთხოვნის დონესთან მისადაგების გზით. ხორციელდებოდა სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკის აქტიური კონტროლი, მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოებრივი შეკვეთები და შესყიდვები. ევროპაში ექსტენსიური ზრდა ხასიათდებოდა დაგროვების მაღალი ნორმით, ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდით, კაპიტალაღჭურვილობისა და შრომის მწარმოებლურობის გადიდებით.

(*მესამე* ეტაპი, 1974-1985წწ. — მსოფლიო ეკონომიკური ციკლების, ეკონომიკის კეინზური განვითარების კრიზისისა და ინტეგრაციის პროცესის რამდენადმე შენელების პერიოდია) 1970-იანი წლების შუა პერიოდი ხასიათდება ეკონომიკური და სავალუტო მერყეობით, ხოლო 1981-1982წწ. — სამრეწველო წარმოების ახალი სერიოზული დაცემით. ამავე პერიოდში აშკარა გახდა ეკონომიკური ზრდის კეინზური მოდელის შეზღუდულობა და ევროპამ დაიწყო ეკონომიკაში სტრუქტურული რეფორმების განხორციელება. განახლებულ და მოდერნიზებულ იქნა ძირითადი საწარმოო ფონდები, გაიზარდა ამორტიზაციის ნორმა. ევროპის ბევრი ქვეყნის მთავრობა ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში მიმართავს ნეოკონსერვატიზმსა და სოციალურ რეფორმიზმს.

ინტეგრაციული პროცესების შესუსტების მიუხედავად, ის მაინც გრძელდებოდა. 1974წ. შეიქმნა ევროპის საბჭო თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურებისა და მთავრობების დონეზე. 1975წ. იქმნება რეგიონული განვითარების ფონდი. 1977 წლიდან დასავლეთ ევროპაში ყალიბდება სამრეწველო საქონლის საერთო ბაზარი. 1978-1979წწ. ამოქმედდა ევროპის სავალუტო სისტემა. 1979წ. გამოჩნდა საერთო-სავალუტო ერთეული ეკიუ. 1984 წლიდან დაიწყო საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რეფორმა და ა.შ.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მოკლედ მაინც განვიხილავთ დასავლეთევროპული ინტეგრაციის ძირითად მიმართულებებს, საქმიანობას, რაც ამ მიმართულებით განხორციელდა და ხორციელდება ინტეგრაციის მეშვეობით.

ამ მხრივ, უწინარესად, ინტერესს იწვევს საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, ინტეგრაციის ტექნოლოგიური, სავალუტო და სხვა ასპექტები და ა.შ.

მაგალითად, საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლეთევროპული ინტეგრაციის ჩამოყალიბებაში და, პირიქით. სოფლის მეურნეობის დარგში ინტეგრაციული პოლიტიკა მოიცავს ხუთი მთავარი ამოცანის უზრუნველყოფას: 1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სწრაფი და სტაბილური ზრდა; 2. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ცხოვრების მაღალი დონე; 3. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ბაზრების სტაბილურობა; 4. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარანტირებული მიწოდება; 5. მომხმარებელთათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მისაღები ფასები.

საერთო სოფლისმეურნეობრივი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია ფასწარმოქმნის მექანიზმი, დამუშავებული სოფლის მეურნეობის ძირითადი სახეობის პროდუქციაზე თითოეული რეგიონისათვის. დაწესებულ იქნა რამდენიმე კატეგორიის ფასი — ინდიკატური როგორც სასურველი, იმპორტის მინიმალური ფასები, ანუ ზღვრული მინიმალური გასაყიდი ფასები მწარმოებლებისათვის გარკვეული გარანტიებით და სხვ. ევროგაერთიანების ფარგლებში ასეთი პორტექციონისტული პოლიტიკა მწარმოებლებს იცავდა საბაზრო კონიუნქტურის მკვეთრი რყევებისაგან. ევროგაერთიანების ასეთმა გონივრულმა პოლიტიკამ 10-15 წელიწადში დასავლეთი ევროპა სოფლის მეურნეობის პრო-

დუქციის „წმინდა“ იმპორტიორიდან გადააქცია მეორე „წმინდა“ ექსპორტიორად მსოფლიოში. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დარგში საერთო პოლიტიკის განხორციელებამ დიდი ზემოქმედება მოახდინა ევროპული ინტეგრაციის პროცესების განვითარებაგაღრმავებაზე.

საინტერესოა ასევე ინტეგრაციის ტექნოლოგიური, სავალუტო და სხვა ასპექტები. საქმე ისაა, რომ ერთიანი ევროპული ბაზრის ფორმირებისათვის 1979წ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ევროპის სავალუტო სისტემის შექმნის შესახებ, რომლის მიზანიც იყო: „ვალუტის სტაბილური ზონის“ შექმნა ევროგაერთიანების ფარგლებში; ეკონომიკური განვითარების ინტეგრაციული პროცესების გამარტივება; სტაბილურობის პირობებში უპირატესობის მინიჭება ეკონომიკური ზრდისათვის რეალურად; მასტაბილიზებელი ზემოქმედება საერთაშორისო სავალუტო და ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ამ მიზნების რეალიზაციისათვის ხელშეწყობის მიზნით ევროპის სავალუტო სისტემის მთავარი ელემენტი გახდა ეკიუ — საანგარიშსწორებო ვალუტა.

(მეოთხე ეტაპია 1985-1992წწ. — ინტეგრაციის გაძლიერებისა და ხანგრძლივი ეკონომიკური აღმავლობის ხანა. ამ ეტაპის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: ინფლაციის შესუსტება, ვალუტათა კურსის სტაბილიზაცია, საქონელბრუნვის გაფართოება საგარეო ვაჭრობაში.) ამასთანავე, ეს პერიოდი არის ახალი ეპოქა ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებაში, რაც ხასიათდება ერთიანი საშინაო ბაზრის ჩამოყალიბების დასრულებით. ინტენსიურად ხორციელდებოდა ეეგ-ის კომისიის მიერ 1985 წელს მიღებული „თეთრი წიგნი“-ს სამასი კონკრეტული ღონისძიება ერთობლივი ეკონომიკური პოლიტიკის დარგში.

(1991 წლის დეკემბერში მაასტრიხტში ხელი მოეწერა შეთანხმებას ინტეგრაციის გაღრმავების, ევროპაში ჯერ კიდევ XXI-ის დადგომამდე ერთიანი ეკონომიკური, სავალუტო და პოლიტიკური კავშირის შექმნის შესახებ. 1992წ. თებერვალში იქვე ხელი მოეწერა ევროკავშირის შექმნას (უწინდელი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ახალი სახელწოდება — „ევროკავშირი“ მოქმედებს 1993 წელის 1 ნოემბრიდან), რაც მოწმობს დასავლეთი ევროპის გადასვლას განვითარების ახალ ეტაპზე) იმავე წლის მაისში ლისაბონში ორმა ევროპულმა გაერთიანებამ — ეკ-მ და ეთვო-მ მოი-

ლაპარაკეს დასავლეთი ევროპის 19 ქვეყნის ტერიტორიაზე ერთიანი ეკონომიკური სივრცის წარმოქნის შესახებ. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ევროპის სრული ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ჩამოყალიბება იყო. (ინტეგრაციის ერთ-ერთი რთული ეტაპი სწორედ ერთიანი საეალუტო-საფინანსო სისტემაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ და სავალუტო კავშირიდან „ერთიან ევროპულ ვალუტაზე" – „ევრო"-ზე მობილური გადასვლაა მიჩნეული) ბევრი პოლიტიკოსის თუ მეცნიერის აზრით, ევროპის თანამეგობრობა ყოველმხრივ სრულფასოვანი ვერ გახდება მანამ, სანამ ის ემყარება ეროვნულ დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა ფულად სისტემას და, შესაბამისად, აუცილებელია ზეეროვნული ერთიანი ფულადი ერთეული. (ამ უკანასკნელის უპირატესობებად მიჩნეულია: პირველი, მაკროეკონომიკურ დონეზე, ინტეგრირებული ქვეყნების ერთიანი საბიუჯეტო დისციპლინისა და ფულადი ბაზრების უნიფიკაცია ზეეროვნული საფინანსო ინსტიტუტების „ქუდქვეშ", შესაძლებლობას იძლევა წარმატებით ებრძოლონ ინფლაციას, შემცირდეს სარგებლის განაკვეთი, ხოლო შემდგომ – გაღასახადებიც, რაც ხელს შეუწყობს წარმოებისა და დასაქმების ზრდას, საბოლოო ანგარიშით – სახელმწიფო ფინანსების სტაბილურობას; მეორე, სამეურნეო ოპერაციებისათვის ერთიანი სავალუტო პოლიტიკა და ერთიანი ვალუტა ნიშნავს ფულად-საკრედიტო და სავალუტო ურთიერთობათა უნიფიცირებას ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე; მესამე, ერთიან ვალუტას „ევროს" სახით, უნარი აქვს მტკიცე კონკურენცია გაუწიოს დოლარს და იენს, ვინემ ეროვნულ ვალუტებს; მეოთხე, უფრო მკაცრი ხდება მოთხოვნები ევროკავშირში შესვლის მოსურნე ქვეყნების (განსაკუთრებით, აღმოსავლეთი ევროპის) ფინანსურ თუ სხვა მდგომარეობაზე)

დახასიათებულ პერიოდში თვისებრივი ძვრები მოხდა წარმოების სფეროში, რომლის ზრდის მაღალ ტემპებს საფუძვლად დაედო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. სწრაფი ტემპებით განვითარდა მომსახურების სფერო, მოწინავე ტექნოლოგიის ბაზაზე მოხდა რადიკალური ცვლილებები წარმოების დარგობრივ სტრუქტურაში, განსაკუთრებით ელექტრონიკის პროდუქციის წილის გადიდებით.

1993 წლიდან იწყება ევროპული ინტეგრაციისა და ეკონომიკის ახალ მოდელზე გადასვლის ეტაპი. დასავლეთი ევროპა სულ უფრო ხდება ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ხოლო ევროკავშირი სულ უფრო ღრმავდება და ვითარდება. 1990-იანი წლების ეკ-ის სტრატეგია ეკონომიკურ, სავალუტო და პოლიტიკურ კავშირზე თანმიმდევრული გადასვლაა. რაც მთავარია, 90-იანი წლების ბოლოს ევროპა ხდება ერთიანი: ერთიანი მოქალაქეობით, ეკ-ის შიგნით უვიზოდ გადაადგილების უფლებით, ხოლო ევროპარლამენტი ახალ უფლებებს იძენს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვაში. ეკ-ის სამი ძირითადი საყრდენია: 1. მთელი პოლიტიკა საბაჟო კავშირისა და ერთიანი საშინაო ბაზრის ფუნქციონირების, ერთიანი სავალუტო სისტემის წარმოქნისა და განვითარებისაკენ; 2. საერთო საგარეო პოლიტიკა და უშიშროების პოლიტიკა; 3. თანამშრომლობა საშინაო პოლიტიკასა და იუსტიციის დარგში.

ამასთან, ევროპული ინტეგრაცია ფართოვდება. 1995წ. 1 იანვრისთვის ეკ-ის ქვეყნები 15 გახდა (მიღებულ იქნა ავსტრია, ფინეთი და შვედეთი). მიღების რიგში არის ცენტრალურ-აღმოსავლეთი ევროპის კიდევ ათი ქვეყანა, ასევე თურქეთი, კვიპროსი და მალტა.

ერთიან სავალუტო სისტემაზე გადასვლა ეკ-სთვის ნიშნავს ერთიანი ევროპული ვალუტის — ევროს შემოღებასა და ევროპის ცენტრალური ბანკის შექმნას.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს იმის შესახებ, რომ კონვერგენციის მაასტრიხტის კრიტერიუმებით, ქვეყანამ, რომელიც უერთდება ერთიან სავალუტო სისტემას (ესს), უნდა დაიცვას შემდეგი პირობები:

— ინფლაცია არ უნდა აღემატებოდეს 1,5%-ზე მეტით ესს-ში შემავალი სხვა ქვეყნების ინფლაციის საშუალო დონეს;

— სარგებლის განაკვეთის დონე არ უნდა იყოს 2%-ზე მეტით მაღალი მინიმალური ინფლაციის მქონე სარგებლის საშუალო განაკვეთზე;

— სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დონე არ უნდა იყოს მშპ-ს 3%-ზე მეტი;

— დასაშვები სახელმწიფო ვალი შეზღუდულია მშპ-ს 60%-ით;

— ორი წლის მანძილზე ქვეყნის ვალუტა არ უნდა განიცდიდეს დევალვაციას, ხოლო მისი გასაცვლელი კურსი უნდა აკმაყოფილებდეს სავალუტო რყევის დასაშვებ ზღვრებს.

დასახულ და განხორციელებულ იქნა ასევე ესს-ის აგების სამი ეტაპი:

1. 1990წ. 1 ივლისი – 1993წ. 31 დეკემბერი – ერთიანი ევროპული ბაზრის ფორმირების დასრულება და საავალუტო კონვერგენციის კრიტერიუმთა დამუშავება;

2. 1994წ. 1 იანვარი – 1998წ. 31 დეკემბერი – საავალუტო კავშირის ინსტიტუციური, ადმინისტრაციული და იურიდიული ბაზის შექმნა;

3. 1999წ. 1 იანვარი – 2002წ. 30 ივლისი – ერთიანი ევროპული ვალუტის – ევრო-ს ეტაპობრივი შემოღება.

1998 წელი ფაქტობრივად იყო მოსამზადებელი პერიოდი, იმ ქვეყნების დამტკიცება, რომლებიც შედიან ევროს შემოღების სიერცეში. ეკ-ის სულ 11 ქვეყანამ მიიღო ასეთი შესაძლებლობა. დიდმა ბრიტანეთმა და დანიამ ჯერჯერობით დაახანეს ევროს შემოღება, შვედეთი არ შედის ესს-ში, ხოლო საბერძნეთს სერიოზული პრობლემები აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტთან დაკავშირებით.

ესს-ს წარმოქმნისა და ევროს შემოღების უპირატესობა ისაა, რომ ევროს შეუძლია გახდეს ძლიერი ვალუტა – დოლარის ყველაზე რეალური კონკურენტი. ევრო შეამცირებს საავალუტო რისკს, ევროპული ვალუტების ერთიმეორეზე გადაცვლის ხარჯებს. ევრო გააერთიანებს ეკ-ის ✱ ქვეყნის ოდესღაც განცალკევებულ ბაზრებს ერთიან მძლავრ ბაზრად, რომელიც კონკურენტუნარიანობით ტოლს არ დაუდებს აშშ-ს.

ყოველივე აღნიშნულ პროცესს თან ახლავს დასავლეთი ევროპის ახალი ეკონომიკური ზრდა, განვითარების მაკროეკონომიკური მოდელის მორიგი კორექტივებით. სახეზეა ეკონომიკის ფართომასშტაბიანი დერეგულირებისა და რეკონსტრუქციის პროცესი, რაც მოასწავებს ევროპის გადასვლას ზრდის ახალ მოდელზე, „ახალი ეკონომიკის" ევროპულ ვარიანტზე. დღეისათვის ევროკავშირი წარმოადგენს მძლავრ ეკონომიკურ ბლოკს, რომელიც ღირსეულ კონკურენციას უწევს აშშ და იაპონიას. ევროკავშირი მსოფლიოში უმსხვილესი და მაღალგანვითარებული ეკონომიკური ბლოკია, 3,2 მლნ კვ.კმ საერთო ფართობით, 325 მლნ კაცით, 8900 ტრლნ დოლ. მშპ-ით, ეკ-ზე მოდის მსოფლიო ეაჭრობის 21% (აშშ-ზე – 20%).

ევროკავშირის ქვეყნების ზოგიერთი ძირითადი მახასიათებელი მითითებულ ცხრილში.

ევროკავშირის ქვეყნების
ძირითადი მახასიათებლები (1999წ.)[1]

ქვეყანა	მოსახლ. მლნ კაცი	ტერიტ. ათას კვ.კმ.	მშპ მლრდ დოლ.	მშპ მოსახლ. ერთ სულზე	მშპ-ს ზრდა (%)	ინ-ფლა-ცია (%)
ავსტრია	8,1	83,8	217,9	26,7	2,4	1,0
ბელგია	10,2	30,5	262,8	25,6	2,6	1,6
გერმანია	82,7	357	2260,4	27,3	2,3	1,4
დანია	5,3	43,1	173,8	32,5	1,8	2,4
დიდი ბრიტა-ნეთი	59,5	244,1	1423,8	23,9	2,6	2,6
ესპანეთი	39,4	504	576,8	14,6	2,9	2,3
ირლან-დია	3,7	70,3	98,1	26,5	6,8	2,6
იტალია	57,8	301	1236,9	21,4	2,1	2,0
ლუქსემ-ბურგი	0,4	2,6	–	–	–	–
ნიდერ-ლანდები	15,9	41,5	431,6	27,2	2,7	2,0
პორტუგა-ლია	10,04	92	116,7	11,6	2,6	2,7
საბერ-ძნეთი	10,6	132	125,7	11,8	3,7	2,0
საფრან-გეთი	58,7	551	1464,9	25,0	2,7	1,1
ფინეთი	5,2	337	145,0	28,0	3,8	1,7
შვედეთი	8,9	450	252,4	28,4	3,3	1,7

დასაელეთი ევროპის გაერთიანებით ორი დიდი მიზანი იქნა მიღწეული: 1. შეიქმნა ერთიანი, ინტეგრირებული მიგა ბაზარი; 2. ჩამოყალიბდა ევროკავშირი. სამომავლო ამოცანაა ევროკავშირის შემდგომი განვითარება და დახვეწა. მთავარი მიზანია XXI ს. დასაწყისიდან ევროპა „მოქალაქეთა ევროპა" გახდეს.

ღღეისათვის უკვე მიღწეულია ის, რომ ეკ-ის ყველა მოქალაქე, საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს მოქალაქეობასთან ერთად,

[1] **А.Г. Мовсесян. С.Б. Огнивцев**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 477.

იმავდროულად ეკ-ის მოქალაქეც არის. მას აქვს ერთიანი ეროვნული პასპორტი და საგრანსპორტო საშუალებათა მართვის ერთიანი მოწმობა. ეკ-ის ყველა მოქალაქეს აქვს კავშირის ტერიტორიებზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადაადგილების, სწავლის, მუშაობის, სარეკრაციო ადგილის არჩევისა თუ პენსიაზე გასვლის, მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება როგორც საკუთარი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ასევე ეკ-ის ნებისმიერ ქვეყანაში.

დღეისათვის უკვე შექმნილია ევროკავშირის ზესახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც მოიცავს: ევროპის საბჭოს, ევროპის პარლამენტს, ევროკავშირის საბჭოს, ევროპის კომისიას და ევროპის სასამართლოს.

ევროპის საბჭო განსაზღვრავს საბჭოს საქმიანობის ძირითად სტარატეგიულ მიმართულებებს და გადაწყვეტილებებს იღებს სესიებზე, რაც ტარდება წელიწადში 2-ჯერ მაინც.

ევროპარლამენტი აირჩევა 5-წლიანი ვადით და შედგება 626 დეპუტატისაგან, რომელთა რაოდენობაც თითოეული ქვეყნიდან დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნობაზე. საბჭო და პარლამენტი იღებენ გადაწყვეტილებას ერთობლივად რიგ მნიშვნელოვან საკითხზე.

ევროკავშირის საბჭო (მინისტრთა საბჭო) შედგება სახელმწიფო – წევრების მთავრობათა მინისტრებისაგან. მინისტრთა საბჭო ფლობს რეალურ ხელისუფლებას – ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას ევროკავშირის კანონმდებლობის ყველა ასპექტზე.

ევროკომისია არის აღმასრულებელი ორგანო და პასუხისმგებელია ხელისუფლების ფუნქციათა მესრულების დაცვაზე. კომისია დამუშავებს და ცხოვრებაში ატარებს ევროკავშირის პოლიტიკას.

ევროსასამართლო მოწოდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების დაცვა კანონით. ის გამოდის როგორც ევროკავშირის უმაღლესი სააპელაციო სასამართლო.

როგორც აღინიშნა, ეკ-ის წინაშე ახლა კვლავ ორი დიდი ამოცანა დგას: 1. ეკ-ის გაფართოება და 2. წევრ-სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაღრმავება. ბუნებრივია, ეკ-ში გაერთიანების მსურველი ქვეყანა ბევრია, მაგრამ მთავარია მასში ახალ სახელმწიფოთა მიერთებით არ დაირღვეს ეკ-ში არსებული მოწესრიგებული ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები.

ეკ-ის სამომავლო ამოცანები სცილდება მის წევრ-სახელმწიფოთა ამოცანების ფარგლებს და მოიცავს ისეთ გლობალურ პრობლემებს, როგორიცაა: უსაფრთხოების შექმნა ევროპასა და მთელ მსოფლიოში, ხანგრძლივი სამშვიდობო წესრიგის დამყარება ევროპაში, ტერორიზმისა და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ბრძოლა რასიზმის წინააღმდეგ და ჩამოსულ უცხოელთა მიმართ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების აღმოფხვრა, ჭარბმოსახლეობის, სიღარიბის, შიმშილის პრობლემებისა და კონფლიქტების დაძლევა მსოფლიოში, ზღვის აუზის, ფლორისა და ფაუნის დაცვა და სხვ.

ამ და სხვა ამოცანების გადაწყვეტა უეჭველად ხელეწიფება ძლიერი ეკონომიკის მქონე თანამედროვე ევროპას მსოფლიოს ყველა პროგრესულ ძალასთან ინტეგრირებული საქმიანობით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირის გაფართოების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ზოგი თავისებურებით მთელ წინა პერიოდთან შედარებით. ევროგაერთიანების ფუნქციონირების ადრეულ ეტაპზე მასში ამა თუ იმ ქვეყნის შესვლა განიხილებოდა ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის არსებობით, თუნდაც ის არ ყოფილიყო მაღალგანვითარებული ქვეყანა.

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირში შესვლისადმი მიდგომები შეიცვალა. მასში შესვლის კანდიდატია გარდამავალი ეკონომიკის მქონე რამდენიმე ქვეყანა, რომელთა წინაშეც დგას საბაზრო მეურნეობის ფორმირების ამოცანა. დღეისათვის ევროკავშირმა ოფიციალურად აღიარა მასში შესვლის 11 კანდიდატი-სახელმწიფო, მათ შორის პირველ რიგში არიან: უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვენია, ესტონეთი, ასევე კეიპროსი. „მეორე რიგის" კანდიდატებია: ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი, რუმინეთი და ბულგარეთი.

ევროკავშირის გაფართოების კონკრეტული ვადების განსაზღვრა ამჟამად საკმაოდ რთულია. პირველი რიგის კანდიდატებისათვის შესვლა ნავარაუდევია 2003-2004 წლებში, მეორე ჯგუფისა – 2006-2007 წლებში.

რაც შეეხება ამის შემდეგ ევროკავშირში მიღების პოტენციურ კანდიდატებს, მსჯელობა იქნება არა უადრეს 2005 წლისა. ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ შვეიცარია და ნორვეგია – ბოლო ორი დასავლეთევროპული ქვეყანა განვითარებული ქვეყნების რანგიდან, რომლებიც კავშირს გარეთ არიან დარჩენილი. მაგრამ მათი

ევროკავშირის წევრობა საკმაოდ პრობლემატურია, თუმცა ეკონომიკურად ისინი ამისთვის დიდი ხანია მზად არიან. შვეიცარიისათვის ევროკავშირში შესვლის ეკონომიკური სტიმული შეზღუდულია იმით, რომ ქვეყანას გააჩნია რიგი პირველხარისხოვანი ტნკ, რომლებმაც ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანების გარეშეც, პირდაპირი ინვესტიციების მეშვეობით მყარად დააფიქსირეს თავიანთი არსებობა კავშირის სიერცეში. არის კავშირში არშესვლის სხვა ფაქტორებიც, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ შვეიცარიას აქვს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, რომლის შეცვლაც საკმაოდ ძნელია.

იგივე შეიძლება ითქვას ნორვეგიის შესახებაც. ამ ქვეყანამ ორჯერ დადო შეთანხმება ევროკავშირთან მასში შესვლის თაობაზე, მაგრამ ის ორივეჯერ უარყო ნორვეგიის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმმა და, შესაბამისად, რატიფიცირებული არ არის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თურქეთი, რომელიც დიდი ხანია შეუპოვრად ცდილობს ევროკავშირში შესვლას, მაგრამ ეს უკანასკნელი ეკონომიკურად ობიექტურად არ არის დაინტერესებული თურქეთის სრული წევრობით. ამ შემთხვევაში მას შეუზღუდავად უნდა გაეხსნა მისთვის ევროკავშირის შრომის ბაზარი, რაც უმუშევრობის თანამედროვე დონის პირობებში, კავშირისათვის კოლოსალურ პრობლემებს შექმნიდა. არის ასევე პოლიტიკური მოტივებიც (არასრული დემოკრატია, ისლამური ფუნდამენტალიზმის გაძლიერება და ა.შ.), რომელთა გამო თურქეთის ევროკავშირში გაერთიანების საკითხი ეკ-ისათვის არააქტუალურია.

თავი III

ამერიკის შეერთებული შტატების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი

1. აშშ-ის ზოგადი დახასიათება

(აშშ მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერია, ხოლო ტერიტორიითა და მოსახლეობით მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ქვეყანაა. 9,7 მლნ კვ.კმ ტერიტორიაზე ცხოვრობს 270 მლნ ადამიანი. მწარმოებლური ძალების განვითარების დონით, ეკონომიკის მასშტაბებით აშშ მნიშვნელოვნად აღემატება სხვა განვითარებულ ქვეყნებს.) შესაბამისად, აშშ-ში ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობა და დინამიზმი მთელი მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი გენერატორია, ის უშუალოდ ზემოქმედებს სხვა ქვეყნების სამეურნეო ციკლის მსვლელობასა და ცვლილებებზე, საერთაშორისო ეკონომიკური გაცვლის სტრუქტურაზე. აშშ აწარმოებს ყველა ქვეყანაზე მეტ საქონელსა და მომსახურებას, ხოლო 90-იანი წლების ბოლოს მისი მშპ შეადგენდა თითქმის 8 ტრლნ დოლარს, რაც მთლიანი მსოფლიო პროდუქტის 25%-ია.) ეს მაშინ, როცა შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენს: ჩინეთისა — 12%-ს, იაპონიისა — 7%-ს, გერმანიისა — 5%-ს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ აშშ-ში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მოდის მშპ-ის თითქმის ყველა სხვა განვითარებულ ქვეყანაზე მაღალი მაჩვენებელი — 34 ათასი დოლარი.

90-იან წლებში აშშ-ის ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 2,2% იყო. ეს აღემატებოდა „დიდი შვიდეულის" ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ხვედრითი წონა უახლესი ტექნოლოგიების მსოფლიო წარმოებაში 45%-ს შეადგენს. აშშ აწარმოებს 400 მლნ ტ მარცვლეულს, რომლის ნახევარზე მეტი საექსპორტოა.

(აშშ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით (ფლობს 100-ზე მეტი სახეობის სასარგებლო წიაღისეულს), განსაკუთრებით კი ნავთობით, ბუნებრივი გაზით, ქვანახშირით, ფერადი და ძვირფასი ლითონებით (თუმცა აშშ-ს არ გააჩნია ისეთი სტრატეგიული ლითონები, როგორიცაა ქრომი, მარგანეცი, ვოლფრამი და კობალტი). ხელსაყრელი

ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ნაყოფიერი მიწები მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობის განვითარების საწინდარია)

(აშშ-ს მთელი მიწის ფონდიდან — 770 მლნ ჰა (ალიასკის გარეშე), სოფლის მეურნეობისათვის გამოიყენება 580 მლნ ჰა, ე.ი. 75,3%. აშშ-ის მოსახლეობა ჩამოყალიბდა მასობრივი იმიგრაციის შედეგად, რომელიც მიიზიდა თავისუფალმა მიწებმა, მაღალმა ხელფასმა და სხვა შემოსაელებმა, ასევე პოლიტიკურმა თავისუფლებამ. დღეისათვის აშშ-ის მოსახლეობის სტრუქტურა ასეთია: თეთრკანიანები, აფრიკელები, ლათინური ამერიკისა და აზიური წარმოშობის ხალხები) მოსახლეობის დიდ ნაწილს „თეთრები" შეადგენენ (84%), რომლებიც უმეტესად ინგლისური წარმოშობის არიან, სსვები კი ჩამოსულია ირლანდიიდან, შოტლანდიიდან, გერმანიიდან, იტალიიდან და სხვ. საკმაოდ ძლიერია ებრაელთა, რუსების, პოლონელთა და უკრაინელთა დიასპორები. მართალია, სახელმწიფო ენა ინგლისურია, მაგრამ 30 მლნ-ზე მეტი ადამიანი სარგებლობს მეორე ენით, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია ესპანური, ჩინური, რუსული, პოლონური, ასევე კორეული, იაპონური, ბერძნული, სომხური და ა.შ.

(საერთოდ, აშშ-ის ეკონომიკის თანამედროვე დონე განვითარების ხანგრძლივი პერიოდის ნაყოფია და მიღწეულია ბევრი ხელშემწყობი ფაქტორის წყალობით. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი, როგორც აღინიშნა, არის ის, რომ ქვეყანას აქვს მდიდარი ბუნებრივი რესურსები და ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები. საკმარისია აღინიშნოს, რომ აშშ-ზე მოდის მსოფლიოს მინერალური რესურსების (ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ქვანახშირი, ფერადი და ძვირფასი ლითონები) 20%) ამასთან, ზომიერი კლიმატისა და მაღალნაყოფიერი მიწების სიუხვე შესაძლებლობას იძლევა წარმოებულ იქნეს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სახეობის პროდუქცია დიდი რაოდენობით.

(აშშ-ის ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი ფაქტორი ისიცაა, რომ მასზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ომებს. მოხდა პირიქით — მისი ტერიტორიის გარეთ წარმოებულმა მსოფლიო ომებმა წაახალისა აშშ-ის ეკონომიკის მძლავრი ზრდა და რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ამ მხრივაც ომიდან უფრო ძლიერი გამოვიდა)

აშშ-ის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ იქ ფაქტობრივად არ არსებობდა კაპიტალისტურამდე-

ლი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობები, რასაც შეეძლო ხელი შეემალა მწარმოებლური ძალების სწრაფი განვითარებისათვის. შეიძლება ითქვას, აქ „ცარიელ ნიადაგზე“ წარმოიშვა კონკურენციული საბაზრო ურთიერთობები, რამაც აქტიურად შეუწყო ხელი ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, ზრდადმა სამომხმარებლო ბაზარმა სტიმული მისცა მასობრივი წარმოების, მათ შორის განსაკუთრებით — საბაზრო დარგების განვითარებას.

(ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ს პირველმოსახლეთა (გადასახლებულთა) ძირითადი მასა პროტესტანტები იყვნენ, რომელი მოძღვრების მიხედვითაც მუშაობა მოვალეობაა, შრომა — ადამიანის მოწოდება. უფრო მეტიც — შრომა ცოდვებისგან იხსნის და ღვთის სასუფეველში მოხვედრის საგზურია. პროტესტანტიზმი მხარს უჭერს ბიზნესის წარმატებას, სირცხვილად მიიჩნევს სიღარიბეს, ადიდებს სიმდიდრეს, ქვეყნის ტექნოლოგიურ გარდაქმნასა და ეკონომიკურ რაციონალიზმს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ამერიკის ეკონომიკის წარმატებასა და დიდი მატერიალური სიმდიდრის შექმნას. მით უფრო, რომ პროტესტანტული მესიანელობა ემხრობა უნიეერსალური საბაზრო მოდელისა და ღირებულებათა ლიბერალური სისტემის ფუნქციონირებას.)

ამ, ასე ეთქვათ, ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, აშშ-ის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა განაპირობა გერგილიანობის სპეციფიკურმა ამერიკულმა კულტმა — ამერიკული საზოგადოების განმასხვავებელი ნიშანი ხომ წარმატებისაკენ დაუოკებელი მისწრაფებაა. ამან თავი იჩინა არა მარტო ფართო მასების სამეწარმეო თუ სხვა საქმიანობაში აქტიურობითა და მიზანსწრაფულობით, არამედ მენეჯმენტში, წარმოების გაძღოლაში როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე. ამის ნათელი გამოხატულებაა ის, რომ აშშ-ში დროულად ხდებოდა ეკონომიკურ პოლიტიკაში კარდინალური მობრუნებები კეინზიანელობიდან ნეოკონსერვატიული მიმართულებებისაკენ (რისი ბირთვიც მონეტარიზმია), აქედან კი — გარკეეული მობრუნება ნეოკეინზიანელობისაკენ სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერების მიზნით, რაც განსაკუთრებით 1992 წლიდან შეიმჩნევა.

დაბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ აშშ-ში მკაცრად ხორციელდება მიზანსწრაფული, თანმიმდევრული და ეფექტიანი ეროვნული ერთიანობის პოლიტიკა, რაც ემყარება მკაცრ კანონ-

მდებლობას, რათა დაუყოვნებლივ აღიკვეთოს ეროვნული და რასობრივი უთანასწორობის ყოველგვარი გამოვლენა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ აშშ-ში ჩამოყალიბებულია ერთიანი ამერიკული ცივილიზაცია, რასაც მრავალი სხვადასხვა აქ გადმოსახლებული ერის კულტურა და ტრადიცია უდევს საფუძველად.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე აშშ ჩამოყალიბდა და ეითარდება მსოფლიოში როგორც ყველა მიმართებით მძლავრი და ლიდერი ქვეყანა, რომელიც ფლობს აურაცხელ მატერიალურ სიმდიდრეს (ის. ცხრილი).

აშშ-ს მატერიალური სიმდიდრის დინამიკა და სტრუქტურა (1992წ. ფასებით – მლრდ დოლ. და %-ობით)[1]

წლები	სულ	კერძო სექტორი (საცხოვ. ბინების გარეშე)	სახელმწიფო სექტორის საკუთრება		საოჯახო საკუთრება და არენდა		
			სულ	8.3. ფედ ერალური	სულ	საცხოვრ. ბინები	ქონება
1929	3528	1530(43%)	446(13%)	84,3	1552(44%)	1398	154
1940	3805	1459(39%)	739(19%)	166	1607(42%)	1451	156
1960	7243	2390(34%)	1903(30%)	929	2950(36%)	2532	418
1973	11690	3969(34%)	2837(24%)	1030	4884(42%)	4005	879
1982	14872	5359(36%)	3204(22%)	974	6309(42%)	5072	1237
1995	20559	7280(35%)	4147(20%)	1137	9132(45%)	6891	2241

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2001, №8, გვ. 75.

2. აშშ-ს სოციალურ-ეკონომიკური მოდელის რეტროსპექტივა

ამშ ფედერაციული რესპუბლიკაა, რომელიც 50 შტატისაგან შედგება. დღეს მოქმედი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1787 წელს ფილადელფიაში მოწვეული კონვენტით. აშშ-ს ტერიტორია, ევროპელების მიერ ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაციამდე, დასახლებული იყო ინდიელებითა და ესკიმოსებით. 1492 წელს კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ დაიწყო ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაცია ევროპელების (ესპანეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, პოლანდია, შვედეთი) მიერ. XVIII საუკუნეში რუსებმა აღმოაჩინეს ალიასკა და დაიწყეს მისი ათვისება. XVIII საუკუნის ბოლოს კალიფორნიაში აღმოცენდა ესპანური, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში — რუსული დასახლებები. 1775-83წწ. ჩრდილოეთ ამერიკის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის დასრულდა კოლონიური უღლის გადაგდებითა და დამოუკიდებელი ამერიკული სახელმწიფოს წარმოშობით. 1776 წლის 4 იელისს აშშ-მ მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია, 1783 წლის ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებით, აშშ-ს დამოუკიდებლობა ცნო დიდმა ბრიტანეთმა.

1861-77წწ. აშშ-ში ადგილი ჰქონდა ბურჟუაზიულ რევოლუციას, რომელმაც ორ ეტაპად ჩაიარა: პირველი, სამოქალაქო ომი — 1861-65წწ., რომლის მსვლელობაში ლიკვიდირებულ იქნა მონობა და სამხედრო დამარცხება იგემა კონტრევოლუციურმა ძალებმა; მეორე ეტაპი იყო 1865-77წწ. — ბრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნების დასრულებისათვის სამხრეთში. რევოლუციამ შეცვალა სამხრეთის სოციალური წყობა, დემოკრატიულად გადაწყვიტა მიწის საკითხი და აშშ-ს დიდ ტერიტორიაზე საბოლოოდ გაიმარჯვა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ფერმერულმა გზამ.

აშშ-ს მიერ 1776წ. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების დროიდანვე ქვეყანაში აღმოცენდა ეკონომიკური პოლიტიკის ორი მიმდინარეობა, რომელთაც სათავეში ედგნენ მსოფლიოში აღიარებული ადამიანები, „ამერიკის მამები“ თ. ჯეფერსონი (აშშ-ს პრეზიდენტი 1801-09წწ. რესპუბლიკელი) და ა. ჰამილტონი (აშშ-ს ფინანსთა მინისტრი). პირველი თვითრეგულირებადი, თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების იდეას იცავდა, მეორე — ეკონომიკის სახ-

ელმწიფოებრივი რეგულირების პოზიციებზე იდგა. შემდგომში ჯეფერსონის იდეას იცავდნენ ძირითადად რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, ხოლო ჰამილტონისას — დემოკრატიული პარტიის მომხრეები. თუმცა, მათ შორის არ იყო შეურიგებელი ბრძოლა — ორივე პარტიაში იყვნენ პრაგმატისტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ქვეყნის განვითარების მოცემული ეტაპისათვის ყველაზე ეფექტიან პოლიტიკას — იქნებოდა ეს სახელმწიფო რეგულირებისა თუ სავსებით ლიბერალური პოლიტიკა.

სწორედ ასეთმა პოლიტიკამ განაპირობა აშშ-ს ძლიერი ეკონომიკის ჩამოყალიბება და მისი უწყვეტი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია XX საუკუნის 20-იანი წლები, რაც აშშ-ს ეკონომიკის აყვავების პერიოდი იყო, თუმცა 30-იან წლებში მსგავსად მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნისა, აშშ-მაც იწვნია ეკონომიკური კრიზისი, რასაც მალე დეპრესია მოპყვა. ამ პროცესიდან გამოყვანაში დიდი როლი შეასრულა პრეზიდენტ რუზველტის ეკონომიკურმა პოლიტიკამ „ახალი კურსის" სახით, რაც გამოიხატა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევით, ანუ კეინზური მეთოდის გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა ქვეყანას. ომის შემდგომ პერიოდში — კარტერის პრეზიდენტობის ბოლომდე (1980წ.) — აშშ-ს ეკონომიკური პოლიტიკა მთლიანად ემყარებოდა ერთობლივი მოთხოვნის აქტიურ სახელმწიფოებრივ რეგულირებას ბიუჯეტის შესაბამისად გამოყენების საფუძველზე.

ყოველივე ამან, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, აშშ-ს ეკონომიკას მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა, თუმცა 80-იანი წლების დასაწყისში, კაპიტალისა და წარმოების ინტერნაციონალიზაციისა და მეგაეკონომიკის ფორმირების ინტენსიური პროცესების შედეგებმა, ნათელი გახადა, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კეინზური მეთოდის ეფექტიანობა საკმაოდ დაეცა. ეს გარკვეულწილად მოასწავებდა ახალი ეკონომიკური ეპოქის დადგომას, რომლის ლოზუნგი გახდა პრეზიდენტ რეიგანის სიტყვები, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: ეკონომიკის პრობლემებს მთავრობა ვერ გადაწყვეტს, მისი ჩარევის გარეშე უკეთ გადაწყდება ის, რამდენადაც მთავრობა თვითონაა პრობლემა.

რესპუბლიკელი პრეზიდენტების — რეიგანისა და ბუშის (1981-1992წწ.) ნეოკონსერვატიულ პოლიტიკას საფუძვლად დაედო ნო-

ბელის პრემიის ლაურეატების მ.ფრიდმენისა და რ. მანდელის მონეტარისტული შეხედულებები, რომლებიც მოითხოვენ სახელმწიფო ხარჯების, გადასახადებისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირებას.

აღნიშნული და ზოგიერთი სხვა თეორიული მოსაზრების საფუძველზე ჩამოყალიბდა ცნობილი თეორიულ-პრაქტიკული პარადიგმა – „რეიგანომიკა“, რომლის მიხედვითაც განხორციელდა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა (რამაც ხელი შეუწყო ინფლაციის შემცირებასა და უცხოური კაპიტალის მოზიდვას); მოხდა საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია: შემცირდა საშემოსავლო გადასახადი 22 პროცენტული პუნქტით, ხოლო მოგების გადასახადი – 12 პროცენტული პუნქტით (რამაც ახალი სტიმული მისცა წარმოებას და, შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას); გადაისინჯა სოციალური პროგრამა შესაბამისი სახელმწიფო ხარჯების შემცირების მიმართულებით, თუმცა მნიშვნელოვნად გადიდდა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე იგივე ხარჯები. საბოლოო ანგარიშით, „რეიგანომიკის“ დოქტრინის განხორციელებით ინფლაცია შემცირდა 3-ჯერ, უმუშევრობა დაეცა 6%-მდე, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალი დაფიქსირდა. სამწუხაროდ, ასეთ წარმატებებს თან ახლდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა და ზოგიერთი სხვა ნეგატიური მოვლენა, რაც მიანიშნებდა საბაზრო სტიქიის მიერ სახელმწიფოს მარეგულირებელი მექანიზმების შევიწროებას.

სწორედ ამ უკანასკნელი მომენტის გათვალისწინებით პრეზიდენტის 1992 წლის არჩევნებზე გამარჯვებულმა კლინტონმა მიზნად დაისახა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის კვლავ გააქტიურება, განსაკუთრებით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით.

როგორც პრეზიდენტ კლინტონის კონგრესისადმი გამოსათხოვარ მიმართვაში „მშვიდობის, პროგრესისა და აყვავების რვა წელი“, არის ნათქვამი, მისი აღმინისტრაციის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში აშშ-ის ეკონომიკის ზრდის საშუალოწლიურმა ტემპმა XX საუკუნეში უპრეცენდენტოდ მაღალი დონე – 4% აჩვენა.[1]

---

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения“, 2001, №5, გვ. 3-14.

მართლაც, კლინტონის ადმინისტრაციამ ბრწყინვალედ გააგრძელა რეიგანის ხელისუფლების მიერ დაწყებული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისა და მოდერნიზაციის კურსი, ასევე განავითარა და გააღრმავა ნეოკონსერვატიული პოლიტიკა იმ ხერხებითა და მეთოდებით, რომლებმაც უზრუნველყო ქვეყნის ტექნოლოგიური ბაზის განვითარების დაჩქარება და, საერთოდ, მრეწველობის ინდუსტრიული ბაზის მოდერნიზაცია 80-იან წლებში. ამასთან, ახალმა ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა და ცხოვრებაში გააატარა აქტიური სოციალური პოლიტიკა, ანუ საერთო ეკონომიკური აღმავლობის შედეგები წარმართა მთელი საზოგადოების და უწინარესად — ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილთა სასარგებლოდ. აშშ-ს საერთო წარმატებებს ხელი შეუწყო ასევე მსოფლიო მასშტაბით „ცივი ომის" დასრულებამ, რამაც არსებული ბარიერების მოსპობით, უაღრესად ხელსაყრელი პირობები შექმნა საქონელთა და კაპიტალის შეუფერხებელი მოძრაობისათვის მსოფლიო ბაზრებზე.

საბოლოოდ, სამხედრო ხარჯების შემცირებამ, სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების რეორგანიზაციამ, ზოგიერთი პროგრამის ორიენტაციის შეცვლა-კორექტირებამ (მაგალითად, სახელმწიფო ხარჯების შემცირება და საშემოსავლო გადასახადების განაკვეთის აწევა 37%-მდე იმ მიზეზით, რომ მისი განაკვეთი დაეცა ოპტიმალურს ქვემოთ) ქვეყანას დიდი ეკონომიკური ეფექტი მისცა, რამაც უზრუნველყო დაბალანსებული ფედერალური ბიუჯეტის ჩამოყალიბება. კერძოდ, თუ 1993წ. მისი დეფიციტი შეადგენდა 290 მლრდ დოლარს, 2001წ. მიღწეულ იქნა 80 მლრდ დოლარამდე პროფიციტი, ხოლო საგადამხდელო ბალანსის დადებითმა სალდომ 237 მლრდ დოლარი შეადგინა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კლინტონის ადმინისტრაციის პერიოდში აშშ-ს სახელმწიფო ვალი შემცირდა 363 მლრდ დოლარით, მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების ხვედრითი წონაც ასევე შემცირდა 22,2-დან 18,5%-მდე. იმავდროულად „კლინტონომიკის" პერიოდში აღორძინდა სოციალური პროგრამები, გაიზარდა ინვესტიციები საზოგადოებრივ სექტორსა და სოციალურ ინფრასტუქტურაში. ამერიკული ოჯახის საშუალო წლიური რეალური შემოსავალი გაიზარდა 6338 დოლარით, შეიქმნა 22 მლნ სამუშაო ადგილი, უმუშევრობა 7%-დან 4,4%–მდე შემცირდა და ა.შ. აშშ-ს ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში მთამ-

ბეჭდავი წარმატებების უმნიშვნელოვანესი საწინადარი გახდა ის, რომ კლინტონის ადმინისტრაციამ ღირსეულად შეაფასა წინამორბედთა საქმიანობა, ამასთან, სწრაფად მოახდინა რეიგან-ბუშის მთავრობის კურსის ოპტიმალური კორექცია, მიიღო „რეიგანომიკა-კლინტონომიკის" შესანიშნავი ნაზავი — საბაზრო და სახელმწიფო მექანიზმების მოცემული პერიოდისათვის ყველაზე შესანიშნავი შეხამება.

2000 წლიდან დემოკრატები კვლავ რესპუბლიკელებმა შეცვალეს, რომელთა წინასაარჩევნო პროგრამა იყო ალტერნატიული პოლიტიკა, ორიენტირებული კონსერვატორთა ტრადიციულ შეხედულებებზე. კერძოდ, ისინი ამერიკელ ხალხს შეპპირდნენ „ახალ აყვავებულ ერას" რესპუბლიკური პარტიის ფუძემდებლურ პრინციპებზე დაყრდნობით, საერთო დევიზით: „მთავრობის რეფორმირება, მარადიული ფასეულობების აღორძინება, ეროვნული მიზნების განახლება". რესპუბლიკელებმა აღიარეს დემოკრატთა ადმინისტრაციის რეაწლიანი წარმატებული საქმიანობა, მაგრამ მიანიშნეს, რომ ამას საფუძველი დაუდო რესპუბლიკელთა ადმინისტრაციის („რეიგანომიკა") საქმიანობამ 80-იან წლებში.

რესპუბლიკელთა თეორეტიკოსების („ტვინის ცენტრის") მიერ შედგენილი „ლიდერობის მანდატის" ახალ გამოცემაში, რაც ამ პარტიის თავისებური განაწესია, ლაპარაკია ნეოკონსერვატიზმის ტრადიციული კონცეფციების არსებით კორექციაზე, თუმცა მასში კვლავაც ხაზგასმულია, რომ ძალაში რჩება ტრადიციული კონცეფცია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ოპტიმალურია სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სამეწარმეო ინიციატივის გამოვლენას.

ამასთან, სახელმწიფო ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას სოციალური პრობლემის გადაწყვეტაში, რისთვისაც ასევე, უნდა განხორციელდეს საპენსიო უზრუნველყოფის, სამედიცინო დაზღვევისა და განათლების სისტემის რეფორმები. მთლიანობაში, „ლიდერობის მანდატის" ძირითადი იდეით, აშშ-მ უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოების, მოსახლეობის ყველა ფენისათვის უაღრესად რთული საჭირბოროტო საკითხები, რისთვისაც ყველა მისაღები საშუალებით უნდა მოახდინოს სხვადასხვა პოლიტიკური ძალის კონსოლიდაცია.

3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელის ძირითადი ნიშნები

როგორც ცნობილია, საბაზრო სისტემა მეურნეობის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომლითაც ეკონომიკის ძირითადი პრობლემების რეალიზაციის მიზნით მომხმარებლები და მწარმოებლები ერთიმეორეზე ზემოქმედებენ და პირადი ინტერესების რეალიზაციისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებისთვისაც სასარგებლოა.

საბაზრო ურთიერთობათა ფუძემდებლური პრინციპების გარკვეული ერთიანობის მიუხედავად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ტიპები პრინციპულად განსხვავებულია. არაერთგვაროვანია, კერძოდ, ბაზრის ფუნქციონირების ხასიათი, მოტივაციათა სისტემა, ეფექტიანობის კრიტერიუმები, საწარმოო და ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურები, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური სისტემა, კონკურენციულ ურთიერთობათა და სახელმწიფო რეგულირების შეთანაწყობის კონკრეტული ფორმები და მექანიზმები.

მათ შორის, მნიშვნელოვანი სპეციფიკით ხასიათდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამერიკული მოდელი. ეს მოდელი შეიძლება დახასიათდეს როგორც შერეული ეკონომიკა საბაზრო სისტემის ორგანიზაციის შედარებით ლიბერალური მეთოდით, თუმცა მთავრობა სხვადასხვა ხერხით ზემოქმედებს საბაზრო სისტემის ფუნქციონირებაზე. ეკონომიკის განვითარების ამერიკული მოდელი აგებულია მეწარმეობის ძლიერ მხარდაჭერაზე და ორიენტირებულია მოსახლეობის ყველაზე აქტიური ნაწილის გამდიდრებაზე. მიუხედავად ამისა, აშშ-ში ეკონომიკურად შედარებით ნაკლებუზრუნველყოფილ მოქალაქეთათვის არსებობს მნიშვნელოვანი სოციალური გარანტიები. იქ არ დგას საზოგადოებაში სოციალური თანასწორობის მიღწევის ამოცანა, გეზი აღებულია მასობრივ ინდივიდუალურ წარმოებაზე. რაოდენობრივად ჭარბობს მცირე საწარმოები, მაგრამ ეკონომიკაში დომინირებად როლს ასრულებს დიდი ბიზნესი (საწარმოები). ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ აშშ-ში კორპორაციები შეადგენენ ყველა ფირმის 18%-ს, მაგრამ ისინი აწარმოებენ სამრეწველო პროდუქციის

მთლიანი მოცულობის 9/10-ს. დიდი ბიზნესი ჭარბობს საგრანსპორტო მეურნეობაში, კავშირგაბმულობაში, ელექტროენერგეტიკაში, საბანკო საქმესა და ფინანსებში; მთლიანობაში ის უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლის 1/4-ს, თუმცა დასაქმებულთა რიცხვი შედარებით მცირეა და მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 11%-ს შეადგენს.

თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა, სამეწარმეო აქტიურობის წახალისება, მონოპოლიათა შეზღუდვა — ასეთია აშშ-ის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მიერ აღიარებული და განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები. აღსანიშნავია, რომ 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში აშშ-ის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ხორციელდებოდა კეინზური რეკომენდაციებით. ამის ნათელი გამოხატულებაა ის, რომ რუზველტის მთავრობის რეფორმის საფუძველი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ახალი კურსი", იყო პრინციპი: „ბიზნესი არ შეიძლება მთავრობაზე მაღლა იდგეს". ამ პოლიტიკამ აშშ-ს გარკვეულ პერიოდში დიდი ეკონომიკური წარმატებები მოუტანა.

მიუხედავად ამისა, 80-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში მოხდა მობრუნება წარსული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკისაკენ, რომლის თეორიული ბაზა გახდა, უწინარეს ყოელისა, მონეტარიზმი. ამან ხელი შეუწყო კონკურენციის მექანიზმთა განმტკიცებას და ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის შესამჩნევ შესუსტებას საბაზრო ძალების როლის გაძლიერების მიზნით. მთავარ ამოცანად აშშ-ის ადმინისტრაციამ დააყენა კერძო მეწარმეობის საინვესტიციო აქტიურობის სტიმულირება, მოსახლეობის დანაზოგების გადიდება, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ინფლაციის ტემპების შენელება.

80-იან წლებში აშშ-ის მთავრობის ახალი კურსის რეალიზაცია ხდებოდა პრეტენზიული სახელწოდებით — „ახალი საწყისი ამერიკისათვის: ეკონომიკური აღორძინების პროგრამა", რაც ითვალისწინებდა ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას. ამ მიზნით ფართო თავისუფლება მიეცა კერძო ბიზნესს, განთავისუფლდა ის მეტისმეტი სახელმწიფოებრივი ზემოქმედებისაგან, შემცირდა მოგების გადასახადი, ფართო იმპულსი მიეცა მრეწველობის ტექნიკურ გადახალისებას, არსებითად ნულზე დაიყვანეს ანტიტრესტული კა-

ნონმდებლობა და შეზღუდვები მსხვილი კაპიტალის ყოველგვარ ოპერაციაზე, შემცირებულ ან ანულირებულ იქნა 250 სოციალური პროგრამა, მკვეთრად გადიდდა სარგებელი, რამაც გამოიწვია უცხოური კაპიტალის მასობრივი მოდინება. ყოველივე ამან, რამაც არსებითად აშშ-ის ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაში პოვა ასახვა, ხელი შეუწყო ფართო ტექნოლოგიურ პროგრესს და საბოლოოდ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ბიზნესის აღმავლობას.

მთლიანობაში, უნდა აღინიშნოს, რომ ფრიად პოპულარული დოქტრინის — „რეიგანომიკა", ბირთვი იყო აშშ-ს რეინდუსტრიალიზაციის ოცწლიანი პროგრამის განხორციელება, რომლითაც მოხდა ეკონომიკის ოპტიმალურ-დინამიკური რესტრუქტურიზაცია, რაც ფაქტობრივად, აშშ-ში პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებას მოასწავებდა. დღეისათვის მოხდა ეკონომიკის ოპტიმალურ-დინამიკური რესტრუქტურიზაცია, რაც ფაქტობრივად, აშშ-ის მერეული ეკონომიკის მოდელი გამოირჩევა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების გადამწყვეტი როლით ეკონომიკური სტრუქტურების ფორმირებასა და სამეურნეო ერთეულების მიმდინარე რენტაბელობის უზრუნველყოფაში. რაც შეეხება ეკონომიკის საზოგადოებრივ რეგულირებასა და მაკროეკონომიკურ კონტროლს, მისი ფუქნციები 80-იანი წლების დასასრულამდე შედარებით შეზღუდული იყო. 1992 წლის დასაწყისისათვის აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში ჩამოყალიბდა მძლავრი ლობისტური ჯგუფები, რომლებიც მხარს უჭერენ „სამრეწველო პოლიტიკას". საქმე ის არის, რომ ამერიკის საქმიანი წრეები საფუძვლიან შემფოთებას გამოთქვამენ ქვეყნის ტექნოლოგიური მომავლის გამო. ამან გარკვეულწილად იმოქმედა მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნებში მისი როლის გაძლიერებით. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სტრატეგიაში სწორედ ასეთმა მობრუნებამ აშშ-ში „სამრეწველო პოლიტიკის" („ტექნიკური პოლიტიკის", „ზრდის პოლიტიკის") სახელწოდება მიიღო. ეს პოლიტიკა აქტუალური გახდა „ცივი ომის" დასრულებისა და კონვერსიული პროცესების განხორციელებასთან დაკავშირებით. მისი არსია პირდაპირი სახელმწიფოებრივი ზემოქმედებით ეკონომიკური რესურსების მიზანსწრაფული გადართვა სამხედრო სფეროდან სამოქალაქო სფეროში, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა გავრცელების ინდუსტრიაში.

როგორც აღინიშნა, აშშ-ის ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის პოლიტიკა ნაკლებად პოპულარულია, მაგრამ მრეწველობაში კონკურენტებისგან ქვეყნის პროგრესირებადმა ჩამორჩენამ შეცვლილი მსოფლიო ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოს როლის გაძლიერების საკითხი. საქმე ის არის, რომ აშშ სისტემატურად აგებდა კონკურენციულ ბრძოლას იაპონიასა და გერმანიასთან მსოფლიო ტექნოლოგიურ ბაზრებზე. ამის ძირითადი მიზეზი კი მეცნიერებატევადი დარგებისადმი ქმედითი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის არარსებობა იყო. დღეისათვის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა „სამრეწველო პოლიტიკის" პრაქტიკულად განხორციელებით. მაგალითად, აშშ-მ გააძლიერა მაღალტექნოლოგიურ სფეროთა პროექტების პირდაპირი სახელმწიფოებრივი დაფინანსება, რაც უზარმაზარ თანხებს მოიცავს, თუმცა, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით დიდ უკუგებას იძლევა.

„სამრეწველო პოლიტიკის" რეალიზაციას ემსახურება ასევე სახელმწიფო სამეცნიერო ლაბორატორიებისა და კერძო კომპანიათა თანამშრომლობა, სახელმწიფოებრივი ახალი ტექნოლოგიების გამავრცელებელი ცენტრების დაფინანსების გაძლიერება, რომლებიც კონსულტაციებს უწევენ კერძო ფირმებს წარმოებისა და ტექნოლოგიის ახალი მეთოდების ათვისებაში.

არის ასევე ზოგი სხვა მიმართულება, რომლითაც ძლიერდება ეკონომიკურ ზრდაზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედება. ეს ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი გადახრა კეთდება ნეოკლასიკური დოქტრინების ათწლიანი და მეჯი პერიოდის მანძილზე დომინირებიდან სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების კეინზიანური რეცეპტისაკენ. ფაქტობრივად ეს არის მაკროეკონომიკური რეგულირების სამთავრობო სტრატეგიის ახალი კურსი, რომელიც ავიწროებს ნეოკლასიკურს. ეს არსებითად ვლინდება ეკონომიკის ბიუჯეტურ რეგულირებაზე დაყრდნობით, ნაცვლად ფულად-საკრედიტოსი. ამის მიზანია შეუფერხებელი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. აშშ-ის მაკროეკონომიკური რეგულირების სამთავრობო სტრატეგიაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები არსებით ცვლილებებს იწვევს საბაზრო ეკონომიკის და მთლიანად შერეული ეკონომიკის ამერიკული მოდელის არსსა და ფუნქციონირებაში.

ამ მხრივ გამოირჩეოდა პრეზიდენტ კლინტონის პროგრამა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზური რეცეპტის სულისკვეთებით გაძლიერების მიმართულებით. ამასთან, კლინტონის ადმინისტრაციამ შიგა ეკონომიკური პლანით დააყენა მომწიფებული პრობლემები: მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების შემოსავლების გადიდება, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და ზოგი სხვა სოციალური პრობლემის გადაწყვეტა. პრეზიდენტ კლინტონის მიერ წამოყენებული გეგმის საფუძველს შეადგენს ეკონომიკის წამყვან დარგებში გრძელვადიანი სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების პროგრამა, ასევე ღონისძიებები ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისათვის, პირველ რიგში, თავდაცვის ხარჯების ანგარიშზე. გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებული იყო საზოგადოების შეძლებული ფენებისათვის გადასახადების გადიდება.

უკანასკნელი ათწლეულის ტენდენციებიდან აღსანიშნავია ფედერალური ბიუჯეტის ხარჯების შემცირება და სოციალური ხარჯების ზრდა. მაგალითად, სამხედრო და სოციალური ხარჯების წილი შეადგენდა შესაბამისად: 1950წელს – 32,3% და 12,6%-ს; 1994წელს – 19,3% და 57%-ს; 2000წელს კი – 14,1% და 62,2%-ს.

მთლიანობაში, აშშ-ში შექმნილია ლიბერალიზმის პრინციპებზე აგებული სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთმოქმედების ეფექტიანი სისტემა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკის ეფექტიანობის გარანტი ძლიერი სახელმწიფოა, თუმცა ის უშუალოდ კი არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში, არამედ შემოიფარგლოს წმინდა მარეგულირებელი ფუნქციებით. ლიბერალური სახელმწიფო მსაჯია ეკონომიკურ თამაშობებში და არა მოთამაშე. სხვანაირად – კორუფციაში სახელმწიფო მოხელეთა ჩათრევის დიდი რისკი შეიქმნება.[1]

4. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები და ტენდენციები

აშშ-ის ლიდერობა მსოფლიო მეურნეობაში უზრუნველყოფილია სხვა ქვეყნებთან შედარებით მისი უპირატესობით ბაზრის მასშტაბებსა და სიმდიდრით, საბაზრო სტრუქტურების განვითარ-

---

[1] **А.Г. Мовсесян, С.Б. Огнивцев.** დასახელებული ნაშრომი, ეგ. 463.

ების დონით, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალით, მძლავრი და განშტოებული მსოფლიო სამეურნეო კავშირების სისტემით — ვაჭრობის, ინვესტიციებისა და საბანკო კაპიტალის სასით. საშინაო ბაზრის უაღრესად მაღალი ტევადობა უზრუნველყოფს აშშ-ის უნიკალურ აღგილს მსოფლიო მეურნეობაში. მსოფლიოს მთლიან პროდუქტში აშშ-ის მეპ-ის ყველაზე მაღალი წილი ნიშნავს, რომ იგი ხარჯავს ყველა ქვეყანაზე მეტს მიმდინარე მოხმარებასა და ინვესტიციებზე. აშშ-ში ყოველწლიურად საფუძველი ეყრება საშაულოდ 1,5 მლნ ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, იყიდება 10 მლნ მსუბუქი ავტომანქანა და ა.შ.

XX საუკუნის დამლევს აშშ-ის სამეურნეო სტრუქტურაში ამკარად დომინირებს მომსახურების სფერო. მშპ-ში მისმა წილმა შეადგინა 76%, მრეწველობასა და მშენებლობაზე მოდის 23% და სოფლის მეურნეობაზე — დაახლოებით 2%. მომსახურების სფეროზე მოდის აშშ-ის ეკონომიკაში დასაქმებულთა 73%.

აშშ-ის ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალით მას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკურ განვითარებასა და მაღალ მსოფლიო კონკურენტუნარიანობაში. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე ყოველწლიური ასიგნება მეტია გერმანიის, საფრანგეთისა და იაპონიის ერთად აღებულ შესაბამის მაჩვენებელზე. აშშ-ის მთლიან ასიგნებათა შორის 44% სახელმწიფოს წილად მოდის, 51% — კერძო კორპორაციებზე, დანარჩენი 5% კი უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების სახსრებია. აშშ მაღალი ტექნოლოგიების, ანუ, როგორც მას უწოდებენ, მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში: მასზე მოდის 36%, იაპონიაზე — 29%, გერმანიაზე — 9,4% და ა.შ.

აშშ-ის ეკონომიკური ზრდის გარკვეულ ფაქტორად XX ს-ის მეორე ნახევარში კვლავაც რჩებოდა სამუშაო ძალის რაოდენობის გადიდება, რაც უმეტესი განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს აღემატება. სიმპტომურია ისიც, რომ აშშ-ში სამუშაო ძალის რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოსახლეობის რიცხოვნობა, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში შრომისუნარიანი ასაკის წილის გადიდებასა და მასში ქალთა სულ უფრო მეტად ჩართვასთან.

აღსანიშნავია, რომ 90-იან წლებში აშშ-ის ეკონომიკა წარმოებისა და დასაქმების დინამიკური ზრდის დემონსტრირებას ახდენს, რაც ინფლაციის დაბალი დონითა და ბიუჯეტის დაუბალანსებლობის შემცირებით ვლინდება, უფრო მეტიც: ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი 1992 წლის 290 მლრდ დოლარიდან 1997 წელს 22 მლრდ-მდე შემცირდა, 1998 წელს კი აშშ-მ მიაღწია დაბალანსებულ ბიუჯეტს. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დიდი საშინაო სახელმწიფოებრივი ვალი აშშ-ის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. ამავე პერიოდში ქვეყანაში მიღწეულია ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე დაბალი უმუშევრობა – 4,6% (ოფიციალური ნორმა 7%-ია), ხოლო ინფლაცია წელიწადში 2,5%-ის დონეზეა შენარჩუნებული.

სხვადასხვა სპეციფიკით ხასიათდება აშშ-ს თანამედროვე შრომის ბაზარი. მაგალითად, საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის პირთა უმეტესობას, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური წარმოების სფეროში, ურჩევნია იმუშაოს ხელმძღვანელობასთან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე, ვიდრე კოლექტიური ხელშეკრულებით, რამდენადაც პირველი ფორმა უფრო მეტად ითვალისწინებს მათს პირად ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მისწრაფებებსა და ინტერესებს. გარდა ამისა, ბევრ საწარმოში, შრომის მწარმოებლურობის გადიდებითა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებით მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების მიზნით, ხორციელდება სოციალური პოლიტიკის პროგრამები, შექმნილია მოგების განაწილებაში მუშაკთა მონაწილეობის ეფექტიანი სისტემა და სხვ.

ყველა ეს პროცესი მჭიდროდ უკავშირდება მენეჯერთა საქმიანობას. აშშ-ში ყოველი უმაღლესი მენეჯერის მთავარი ამოცანაა იმ კომპანიის აქციონერული ღირებულების გადიდება, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. საერთოდაც, ამერიკული საწარმოები თავის საინვესტიციო პოლიტიკაში ორიენტაციას იღებენ, უწინარეს ყოვლისა, აქციონერული ღირებულების გადიდებაზე, რაც დივერსიფიკაციის დარგში ყოველი საინვესტიციო გადაწყვეტის მთავარი კრიტერიუმია. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ კომპანიის ხელმძღვანელობის ანაზღაურება პირდაპირ დამოკიდებულია საწარმოს კაპიტალიზაციის დონეზე, ე.ი. აქციათა კუმულაციური ღირებულების გადიდებაზე, რაც მის პერიოდშია მიღ-

წეული. უმაღლესი და სამუალო რგოლის მენეჯერები, ასევე ზოგჯერ რიგითი თანამშრომლებიც, ღებულობენ კომპანიათა აქციებზე ოფციონებს, რითაც თვით ხდებიან აქციონერები, რაც ხელს უწყობს ერთსულოვანი, საერთო მიზნით გაერთიანებული კოლექტივის ფორმირებას კომპანიაში.

ამ პროცესს განამტკიცებს ისიც, რომ კომპანიათა აქციონერები დაინტერესებული არიან აქციათა და დივიდენდების გადიდებით, მენეჯერები კი – თავიანთი სოციალური სტატუსის ამაღლებით.[1]

საინტერესო სურათს იძლევა აშშ-ის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა. უწინარესად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ერთობ დინამიკურად ვითარდება მრეწველობა. სამრეწველო წარმოების ინდექსმა 1997 წელს 125,7% შეადგინა (1990წ. – 100), მაშინ, როცა მრეწველურად განვითარებული ქვეყნების ანალოგიური საშუალო მაჩვენებელი 111,3%-ია. აშშ-ის მრეწველობა მოიცავს საზოგადოებრივი წარმოების სამ ქვედანაყოფს: გადამამუშავებელი მრეწველობა (რომელიც იძლევა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 80,4%-ს), მოპოვებითი მრეწველობა და ელექტროენერგეტიკა (13%).

აშშ-ის თანამედროვე სამრეწველო წარმოების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია მანქანათმშენებლობას, განსაკუთრებით კი ელექტრონულს, ელექტროტენიკურს, საგრანსპორტოს, ავია-სარაკეტოკოსმოსურ ტექნიკას. სამრეწველო პროდუქციის სტრუქტურაში მოცულობით მეორე ადგილზეა ქიმიური მრეწველობა. ქვეყანა მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზეა მოპოვებითი მრეწველობით, განსაკუთრებით ქვენახშირის, ბუნებრივი გაზის, გაზის კონცენტრატების, ნავთობის დარგში.

აშშ-ში სწრაფად ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ისეთი უახლესი დარგები, როგორიცაა: მიკროელექტრონიკა, ლაზერული ტექნიკა, პრინციპულად ახალი თვისებების მასალები, გენური ინჟინერია და ბიოტექნოლოგია, ახალი საწარმოო ტექნიკა (რობოტები, მოქნილი ავტომატიზებული წარმოება, ავტომატიზებული პროექტების სისტემა და სხვ.). რობოტების წარმოების საშუალო წლიური ზრდის ტემპი შეადგენს 40%-ზე მეტს. საერთოდ კი, რესურსდამზოგავ ტექნოლოგიაზე გადასვლით

---

[1] ეურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2001, №16, გვ. 85.

აშშ-ის მშპ-ის ერთეულის ენერგოტევადობა შემცირდა 25%-ით, მასალატევადობა — 20%-ით.

აშშ მაღალგანვითარებული აგრარული სექტორის ქვეყანაა. აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის (ასკ) პროდუქციის წილი მშპ-ში 20%-ს აღემატება. ამ სფეროში შრომის მწარმოებლურობის სწრაფმა ზრდამ განაპირობა ის, რომ 1975-1996 წლებში საკუთრივ სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 2,8-დან 1,3-მდე შემცირდა. დღეისათვის საკუთრივ სოფლის მეურნეობაში, რაც ასკ-ს აისბერგია, იწარმოება 1 ტრლნ დოლარის პროდუქცია, რაც შეეხება კვების მრეწველობას, ის იძლევა ასკ-ს მთლიანი პროდუქტის 60%-ს და მესამე ადგილი უკავია მრეწველობის დარგებს შორის. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკელები სურსათის შესაძენად ხარჯავენ თავისი შემოსავლების მხოლოდ 15%-ს. აშშ-ზე მოდის სიმინდის მსოფლიო წარმოების 45% და ხორბლის — 12%; მათი ექსპორტით მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

საინტერესოა, რომ აშშ-ში ფერმერულ მეურნეობათა რაოდენობა მცირდება, ხოლო მათი საშუალო სიდიდე და ფერმერთა შრომის მწარმოებლურობა იზრდება. 1945-1995 წლებში ფერმათა რაოდენობა შემცირდა 5,9 მლნ-დან 1,9 მლნ-მდე, ხოლო ფერმათა საშუალო ფართობი გადიდდა 79 ჰა-დან 199 ჰა-მდე. რაც შეეხება შრომის მწარმოებლურობას — აშშ-ის ფერმათა მაჩვენებელი ძალზე მაღალია: თუ განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი მუშაკი ძლივს გამოკვებავს თავის თავსა და ოჯახს, იაპონიაში ერთი ფერმერი — 14 კაცს, დასავლეთ ევროპაში — 19-ს, აშშ-ში — 59 კაცს. ამის საფუძველია რთული და მაღალმწარმოებლური სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება, მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე სახელმწიფოს მეურვეობა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის დარგში სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე დანახარჯები აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის 4,5%-ს შეადგენს, რაც ჰა-ზე (სახნავზე) საშუალოდ 410 დოლარის სახელმწიფო სუბსიდიების ტოლფასია.

აშშ-ის ეკონომიკის რეფორმირების თანამედროვე ეტაპის არსებითი მახასიათებელია მშპ-ში მომსახურების სფეროს ხვედრითი წონის სწრაფი ზრდის ტენდენცია. მთელი არამატერიალური

წარმოების სფეროს 25% მოდის ფინანსურ მომსახურებაზე, დაზღვევისა და უძრავი ქონების ოპერაციებზე, 22% – საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე, 26,3% – საქმიან, იურიდიულ, სოციალურ, პირად მომსახურებაზე, ჯანდაცვაზე, დასვენებაზე, ავტოსერვისზე და ა.შ.; საგრანსპორტო და კავშირგაბმულობის მომსახურების წილი 8,5%-ია, სახელმწიფო მმართველობისა – 18,4%.

აშშ-ის თანამედროვე ეკონომიკაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ე.წ. ინფორმაციული რევოლუცია, რომელმიც ყოველწლიური ინვესტიციები 90-იან წლების ბოლოს იზრდებოდა 25%-ით, ეს კი უზრუნველყოფდა აშშ-ის ეკონომიკური ზრდის 1/3-ს. საგულისხმოა, რომ აშშ-ის ბიზნესი კომპიუტერულ ტექნიკასა და უახლეს კომუნიკაციებზე აბანდებს 220 მლრდ დოლარს, ხოლო პროგრამულ უზრუნველყოფაში – 10 მლრდ დოლარს. 2000 წელს კომპიუტერთა წარმოებამ მიაღწია 266 მლრდ დოლარს, მაშინ, როცა 1995 წ. იწარმოებოდა 85,7 მლრდ დ., ხოლო რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა 19%-ით. ამასთან, პროგრამული უზრუნველყოფის წარმოების მოცულობამ 2000წ. შეადგინა 329,6 მლრდ დ. საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლის პირობებმა გზა გაუხსნა ამერიკელ განათლებულ მასას კარიერის, ინტელექტუალური ზრდის, მოხმარების პლანით. ყოველდღიურ სარგებლობაში ფართოდ დამკვიდრდა კომპიუტერი, რითაც 1999 წელს ამერიკელთა 67% სარგებლობდა ან შინ, ან სამსახურის, ან სწავლის ადგილას. 53% რეგულარულად სარგებლობს ინტერნეტის ქსელით ან ელექტრონული ფოსტით.

უკანასკნელ წლებში სწრაფად ვითარდება ფარმაცევტული და სამედიცინო ფირმები. ჯანდაცვა გახდა აშშ-ის ეკონომიკის უმსხვილესი დარგი, რომლის პროდუქციაც ერთ ტრლნ დოლარს აღწევს. ასევე ითქმის განათლების შესახებ, რაზეც სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს 780 მლრდ დოლარს.

აშშ-ს ეკონომიკაში შთამბეჭდავი მიღწევების მნიშვნელოვანი ფაქტორი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანი ფორმების გამოყენებაა. საქმე ისაა, რომ ეკონომიკის საკვანძო პოზიციები უკავიათ მსხვილ სამეურნეო გაერთიანებებს, რომელთა ხელშიც თავმოყრილია საზოგადოებრივი კაპიტალის, საქონელთა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი.

საბოლოო ანგარიშით, კაპიტალის ცენტრალიზაციამ და დივერსიფიკაციამ გამოიწვია ის, რომ „კლუბ 500"-ში თითქმის არ დარჩა ერთდარგოვანი კომპანიები, მათი უმეტესობა საქმიანობს ათეულობით ბიზნესის სახეობაში.

დიდი ბიზნესის გვერდით სამეურნეო პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მცირე ბიზნესი. წვრილი და საშუალო ფირმების დიდი ნაწილი სხვადასხვა არხით (საკონტრაქტო სისტემა, სუბიჯარა, ტექნოლოგიური დამოკიდებულება) ეფექტიანადაა მიბმული მსხვილ კაპიტალთან. აშშ-ის ექსპორტის 55% სწორედ მცირე ბიზნესზე მოდის. უკვე, რამდენიმე წელია აშშ-ში სწრაფად ვითარდება მცირე ბიზნესი წვრილი ფირმების სახით, რომელთაც შექმნეს 11,8 მლნ ახალი სამუშაო ადგილი, მაშინ, როცა მსხვილმა კორპორაციებმა მომუშავეთა რაოდენობა შეამცირეს 645 ათასი კაცით.

აშშ-ის მძლავრი ეკონომიკის ადეკვატურია ქვეყნის საბანკო სისტემა და ფინანსური კაპიტალი. აშშ-ის საკრედიტო სისტემა, რომელიც სახელმწიფოსა და კერძო საკრედიტო ინსტიტუტების ერთობლიობაა, მსოფლიოში ყველაზე მაღალგანვითარებულია.

აშშ-ის საკრედიტო-საბანკო სისტემის სტრუქტურაში ცვლილებების მთავარი მიმართულება გახდა ყველაზე მძლავრი ფინანსური ინსტიტუტების უნივერსალიზაცია. ისინი ამსხვრევენ მოძველებულ ტრადიციებს შტატებს შორის ურთიერთობაში და ბევრ სიახლეს ნერგავენ. ამასთან ერთად, ადგილი აქვს ფინანსურ დაწესებულებათა შეერთების ბუმს. მაგალითად, 80-90-იან წლებში აშშ-ის კომერციულ ბანკთა რაოდენობა შემცირდა 3 ათასით, რამაც ხელი შეუწყო საკრედიტო-საბანკო სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას.

კოლოსალურია (დაახლოებით – 2 ტრლნ დოლარით ფასდება) აშშ-ს სახელმწიფო ბაზარი, სადაც სახელმწიფოს საჭიროებისათვის შეისყიდება მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება და რომელი ბაზარიც ეფექტიანად გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. აქ გადამწყვეტ როლს ასრულებს ის, რომ სახელმწიფოსა და კორპორაციების მნიშვნელოვანი ნაწილის ურთიერთობას საფუძვლად უდევს უაღრესად მოქნილი და ეფექტიანი ფედერალური საკონსტრაქტო სისტემა, რომლის მეშვეობითაც წარიმართება აშშ მთავრობის არა მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობა, არამედ ეკონომიკის ყველა სფეროში სახელმწი-

ფო შეკვეთებისა და შესყიდვების მართვის ორგანიზაცია. სწორედ ამის საფუძველზე ფუნქციონირებს უაღრესად სპეციფიკური და მძლავრი სახელმწიფო ბაზარი.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა აშშ-ს საგადასახადო სისტემის აგებულებისა და ეფექტიანობის შესახებ.

მართალია, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიისგან განსხვავებით, ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის წილი მცირეა (მშპ-ს 13%), მაგრამ აქ სახელმწიფო, ბაზრის რეგულირების ეფექტიან ღონისძიებათა მეშვეობით, მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია საგადასახადო სისტემა. „აშშ საგადასახადო სისტემა თითქმის 200 წლის განმავლობაში ვითარდებოდა და იგი მთლიანად საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და მოთხოვნებზეა აგებული. მის ამოცანას შეადგენს არა მხოლოდ ფისკალური ფუნქციის შესრულება ან სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შევსება, არამედ ეკონომიკის განვითარებისადმი ხელის შეწყობა. აშშ-ს ფედერალური ბიუჯეტის ძირითადი წყაროა შემდეგი გადასახადები: ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი, ანარიცხები სოციალური დაზღვევის ფონდებში, კორპორაციის მოგების გადასახადი, აქციზი, გადასასადი ქონების ჩუქებასა და მემკვიდრეობაზე“[1].

მთლიანობაში, დღეისათვის აშშ-ს ფედერალური გადასახადები სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს: 1. ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების მთავარი წყაროა; 2. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების, ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მძლავრი და მოქნილი საშუალებაა; 3. არის ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ეფექტიანი საშუალება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მთავრობა აგარებს სოციალურად ორიენტირებულ საგადასახადო პოლიტიკას.

გადასახადებს შორის, ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში, თავისი წილით, წამყვანია პროგრესული სახეობის ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი – 48,1% (1999წ. მონაცემებით), რომელ დაბეგვრასაც ექვემდებარება ცალკეული პირი ან ოჯახი. ბუნებრივია, დადგენილია დაუბეგრავი მინიმუმი, რომლის ოდენობაც

---

[1] იაკობ შესხია, ოლეგ ნიკოლეიშვილი. გადასახადები და დაბეგვრა. თბ., 2002, გვ. 228.

გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის შეადგენდა: ერთი პირისათვის — 3 ათას დოლარს, ოჯახისათვის — 5 ათას დოლარს.

თავისი სიდიდით მეორეა ანარიცხები სოციალური დაზღვევის ფონდებში — 33,5%, რომელშიც გადასახადები შეაქვთ როგორც დამქირავებლებს, ასევე დაქირავებულ პირებს. შემდეგ მოდის კორპორაციათა მოგების გადასახადი — 10,1%, რომლის განაკვეთი 34%-ს შეადგენს, ხოლო დაბეგვრის მექანიზმი მრავალდონიანია და ხასიათდება გარკვეული შეღავათებით (განსაკუთრებით დაჩქარებულ ამორტიზაციაზე, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის ინვესტიციებზე).

თავისი სიდიდით უმნიშვნელო, მაგრამ დანიშნულებით საკმაოდ საყურადღებო გადასახადებია: აქციზები (3,9%), მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე გადასახადები (1,5%), საბაჟო მოსაკრებლები (1%), ასევე, სხვა შემოსავლები (1,9%).

5. აშშ-ის საგარეო-ეკონომიკური კავშირები და განვითარების საგარეო ფაქტორები

აშშ-ს განსაკუთრებული როლი ეკუთვნის მსოფლიო სამეურნეო კომპლექსის ფორმირებაში. ლიდერობა და პარტნიორული ურთიერთობა ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ფინანსების სფეროში, რაც ჩამოყალიბებულია აშშ-ს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, იაპონიასა და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის, ობიექტური კანონზომიერებაა. ამასთან, 50-იანი წლებიდან, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის კვალობაზე, აშშ-ის მდგომარეობა მსოფლიო მეურნეობაში იცვლებოდა იმგვარად, რომ აშშ-ის ეკონომიკა გადადიოდა აბსოლუტური უპირატესობის მდგომარეობიდან — „ძლიერი პარტნიორი სუსტების მიმართ", კონკურენტულ პარტნიორობასა და ძლიერ პარტნიორებთან ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებაზე, რომელთა შორის აშშ ინარჩუნებს სოლიდურ პოზიციას.

საქმე ის არის, რომ მსოფლიო მასშტაბით საგარეო-ეკონომიკური კავშირების როლი 80-90-იან წლებში თვისებრივად შეიცვალა, რაც, უწინარეს ყოელისა, ეკონომიკის გახსნილობის, ღია ხასიათის შემდგომი განვითარებით გამოიხატა, რასაც შედეგად მოპყვა საგარეო ვაჭრობის მოცულობისა და კაპიტალის მიგრაციის

ზრდა, საერთაშორისო საწარმოო კოოპერაციის გაფართოება და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა ინტენსიფიკაცია.

მსოფლიოს ქვეყნებთან აშშ-ის მჭიდრო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა სისტემაში სულ უფრო გადამწყვეტ როლს, ვაჭრობასთან შედარებით, ასრულებს პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების ზრდა, რასაც უმთავრესად ტნკ-ები ახორციელებენ და რაც საერთაშორისო წარმოების პროგრესირებადი ფორმირების ფაქტორია.

აშშ მსოფლიოში კაპიტალის უმსხვილესი ექსპორტიორია. 90-იან წლებში ყოველწლიურად გაჰქონდა 0,3-0,4 ტრლნ დოლარის, ხოლო შემოჰქონდა 0,5 ტრლნ დოლარის კაპიტალი. ამერიკის ეკონომიკის ძირითადი ინვესტორებია დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნები, იაპონია და კანადა. მათ იზიდავთ აშშ-ის მყარად განვითარებადი ეკონომიკა, კაპიტალდაბანდებათა მომგებიანობა, დოლარის სიმყარე. თავის მხრივ, აშშ-ის ტნკ-ები ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და კანადაში. ამასთან, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ამერიკულ ფირმათა კაპიტალდაბანდებების ზრდა განვითარებად ქვეყნებშიც: თუ 1987 წელს ის შეადგენდა 6,8 მლრდ დოლარს, 1990 წელს — 7,6-ს, ხოლო 1996 წელს კი — 29,1 მლრდ დოლარს მიაღწია.

აშშ-ის „მეორე ეკონომიკას", ანუ საერთაშორისო ქსელს, რაც პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტირების მეშვეობით იქმნება, განსაკუთრებული ადგილი უკავია. მსოფლიო ეკონომიკაში, მისი ბირთვი საზღვარგარეთული სამრეწველო ფირმებია, რომლებზედაც მოდის ყველა საზღვარგარეთული ქვეყნის გაყიდვების 70%-ზე მეტი. უკვე 80-იან წლებში ამერიკული კაპიტალის მიერ კონტროლირებად 20 ათასზე მეტ საზღვარგარეთულ საწარმოში დასაქმებული, იყო 6,5 მლნ მუშაკი, რაც აშშ-ის კუთვნილი ტნკ-ების საწარმოებში დასაქმებულთა მეოთხედია. „მეორე ეკონომიკის" საწარმოთა და ფირმათა მთლიანი გაყიდვა შეესაბამება აშშ-ის მეპ-ის 32%-ს.

პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტირების პროცესმა გლობალური მასშტაბები მიიღო, რაც სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის აშკარა გამოხატულებაა. ამ პროცესში აშშ-ის პოზიცია სულ უფრო იზრდება. მაგალითად, 1960წ. აშშ-ის პირდაპირი ინვესტიციები 32 მლრდ დოლარი იყო. 1996წ. კი — 700 მლრდ-ზე

მეტი, ხოლო მსოფლიო წარმოებაში მისმა წილმა 30% შეადგინა (შედარებისათვის — იაპონიის იყო 10%). შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ამერიკული კაპიტალი განვითარების მთავარი ლოკომოტივია. მტკიცე პოზიციები უკავია აშშ-ის საკუთრივ საბანკო კაპიტალსაც და საერთოდ, ფინანსურ კაპიტალს. ამერიკის საკრედიტო ბაზარი ფულადი რესურსების მსოფლიო ბაზარზე ზემოქმედების მძლავრი ფაქტორია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის ფულადი პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციის საფუძველი დოლარის განმსაზღვრელი საერთაშორისო როლია, რაც მთავარია, სარეზერვო და საანგარიშსწორებო საშუალებაა მსოფლიოს სავალუტო-საფინანსო სისტემაში. დასავლეთის ქვეყნების ცენტრალური ბანკების ინსავალუტო რეზერვების 3/4 დოლარია, ამითვე ხორციელდება მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის ნახევარზე მეტი და საერთოდ, აშშ დოლარია ერთიანი ეტალონი, რომელსაც უტოლდება ყველა განვითარებული ქვეყნის ვალუტა. ამის მიზეზია საერთაშორისო მოთხოვნა ერთიან უნიფერსალურ გაცვლით საშუალებაზე, რაც ნაკარნახევია მსოფლიო მეურნეობაში საქონელწარმოებისა და მიმოქცევის ზრდის ტენდენციით.

აშშ-ის განვითარების საგარეო ფაქტორებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვაჭრობაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მტკიცედ ეძებს ექსპორტის მხარდაჭერის და ეროვნული მეწარმეების საგარეო კონკურენტებისაგან დაცვის ოპტიმალურ გზებს. ამ ასპექტით ყურადღებას იმსახურებს 1988წ. მიღებული კანონი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანობის კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ. ამ კანონის საფუძველზე აშშ-ს ეკონომიკა ვითარდება ე.წ. ბაბრის გლობალიზაციის პირობებში: კომპანიებისა და ბანკების საქონელი, ტექნოლოგიები, კაპიტალი სულ უფრო ორიენტირებულია მთელ მსოფლიო მეურნეობაზე და იმავდროულად ქვეყნის მძლავრი საშინაო ბაზარი სულ უფრო გადაიქცევა მსოფლიო სამეურნეო კავშირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

აშშ-ს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობაში. ექსპორტის სტრუქტურაში ჭარბობს მზა სამრეწველო პროდუქცია (50%-ზე მეტი), განსაკუთრებით მანქანატექნიკური პროდუქცია და ასევე სამომხმარებლო საქონელი. ექსპორტში მეორე ადგილზეა სოფლის მეურნეო-

ბის პროდუქცია (გააქვთ ქვეყანაში მთლიანად წარმოებულის 25%). ამერიკულ კომპანიებს მყარი პოზიციები უკავიათ მომსახურების მსოფლიო ბაზრებზე, პირველ რიგში, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საქონლით. ამერიკული კომპანიები ფლობენ ეგმ-ის პროგრამული უზრუნველყოფის ბაზრის მოცულობის დაახლოებით 3/4-ს. აშშ ლიდერობს მსოფლიო ბაზრებზე ნახევრადგამტარების, ელექტრონიკის მრავალი სახეობის, ავიაკოსმოსური და ლაზერული ტექნიკის, კავშირგაბმულობის საშუალებათა გაყიდვებში. დიდ როლს ასრულებს ასევე მოწინავე ტექნოლოგიების, პატენტების, ლიცენზიების, საკონსულტაციო მომსახურების ექსპორტი. აშშ-დან მომსახურების ექსპორტი 2-ჯერ სწრაფად იზრდება საქონელთა ვაჭრობასთან შედარებით.

აშშ-ის ეკონომიკის საშინაო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმპორტი. მაგალითად, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის, ფეხსაცმლისა და ზოგიერთი სხვა სამომხმარებლო საქონლის საშინაო მოხმარების 80%, ლითონდამამუშავებელი დაზგებისა და ნავთობის 50%, შავი ლითონებისა და საფეიქრო ნაწარმის 20% და ა.შ. კმაყოფილდება იმპორტით.

აშშ-ის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და იმავდროულად მთავარი კონკურენტი იაპონია და გერმანიაა. იაპონიაზე მოდის აშშ-ის მთელი ექსპორტის 29-31%, გერმანიაზე — 8-9%. ამ ქვეყნებთან ვაჭრობაში მყარი დეფიციტი აშშ-ის ეკონომიკის დამახასიათებელი ტენდენციაა და, პირიქით, ამ ქვეყნებისათვის აშშ-ის ბაზარი ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში აშშ-ის ეკონომიკა გახდა არა მხოლოდ დასავლეთ ევროპისა და იაპონიის, არამედ ახალი ინდუსტრიული ქვეყნების საექსპორტო პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი. მაგალითად, 90-იან წლებში აშშ-ზე მოდიოდა მექსიკის მთლიანი ექსპორტის 91%, ტაივანის — 46, ფილიპინების — 40, სამხრეთ კორეის — 38, ბრაზილიის — 32, სინგაპურის — 22%.

მსოფლიო ეკონომიკაში აშშ-ის წამყვანი როლი ვლინდება ქვეყნის ტექნოლოგიური საგადამხდელო ბალანსის მოძრაობითაც. ის მოიცავს გადასახდელებსა და შემოსულობებს ტექნოლოგიების გადაცემისათვის. აღსანიშნავია, რომ 80-იან წლებში მხოლოდ სამ ქვეყანას — აშშ-ს, ინგლისსა და შვეიცარიას — ჰქონდა უცელელი ტექნოლოგიური ბალანსი. ამასთან, აშშ ამ მაჩვენებ-

ლით დიდად სჭარბობდა სხვა ქვეყნებს, აშშ-ის საგადამხდელო ბალანსში აქტიური სალდო ამ მუხლით 7-8 მლრდ-ია წელიწადში.

როგორც აღინიშნა, აშშ-ის საგარეო-ეკონომიკურ კავშირებში გადამწყვეტ როლს ასრულებს ტნკ-ები, რომლებზეც მოდის აშშ-ის საგარეო-ეკონომიკური ბრუნვის 2/3, საპატენტო-სალიცენზიო ვაჭრობის 4/5. მათ მიერ განხორციელებულ საზღვარგარეთულ გაყიდვათა მთლიანი მოცულობა შეადგენს აშშ-ის მეპ-ის 1/3-ს. ბიზნესის ამ გიგანტების საქმიანობის შედეგად აშშ-ის ეკონომიკა სულ უფრო ინტეგრირებული ხდება მსოფლიო ეკონომიკაში.

მოკლედ რომ ვთქვათ, „მეორე ეკონომიკა" გამოდის აშშ-ის საგარეო ვაჭრობის განვითარების მძლავრ სტიმულად. ამერიკულ კორპორაციათა ფილიალების ექსპორტის მოცულობის 50% მოდის შიგასაფირმო ვაჭრობაზე და კაპიტალის გატანის 40%-ზე მეტი დედა-კომპანიების მიერ ეგზავნება საზღვარგარეთულ ფილიალებს. ამერიკულ კომპანიათა საერთაშორისო გარიგებების დაახლოებით 20% განპირობებულია მათი საერთაშორისო წარმოებით. ამერიკულ კორპორაციათა საზღვარგარეთულ ფილიალებში მუშაობს 10 მლნ ადამიანი.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შეთანხმება ჩრდილოეთ ამერიკაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ („ნაფტა"), რომელიც ძალაში შევიდა 1994წ. 1 იანვარს და როგორც ექსპერტები ასკვნიან, ის დიდ სარგებლობას მოუტანს მასში შემავალ ქვეყნებს, მათ შორის აშშ-ს.

ყოველივე აღნიშნულის ფონზე, ერთი შეხედვით, უცნაურია, რომ 1971 წლიდან აშშ-ის საგარეო-ეკონომიკური ბრუნვა დეფიციტურია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საზღვარგარეთის კომპანიები ზრდად როლს ასრულებენ აშშ-ის ეკონომიკის საქონლით მომარაგებაში. ამის სანაცვლოდ აშშ მოწინავე ტექნიკისა და საალუტო რესურსების ექსპორტიდან ამონაგების ნაწილის ინვესტირების შესაძლებლობას იღებს.

ასეთ პირობებში აშშ-ის საგარეო დავალიანება, უწინარეს ყოვლისა, არის აშშ-ის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეების შემსუბუქების საზღაური. საქმე ისაა, რომ დაფინანსების საგარეო წყაროების გამოყენებით აშშ-მ განახორციელა დიდი გარდაქმნები ეკონომიკაში, რაც და-

კავშირებულია განვითარების რესურსდამზოგავ ტიპთან – უმეტესწილად არა საკუთარი ხალხის ხარჯზე, ვიდრე ეს იქნებოდა სხვა შემთხვევაში. ამ მხრივ, აშშ-ის ეკონომიკის ზრდა 80-იან წლებში მნიშვნელოვანწილად სხვა ქვეყნების, უწინარესად, დასავლეთ ევროპის ხარჯზეა მიღწეული. ეს მოვლენა უნდა განეიხილოთ როგორც მსოფლიო მეურნეობაში აშშ-ის სალიდერო როლის გამოვლენა, მისი უნარი გამოიყენოს მსოფლიო რესურსები საკუთარი ეროვნული ამოცანების გადასაწყვეტად. 2000 წელს აშშ-ს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტმა მიაღწია 435,4 მლრდ დოლარს, ნაცვლად 331,5 მლრდ-ისა 1999 წელს. საქონელთა და მომსახურებით ვაჭრობის დეფიციტმა შეადგინა 368,5 მლრდ დოლარი (265 მლრდ – 1999წ.). ამასთან, გრძელდებოდა საგარეო ვალის ზრდის კურსი, რამაც 1,4 ტრლნ დოლარს მიაღწია, ნაცვლად 1,1 ტრლნ დოლარისა – 1999წ. მაგრამ პოლიტიკოსთა და თეორეტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ეს სრულებითაც არ არის კატასტროფის ნიშანიც კი. პირიქით, ის მეტყველებს ამერიკის ეკონომიკის მდგრადობასა და „ყოვლისშემძლეობაზე" ზრუნვას პერსპექტივისათვის. მაგალითად, დაფინანსების საგარეო წყაროების გამოყენება ხელს შეუწყობს მაღალი საშინაო კაპიტალდაბანდებების შენარჩუნებას: 1992-2000წწ. მშპ-ში წმინდა საშინაო ინვესტიციების წილი გაიზარდა 4,8-დან 5,4%-მდე, ხოლო წმინდა ეროვნული დაზოგვისა – 2,3-დან 5,8%-მდე. ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოდინება, მისგან გამომდინარე საბოლოო შედეგებით, ხელს უწყობს ბიუჯეტის პროფიციტს და შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს საშინაო ინვესტიციებსა და დაზოგვას შორის არსებული გარღვევა.

აშშ-ში უცხოური კაპიტალის სწრაფი მოდინების ტენდენცია გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა, ხოლო 1985 წელს, პირველად საგალო ვალდებულებები ვერ დაფარა ქვეყნის აქტივებმა საზღვარგარეთ: 2000 წლის ბოლოსათვის აშშ-ს აქტივებმა საზღვარგარეთ (პირდაპირი ინვესტიციების გამოკლებით) შეადგინა 4,4 ტრლნ დოლარი, ხოლო უცხოურმა აქტივებმა – 5,8 ტრლნ დოლარი, რომელთა შორის სხვაობა (1,4 ტრლნ) რეალურად ასახავს აშშ საგარეო ვალის სიდიდეს[1]. ასეთ ვითარებაში,

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2001, №2, გვ. 77.

როგორც ჩანს, ერთი მხრივ, მსოფლიო თანამეგობრობა ნდობას უცხადებს მძლავრ ამერიკულ ეკონომიკას და გარკვეულ რესურსულ „მსხვერპლს“ გაიღებს მის სასარგებლოდ, ხოლო, მეორე მხრივ, საკმაოდ დიდი საგარეო ვალი, საბიუჯეტო პროფიციტის პირობებში, დიდად არ აღელვებს ამერიკის საზოგადოებას.

6. აშშ-ის შერეული ეკონომიკის მოდელის ევოლუციის საერთო დახასიათება

შერეული ეკონომიკური მოდელის ფორმირება – მოდიფიკაციამი მკვლევართა და პოლიტიკოსთა ინტერესს იწვევს ფედერალური ბიუჯეტის როგორც უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური რეგულატორის, ადგილისა და როლის საკითხი. რაც მთავარია, ბიუჯეტისა და, საერთოდ, საბიუჯეტო მექანიზმის როგორც ერთობლივი მოთხოვნის მაკრორეგულატორის როლი, პირველად და მკაფიოდ აშშ-ში რუზველტ-კეინზის იდეების სინთეზის სახით წარმოდგა. სწორედ ეს იყო ამერიკული შერეული ეკონომიკის ხერხემალი, რომელშიც ერთიმეორეს მიესადაგა ეკონომიკური სისტემის სახელმწიფო და კერძო საწყისები და რომელმაც არსებითად განსაზღვრა აშშ-ის შერეული ეკონომიკის მოდელის ფორმაცა და შინაარსიც. მოდელის ეს ფორმა აშშ-ში (და არა მარტო იქ) დომინირებდა XX საუკუნის 40-70-იან წლებში, თვით 80-იანი წლების დასაწყისამდეც კი, ვიდრე ამკარა არ გახდა ტრადიციული კეინზური მექანიზმების მასტაბილიზებელი პოტენციალის შესუსტება. ამ უკანასკნელს მოპყვა „რეიგანომიკა“ („კონსერვატიული კონტრრეფორმები“), რითაც გადაისინჯა არა მხოლოდ სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკა, არამედ შერეული ეკონომიკის მოდელის სტრუქტურაც.[1]

ამიერიდან ამ მოდელში საკრედიტო-ფულად რეგულირებას ეფექტიანად უნდა შეეცვალა რუზველტ-კეინზიანური სისტემის მიკრორეგულატორები. სხვანაირად, ეს ნიშნავდა შერეული ეკონომიკის მოდელის მოდიციკაციას მასში სახელმწიფოს როლის (თავისი საბიუჯეტო მაკროეკონომიკური ფორმით) მინიმუმამდე დაყვანით. ეს იყო რეიგანის რადიკალური ეკონომიკური რეფორმის

---

[1] ეურნ. „Мировая экономика и международные отношения“, 2001, №4, გვ. 21-29.

ღერძი, რაც მან 1981 წლიდან დაიწყო. ამ რეფორმით კარდინალურად შეიცვალა ფედერალური ბიუჯეტის სტრუქტურა არა მოთხოვნის, არამედ მიწოდების ეკონომიკის თეორიის შესაბამისად ისე, რომ ყველაზე ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა ბიუჯეტის საგადასახადო მხარემ (მკვეთრად შემცირდა როგორც ინდივიდუალური სამემოსავლო, ასევე ბიზნესის ფედერალური გადასახადები ფედერალური საგადასახადო სკალის პროგრესულობის შემცირების მიზნით), რაც მიზნად ისახავდა სტრუქტურულ-მოტივაციური მექანიზმების მეშვეობით გაეძლიერებინა როგორც წარმოების, ასევე დაზოგვის სტიმული და, საბოლოო ანგარიშით, გამოეწვია ინტენსიური ეკონომიკური ზრდა. მაგრამ, „რეიგანომიკის" ანუ „ახალი ეკონომიკური კონსერვატიზმის" დიდი და მომხიბლავი მიზნები მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა — მიღწეულ იქნა ინფლაციისა და უმუშევრობის შემცირება და ისიც ფედერალური ბიუჯეტის დიდი დეფიციტისა და ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოზიციების გაუარესების ფასად.

სწორედ ასეთ ვითარებაში მოვიდა აშშ-ს ხელისუფლებაში დემოკრატი პრეზიდენტი ბ. კლინტონი კარდინალური ლიბერალური გარდაქმნების ჩანაფიქრით, რომლის ეპიცენტრი კონსერვატიული ბიუჯეტური მაკროეკონომიკური პოლიტიკის გადასინჯვა იყო. მართლაც, კლინტონის პერიოდში კვლავ გაიზარდა ფედერალური ბიუჯეტის როგორც სახელმწიფო მაკროეკონომიკური ინსტრუმენტის როლი, და შესაბამისად, სახე იცვალა შერეული ეკონომიკის მოდელმა. ფაქტობრივად, განხორციელდა დემოკრატიული, ლიბერალურ-კეინზური მაკროეკონომიკური ტრადიციების განახლება, რომლის არსი იყო სახელმწიფოს მასტაბილირებელი პოზიტიური პოტენციალის კვლავ წინა პლანზე წამოწევა სოციალური ორიენტაციის შენარჩუნებით (ცნობილია კლინტონის კატეგორიული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ „ბიუჯეტის ნამეტი თანხების ინვესტირება მოხდეს, უწინარეს ყოელისა, ქვეყნის სოციალური უზრუნველყოფის განმტკიცებისათვის"). ეს პოლიტიკა იყო დემოკრატების სოციალურ-ეკონომიკური ტრადიციების გაგრძელება ქვეყნის ახალ რეალიებზე მისადაგებით. კლინტონის ადმინისტრაციის მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ ქვეყანას, მოკლე პერიოდში, საგრძნობი შედეგები მოუტანა, დაძლეულ იქნა ბევრი ნეგატი-

ური პოზიცია და მკვეთრად გაუმჯობესდა სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია.

საბოლოო ანგარიშით, კლინტონის ადმინისტრაციის რვაწლიანი მოღვაწეობის პერიოდში არსებითი ცვლილებები მოხდა აშშ-ს მერეული ეკონომიკის მოდელის მაკროპოლიტიკასა და სტრუქტურაში. რაც მთავარია, ჩამოყალიბდა შერეული ეკონომიკის ნეოკლასიკური მოდელის ლიბერალური ვერსია, ხოლო თანაფარდობაში – „სახელმწიფო-ბაზარი", წინა პლანზე, თუმცა რამდენადმე სახეშეცვლილი ფორმით, წამოიწია სასელმწიფო რეგულირების (უწინარესად – ფედერალური ბიუჯეტის მეშვეობით) კეინზიანურმა იდეამ.

დაბოლოს, აშშ-ს დღევანდელი პრეზიდენტის, რესპუბლიკელ ბუშის ადმინისტრაცია, რომელიც აღიარებს რა დემოკრატ კლინტონის ადმინისტრაციის წარმატებულ საქმიანობას, და რომლის პოლიტიკაც ორიენტირებულია კონსერვატიზმის ტრადიციულ პარადიგმებზე, მიზნად ისახავს ამ უკანასკნელის არსებით კორექციას. მთავარი ამოცანაა: ეკონომიკის ცაძღოლის ყველა ეფექტიანი მეთოდის გამოყენებით, რომელი პარტიის სამოქმედო არსენალშიც არ უნდა იყოს, რომელ თეორიულ-ეკონომიკურ კონცეფციასაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს ის, უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის ახალი აღმავლობა, ინფორმაციული საზოგადოების შემდგომი სრულყოფა, აშშ-ის მსოფლიო ლიდერობის მდგრადობის შემდგომი განმტკიცება. ამ პროგრამის რეალიზაცია, უეჭველია, არსებით ცვლილებებს შეიტანს მერეული ეკონომიკური სისტემის მოდელის მოდიფიკაციაში, რომლის წინასწარ განჭვრეტა თითქმის შეუძლებელია.

თავი IV

გერმანია – სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის კლასიკური ქვეყანა

1. ლ. ერჰარდი – სოციალური საბაზრო მეურნეობის მთავარი იდეოლოგი და პრაქტიკულად განმახორციელებელი

(ლ. ერჰარდის წიგნის «Благосостояние для всех», М., 1991, კვალდაკვალ)

მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, თითქმის ნანგრევებად ქცეული და დაქუცმაცებული გერმანია, სამი წლის მანძილზე სრულ ქაოსში იყო. სწორედ მაშინ ლ. ერჰარდმა წამოაყენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობის მშენებლობის კურსი, რომლის განხორციელებამაც (გარკვეულწილად, ცნობილი „მარშალის გეგმით" აშშ-ს კოლოსალური ფინანსური დახმარების მეოხებით) გერმანია მიიყვანა სწრაფ ეკონომიკურ აღორძინებამდე, რაც საყოველთაო აღიარებით „გერმანულ სასწაულად" მოინათლა.

საქმე ის არის, რომ ომის შემდგომ ათ წელიწადში დასავლეთ გერმანიამ არა მხოლოდ აღადგინა დანგრეული მეურნეობა, არამედ უმეტესი ეკონომიკური მაჩვენებლით გაუსწრო ევროპელ მეზობლებს და მკვიდრად დაიკავა ერთ-ერთი სალიდერო ადგილი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყანათა შორის. სულ მოკლე პერიოდში „გერმანული სასწაული" მისაბაძი ეკონომიკური მოდელი გახდა მსოფლიოს ბევრი ქვეყნისათვის.

ლ. ერჰარდი, როგორც სახალხო მეურნეობის მინისტრი, ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მისი შრომითი ასპარეზი იყო არა მხოლოდ „წმინდა პოლიტიკის" სფერო, არამედ მეცნიერულიც, კერძოდ – „პოლიტიკური ეკონომიის" სფერო. მან ღრმად გაითავისა ის, რომ კომპეტენტური ხელმძღვანელის ამოცანაა, ერთი მხრივ, ორგანულად შეახამოს ერთიმეორეს ეკონომიკურად ჯანსაღი აზრი და მეცნიერული დასკვნები პოლიტიკასთან, ხოლო, მეორე მხრივ, არცთუ იშვიათად – პარტიულ-პოლიტიკური ნება დაუქვემდებაროს ეკონომიკის პრეროგატული ამოცანების გად-

აწყვეტას. ამის თაობაზე ლ. ერპარდი წერს: „მე როგორც სახალხო მეურნეობის მინისტრი, ბევრჯერ დავრწმუნდი, რომ ჩემი მუშაობა მიმდინარეობს არა „წმინდა ეკონომიკის“ სფეროში, არამედ „პოლიტიკურ ეკონომიაში“. ამიტომ, აუცილებელია უწყვეტი მცდელობა მოინახოს სინთეზი, ერთი მხრივ, ჯანსაღი ეკონომიკური აზრისა და მეცნიერული დასკვნებისა — პოლიტიკურთან, ხოლო მეორე მხრივ, პარტიულ-პოლიტიკურ ნებასთან“ (გვ. 314). ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ ერპარდის წიგნში წარმოდგენილია არა როგორც განყენებულ-დოქტრინული სისტემა, არამედ ამის სრულიად საპირისპიროდ — პოლიტიკისა და ეკონომიკის სინთეზის სახით, რომელშიც მოღვაწის შემოქმედებითი ნება ვლინდება მართვის ხელოვნებაში არა იძულებით, არამედ სამეურნეო ცხოვრების ნორმალური მსვლელობით.

საგულისხმოა, რომ პარტიული კუთვნილებით ქრისტიან-დემოკრატი ლ. ერპარდი ამოცანად ისახავდა ისეთი საზოგადოების შექმნას, სადაც არ იქნებოდნენ ღარიბები! რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მის წიგნში, თვით პოლიტიკურ პაექრობაშიც კი, არსად არ არის ნახსენები სოციალიზმი. უფრო მეტიც, ლ. ერპარდი თავისი „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ კონცეფციას უპირისპირებს არა სოციალიზმს, არამედ უფრო კონკრეტულ გაგებას — „ძალდატანებით მართვად მეურნეობას“, რაც უფრო ზუსტად ასახავს „ადმინისტრაციულ-საკომანდო სისტემის“ არსსა და ბუნებას. მათ შორის არსებითი განსხვავება არის ის, რომ პირველი — კონკურენციაზე დამყარებული ეკონომიკური სისტემაა და თუმცა ის ყველას და თითოეულს ვერ დაიცავს რისკისა და ყოველგვარი შემთხვევითობისაგან, მაგრამ ადამიანს აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ საკუთრივ ის და სხვა არავინ, მთლიანად პასუხისმგებელია თავისი საქმიანობისა და მისი შედეგებისათვის. რაც შეეხება მეორეს, ადამიანი ჩაყენებულია ისეთ მდგომარეობაში, რომ მასზე მთელ პასუხისმგებლობას იღებს სახელმწიფო, ანუ ფაქტობრივად, თვითშემოქმედი, დამოუკიდებელი ადამიანი არ არსებობს. რეალობა კი ის არის, რომ სოციალურად მოქმედი ადამიანისათვის რისკი ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე დამოკიდებული, „სახელმწიფო სათბურში“ მოთავსებული პიროვნების არსებობა (და ცხოვრება). ბუნებრივია, იგულისხმება, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაზე სახელმწიფოს ამა თუ იმ ფორმითა და

ზომით ზემოქმედება აუცილებელია ყოველთვის, არც ერთი სერიოზული ეკონომისტისათვის ეს სადავო არ არის. სხვა საქმეა, თუ ეკონომიკაში ყველაფერი განისაზღვრება მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს უკვე ტოტალიტარიზმია, რაც რადიკალურად განსხვავდება თავისუფალი წყობილებისაგან.

აღსანიშნავია, რომ ლ. ერჰარდი, მართალია, თავის მეცნიერულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებდა ფაშიზმისაგან უკვე განთავისუფლებულ გერმანიაში, მაგრამ იმ დროისათვის მაინც ძალზე ძნელი იყო საბაზრო (და ისიც სოციალური) შეხედულებების დაცვა. მას ამ მხრივ ბევრი ოპონენტი თუ მოწინააღმდეგე ჰყავდა. თვით კანცლერი კ. ადენაუერი იყო ეკონომიკაში ადმინისტრაციული მეთოდების მიმდევარი და საბაზრო ეკონომიკის იდეას (თუნდაც „სოციალურით" შემკობილს) ძალზე უფრთხოდა. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო ლ. ერჰარდის დიდი რწმენა და პოლიტიკური სიმამაცე, რათა წინ წამოეწია ეკონომიკაში თავისუფლების იდეა. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, „მოხმარების თავისუფლება" და „იძულებითი განაწილება", — აი, ის დიალექტიკური ღერძი სიკეთისა და ბოროტებისა, რის გარშემოც ტრიალებდა ერჰარდის საბაზრო ფილოსოფია და პრაქტიკა. მას ღრმად სწამდა და არ იღლებოდა იმის მტკიცებით, რომ არ შეიძლება პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების შემდეგ საზოგადოება ეკონომიკურად არათავისუფალი დარჩეს, ისევე როგორც ეკონომიკური თავისუფლება შეუძლებელია პოლიტიკური თავისუფლების გარეშე. და მაინც, ერჰარდისათვის თავისუფლების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენდა მოხმარების თავისუფლება. საქმე ის არის, რომ განაწილება თავისი ბუნებით ყოველთვის იძულებითია, რამდენედაც ის, ვისაც უნაწილებენ, ყოველთვის ობიექტია და არასოდეს — სუბიექტი, შესაბამისად — არათავისუფალი. და, პირიქით, თუ მომხმარებელი თავისუფალია თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ის ყველაფერ დანარჩენშიც — თავისუფალია.

რა შინაარსს დებდნენ ლ. ერჰარდი და მისი კოლეგები „სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში"? რაში მდგომარეობს მისი „სოციალურობა" და როგორ რეალიზდება ის? აი, კითხვები, რომლებზეც ომის შემდგომ, სულ რაღაც ათ წელიწადში, პასუხი გასცა

გერმანიაში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმამ, რაც საესებით სამართლიანად, „გერმანული სასწაულით“ მოინათლა.

ლ. ერჰარდი ეკუთვნოდა ნეოლიბერალურ მიმდინარეობას ეკონომიკურ თეორიაში, რომელ სკოლასაც გერმანიაში ვალტერ ოიკენი განასახიერებდა. ვ. ოიკენმა არსებითი წელილი შეიტანა ნეოლიბერალიზმის ფორმირებაში. მისი აზრით, ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმა დაიყვანება ორ სახემდე: 1) ცენტრალურად მართული ან ტოტალიტარული და 2) თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც პოლიტიკურად დემოკრატიული წყობილება შეესატყვისება. ოიკენის იდეალია თავისუფალი სოციალური საბაზრო მეურნეობა, რომლის ძირითადი პრინციპია – თავისუფლება პიროვნებას, ვაჭრობას, მეწარმეობას, თავისუფალი კონკურენცია. ასეთი საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს, მაგრამ მან თვალყური უნდა ადევნოს, რათა მისმა ყოველმა წევრმა არსებული წესები დაიცვას, ე.ი. სახელმწიფომ მსაჯის ფუნქცია უნდა შეასრულოს. მისი ძირითადი ნაშრომებია: „ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები“ (1950წ.), „ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრონციპები“ (1955წ.).[1]

ვ. ოიკენის „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ კონცეფციას ლ. ერჰარდი დიდად აფასებდა, უფრო მეტიც, იგი იყო სოციალური საბაზრო მეურნეობის მთავარი იდეოლოგი და პრაქტიკულად განმახორციელებელი.

ლ. ერჰარდს საბაზრო ეკონომიკასთან „სოციალურის“ თანაფარდობის მექანიზმი ასე ესმოდა: თუ მართებულია მტკიცება, რომ მხოლოდ იმის განაწილება შეიძლება, რაც შექმნილია, მაშინ ყველა „სოციალურმა რეფორმატორმა“ უნდა იღვაწოს უწინარესად ყველაზე ეფექტიანი სამეურნეო წესრიგისათვის... მაგრამ თუ რაიმე წესრიგით ყველა ადამიანი ერთნაირად იშიმშილებს, ეს არ იქნება სამართლიანი განაწილების ან რაიმე სხვა სოციალური საკითხის გადაწყვეტა, რაოდენ სოციალური შეფერილობითაც არ უნდა ხასიათდებოდეს ის – თუნდაც ყველა ადამიანის საერთო ინტერესებისათვის თავდადების მოწოდებით... „ეკონომიკის სო-

---

[1] ეკონომიკური ლექსიკონი. პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., 2001, გვ. 353-354.

ციალური მიმართულება“ მხოლოდ ცარიელ სიტყვებად რომ არ დარჩეს, საჭიროა არა განაწილების სრულყოფა, არამედ წარმოების აღმავლობა. ჩვენ მუდმივად უნდა ვიღვაწოთ თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნებისათვის, რათა არ ჩაქრეს მისი მაგარებელი კეთილშობილი ძალები, რაც უზრუნველყოფს მთლიანად გერმანული ეკონომიკის მწარმოებლურობის ამაღლებას... სადაც არ არის კონკურენცია, იქ ყველაფერი ჩერდება, უძრავი ხდება და ბოლოს და ბოლოს თითოეული ადამიანი იწყებს ზრუნვას თავის თავზე და არა ეკონომიკაზე და მის ისეთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელზე, როგორიც მწარმოებლურობის ამაღლებაა მთლიანად... არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მწარმოებლურობის ამაღლება მხოლოდ შუალედური მიზანია. „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მიზანი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მიღწეულად, როცა მზარდი მწარმოებლურობის კვალობაზე მცირდება სამომხმარებლო ფასები, რითაც უზრუნველიყოფა რეალური ხელფასის ზრდა.

გერმანიის 1948 წლის რეფორმა ერთდროულად ფულად რეფორმასა და ფასების რეფორმას ითვალისწინებდა. ფულის რეფორმის ამოცანა იყო გაუფასურებული „უხვი“ ფულისაგან თავის დაღწევა და მტკიცე ვალუტის შექმნა. რეფორმა ჩაგარდა არა დემოკრატიული გზით, არამედ სამხედრო საოკუპაციო რეჟიმის დეკრეტით. 1948 წლის 21 ივნისს ღამით, ძველი რეიხმარკა გაუქმებულად ჩაითვალა და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა ახალი ფული — დოიჩმარკა. ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ ხელზე მიიღო 40 ახალი მარკა (შემდგომ დამატებით — 20 მარკა). პენსიები, ხელფასები და კომუნალური გადასახადები ამიერიდან დაექვემდებარა გადახდას ახალი მარკით — 1:1-ზე. ხელზე არსებული ფულისა და დანაზოგების ნახევარი კი იცვლებოდა 1:10-ზე, ხოლო ნახევარი კი გაიყინა და მოგვიანებით გაიცვალა 1:20-ზე. საწარმოთა ძველი ფულადი ვალდებულებების დიდი ნაწილი ასევე გადაიანგარიშებოდა კურსით — 1:10-ზე; ყოფილი რეიხის ბანკებისა და დაწესებულებათა ვალდებულებები, ძირითადად ანულირებულ იქნა. საწარმოებმა მიიღეს ნაღდი ფული პირველი ხელფასის გადახდისათვის, მაგრამ შემდგომ მათ ეს უნდა განეხორციელებინათ თავისი პროდუქციის გაყიდვიდან. შეიქმნა ახალი საემისიო ბანკი

– გერმანიის მიწების ბანკი და შემუშავდა დებულება, რომელიც არეგულირებდა მის ურთიერთობას კერძო ბანკებთან.

ფასების რეფორმის ამოცანა, რომელიც ძალაში შეეიდა ფულის რეფორმიდან სამი დღის შემდეგ, იყო „ძალდატანებითი მეურნეობის“ შეცვლა – რესურსების ადმინისტრაციული განაწილებისა და ფასებზე კონტროლის გაუქმება. ფასებისა და ხელფასის განსახელმწიფოებრივება ტარდებოდა თანმიმდევრულად, მაგრამ სწრაფი ტემპებით. თუ ფულად რეფორმაზე პასუხისმგებელი იყო, არსებითად, საოკუპაციო ხელისუფლება, სავალდებულო ფასების შეცვლას მთლიანად ლ. ერჰარდი და მისი სამეურნეო მმართველობა ხორციელებდა, თანაც საოკუპაციო ხელისუფლების რჩევის არაადეკვატურად (რომელიც შიშობდა საბაზრო ურთიერთობებზე სწრაფი გადასვლის გამო) და საწინააღმდეგოდ პროსოციალისტურად განწყობილი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისა. ლ. ერჰარდის პოლიტიკის სისწორე მალე გამოცდილებით დადასტურდა. ამის დასაბუთება იყო პირველი ათი წელი, რასაც ლ. ერჰარდის ზემოთ დასახელებული წიგნი მიეძღვნა.

წიგნიდან ნათელია, რომ ერჰარდი შორს იყო სახელმწიფოს ადრეკაპიტალისტური, ლიბერალური გაგებისაგან როგორც „ღამის დარაჯისა“, რომელიც მხოლოდ იცავს ბაზარს. მისთვის ბაზარი თვითმიზანი კი არა – საშუალებაა სოციალური მიზნების მისაღწევად, კერძოდ, კლასობრივი განსხვავების დაძლევისათვის საზოგადოებაში, ქვეყნის შემოქმედებითი ძალების მაქსიმალური განვითარებისათვის. თავისუფალი კერძო ინიციატივა და კონკურენცია ეხამება სახელმწიფოს აქტიურ როლს სამეურნეო ცხოვრებაში. იდეური თვალსაზრისით, ერჰარდის საქმიანობა წარიმართებოდა არა ლიბერალიზმისა და სოციალიზმის, არამედ სოლიდარიზმის ნიშნით.

ერჰარდი 1948 წელს გამოვიდა გერმანიაში შემოსავლების განაწილების არსებული სისტემის კრიტიკით. მისი სურვილი იყო კონსერვატული სოციალური სტრუქტურის საბოლოო დაძლევა მოსახლეობის მასობრივი მსყიდველობითუნარიანობის შექმნის გზით.

უწინდელი სისტემით, არსებობდა, ერთი მხრივ, ძალიან მცირერიცხოვანი მაღალი ფენა, რომელსაც მოხმარების სფეროში შეეძლო ყველაფერი ეკეთებინა, მეორე მხრივ, რიცხობრივად ძალიან ფართო, მაგრამ არასაკმაო მსყიდველობითუნარიანობის მქო-

ნე დაბალი ფენა მოსახლეობისა. ამიტომ, გერმანული სამეურნეო წესრიგის რეორგანიზაციისას აუცილებელი იყო პროგრესული სოციალური სტრუქტურების განვითარების საწინააღმდეგო ინსტიტუტის, და იმავდროულად „მდიდრებსა" და „ღარიბებს" შორის დაპირისპირების დაძლევა. ყველაფერი ეს უნდა გაკეთებულიყო მორალური და მატერიალური დაინტერესების პრინციპების შეთანაწყობით.

ლ. ერპარდის ღრმა რწმენით, კეთილდღეობის მიღწევისა და უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტიანი საშუალება — კონკურენციაა. ის ყველა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლოს სამეურნეო პროგრესით, განსაკუთრებით — მომხმარებლის როლში. კონკურენცია სპობს ყველა პრივილეგიას, რაც არ არის შრომის ამაღლებული მწარმოებლურობის უშუალო შედეგი. კონკურენციის მეშვეობით შეიძლება მიღწეულ იქნეს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, სოციალური პროგრესი და მოგება; ამასთან, ის არავის არ აძლევს შესაძლებლობას დაკმაყოფილდეს მიღწეულით. ამ რწმენის განუყოფელი ნაწილი, რომ სწორედ ამ გზით შეიძლება ყველაზე მეტად კეთილდღეობის ამაღლება, არის სურვილი ყველა მშრომელისათვის უზრუნველყოფილ იქნეს, შრომის მწარმოებლურობის ზრდის შესაბამისად, ხელფასის განუხრელი ზრდა. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო მნიშვნელოვანი წანამძღვრების შექმნა. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკის დასაწყისში მახვილი კეთდებოდა მეურნეობის ექსპანსიაზე; თავდაპირველად საჭირო იყო საერთოდ საქონლის მიწოდების გადიდება და ამით კონკურენციის გამოცოცხლება. ამასთან ერთად, უპირველესი ამოცანა იყო უმუშევართა მზარდი რაოდენობის დასაქმება. ყოველივე ამის მისაღწევად აუცილებელი იყო ძველმოდური კანონის — სამეურნეო ცხოვრების კონიუნქტურული ციკლებით განვითარების დაძლევა, რაც მიუღწეველად იყო მიჩნეული. როგორც ცნობილია, მიჩნეული იყო, რომ მეურნეობა ვითარდებოდა რიტმული ციკლებით. დაახლოებით 7 წელი, თითქოსდა, გრძელდება სრული ციკლი: აღმავლობა, მაღალი კონიუნქტურა, დაცემა და შემდეგ — კრიზისი, რომელშიც ისახება მიზნობრივი ძალები, რომელთაც კვლავ გამოპყავთ მეურნეობა შემდგომი ციკლის აღმავლობაზე. მაგრამ 10 წლის განმავლობაში, რაც ერპარდი იყო პასუხისმგებელი გერმანულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, უკვე შეძლეს გაღ-

ეწყვიტათ ეს „უცელელი“ რიტმული წრებრუნვა და მეურნეობის მუდმივი აღმავლობის გზით მიღწეულ იქნა სრული დასაქმების შეხამება მაღალი მწარმოებლურობის კონიუნქტურასთან. როგორც ლ. ერჰარდი მიიჩნევდა, მთელი ეს ძალისხმეეა წარმატების მომტანია მხოლოდ მანამდის, სანამ კონკურენციას არ შეექმნება დაბრკოლება, ან კიდეე ის არ აღმოიფხვრება საერთოდ, ხელოენურად ან იურიდიული მანიპულაციებით. ამის საშიშროება კი მრავალმხრივია. ამიტომ თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მესაბამისად, კარტელების ამკრძალავ კანონს უნდა ჰქონდეს აუცილებელი „სამეურნეო კონკურენციის“ ძალა. თუ სასელმწიფო ამაზე უარს იტყვის, მაშინ უნდა გამოეემშიდობოთ „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“. ცნებები — „კეთილდღეობა ყველასათვის“ და „კეთილდღეობა კონკურენციის მეშვეობით“, განუხრელ ურთიერთკავშირშია. ერთი არის მიზანი, მეორე ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა. თეით ამ მინიშნებით ცხადია ფუძემდებლური განსხვავება საბაზრო მეურნეობასა და კლასიკურ ლიბერალურ მეურნეობას შორის.

სწორედ აღნიშნულის გამო მიიჩნევდა ლ. ერჰარდი, რომ კეთილდღეობის ამაღლება მიღწეულ უნდა იქნეს მეურნეობის ექსპანსიის გზით და არა უნაყოფო დავით — ეროვნული პროდუქტის სხვაგვარად განაწილების აუცილებლობის შესახებ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ახლანდელი განაწილება სწორია და ის უცელელი უნდა დარჩეს. ლ. ერჰარდის ეკონომიკური რეფორმის ასეთმა კურსმა მოკლე პერიოდში მნიშვნელოვანი შედეგები უზრუნველყო: 1949 წელთან (ე.ი. ფედერალური მთავრობის მიერ სოციალური საბაზრო მეურნეობის პოლიტიკის განხორციელების დაწყებიდან) შედარებით 1955 წელს ეროვნული პროდუქტი თითქმის 2-ჯერ გაღიღლა. კერძო მოხმარებაც — დაახლოებით ამდენითვე. ასეთი მაჩვენებლით გერმანია პირველ ადგილზე გავიდა მსოფლიოში. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით კერძო მოხმარების ინდექსი (1952წ. — 100%) 1949 წელთან შედარებით 1955 წელს გაიზარდა: დასავლეთ გერმანიაში — 77-დან 126-მდე, აშშ-ში — 96-დან 107-მდე, დიდ ბრიტანეთში — 100-დან 110-მდე, შვედეთში — 96-დან 110-მდე, საფრანგეთში — 88-დან 113-მდე და ა.შ. ხაზგასასმელია, რომ არცერთი რეფორმის პირობებში, თუნდაც რომელიმე ქვეყანაში პირადი მოხმარების ასეთ ზრდას ადგილი არ ჰქონია.

აჯამებდა რა განხილული პერიოდის მიღწეევებს, ლ. ერჰარდი ხაზგასმითა და სიამაყით აღნიშნავდა: ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების სწორედ ეს შთამბეჭდავი მაგალითი აღასტურებს რამდენად მნიშვნელოვანია მთელი ძალისხმევა წარიმართოს სახალხომეურნეობრივი შემოსავლების გამრავლებაზე, ვინემ ფუჭად კარგოს დრო შემოსავლების განაწილების სრულყოფაზე და უარი თქვა ეფექტიანობის ამაღლების ერთადერთ გზაზე — მწარმოებლურობის გადიდებაზე. საქმე ისაა, რომ შემოსავლების „სამართლიანი" განაწილების მოთხოვნის უკან დგას ცალკეულ პირთა თუ ჯგუფების ეგოისტური ინტერესები თავისთვის მიაღწიონ სარგებელს სხვების ანგარიშზე. ამასთან, ისინი იოლად ივიწყებენ, რომ ყოველგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საწინდარი მწარმოებლურობის ამაღლებაა. ასეთ „მსუბუქ" აზროვნებას ლ. ერჰარდი ეკონომიკური პროგრესისათვის მეტად სახიფათოდ მიიჩნევს და ასკვნის, რომ მხოლოდ კონკურენციის აღიარება შეიძლება წინ აღუდგეს ეგოიზმს. როგორც ჯანსაღ კონკურენციაზე დაფუძნებული მეურნეობა არ დაუშვებს მისმა ცალკეულმა მონაწილემ მოითხოვოს თავისთვის პრივილეგიები, ასევე გამდიდრების მსგავსი წესი გამორიცხულია ამა თუ იმ ჯგუფის მიმართაც. ლ. ერჰარდის ღრმა რწმენით, ყველა ძალა უნდა წარიმართოს ექსპანსიის გზით ეკონომიკის აღმავლობისათვის, რაც სრულებითაც არ აყენებს საფრთხეში მეურნეობასა და ვალუტის სიმტკიცეს, ერთადერთი გზაა უზრუნველყოფილ იქნეს ღირსეული ცხოვრების დონე ყველა იმათთვის, რომელთაც თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ, მოხუცებულობის, ავადმყოფობის ან სამხედრო ინვალიდობის გამო ვერ ძალუძთ უშუალოდ მონაწილეობა მიიღონ საწარმოო პროცესებში. ამის ნათელი დადასტურებაა 1949-1956 წწ. სახელმწიფოებრივი სოციალური დახმარების ზრდა 2,5-ჯერ და მეტად, რაც საპენსიო რეფორმასთან ერთად უზრუნველყო სამეურნეო აღმავლობამ. სწორედ სამეურნეო პროგრამით იქნა უზრუნველყოფილი ღარიბთა მზარდი ხარისხით ჩართვა კეთილდღეობის ეფექტიანი პოლიტიკის ორბიტაში, სწორედ ამ გზით, ე.ი. კონკურენციაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის თანმიმდევრული გარდაქმნით, შეიძლება საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა, ასევე ტრადიციული სამოქალაქო თავისუფლების გაფართოება და საბოლოო ანგარიშით, სამოქა-

ლაქო საზოგადოების ფორმირება. რაც შეეხება საკუთრივ სამეურნეო უფლებებს, ის გულისხმობს თითოეული მოქალაქის თავისუფლებას თავისი ცხოვრება, ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში, მოაწყოს ისე, როგორც ეს უპასუხებს მის პირად სურვილებსა და წარმოდგენებს. მოხმარების თავისუფლების ეს ძირითადი დემოკრატიული უფლება თავის ლოგიკურ გაგრძელებას პოულობს მეწარმის თავისუფლებაში აწარმოოს და გაყიდოს ის პროდუქტები, რაც შეესაბამება მომხმარებელთა მოთხოვნილებებს და რაც მას წარმატებას უქადის. მოხმარებისა და საქმიანობის თავისუფლება თითოეული მოქალაქის შედეგებში უნდა იყოს როგორც ხელშეუვალი უფლება. მისი სრულყოფა უნდა ისჯებოდეს როგორც არსებულ საზოგადოებრივ წყობილებაზე თავდასხმა. დემოკრატია და თავისუფალი მეურნეობა ისეთივე ლოგიკურ კავშირშია ერთიმეორესთან, როგორც დიქტატურა და სახელმწიფოებრივი მეურნეობა. ამასთან, აუცილებელია ეროვნული ვალუტის სიმყარის ყოველგვარი ხელყოფის აღკვეთა, რამდენადაც სოციალური საბაზრო მეურნეობა წარმოუდგენელია ვალუტის მყარი კურსის გარეშე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მოსახლეობის ერთი ჯგუფის მეორე ჯგუფის ხარჯზე გამდიდრების თავიდან აცილება. ასევე აუცილებელია არ დაეუშვათ ის, რომ ხელფასის ზრდა უსწრებდეს მწარმოებლურობას, რაც არღვევს ფასთა სტაბილურობის პრინციპს. ამ სფეროში არანაკლებ დამნაშავეები არიან ის მეწარმეები, რომლებიც ხელფასის ზრდის ან ეგოიზმის გამო, გამოსავალს ეძებენ ფასების გადიდებაში. თუ ეს შეგნებულად ხდება, ფაქტობრივად, დანამაულია, რამდენადაც ის ხელს უწყობს ინფლაციას და ააღვილებს მიღებული კრედიტების გადახდას. თუ ამას სისტემური ხასიათი მიეცემა, პოლიტიკური კატასტროფა გარდუვალია.

ყოველივე აღნიშნული წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურსა და პოლიტიკურ საფრთხესაც. ამიტომაც ვალუტის სიმყარე ადამიანის ძირითად უფლებათა ორბიტაშია და თითოეული მოქალაქე უფლებამოსილია მოითხოვოს სახელმწიფოსაგან მისი დაცვა.

• დაბოლოს, ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოს მტკიცე მომავლის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ზნეობრივ ფასეულობებზე დამყარება როგორც ეკონომიკურ, ასევე საზოგადოებ-

რივ პოლიტიკაში. ხომ საყოველთაო ფაქტია, რომ XX ს. შუა ხანებში ეკონომიკური აყვავება მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს ბედთან და, პირიქით, ყოველი მთავრობის თუ მისი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებასა თუ წარუმატებლობასთან. პოლიტიკისა და ეკონომიკის ასეთი ურთიერთდამოკიდებულება გამორიცხავს განყენებული კატეგორიებით აზროვნებას. ეკონომიკური პოლიტიკის მემოქმედი უნდა გრძნობდეს თავის მოვალეობას დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და ცხოველუნარიანობისათვის, პოლიტიკის ადამიანმა უნდა აღიაროს სახალხო ეკონომიკის დიდი მნიშვნელობა და იზრუნოს ყველას კეთილდღეობისათვის.

გერმანიაში მშენებარე სოციალური საბაზრო მეურნეობა მოითხოვს იმას, რომ პოლიტიკოსები მას აღიარებდნენ როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც განსაზღვრავს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის არსსა და მიმართულებას. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკით იქნა ისტორიულად მოკლე პირობებში უზრუნველყოფილი უპრეცენდენტო აღდგენითი სამუშაოების წარმატება. ამ პოლიტიკით არა მხოლოდ სამუშაო და საარსებო საშუალებები მიეცა მოსახლეობას, რომელიც გაიზარდა 1/4-ით, არამედ ამაღლდა ადამიანთა კეთილდღეობაც იმ დონეზე, რაც აღემატება საუკეთესო ომამდელ წლებს. სოციალური საბაზრო მეურნეობა აშენდა ძნელი, მაგრამ პატიოსანი და დაუღალავი შრომით. სწორედ ამ გზით შეძლო გერმანიამ მოეპოვებინა მსოფლიოს ნდობა და მხარდაჭერა. /

მართლაც, საბაზრო მეურნეობის დამკვიდრება გერმანიაში ეს იყო თითქმის ერთადერთი და გარდუვალი ისტორიული მოვლენა, რაც განხორციელდა რამდენიმე შესაბამისი კანონის შემოღებისა და უკომპრომისო გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ის მობრუნება ეკონომიკურ პოლიტიკაში, რაც მოხდა ძალდატანებით მართვადი მეურნეობიდან საბაზრო სისტემაზე გადასვლის სახით, ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე ეკონომიკური ღონისძიებები ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. გერმანიის ხელისუფლებამ საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება გადაიყვანა ახალ საფუძველზე და დასახა პერსპექტიული გზები. აქ მთავარია ის, რომ ხელისუფლებამ გაითავისა სულიერების თავისუ-

ულების უარყოფის დამღუპველი შედეგი — ტირანიისა და ტოტალიტარიზმის გზით.

„რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გზაზე გერმანიის ხელისუფლების ნებას გარკვეული წინააღმდეგობები შეხვდა „მარშალის გეგმის" ე.წ. აშშ-ს საინიციატივო ჯგუფის მხრივ. თუმცა, როგორც ლ. ერჰარდი ხაზგასმით აღნიშნავს, გერმანელი ხალხი დიდი მადლიერია აშშ-ის, რომლის ფართომასშტაბიანმა დახმარებამ 1948-1954 წწ., მარშალის გეგმის განხორციელების პროცესში, 1,5 მლრდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ომის შემდგომ პერიოდში, აღნიშნული გეგმის დაწყებამდე, მიიღო ასევე 1,2 მლრდ დოლარი."

და მაინც, თუ შევეხებით ამერიკული „უმაღლესი კომისიის" წევრებთან გარკვეულ კონფლიქტურ სიტუაციებს, ეს უწინარესად შეეხებოდა ძველი ეკონომიკური სისტემის დემონტაჟს, გადასახადების შემცირებას, ხელოსნობის თავისუფლებას, გადაყიდვების პროცესში ფასწარმოქმნას, პროფესიული ცენტრების მოწყობას, საგარეო-საეაჭრო პოლიტიკის ახლებურად ორგანიზაციას და სხვ. ყოველივე ამას დაემატა რეფორმის საწყის სტადიაზე უკიდურესი რადიკალების მიერ წაქეზებული საყოველთაო გაფიცვა მოწოდებით — „ძირს თავისუფალი საბაზრო მეურნეობა".

მიუხედავად ამისა, ლ. ერჰარდის ჯგუფი, სწავლობდა რა შეცდომებზე, ჯიუტად, მაგრამ თანმიმდევრულად განაგრძობდა რეფორმის კურსს. გადახრებიდან აღსანიშნავია საგადასახადო პოლიტიკის კონფლიქტი მთლიანად ეკონომიკური რეფორმის მიმართულებასთან. საგადასახადო სისტემა არცთუ იშვიათად ხდებოდა ის საშუალება, რომლითაც სახელმწიფო უპირატესობას აძლევდა ან შეღავათებს უქმნიდა იმათ, რომლებიც მას იყენებდნენ არასასურველი მიმართულებით, რაცა ზემოქმედება მოეხდინათ ეკონომიკაზე.

მიუხედავად ამ და სხვა გადახრებისა, რეფორმატორთა ოპტიმიზმი, რასაც პირველად ბევრი დასცინოდა, მოკლე პერიოდში რეალობა გახდა. ამის უპირველესი სიმპტომი საცალო ვაჭრობაში ფასების შემცირების ტენდენცია იყო, რითაც დასავლეთ გერმანია გაემიჯნა იმ ქვეყნებს, რომლებიც შეეგუვნენ ფასების განუწყვეტელ ზრდას. სტაბილიზაციის არსებითი ელემენტი უეჭველი იყო ასევე ხელფასის დარგშიც, თუმცა ხელფასის შეზღუდვა ძალაში რჩებოდა, რაც შეუთავსებელია საბაზრო მეურნეობასთან და

რაც 1948 წლის 3 ნოემბრის კანონით — ხელფასის შეზღუდვის მოხსნის შესახებ, გაუქმდა. სამეურნეო მმართველობის ძალისხმევა ფასების სტაბილიზაციის დარგში აისახა ფასების კატალოგის პერიოდულ პუბლიკაციაში, ასევე „ფართო მოხმარების პროგრამის“ ამოქმედებაში, რაც ითვალისწინებდა ამა თუ იმ სახეობის კონკრეტული საქონლის წარმოებას წინასწარ გათვლილი ფასებით. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ასევე, კანონმა, რომელიც მიმართული იყო ფასების თვითნებურად აწევის წინააღმდეგ, თუმცა ეს კანონი დიდხანს იყო ცხოველი კამათის საგანი სხვადასხვა წრეში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ გერმანიის მთავრობამ უარი თქვა მკაცრ საკრედიტო პოლიტიკაზე, ასევე შეამცირა ფინანსური სავალდებულო რეზერვები 15-დან 12%-მდე, სააღრიცხვო სარგებლის განაკვეთი 5-დან 4%-მდე. ბანკებს სპეციალური დოტაციები მიეცათ საწარმოთა დაკრედიტებისათვის. ამ და სხვა ღონისძიებებმა გამოიწვია გერმანელი მომხმარებლისათვის შორეული წარსულის მოვლენის აღორძინება: გაჩნდა ბაზარი, რომლის სახეს განსაზღვრავს მყიდველი, ე.ი. ბაზრის „მეფე“. ამ ხელახლა აღორძინებულმა „მყიდველთა ბაზარმა“ განაპირობა ბუნებრივად განსაზღვრული შედეგები. უწინარესად, ეს გამოვლინდა კაპიტალდაბანდებათა მიზანსწრაფულ წარმართვაში საწარმოო სიმძლავრეების გაფართოებისათვის. ამასთან, რაც მთავარია, მეწარმეთა აზროვნებამ არსებითი ევოლუცია განიცადა იმ მიმართულებით, რომ ის უკვე განისაზღვრებოდა არა მხოლოდ საწარმოო ეკონომიკის თვალსაზრისით: წინა პლანზე წამოიწია ბაზრის მოთხოვნასთან დაკავშირებულმა წარმოების რაციონალიზაციაზე წარმართულმა დაბანდებებმა. ამით, ერჰარდის თქმით, ***„მომხმარებლის თავისუფლება“ კაცობრიობის თავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე არსებით საფუძვლად იქნა აღიარებული.***

გარდაქმნების პერიოდში რეფორმატორი მთავრობა წარმატებით ახორციელებდა „იდეალურ ტრიადას“: მწარმოებლურობის ამაღლების საფუძველზე პროდუქციის ზრდა — ნომინალური ხელფასის გადიდება — ფასების სტაბილიზაცია ან დაწევა, როგორც საყოველთაო კეთილდღეობის საფუძველი. ამ საოცნებო ტრიადის სოციალურმა ჰარმონიამ წინასწარ განსაზღვრა გერმანული ეკონომიკის მომავალი სიმყარე და სოციალური მიმართულება. რო-

ორც იმდროინდელი პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკოსები აღნიშნავდნენ, გერმანიის ეკონომიკა ემსახურება მომხმარებელს, რომელიც სამეურნეო საქმიანობის არბიტრი და ძირითადი საზომია. სოციალური საბაზრო მეურნეობის პოლიტიკამ მთელ მსოფლიოს ნათლად აჩვენა, რომ მისი პრინციპები: თავისუფალი კონკურენცია, მოხმარების საგნების თავისუფლების არჩევანი, ისევე როგორც საერთოდ პიროვნების თვითდამკვიდრებისა და გაფურჩქვნის თავისუფლება, განაპირობებს გაცილებით მაღალ ეკონომიკურ და სოციალურ წარმატებებს, ვიდრე ხელისუფლების მიერ „წარმართული" მეურნეობის ყოველგვარი სახეობა, ანუ ძალდატანებით მართვადი მეურნეობა.

ამის ნათელი დასტურია ის, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში წარმოების საერთო დონემ 1938 წლის ინდექსს ორჯერ გადააჭარბა, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო (იხ. ცხრილი).

მთლიანი სამრეწველო წარმოების შედარებითი მაჩვენებლები (1950=100)[1]

	1938	1949	1950	1951	1952	1953	1954	1955	1956
გფრ	107	80	100	119	126	139	155	178	192
საფრანგეთი	81	99	100	113	118	115	125	137	159
ნორვეგია	65	88	100	107	108	114	125	129	140
კანადა	48	94	100	107	110	117	116	126	134
აშშ	43	87	100	107	111	120	112	124	128
დიდი ბრიტანეთი	75	93	100	104	101	107	114	121	120
დანია	–	89	100	102	98	102	108	113	113

„მარშალის გეგმის" მოქმედება შეწყდა 1952 წლის ივნისში, როცა ის შეიცვალა MSA-ს ეკონომიკური დახმარებით, რაც ძირითადად კრედიტების მეშვეობით ხორციელდებოდა. თუ შევადარებთ „მარშალის გეგმის" საწყის დონეს, რამაც „თავისი გაფორ-

[1] Лудвиг Эрхард. Благосостояние для всех. М., 1991, გვ. 71.

მება პოვა ე.წ. „long-Term-Pean"-ში („შორეული მიზნის ამოცანა"), ნათელი გახდება, რომ ის მიზნები, რაც ბევრი სკეპტიკოსის მიერ, რომლებიც აზროვნებდნენ საგეგმო მეურნეობის კატეგორიებით, აღიქმებოდა როგორც არარეალური და მიუღწეველი, წარმატებით განხორციელდა. ასე მაგალითად, 1936 წ. შედარებით, 1952-1953 წწ. მრეწველობის პროდუქციის წარმოება უნდა გაზრდილიყო 10%-ით, ფაქტობრივად ის გაიზარდა 45,5%-ით; იმავე პერიოდში ცხოვრების დონე ამაღლდა 7%-ით; მარშალის გეგმის მოქმედების დროის დამლევისათვის გერმანულ ექსპორტს უნდა შეედგინა 2,818 მლრდ დოლარი, ფაქტობრივად შეადგინა 4,041 მლრდ დოლარი.

ფრიად საინტერესოა ლ. ერჰარდის *შეხედულებები ეკონომიკური ინტერესების* კატეგორიის მიმართ. „მე ვარ მეურნეობის მინისტრი, მაგრამ არა ცალკეულ ჯგუფთა ინტერესების გამომხატველი", არაერთხელ და ხაზგასმით აღნიშნავდა იგი. ამასთანავე, მისი ურყევი დევიზი იყო ის, რომ „მეწარმეები გრძნობდნენ პასუხისმგებლობას", ეს ეხება ყველას და განსაკუთრებით მსხვილ მეწარმეებს, რომელთა ხელშია არსებითად წარმოების საშუალებები და განაწილების აპარატი. რაც შეეხება უშუალოდ კერძო ინტერესებს, ლ. ერჰარდის აზრით, ის მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ ის იმავდროულად საზოგადოებას ემსახურება.

ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲔᲦᲔᲠᲡ ლ. ერჰარდის კონცეფცია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ. იგი თითქმის ყველა თავის გამოსელაში მიუთითებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს უმაღლეს როლზე „არბიტრის" სახით. იგი წერდა: ამ შემთხვევაში მინდა ვისარგებლო ფეხბურთის მაგალითით. ვთელი, რომ როგორც მსაჯს არა აქვს უფლება მოედანზე ფეხბურთის თამაშში მონაწილეობდეს, ასევე სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ეკონომიკაში. სწორი, კარგი თამაშის არსებითი წანამძღვარი არის ის, რომ მოთამაშეები იცავენ წინასწარ დადგენილ წესებს. ის, რისკენაც მივისწრაფვი საბაზრო მეურნეობის პოლიტიკის განხორციელებისას, არის თამაშის მიმდევრობისა და წესის დამუშავება. ფეხბურთის თამაშისათვის მიუღებელია, რომ ყველა 11 ფეხბურთელი ჩადგეს კარში. თუ ამას გააკეთებენ, ჩვენ როგორც მაყურებლებს, უფლება გვაქვს დავუსტვინოთ მათ არასპორტული საქციელისა და წესების საწინააღმდეგოდ თამაშისათვის. თავდამსხმელებმა უნდა შეუტიონ... თუ არა და ეს იქნება

გაუმართლებელი, რასაც ჩვენ ვერ მოვითმენთ... მაყურებლებს, რომლებმაც შეიძინეს შესასვლელი ბილეთები, გარკვეული პრეტენზიები აქვთ მოთამაშეების მიმართ: თუ ფეხბურთელები წინასწარ შეთანხმდებიან რამდენი ბურთი გაუტანონ ერთმანეთს, ეს იქნება ყოვლად მიუღებელი და უსარგებლო შედეგი... ამის ძალზე მსგავსია სამეურნეო წესრიგის ფუნქცია, რაც ყველგან და ყოველთვის უნდა დავიცვათ. და, თუ მას სადღაც რაღაც ობიექტური პირობების გამო გადავუხვევთ, ის მაინც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას... ამიტომ მე ვთელი, რომ საბაზრო მეურნეობის საფუძველია თავისუფალი კონკურენცია, რაც შესაძლებელია იქ, სადაც არ იქნება დამვებული თავისუფლების არავითარი დათრგუნვა, სადაც თავისუფლება ემყარება ხალხის მორალურ და უფლებრივ კოდექსს, სადაც საზოგადოება უზენაესი ფასეულობაა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გერმანიაში თავისუფალი მეწარმეობა შენარჩუნებული იქნება მანამ, სანამ სახელმწიფო იქნება მის სადარაჯოზე.

თავისუფლებასთან ერთად უდიდესი ყურადღება უნდა გავამახვილოთ პასუხისმგებლობაზე. როგორც სახელმწიფოებრივ. ასევე საზოგადოებრივ მოწყობაში წესრიგი მყარდება ძირითადი კანონით — კონსტიტუციით, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთობისა და თანაცხოვრების წესებს. აქ პასუხისმგებლობის სფეროები აშკარად განსაზღვრულია. მეწარმე პასუხისმგებელია თავის საწარმოზე. აქ მას სრული უფლება აქვს მოითხოვოს მისი საქმიანობა თავისუფალი იყოს სახელმწიფოებრივი „მეურვეობისაგან", უზრუნველყოფილი იყოს მისი სრული სამეწარმეო თავისუფლება. მეწარმეთა ასეთი მოთხოვნა სრულ მხარდაჭერას მოითხოვს, ***მაგრამ სამეურნეო პოლიტიკისათვის პასუხისმგებელი მხოლოდ სახელმწიფოა.*** აღნიშნული ორი ფუნქციის აღრევა სავალალო შედეგებს იწვევს. მეურნეობა, ერთი შეხედვით, საზოგადოების ფუნქციონირების ყველაზე პრიმიტიული, მაგრამ იმავდროულად ყველაზე აუცილებელი საფუძველია, რამდენადაც მხოლოდ ჯანსაღი მეურნეობის საფუძველზე შეუძლია საზოგადოებას მიაღწიოს თავის უშუალო და საბოლოო მიზანს. დამახინჯებული მეურნეობა საზოგადოებრივი ორგანიზმის დამლას იწვევს. ამიტომაც ეკონომიკის ჯანსაღი სულიერი და მატერიალური ბაზის ფორმირება და მისი შენარჩუნებისათვის

ზრუნვა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის, მთელი საზოგადოების საქმეა. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რამდენადაც ადამიანი, გენიოსთა გამოკლებით, თავის პიროვნებას სრულად მაშინ შეიცნობს, როცა მას არ თრგუნავს მატერიალური საზრუნავი, ყოველდღიური წვრილმანი საჭიროება, ე.ი., როცა მისი მატერიალური პრობლემები მოხსნილია, მთავარ როლს არ თამაშობს.

აქ ისევ და ისევ დგება სახელმწიფოსა და ეკონომიკას (მეურნეობას) შორის ამოცანების, ფუნქციების განაწილების პრობლემა. ცხადია, სახელმწიფოს ამოცანაში არ შედის ეკონომიკაში უშუალოდ ჩარევა, სანამ ამას თვით ეკონომიკა არ მოითხოვს. ასევე, დამოუკიდებელ მეწარმეობაზე დამყარებული ეკონომიკის ფარგლებში არ თაესდება თვით სახელმწიფოს მეწარმეობრივი საქმიანობა. ამასთან, არის პრინციპი, რომლის „... თანასმადაც სახელმწიფომ არ უნდა შექმნას თავისი საკუთარი საწარმოები იქ, სადაც კერძო მეწარმე თავს გაართმევს ამოცანას“ (გვ. 252). და კიდევ, *ეკონომიკამ, თვით მეწარმეობამ სახელმწიფო არ უნდა გადააქციოს თავისი ინტერესების გამომხატველად*. არ შეიძლება, ერთი მხრივ, სახელმწიფოსაგან მოვითხოეოთ არ ეწეოდეს სამეურნეო საქმიანობას, ხოლო მეორე მხრივ, როცა ეს აუცილებელი ხდება, მივმართოთ სახელმწიფოს ასეთ თხოვნით. არსებობს შრომის თავისებური დანაწილება, საქმიანობის სფეროთა შემოსაზღვრა სამეწარმეო საქმიანობით, წარმეობის სფეროში სიმძიმის ცენტრით, და მეორე მხრივ, სამეურნეო-პოლიტიკურ საქმიანობას შორის, რაც მთავრობის, უწინარესად კი — ეკონომიკური სამსახურების ამოცანაა. *ეკონომიკური პოლიტიკისათვის პასუხისმგებელი მხოლოდ სახელმწიფოა* მისთვის მინიჭებული დემოკრატიული საპარლამენტო კომპეტენციისა და სამართლის ფარგლებში. რა თქმა უნდა, სავსებით კანონიერია მეწარმეები დააინტერესო ეკონომიკური პოლიტიკით, მაგრამ მის მეწარმეობრივ საქმიანობაში ჩარევის უფლების გარეშე. მეწარმეობრივ თუ სხვა ხასიათის პირად საქმიანობაში მოქალაქეთა თავისუფლება სრულიადაც არ ნიშნავს ყველაფრის თავისუფლებას, ანარქიისათვის გზახსნილობას. პირიქით, თანამედროვე სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება მთავრობის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების ოპტიმალურ

გამოყენებას, რაც საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მამოძრაველებელია.

რაც შეეხება უარყოფით დამოკიდებულებას „ჯგუფური“ ინტერესებისადმი, ამის საფუძველი არის ის, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ცალკეული ჯგუფებისათვის შექმნას პრივილეგიები, მეტნაკლები მოწყალება გაიღოს მათთვის. ასეთი ქმედება ძირეულად მცდარია. ძალიან იშვიათი შემთხვევის გარდა, „ჯგუფური“ ინტერესების განკერძოებული გადაწყვეტა დაუშვებელია. გადაწყვეტა უნდა მოინახოს საერთო-სახალხო ამოცანების დონეზე, რაც ყველასათვის სასარგებლოა. თუ სახელმწიფო ზრუნავს მთელი საზოგადოებისათვის ანუ აღწევს საყოველთაო კეთილდღეობას, მისი ცალკეული ჯგუფები და პიროვნებებიც ადეკვატურ ნაყოფს იმკიან.

აქ ისევ და ისევ ვუბრუნდებით თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნების ამოცანას იმიტომ, რომ სწორედ ის უზრუნველყოფს მყარ თანაფარდობას მსყიდველობითუნარიანობასა და მყარ ფასებს შორის, მოსახლეობის სულ უფრო მეტი ფენების მსყიდველობითუნარიანობისა და მოთხოვნის ამაღლებას. კონკურენცია, შესაბამისად, ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ელემენტი და სისხლხორცეული ინტერესების რეალიზაციის საშუალებაა, რის გამოც ის უნდა შევინარჩუნოთ სრული მოცულობით და ყველა ვითარებასა თუ გარემოში.

იქ, სადაც საბაზრო მეურნეობა თავისი ფუნქციების შესრულებისას დაბრკოლებებს აწყდება, საჭიროა მოთხოვნა, რათა შეიქმნას პირობები მეტი თავისუფალი საქმიანობისათვის. მრეწველობას უფლება აქვს მოითხოვოს, რათა სახელმწიფო ხელოვნურად ან უკიდურესად არ ზღუდავდეს მეწარმის თავისუფლებას, რათა საგადასახადო პოლიტიკა მას უტოვებდეს საკმარის კაპიტალს სამეწარმეო ამოცანების შესრულებისათვის სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სამრეწველო წრეები სწორედ ასეთნაირად ეწევიან ბრძოლას თავისი ინტერესებისათვის, ეს ბრძოლა შეიძლება აღიარებული იყოს სწორ მიმართულებად.

განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მსოფლშეგნებაში, პოლიტიკურ-ეკონომიკური წარმოდგენების ცენტრში, ყოველივე მიმდინარის ცენტრში დგას ადამიანი. ჩვენ მიერ მიღებულ ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკური ღონისძიება გამომდი-

ნარეობს იმის განსჯიდან, თუ როგორ რეაგირებენ ადამიანები მათზე, რა დასკვნებს აკეთებენ ისინი შეცვლილი ეკონომიკური პირობებიდან. ამასთან, ლ. ერჰარდი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყველა წარმატება, რაც მიღწეულ იქნა მისი მთავრობის ეკონომიკურ-პოლიტიკური საქმიანობის წყალობით, საბოლოო ანგარიშით, ეფუძნება ადამიანთა შრომით საქმიანობას და არ ემხრობა ცნების — „გერმანული სასწაული“ აღიარებას. ის, რაც მოხდა გერმანიაში, იყო, რაც გნებავთ, ყველაფერი, მაგრამ არა სასწაული. ეს იყო მთელი ხალხის პატიოსანი ძალისხმევის შედეგი, რომელსაც მიეცა საფუძველი თავისუფლების პრინციპებით კვლავაც გამოიყენოს ადამიანის ინიციატივა და ენერგია. თუ ამ გერმანულ მაგალითს უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, მაშინ მხოლოდ იმ აზრით, რომ მან უნდა უჩვენოს მთელ მსოფლიოს რა სიმდიდრეს შეადგენს ადამიანის თავისუფლება და ეკონომიკური განეითარების თავისუფლება.

საქმე ის არის, რომ ცნებამ — „სოციალური საბაზრო მეურნეობა“, საყოველთაო აღიარება პოვა უკვე არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ სხვაგანაც. მისი თვით აშკარა მოწინააღმდეგეებიც კი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ამ ფორმულირებას. ამასთან, ეკონომიკურ პოლიტიკას შეიძლება ვუწოდოთ „სოციალური“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხელს უწყობს იმას, რომ სამეურნეო პროგრესი, მწარმოებლურობის ამაღლება და პროდუქციის ზრდა მომხმარებელთა სასარგებლოდ გამოიყენება.

თავისუფალი საზოგადოებრივი ეკონომიკური სისტემის პირობებში ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება კონკურენციაა, რაც ამ სისტემის მთავარი ბურჯია. შესაბამისად, სოციალური საბაზრო მეურნეობის პრინციპები მოითხოვს ყურადღება გამახვილდეს კარტელური გაერთიანების ტენდენციაზე, რაც ზღუდავს კონკურენციას და რის გამოც მას ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. კონკურენცია სოციალური საბაზრო მეურნეობის მამოძრავებელი და იმის საუკეთესო გარანტია, რომ განუწყვეტლივ იზრდებოდეს მწარმოებლურობა და უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული შემოსავლებისა და ეროვნული პროდუქციის სამართლიანი განაწილება. მოკლედ, კონკურენციაზე დამყარებული სახალხო მეურნეობა მეურნეობის საუკეთესო ფორმაა როგორც ეკონომიკური, ასევე დემოკრატიული პრინციპების თვალსაზრისით. სახელმწიფო

უნდა ჩაერიოს ბაზრის ფუნქციონირებაში მხოლოდ იმ ზომით, როგორც ეს საჭიროა კონკურენციის მექანიზმის მხარდაჭერისათვის, ან ბაზრების კონტროლისათვის, რომელშიც მთლიანად თავისუფალი კონკურენციის პირობები განუხორციელებელია.

ეკონომიკური აზრის არც ერთი მიმართულება არ უარყოფს, რომ ლიბერალური ეკონომიკის ეპოქამი კაცობრიობამ ციივილიზაციის ასპექტით გააკეთა უდიდესი ნაბიჯი წინ. ამის დიდი მნიშვნელობა განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა ცხადი, როცა მსოფლიოს ერთ ნაწილს მოეევლინა სამეურნეო და მორალური ასპექტით პროგრესის მუხრუჭი ძალდატანებით მართვადი ეკონომიკური სისტემის სახით, რომელმაც საფუძველშივე მოსპო თავისუფალი კონკურენციის შესაძლებლობა.

ამისგან განსხვავებით, საბაზრო მეურნეობის სოციალური არსი არის ის, რომ ეკონომიკის ყოველი წარმატება, ყოველი რაციონალიზატორული მიღწევა, მწარმოებლურობის ყოველი ამაღლება ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენება, ემსახურება მომხმარებელთა საჭიროების დაკმაყოფილებას. თავისუფალი ეკონომიკისა და საზოგადოებრიეი წყობილების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია საქმის ისე დაყენება, რომ არავის, არც ერთ ჯგუფს არ მიეცეს უფლება თავისუფლება გაიგოს თავისი შეხედულებით და შემდეგ ის კიდევაც შეგლუდოს. *თავისუფალი მეურნეობა მეესაბამება თავისუფალ მეწარმეობას, თავისუფლება ერთიანი და განუყოფელია — პოლიტიკური და სამეურნეო თავისუფლება და პიროვნების თავისუფლება ისეთი რთული დიალექტიკური ერთიანობაა, რომ მისგან თუნდაც ერთი ნაწილის გამიჯვნით, ყველა დანარჩენი დაიმლება.*

ლ. ერპარდის აზრით, საბაზრო მეურნეობის საიდუმლო და მისი უპირატესობა ყოველგვარი გეგმური მეურნეობის მიმართ არის ის, რომ საბაზრო ეკონომიკაში სისტემატურად მყარდება სწორი თანაფარდობა მოთხოვნასა და მოწოდებას შორის და, საბოლოო ანგარიშით, საერთო მაკროეკონომიკური წონასწორობა.

აგრძელებს რა მსჯელობას თავისუფალი მეწარმეობის შესახებ, ლ. ერპარდი შენიშნავს: მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ დამისვან კითხვა — ხომ არ იქნება ჩემს მიერ ასე ხაზგასმული მეწარმეობის თავისუფლება შეეიწროებული სწორედ იმით, რომ მეწარმეს არ ექნება უფლება გამოიყენოს თავისი თავისუფლება

ისე, როგორც ის მიიჩნევს საჭიროდ, ე.ი. გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენებს მას სხვა მეწარმეთა თავისუფლების შეზღუდვისათვის? — მე სიამოვნებით ვეთანხმები, რომ აქ ლაპარაკია თანამედროვე ტიპის საბაზრო მეურნეობის ძირითად საკითხზე. ამ საკითხის დაყენება და მასზე პასუხის გაცემა ნიშნავს გახსნა უდავო განსხვავება სოციალურ საბაზრო მეურნეობისა, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით გერმანიაში 1948 წლიდან, და ძველი ნიმუშის ლიბერალურ მეურნეობას შორის. სოციალური საბაზრო მეურნეობა სწორედ რომ არ აძლევს მეწარმეს თავისუფლებას გამორიცხოს კონკურენცია კარტელურ შეთანხმებათა საფუძველზე, პირიქით, ის ავალდებულებს მეწარმეს საკუთარ მიღწევათა გზით, კონკურენტებთან შეჯიბრებით, დაიმსახუროს კეთილგანწყობილება მომხმარებლისა. სახელმწიფო კი არ წყვეტს ვინ უნდა დაიკავოს პირველი ადგილი ბაზარზე, და არც კარტელის ტიპის საშეწარმეო ორგანიზაცია, არამედ — ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე — მომხმარებელი. პროდუქციის ხარისხი და ფასია განმსაზღვრელი და მხლოდ ამ კრიტერიუმებით ხდება არჩევანი კერძო მეურნეობის სფეროში.

ამ გაგებით თავისუფლება არის მოქალაქის უფლება, რომელსაც ვერავინ შეცვლის. ის თავისუფლება, რასაც მოითხოვენ კარტელთა მომხრეები, ე.ი. თავისუფლების შეზღუდვა ან მოხსნა, არ არის თავისუფლების ჭეშმარიტი გაგება — თავისუფალ მეწარმეთა თანასწორობა დგას პირველ პლანზე.

თავისუფლება — მე ვიმეორებ მას, არის და იქნება ერთიანი მთელი და განუყოფელი და არ შეიძლება ის არც დაიცვა, არც უარყო — მხოლოდ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ხელმძღვანელობით.

სამეურნეო თავისუფლების საპირისპიროა ეკონომიკური ძლიერების წამოწევა. ამიტომ აუცილებელია საკანონმდებლო გზით ავიცილოთ იმის შესაძლებლობა, რომ მეურნეობის თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებული უპირატესობა აღმოჩნდეს არარაობამდე დაყვანილი, გამოუსადეგარი, როგორც ეს ისტორიულად ცხადია, ეკონომიკური ძლიერების სახიფათო კონცენტრაციის ფაქტიდან.

აი, რატომაა აუცილებელი კანონმდებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს „ეკონომიკური ძლიერების“ პრობლემას,

ეკონომიკური თანასწორობის ხელის შემშლელს საბაზრო მეურნეობაში. კონკურენცია და ამით განპირობებული მწარმოებლურობის ამაღლება და პროგრესის ხელშეწყობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით და დაცული ყოველგვარი ხელყოფისაგან. კერძოდ, გარანტირებულ უნდა იქნეს, რომ დამოუკიდებელი ფასწარმოქმნა როგორც თავისუფალი ბაზრის მარეგულირებელი მექანიზმი, რაიმე ხელოვნურ ბარიერს არ შეხვდეს.

მხოლოდ თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებულ მეურნეობაშია შესაძლებელი გამოირიცხოს ფასების კარნახი საბაზრო ოპერაციების ცალკეული მონაწილისათვის. თუმცა დიდი ეკონომიკური ძლიერება შესაძლებელს ხდის თვითნებურად მეცვალოს ეს ფასები და საბაზრო ოპერაციები, მისი ხელოვნურად მართვით, მძლავრი სამეურნეო ჯგუფების სასარგებლოდ წარმართოს. ასეთი მანიპულირებით დაწესებული ფასები საფრთხეს უქმნის უკვე არა მხოლოდ მომხმარებელთა ინტერესებს, არამედ კაპიტალდაბანდებების წარუმატებლობას განაპირობებს სახალხომეურნეობრივი ასპექტით და ქმნის ტექნიკური და სამეურნეო პროგრესის ნორმალური მსვლელობის შეფერხების საფუძველს.

ამიტომ, კანონმდებელთა ამოცანაა ნორმალური საბაზრო ოპერაციების ხელის შემშლელი ფაქტორების აღმოფხვრა, რისთვისაც აუცილებელია: ა) მეინარჩუნოს თავისუფალი კონკურენცია რაც შეიძლება მეტი მასშტაბით, ბ) იმ ბაზრებზე, სადაც შეუძლებელია კონკურენცია სრულად განხორციელდეს, შეაფერხოს ძლიერი სამეურნეო ჯგუფების ბოროტმოქმედება, გ) ამ მიზნით დაადწესოს სახელმწიფოებრივი კონტროლი, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში, ზემოქმედება მოახდინოს საბაზრო ოპერაციებზე.

ასეთნაირად მოწესრიგებული ბაზრის სტრუქტურა შეესაბამება სამეურნეო-პოლიტიკური პლანით იმას, რასაც სახელმწიფოებრივად შეადგენს პოლიტიკური დემოკრატია. და მაშინ, ამ უკანასკნელის არსი განიხილება როგორც თითოეული მოქალაქის უფლება ფართოდ მონაწილეობდეს თავისუფალი ფასების წარმომქმნელ კონკურენციაში როგორც მამოძრავებელი ძალა და დაცული იყოს შესაბამისი კანონებით. მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ იმას, რომ მაღალი სამეურნეო მიღწევების მამოძრავებელი და რეგულატორი – კონკურენცია (შე-

ჯიბრებადობა) და თავისუფალი ფასები გარანტირებული იყოს შესაბამისი კანონებით. ვინც გვერდს უვლის ამ პრინციპებს, ან მათ ეპყრობა სხვათა შორის, ის ძირს უთხრის საბაზრო მეურნეობასა და იმ საფუძვლებს, რასაც ემყარება ჩვენი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობა. აღნიშნული, ეკონომიკის ძირითადი პრობლემაა, და შესაბამისად, დავა კარტელების შესახებ, პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და ანტიკარტელური კანონის მიღებაც — აუცილებელი. ეს განსაკუთრებით აქტუალურია საბაზრო სისტემის სოციალურობის ასპექტით, რამდენადაც „სოციალური" შეიძლება გარანტირებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი შეჯიბრების მეოხებით მიღწეული საუკეთესო შედეგებით უპირატესად ისარგებლებენ ნაკლებადუზრუნველყოფილი ფენები. ასეთი მსჯელობა არ ნიშნავს ჩემს არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას კარტელებისადმი, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ კარტელი კოლექტივების მიერ თავსმოხვეული ფასია, თუნდაც ის „მორალურად და კალკულაციურად" გამართლებული იყოს, სახალხომეურნეობრივ ბოროტებად მიმაჩნია. ასევე სწორია მტკიცება, რომ ძალიან დაბალი ფასების თავს მოხვევაც ისეთსავე ზიანს აყენებს ეკონომიკას, როგორც ძალიან მაღალი და ერთადერთი. სახალხომეურნეობრივი ასპექტით სწორი ფასის აბსტრაქტულად გამოთვლაც შეუძლებელია. ის წარმოიქმნება თავისუფალ ბაზარზე ფასთა გაწონასწორების შედეგად. ფასთა ყოველგვარი სხვანაირი გაგება რეალობის დამახინჯებაა და ტოლფასია იმისა, რომ თითქოს ყველა მეწარმეს ჰქონდეს დანახარჯების ანაზღაურების უფლება. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ კარტელები უნდა აეკრძალოს, — არა, ისინი უნდა არსებობდნენ, მაგრამ კანონის კონტროლის ქვეშ. ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: თუ მეწარმეები თანახმა არიან ნებაყოფლობით უარი თქვან თავიანთ სამეწარმეო თავისუფლებაზე, ისინი ძირს უთხრიან თავიანთი წოდებების პოლიტიკურ, სოციალურ, საზოგადოებრივ და მორალურ მნიშვნელობას. ასეთ შემთხვევაში საწარმოთა ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვის „ჩინოვნიკობა", და სავსებით დასაბუთებულადაც.

უმართებულოა კარტელთა მომხრეების ერთი მთავარი მტკიცება იმის შესახებ, რომ კარტელის ტიპის ეკონომიკური გაერთიანება აუცილებელია როგორც კონიუნქტურული, ასევე სტრუქტუ-

რული კრიზისების დამანგრეველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, თუმცა არც ის არის სწორი, რომ ეკონომიკური კრიზისების საყოველთაო მიზეზად კარტელები გამოვაცხადოთ. მაგრამ საყოველთაო ფაქტია, რომ კარტელთა არსებობისას ყოველთვის ძვირი ჯდება საარსებო სტანდარტების დაცვა. სიმართლეს მოკლებულია ის მტკიცებაც, რომ თითქოს კარტელები ემსახურება სამუალო კლასის კეთილდღეობასა და დაცვას. ეს კიდევ ერთი თანამედროვე ზღაპარია, რომელშიც მისხალი სიმართლეც არ ურევია. კარტელებისათვის მსარდაჭერა სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება დაიკავონ ბაზარზე პრივილეგირებული მდგომარეობა, ბაზარზე თავის პროდუქციას შეუქმნან უფრო ხელსაყრელი პირობები, ვიდრე მათ ეს ექმნებოდათ თავისუფალ ბაზარზე. სხვები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საკარტელო უწყებები დირიჟიზმის ორგანოა, უფრო პირიქით კი არის – „იქ, სადაც კარტელები ბატონობენ, კრიზისი გარდუვალია“. კარტელები ხელს უშლის დირიჟიზმს და აბრკოლებს კერძომესაკუთრეობის გზით ორგანიზებული გეგმიანი მეურნეობის აღმოცენებასა და დამკვიდრებას. მოკლედ რომ ვთქვათ, თავისუფალი სამეწარმეო მეურნეობა ემყარება საბაზრო სისტემას და ეცემა მასთან ერთად.

ამ დასკვნას მივყავართ უფრო ზოგადი, მასშტაბური მსჯელობისაკენ იმის შესახებ, რომ აუცილებელია აღვძრათ და თანმიმდევრულად განვამტკიცოთ ადამიანისეული ენერგიის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი – მისწრაფება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ. წარმოუდგენელია როგორ უნდა იყოს მეცნიერი თავის თავისაგან გაუცხოებული ადამიანი, რომელიც თავის მომავალს მთლიანად ანდობს რომელიღაც ორგანიზაციას. ეს სხვა არაფერია, თუ არა აზროვნება ზოგადად და აზრის გამოხატვა ზოგადი ცნებებით, რაც ჩვენი დროის მახინჯი თვისება გახდა. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ყოველი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც პოლიტიკური პასუხისმგებლობის მატარებელია, მუდმივად და სერიოზულად ჩაუფიქრდეს სახელმწიფოში ადამიანის ადგილს, ანუ უფრო სწორად, მოქალაქის მიმართებას სახელმწიფოს მიმართ.

ვერც ერთი სერიოზული ადამიანი ვერ დაამტკიცებს, რომ სახალხო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური მიღწევები, რომელიც ფუნქციონირებს „ზემოდან ბრძანებით“, შეიძლება იყოს უფრო

დიდი, ვიდრე ეს საბაზრო მეურნეობაშია. სადაც არ არის კონკურენცია, იქ წარმოიშობა უძრაობა, რაც იწვევს ბოლოს და ბოლოს გაშეშებას. ასეთ ვითარებაში თითოეული ცდილობს დაიცვას ის, რაც აქვს, ე.ი. ის უკვე აღარ ზრუნავს სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორიც მწარმოებლურობის განუხრელი გადიდებაა. და ეს თვითმიზანი არაა. სოციალური საბაზრო მეურნეობის მიზანი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სრულად მიღწეულად, როცა მზარდი მწარმოებლურობის შესაბამისად იმავდროულად მცირდება ფასები და ამით უზრუნველიყოფა რეალური ხელფასის ამაღლება. ამას თავისი ისტორიული ახსნა აქვს. ცალკეულ შეთანხმებათა საფუძველზე ხელფასის გადიდება, რომელსაც საფუძვლად არ უდევს სახალხო მეურნეობის ან თუნდაც ცალკეულ დარგთა მწარმოებლურობის ზრდა, საბოლოო ანგარიშით, გარდუვალად გამოიწვევს ძირითად პროდუქციაზე ფასების ზრდას, რაც ტრაგიკულად აისახება უწინარესად ნაკლებად მყარი და დაბალი შემოსავლების მქონეთა ცხოვრების დონეზე, ანუ გამოიღებს ანტისოციალურ შედეგებს. შესაბამისად, ვართ რა მსოფლიოს ნაწილი, ხელფასის დარგში უნდა დავიცვათ საერთო კანონზომიერება. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ არ დავივიწყოთ ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური წარმატებები რამდენად დამოკიდებულია საკუთარი ვალუტის სიმტკიცეზე, ჩვენი ფულის მყარ ღირებულებაზე. ამ მიმართულებით მიზანსწრაფული პოლიტიკა როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობის, ასევე ცალკეული დარგისა თუ საოჯახო მეურნეობის მყარი საქმიანობის რწმენის საფუძველია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საგარეო ვაჭრობის ასპექტითაც. საკმარისია შევურიგდეთ პოლიტიკას, რომელიც აგარებს თუნდაც მსუბუქ ინფლაციურ მიმართულებას, ან თუნდაც შევწყვიტოთ მსგავსი პოლიტიკის მიმართ შეწინააღმდეგება, ინფლაციური პროცესების შეჩერება უკვე შეუძლებელი იქნება და მალე დადგება ფულის გაუფასურების სტადია (ე.ი. ფასების ზრდის), რომლის დროსაც დაუყოვნებლივ გაქრება საექსპორტო ნამეტი, როგორც თოვლი მზის ქვეშ.

ცხოვრების დონის ამაღლება იმდენად განაწილების პრობლემა არ არის, რამდენადაც წარმოებისა, უფრო ზუსტად — მწარმოებლურობისა. სწორედ ამ უკანასკნელის საფუძველზეა შესაძლებელი მიღწეულ იქნეს სახელმწიფოში ყველა დასაქმებულის მეტი შემოსავალი.

ყოველივე ამის საფუძველი, საბოლოო ანგარიშით, სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა გადიდებაა, რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ ორგანიზაციული გზით — სახელმწიფოებრივი მზრუნველობით. ამ მიზნის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხი ირწმუნებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას, თუმცა რიგითი მოქალაქეებისათვის სტაბილურობის სიმბოლო ფასია, რისი გადახდაც მას უწევს სასიცოცხლოდ აუცილებელი საქმიანობისათვის. ამასთან, ზოგჯერ ფასი შეიძლება მომხმარებლისათვის „სასიამოვნოც" იყოს, თუნდაც ის ძირს უთხრიდეს ფასის სტაბილურობას, მაგრამ ბოროტების ჩანასახი სწორედ მასშია — ხელფასის ზრდა, საბოლოო ანგარიშით, დამთრგუნველად უბრუნდება თვით იმათ, ვინც ამით დროებითი სარგებელი ნახეს. აქ დასკვნა რკინისებური ლოგიკით ისაა, რომ მოხმარება არ შეიძლება იმაზე მეტის, ვიდრე წარმოებულია.

ნაშრომის მომდევნო ნაწილში ლ. ერჰარდის მიერ გაკრიტიკებულია მავანთა ის მტკიცება, რომ ე.წ. სოციალური საბაზრო მეურნეობის პოლიტიკა ადამიანებს მიიყვანს დამღუპველ მატერიალიზმამდე. სინამდვილეში კი საპირისპირო რამ ხდება. სამეურნეო პროცესში ჩართულ ადამიანთა ბეჯითი და აღმშენებლობითი საქმიანობა, ასევე, საწარმოო აპარატის მისწრაფება მართვის გაუმჯობესებისაკენ, თავის ეკონომიკურ აზრს იძენს სოციალურ მინაარსში — უკეთესი ცხოვრების წესის შექმნაში. თითოეული ახალი მანქანა, თითოეული მშენებარე ელსადგური, თითოეული ახალი სამუშაო ადგილი და შრომის ინტენსიურობის ამაღლების ყველა სხვა საშუალება უნდა ემსახურებოდეს ყველა ადამიანის გამდიდრებას, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს სოციალური საბაზრო მეურნეობის პირობებში. თვით ქვეყნის თავდაცვის ხარჯები უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს თავისუფალი სოციალური საბაზრო მეურნეობის სისტემას. ცხოვრების წესად უნდა იქცეს ის, რომ სამეურნეო პროგრესის შედეგები ხმარდებოდეს, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის ყველა ფენას. იმ სახალხო მეურნეობაში, სადაც არაფერი არ იწარმოება, არც შემოსავალია, მაგრამ ასევე არ შეიძლება აწარმოო რაიმე მისი მომავალი მოხმარების პერსპექტივის გარეშე. ამ კონცეფციის მიზანია არ იქნეს აღიარებული არავითარი პრივილეგია პოლიტი-

კური ან წმინდა სამეურნეო პირველმიზეზებით. ყველამ, ვინც ამ ასპექტით ეცდება გამოიყენოს ძალის პოზიცია, უნდა შეიგნოს, რომ ის ამკარად ზიანს აყენებს მოსახლეობის სხვა ფენებს და მათს სოციალურ მდგომარეობას. და პირიქით, აქტიური და ოპტიმალური სამომხმარებლო დინამიზმი ეკონომიკაში სამეურნეო საქმიანობის ყველა შესაძლებლობის მუდმივად და ოპტიმალურად გამოყენების საიმედო წანამძღვარია. სწორედ ეს ასტიმულირებს მწარმოებლურობის ზრდას და მისწრაფებას ყოველგვარი პროგრესულისადმი, სწორედ „მომხმარებლის ნება" უბიძგებს წარმოებას ვითარდებოდეს შეუფერხებლად, მხოლოდ მომხმარებლის უწყვეტი ზეწოლა არის უშრეტი ძალა, რაც მეურნეობასა და მეურნეებს უბიძგებთ ოპტიმალურად მიესადაგონ ბაზრის გაზრდილ მოთხოვნებს და გასწიონ შესაბამისი რისკი.

ამასთან, ყოველგვარი მეურნეობრიობის საბოლოო მიზანი არის და იქნება განთავისუფლება მატერიალური საზრუნავისაგან, ანუ „ტვირთისაგან". ამიტომაც, რაც უფრო შევძლებთ ავიმაღლოთ კეთილდღეობა, ადამიანებს მით ნაკლები ფიქრი მოუწევთ მატერიალური დაინტერესების გარშემო, კეთილდღეობის მხოლოდ არსებით ამაღლებას შეუძლია ადამიანთა განთავისუფლება არსებითად პრიმიტიული, მხოლოდ მატერიალურ გაგებასთან დაკავშირებული აზროვნებისაგან. ყოველ შემთხვევაში, მან ამ პროცესს აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი, რათა ადამიანები სულმდაბალ საარსებო ინტერესებზე მაღლა დადგნენ. ადამიანები თავიანთი კეთილდღეობის, სოციალური უზრუნველყოფის გაჯერების მეშვეობით შეიცნობენ თავიანთ თავს, საკუთარი პიროვნების ადამიანურ ღირსებას და აქტიურად გამოდიან მატერიალისტური აზროვნების ტყვეობიდან. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა, არანაკლები მნიშვნელობა აქვს მეორესაც: თუ ადამიანები აყენებენ მწარმოებლურობის ზრდისა და დონეებისაგან მოწყვეტილ მაღალ სამომხმარებლო მოთხოვნას, ე.ი. მოითხოვენ იმაზე მეტს, ვიდრე მოცემულ პერიოდში ეკონომიკას ძალუძს, ასეთი ტენდენცია, სოციალური თვალსაზრისით, კარგავს ყოველგვარ რეალობას და ამორალურია. უფრო მეტიც, „ხალხი, რომელიც უუნაროა წავიდეს მატერიალურ მსხვერპლზე, თავისი თავისუფლების დასაცავად, ბოლოს და ბოლოს წარიშლება ისტორიის არენიდან" (გვ. 318).

კვლავაც ხაზს გავუსვამ, რომ სიღარიბე ადამიანებს აიძულებს ქანცის გამოცლამდე იმუშაონ, რათა დაიკმაყოფილონ თავიანთი ყოველდღიური წვრილმანი მატერიალური მოთხოვნილება, ანუ ბრუნვა მატერიალურ სამუალებათა მოპოვებაზე ადამიანებს არათავისუფალს ხდის — ისინი თავიანთი მატერიალური ჩანაფიქრისა და მისწრაფების „ტყვეები" ხდებიან. ყოველივე ნათქვამი არ ნიშნავს ყოველივე „ეკონომიკურის" გადაჭარბებით შეფასებას. მთავარია, როგორც ცალკეული ინდივიდის, ასევე მთელი ხალხისათვის უზრუნველყოფილ იქნეს ცხოველუნარიანი მეურნეობის არსებობა, რათა ამით საფუძველი შეიქმნას ადამიანთა ორიენტაციისათვის სულიერ ფასეულობებზე. მხოლოდ მაშინ, როცა მოწესრიგებულია კაცობრიობის არსებობის მატერიალური ბაზა, ადამიანები თავისუფალი ხდებიან და უფრო ამაღლებული საქმეებისათვის იწყებენ ბრუნვას.

ცხადია, ჩვენი მისწრაფება ეკონომიკური აღმავლობის, სიმდიდრისაკენ სწრაფვისა, სრულიად არ ხელყოფს ბიბლიაში ასახულ ათასწლოვან პრობლემას აქლემისა და ნემსის ყუნწის შესახებ („უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვინემ მდიდარი მოხვდება სამოთხეში"). ჩვენი მიზანია არა უბრალო გამდიდრება ყოველგვარი გზით, არამედ შრომითი ძალისხმევით მიღწეული სახალხო კეთილდღეობა, რაც, საბოლოო ანგარიშით, მატერიალურისა და სოციალურის ოპტიმალური თანაფარდობის საწინდარია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ უპრიანია დავსვათ საკითხი სამეურნეო პოლიტიკასა და სოციალური პოლიტიკას შორის კავშირურთიერთობის შესახებ. პასუხი ცალსახაა — მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს: წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა სოციალური კეთილდღეობის გარანტია. სხვანაირად ეს ნიშნავს იმას, რომ ეფექტიან სოციალურ პოლიტიკას საფუძვლად უდევს მაღალმწარმოებლური სახალხო მეურნეობა. სენტენცია — „სოციალური პოლიტიკა ავტონომიური და ნეიტრალურია სახალხო მეურნეობის მიმართ", — წარსულის საქმეა. ის ადგილს უთმობს ეკონომიკურ პოლიტიკასთან მჭიდროდ გადანასკვულ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ძირს კი არ გამოუთხრის პირველს, არამედ სწორად წარმართვის შემთხვევაში, განამტკიცებს მას და მასთან ერთად, საბაზრო მეურნეობის საფუძვლებსაც. და ეს საესებით კანონზომიერია: თუ გვინდა საერთოდ შევი-

ნარჩუნოთ თავისუფალი საზოგადოებრივი სისტემა, უნდა აკამოქმედოთ ის ფუძემდებლური მოთხოვნა, რომ სამეურნეო პოლიტიკა, რომლის მიზანია ადამიანის პირადი თავისუფლების მიღწევა მოხმარებაში, პირდაპირი გზაა საერთო თავისუფლებისაკენ.

ამასთან, კარგად უნდა გვესმოდეს ის გარემოება, რომ მაღალი სოციალური სიკეთის მიღწევა უნდა ემყარებოდეს ადამიანთა პირად პასუხისმგებლობას დამოუკიდებელ საქმიანობაში, რომლის მიზანიცაა მწარმოებლურობის ამაღლებით შემოსავლების გადიდება. ამის შედეგად ადამიანები ხდებიან ინიციატივიანი სამეწარმეო საქმიანობაში ან სულიერი შემოქმედების სფეროში. აქ მთავარი მომენტია ადამიანთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა არ გადავიტანოთ უშუალოდ კოლექტივზე, ანუ აუცილებელია ყოველგვარი საქმიანობა თავდაპირველად დაემყაროს პირად პასუხისმგებლობას, და მხოლოდ მაშინ, როცა ეს ძალისხმევა საკმარისი არ იქნება, ძალაში შედის სახელმწიფოს ან მთლიანად საბაზრო სისტემის ვალდებულება ადამიანთა მიმართებით. თუმცა, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხის სოციალური ცხოვრება მაშინაა სრულყოფილი, როცა ის ემყარება თითოეული ადამიანის შეგნებისა და მოქმედების ხასიათს და არა — უკიდურეს კოლექტიურ სოციალურ ნებას.

თუ რა შედეგები გამოიღო ძალიან მოკლე პერიოდში გერმანული სოციალური საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის ზემოხსენებული პრინციპების ცხოვრებაში განხორციელებამ, საკმარისია მოეტანოთ მოკლე ინფორმაცია 1954 წლის 29 მაისის „Газета дель пополо"-ში გამოქვეყნებული სტატიიდან: ერჰარდის ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა გაიმარჯვა: სამეურნეო აღორძინების საქმეში დიდი როლი შეასრულა კერძო ინიციატივისა და კერძო მეწარმეობის მწარმოებლურობის უნარზე დაყრდნობამ. ერჰარდის სოციალური საბაზრო მეურნეობის საფუძველია ფასების მარეგულირებელი და მასტიმილირებელი ფუნქცია. რაც შეეხება „პოლიტიკურ ფასებს", ეს სხვა არაფერია, თუ არა შეცოდება წმინდა სულის წინაშე. ერჰარდს სჯერა თავისუფალი სამეწარმეო მეურნეობისა, რომელიც მზადაა აქტიურად მონაწილეობდეს კონკურენციაში, და არა ისეთისა, რომელიც დაცვას ან სპეციალურ ხელშეწყობას საჭიროებს.

ლ. ერჰარდი მიიჩნევდა, რომ კეთილსინდისიერმა გერმანელმა მეწარმემ ჯერ საშინაო ბაზარზე უნდა გამოცადოს თავისი საქმი-

ანობის შეღეგების სიმყარე და საიმედოობა, რათა საგარეო ბაზრებზეც თავი „შინაურად“ იგრძნოს. ამასთან, ის არამც და არამც არ უნდა ცდილობდეს დაიკავოს მონოპოლიური მდგომარეობა, რათა თვით ამით თავის თავს არ წაართვას თავისუფალი მეწარმის სტატუსი.

საინტერესოა ლ. ერჰარდის მოსაზრებები *ევროპის პრობლემების გადაწყვეტის შესახებ.* უწინარესად შევნიშნავთ, რომ გერმანიის აღორძინებასა და პერსპექტივებს იგი ყოველთვის განიხილავდა არა იზოლირებულად, არამედ საერთაშორისო მასშტაბით, უწინარესად, ერთიან ევროპასთან მიმართებით. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ ფრაგმენტი ლ. ერჰარდის გამოსვლიდან 1956წ. 2 სექტემბერს ფრანკფურტის საერთაშორისო ბაზრობის გახსნაზე: „ჩვენ დღეს ვსაჭიროებთ ევროპის ინტეგრაციას, ვიდრე ოდესმე, ეს უბრალოდ აუცილებელი გახდა. მაგრამ ევროპის საუკეთესო ინტეგრაცია, ჩემი წარმოდგენით, უნდა დაემყაროს არა სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის შექმნას, და ბიუროკრატიის სიფხიზლეს, მისი წანამძღვარი უნდა იყოს, პირველ რიგში, საერთაშორისო თავისუფალი სამეურნეო წესრიგის აღდგენა, რაც ყველაზე საუკეთესო, სრულ ასახვას პოვებს ვალუტის თავისუფალ გაცვლაში, რაც, ცხადია, თავისთავად გულისხმობს საქონელთა მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ მიმოქცევასაც“. ლ. ერჰარდი ყოველთვის ხაზს უსვამდა ძირითად პრინციპებს: „მიზანი — ყოველმომცველი ინტეგრაცია — ბიუროკრატიულად მართვადი ევროპის წინააღმდეგ“. სამეურნეო თვალსაზრისით, აღნიშნავდა ლ. ერჰარდი, ევროპა არ უნდა გავიგოთ როგორც ორგანიზაცია ან დაწესებულება, ის უნდა წარმოვაჩინოთ როგორც ფუნქცია. ამისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, დამყარდეს წესრიგი ცალკეული ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, სხვანაირად — ინტეგრაცია გარდუვალად გამოიწვევს ზესახელმწიფოებრივ დირიჟიზმს. ერთიანი ევროპა ვერ აშენდება იაფფასიანი, მარტივი საშუალებებით. ის უნდა გავიგოთ როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციების რთული ერთობლიობა. ნაკლებად რეალურია წარმოდგენები იმის შესახებ, რომ თითქოსდა, სულ უფრო მზარდი მოცულობით უნდა ამოვიღოთ ცალკეული ქვეყნის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სფეროდან საქმიანობის ცალკეული რგოლი და სექტორი და ის უნდა გა-

დაეცეთ ზესახელმწიფოებრივი მმართველობის ხელში, რითაც თანდათანობით ამაღლდება ზესახელმწიფოებრივი სფეროს ავტორიტეტი და ავტომატურად დაიძლევა ცალკეული სახელმწიფოს კომპეტენციები. ასეთი წარმოდგენები, ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. სახელმწიფოებრივი ფუნქცია ერთიანი მთელია, რაც კომპეტენციების მიხედვით დანაწევრებას არ ექვემდებარება. დანაწევრების ყოველი მცდელობა გამოიწვევს იმას, რომ თითოეული ქვეყნის სახალხო მეურნეობა აღმოჩნდება „ორ მაგიდას შორის", სადაც ვერავინ ვერ განსაზღვრავს და ვერც გაიგებს ვინ რას განაგებს და ვინ რაზეა პასუხისმგებელი. ზესახელმწიფოებრივი გაერთიანების კომპეტენციათა სფეროების გაფართოებას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა, მაგრამ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაზე არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს. ამიტომ, არ არის საჭირო მცდელობა უპირატესობა მივანიჭოთ „ევროპულ დაწესებულებათა" შექმნას, ე.ი. გადაჭარბებით შევაფასოთ ინსტიტუციური — ფუნქციურის საპირისპიროდ (ანუ, რაც იგივეა — ფორმა — არსის, შინაარსის საპირისპიროდ).

ლ. ერპარდის აზრით, ევროპის ქვეყნებს სხვა გზა არა აქვს, თუ არა ის, რომ მათ იარონ წინ თავისუფლების გაფართოებისაკენ და ამ გზაზე თავი უნდა შეიკავონ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მანიპულაციებისაგან, რაც მხოლოდ შეაფერხებს ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას. ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს საქონელთა და მომსახურების გაცვლას, ფულისა და კაპიტალის მოძრაობას, საბაჟო პოლიტიკის ლიბერალიზაციას, საცხოვრისისა და სამუშაოების არჩევას და ა.შ. ხოლო იქ, სადაც რაიმე ინსტიტუციური ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია აღნიშნული თავისუფლების პრინციპების ამოქმედება, ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი ასეთ დაწესებულებათა შემოღებას. ჭეშმარიტი ევროპელი სწორედ ისაა, ვინც მხარს დაუჭერს ასეთი მონაცვლეობის სისტემას. სამწუხაროდ, თავისუფალი ევროპისაკენ მოძრაობაში დღეს ჭარბობს პოლიტიკური მოტივები, შესაბამისი ეკონომიკური წანამძღვრების გარეშე. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ცენტრალიზმის აღორძინება, რაც ჩანასახშივე ჩაახშობს დემოკრატიის ყლორტებს, რაც ევროპული კულტურის ძველ ნიადაგზე ამოიზარდა. ჩვენი ამოცანაა პატიოსანი წესრიგის დამყარება ზე-

ნაციონალურ ფარგლებში, რასაც უწინარესად მიეკუთვნება ადამიანის თავისუფლების დაცვა, ჩვენ ყველგან უნდა ვესწრაფოდეთ განვახორციელოთ საზოგადოებრივი წესრიგის პრინციპები, რაც უზრუნველყოფს ხალხებს შორის თავისუფალ და ჭეშმარიტ ადამიანურ ურთიერთობებს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. ჩვენ დღეს მივდივართ ჩვენი სულიერი მისწრაფების ერთი მიმართულებით – ეროვნული ეგოიზმისა და პროტექციონიზმის გაერთიანებისაკენ – ახალი და მისაღები ფორმებით. ამჟამინდელი ინტეგრაცია გამოიწვევს ჩვენს სულიერ და ზნეობრივ სრულყოფას ახალ სიმაღლეებამდე. ყოველივე ამის საფუძველი მრავალმხრივი ურთიერთობის მიზანსწრაფული საყოველთაო ლიბერალიზაციაა და ის, რომ ბოლოს და ბოლოს, ყველამ უნდა გაიგოს: არც ერთ ხალხს არ შეუძლია ყველა პრობლემის გადაჭრა მხოლოდ საკუთარი ძალებით.

2. გერმანიის საერთო დახასიათება

XX საუკუნეში, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაზე მეტად, გერმანიამ არაერთხელ განიცადა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი რადიკალური ცვლილებები: მონარქია და რესპუბლიკა, ტოტალური ნაციონალ-სოციალიზმი და მარქსისტულ-ლენინური სოციალიზმი, ორი სამხედრო-პოლიტიკური კრახი და ოკუპაცია, ქვეყნის ტერიტორიული დაქუცმაცება, „ეკონომიკური სასწაული", გაერთიანება და დემოკრატიული რეფორმები, ევროპული ინტეგრაციის წამყვანი წევრობა – აი, მოკლე ჩამონათვალი იმ მნიშვნელოვანი პერიპეტიებისა, რაც გერმანიის სახელმწიფომ განიცადა. თუმცა, შერყევებმა ვერ გატეხა გერმანია, რომელიც XXI საუკუნეში შეიჭრა როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი და ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანა, რომელიც აშშ-სა და იაპონიასთან ერთად მსოფლიოს „დიდ სამეულს" შეადგენს.[1] გერმანიაში დომინირებდა ორი პარტიის – სოციალ-დემოკრატიულისა და ქრისტიან-დემოკრატიულის როლი, რომლებიც ხშირად მონაცვლეობენ ხელისუფლებაში და გერმანიისათვის, გერმანელი ხალხისათვის საკეთილდღეო მოკლევადიან თუ გრძელვადიან სოცია-

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2001, №8, გვ. 79.

ლურ-ეკონომიკურ, კულტურულ და, რაც მთავარია, ოპტიმალურ სტრატეგიულ პოლიტიკურ კურსს ახორციელებენ.

აღნიშნულის რეალური ილუსტრაცია არის ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სამი წლის მანძილზე, როცა გაყოფილი გერმანია ქაოსსა და ნანგრევებში იყო, ლ. ერჰარდმა წამოაყენა სოციალური საბაზრო მეურნეობის კურსი, რომელმაც კოლოსალურ ამერიკულ დახმარებასთან ერთად, ქვეყანა მიიყვანა სწრაფ ეკონომიკურ აღორძინებამდე, რაც – „გერმანული სასწაულით" მოინათლა.

ქვეყნის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილების გაერთიანების შემდეგ (1990 წ.), გერმანია ეკონომიკური პოტენციალით ევროპაში უმსხვილესი და უძლიერესი ქვეყანა გახდა. მას სამართლიანად უწოდებენ მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ „ლოკომოტივს". ის მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყანათა რიგებშია და შედის ე.წ. „დიდ შვიდეულში". მშპ-ის მოცულობით (მსოფლიოს მთლიანი პროდუქტის 6%) მას მესამე ადგილი უკავია მსოფლიოში (აშშ-სა და იაპონიის შემდეგ), ხოლო სამრეწველო წარმოებით – მეოთხე (აშშ-ის, ჩინეთისა და იაპონიის შემდეგ). 1997 წელს გერმანიის მშპ-მ შეადგინა 2,1 ტრლნ დოლარი, რაც მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის 26 ათასი დოლარია. ამ მაჩვენებლით გერმანია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ათეულშია. დასავლეთ ევროპის რეგიონში მას პირველი ადგილი უკავია მოსახლეობის რაოდენობით – 82 მლნ კაცი (რომლის 90% ქალაქად ცხოვრობს) და მესამე ტერიტორიით – 356,9 ათასი კვ.კმ. (საფრანგეთისა და ესპანეთის შემდეგ).

გერმანია არცთუ მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით და არც სოფლის მეურნეობის გაძღოლისათვის აქვს განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობები (ტერიტორიის დაახლოებით 55% უკავია სასოფლო-სამეურნეო წარმოებას). შეიძლება აღინიშნოს ქვანახშირი და კალიუმის მარილი, თუმცა ისინი დღეისათვის რაიმე დიდ სამეურნეო ღირებულებას არ წარმოადგენს. შეიძლება წიაღისეულით ქვეყნის სწორედ ასეთმა სიღარიბემ განაპირობა აღიარებული გერმანული ყაირათიანობა და განსაზღვრა ქვეყნის სპეციალიზაცია მრეწველობისა და, საერთოდ, ეკონომიკის მეცნიერებატევადი დარგების განვითარებაზე.

გერმანიის ეკონომიკური პოტენციალი თითქმის სამჯერ ნაკლებია აშშ-სთან შედარებით, მაგრამ ის მცირეოდენ ჩამორჩება ამ

უკანასკნელს სავაჭრო პოტენციალით. მსოფლიო ექსპორტში გერმანიის წილი 1997 წ. 10% იყო, ხოლო საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობით მსოფლიოში მეორე ადგილი ეკავა აშშ-ის შემდეგ.

გერმანია თავის დროზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (თანამშრომლობის) ერთ-ერთი ინიციატორი იყო და დღესაც აქტიურად იღვწის მისი განვითარებისა და გაღრმავებისათვის, უკავია რა წამყვანი ადგილი ევროკავშირში. უფრო მეტიც, კავშირის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ყველაზე მეტად გერმანიას ძალუძს მიანიჭოს დამატებითი იმპულსი ეკონომიკურ ზრდას და ეფექტიანი დასაქმების გაღიდებას კავშირის მასშტაბით.

გერმანიის სწრაფი აღმავლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაკავშირებულია საშინაო ბაზრის მნიშვნელოვან გაფართოებასთან, ძირითადი კაპიტალის მასობრივ განახლებასა და ზრდასთან. წარმოების აღმავლობას ხელი შეუწყო „მარშალის გეგმით" აშშ-ის ფინანსურმა და სხვა მატერიალურმა დახმარებამ, საზღვარგარეთული კაპიტალის იმპორტმა, სამხედრო ხარჯების შემცირებამ. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დაგროვების ნორმა 25%-ის ფარგლებში იყო, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა დასავლეთი ევროპის სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს.

ომის შემდგომ პირველ ათწლეულში გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა ტარდებოდა „სოციალური საბაზრო მეურნეობის" ნიშნით, რომლის მიზანიც იყო კონკურენციის, კერძო ინიციატივის შეერთება სოციალურ პროგრესთან, რომლის საფუძველიც მაღალმწარმოებლური ეკონომიკა იქნებოდა. გერმანიის გაერთიანებამ და სსრ კავშირის დაშლამ ძირეულად შეცვალა გერმანიის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური პოზიციები ევროპაში — ის გახდა უმსხვილესი ეკონომიკური ძალა წამყვანი პოლიტიკური პოზიციებით რეგიონში.

3. ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორები და მაჩვენებლები

ეკონომიკური რესურსების სიმწირის მიუხედავად, გერმანიამ ომის შემდგომ მოკლე პერიოდში შეძლო ეროვნული ეკონომიკის წარმატებული განვითარება ეკონომიკური ზრდის ისეთი ფაქტორების გამოყენებით, როგორიცაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ადამიანისეული კაპიტალის მაღალი ხარისხი, მსოფლიო სა-

მეურნეო კავშირებში აქტიური მონაწილეობა, გონივრული საგარეო-ეკონომიკური პოლტიკა.

ომის შემდგომი გფრ-ის ეკონომიკურ განვითარებას განსაბლერავდა „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ნეოლიბერალური კონცეფცია, რომლითაც შეიცვალა ეკონომიკის ფაშისტურ-ტოტალიტარული მოწყობა. ამით თავისუფალი ბაზრის ძველ ლიბერალურ იდეებს დაემატა ასალი — სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. შესაბამისმა პოლიტიკამ ნეოლიბერალიზმის სახელწოდება მიიღო. მისმა პრაქტიკულმა რეალიზაციამ საესებით გაამართლა დანიშნულება: მან მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა პოვა და უზრუნველყო ეკონომიკის მაღალი ეფექტიანობა. თუმცა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გფრ-ის „სოციალურმა საბაზრო ეკონომიკამ“ თავისი არსებობის 50-წლიან პერიოდში ოთხჯერ განიცადა დაქვეითება. ჯერ კიდევ 60-იან წლების დამდეგისათვის ამოიწურა ის ხელსაყრელი ომის შემდგომი ეკონომიკური ფაქტორების მოქმედება, რომლებმაც 50-იან წლებში განაპირობეს ქვეყნის ეკონომიკის აყვავება: განვითარებულ ქვეყნებს შორის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები და ციკლური რყევების აღმოფხვრა. როგორც ჩანს, ერჰარდის რეფორმით დამყარებული სამეურნეო წესრიგი, 15-20 წლის შემდეგ წააწყდა რიგ ახალ პრობლემას და საჭირო გახდა მისი მოდიფიკაცია. კერძოდ, 60-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა „ეკონომიკური სასწაულის“ კრიზისის სიმპტომები. ეს, უწინარესად, გამოიხატა იმით, რომ ზრდადმა ეკონომიკურმა და სოციალურმა მოთხოვნილებებმა განაპირობეს სახელმწიფო ხარჯების დიდი ზრდა და სპირალის „ხელფასი — ფასების“ კანონზომიერების დარღვევა, რამაც მყარი ეკონომიკური ზრდის ფაქტორები მნიშვნელოვნად დაასუსტა. ლ. ერჰარდმა, რომელიც იმ დროისათვის უკვე სახელმწიფო კანცლერი იყო, 1965 წლის სამთავრობო განცხადებაში აღიარა, რომ სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა შემაშფოთებელია. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა იმით, რომ 1965წ. სახელმწიფო ხარჯების ზრდის ტემპმა ორჯერ გადაჭარბა მშპ-ს ზრდას. ამიტომ ლ. ერჰარდი მოითხოვდა ეკონომიის მკაცრი რეჟიმის განხორციელებას და „ხელგამლილი“ ხარჯისაგან თავშეკავებას, რაც პრაქტიკულად არ განხორციელდა. ამან და სხვა ფაქტორებმა უკვე 1966-1967 წწ. ერთდროულად გამოი-

წვია ჭარბწარმოების ციკლური კრიზისი და სტრუქტურული კრიზისი, რამაც დააზიანა გფრ-ის ეკონომიკის რიგი ტრადიციული დარგი. ამ პროცესებმა, თავის მხრივ, გამოიწვია შესაბამისი ეკონომიკური დოქტრინისა და სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის კრიზისი, რის შედეგადაც ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ ადგილი დაუთმო ნეოკეინზიანელობას. ეკონომიკური პოლიტიკისათვის ეს ნიშნავდა სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას მაკროეკონომიკურ დონეზე. ქვეყნის ისტორიაში პირველად დაიწყეს ეკონომიკის განეითარების გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება. 1967 წელს, ეკონომიკურ კრიზისთან მიმართებით მიღებული კონცეფციით — „გლობალური რეგულირება", სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი სიმბოლიზებულ იქნა „მაგიური ოთხკუთხედით", რომელიც მოიცავდა ეკონომიკის კანონზომიერ და განუხრელ ზრდას სრული დასაქმების, ფასების სტაბილურობისა და საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის პირობებში.

ახალი „გლობალური რეგულირების" პოლიტიკის ლოზუნგი გახდა ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში შილერის მიერ გამოთქმული აზრი: „კონკურენცია — რამდენადაც შესაძლებელია, დაგეგმვა — რამდენადაც აუცილებელია".

მართალია, „გლობალური რეგულირების" პოლიტიკას უკვალოდ არ ჩაუვლია, მას გარკვეული დადებითი შედეგები მოპყვა, მაგრამ 70-იან წლებში მისი შეზღუდულობა საესებით ცხადი შეიქმნა. ეს, უწინარესად, განაპირობა იმან, რომ სოციალ-დემოკრატები ფულს ხარჯავდნენ არა მხოლოდ სოციალური პოლიტიკის განხორციელებისათვის, არამედ 70-იან წლებში მათ სცადეს ინვესტიციების რეგულირებაც, რაც ნიშნავდა სოციალური საბაზრო მეურნეობის საფუძველების შერყევას.

გფრ-ის ისტორიაში 70-ანი წლები აღინიშნა როგორც სავალუტო რყევათა, მაღალი ინფლაციისა და სტაგფლაციის პერიოდი. 1974-1975 წწ. ჭარბწარმოების კრიზისი ყველაზე ღრმა იყო ქვეყნის ისტორიაში, რომელმაც დააზიანა ეკონომიკის ყველა დარგი, გამოიწვია მშპ-ს შემცირება 5%-ით, სამრეწველო წარმოების დაცემა 12%-ით, საშინაო კერძო ინვესტიციების შეკვეცა 18,5%-ით.

1980-1982 წწ. გფრ-ის ეკონომიკამ განიცადა ახალი (რიგით მესამე) ეკონომიკური კრიზისი, რომლის მსვლელობამიც ერთიმეორეს მწვავედ გადაენასკვა ციკლური ჭარბწარმოება და სტრუქ-

ტურული დისპროპორციები კაპიტალის კელავწარმოების პირობების ხანგრძლივვადიანი გაუარესებით: ენერგომატარებელთა და ნედლეულის გაძვირება მსოფლიო ბაზარზე, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპთა შენელება, მოგების ნორმის დაცემა, კომპანიათა ფინანსური სიძნელეები და სხვ. ყველაფერი ეს კეინზური რეკომენდაციებზე დაფუძნებული სამეურნეო მექანიზმის კრიზისის მაჩვენებელი იყო, რაც ობიექტური აუცილებლობით მოითხოვდა მის შეცვლას. ეს განხორციელდა 1982 წლის შემოდგომაზე, მაგრამ, განსხვავებით აშშ-სა და დიდი ბრიტანეთისაგან, სადაც იმ დროს დამკვიდრდა ეკონომიკის ნეოკონსერვატული მოდელი, გფრ-ში დაინერგა მისი „შერბილებული" ვარიანტი. ახალი ეკონომიკური კურსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა სახელმწიფო სექტორის გარკვეული ნაწილის პრივატიზება, რამაც შეამცირა მისი წილი მშპ-ში, გამოიწვია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, ინფლაციის შენელება, ეკონომიკური ზრდის ოპტიმალური ტემპების ჩამოყალიბება. სახელმწიფოს იმავე პერიოდის ნეოკონსერვატული პოლიტიკით მოხდა საგადასახადო რეფორმა: შემცირდა კორპორაციათა მოგების პირდაპირი გადასახადები და მოქალაქეთა შემოსავლების გადასახადები, სამაგიეროდ გადიდდა არაპირდაპირი გადასახადები.

საერთოდ, 1982 წლის ბოლოს ჰ. შმიდტის სოციალ-ლიბერალური კოალიციის შეცვლა მემარჯვენე-კონსერვატული კაბინეტით — ჰ. კოლის მეთაურობით, ვიდრე 1992 წლამდე, აღინიშნა გერმანიის ეკონომიკის ზომიერი, მაგრამ მყარი და საკმაოდ ხანგრძლივი აღმავლობით. მთლიანად 80-იანი წლები შეფასდა როგორც სოციალური საბაზრო მეურნეობის მოდიფიკაციის წარმატება (მიწოდების სტიმულირებით), როგორც მყარი, უკრიზისო განვითარების პერიოდი. ამ ფაქტორმა და განსაკუთრებით პოლიტიკურ-პატრიოტულმა მოტივებმა განაპირობეს ის, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობა 1990 წლისათვის დათანხმებულიყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეერთებას. ამან 90-იან წლების კონიუნქტურას „გაორებული" ხასიათი შესძინა: აღმოსავლეთი გერმანია სოციალისტური მეურნეობრიობით თითქმის სრულ კრახამდე იყო მისული, დასავლეთი გერმანია კი — ფაქტობრივად აყვავებული ქვეყანა იყო. კოლოსალური სახსრების ფასად აღნიშნული კრახი სწრაფად იქნა კომპენსირებული დასავლეთ მხარეში მშპ-ს

დაჩქარებული ზრდით. ამასთან, განხორციელდა საწარმოო აპარატის, სამეურნეო ურთიერთობებისა და წესრიგის მასშტაბური ტრანსფორმაცია. მიუხედავად ამისა, დასაელეთ ნაწილში აღმავლობა არცთუ ისე დიდი იყო და აღმოსავლეთის ბუმმა ვერ გადაფარა „ძველ“ გფრ-ში ზრდის ტემპთა შემცირება. თუმცა ეს წინააღმდეგობა სრულიად უმნიშვნელოა მიღწევებთან შედარებით, რაც მთლიანობაში გამოიხატა იმით, რომ გერმანელებმა სულ რაღაც ათწლეულში შექმნეს ქვეყნის რეალური ეკონომიკური ერთიანობის საფუძველი და რომ სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესმა საკმაოდ მშვიდად ჩაიარა.)

ქვეყანა მორიგმა, საკმაოდ ძლიერმა ციკლურმა რყევამ მოიცეა 1992-1993 წწ., თუმცა გაერთიანებულმა გერმანიამ ის მალე დაძლია. ამავე და მომდევნო პერიოდში ქვეყანამ შედარებით მოკლე პერიოდში აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკური ტრანსფორმაციის ბევრი ამოცანა გადაწყვიტა, მათ შორის დაძლეულ იქნა ეკონომიკური დაქვეითება და ქვეყანა კელავ დააღგა სტაბილური ეკონომიკური ზრდის გზას.

უფრო კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, აღმოსავლეთი გერმანიის რეგიონების ადაპტაციამ დასავლეთთან, პირველ ორ წელიწადში გამოიწვია ქვეყნის სამრეწველო წარმოების 1/3-ით დაცემა, რაც შეეხება მეპ-ს, მისი ზრდის ტემპი გერმანიის გაერთიანების შემდეგაც საკმაოდ მაღალი იყო, რაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია აღმოსავლეთ გერმანიაში სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდასთან დასავლეთი გერმანიის საქონელზე — ამ უკანასკნელის დოტაციების ანგარიშზე.

გერმანიის მთავრობის 90-იანი წლების ბოლო პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1997 წლიდან დაწყებული მან შეძლო თანმიმდევრულად შეემცირებინა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი. მაგალითად, თუ 1996 წ. დეფიციტი შეადგენდა მშპ-ს 3,4%-ს, 1997 წელს შეადგინა 3%, რაც შეესაბამებოდა „მაასტრიხტის კრიტერიუმების“ ერთ-ერთ მოთხოვნას „ევროზონაში“ შესასვლელად; 1999 წელს კი ის იყო 1,2%, ხოლო 2000 წლის ბიუჯეტი კი პროფიციტური გახდა, რაშიც დიდი როლი ითამაშა პრივატიზებიდან და მესამე თაობის მობილური კავშირების საშუალებათა ლიცენზიების გაყიდვით მიღებულმა დიდმა შემოსავალმა. ამ პროცესში, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი როლი შე-

ასრულა ასევე საგადასახადო სისტემის სისტემურმა ტრანსფორ-
მაციამ და სრულყოფამ, თუმცა 70-90-იან წლებში გერმანია
კვლავაც რჩებოდა ერთ-ერთ ყველაზე მაღალი გადასასადებისა
და სოციალური ანარიცხების ქვეყნად და მხოლოდ 2000 წ. დაიწყო საგადასახადო სისტემის კარდინალური რეფორმა. საერთო ანგარიშით, ლ. ერჰარდის ხელმძღვანელობით შექმნილი საგადასახადო სისტემა, რაც საფუძვლად დაედო თანამედროვე გერმანიის საგადასახადო პოლიტიკას, ხელს უწყობს კონკურენციას, სტრუქტურული პოლიტიკის სრულყოფას, შემოსავლების სამართლიან განაწილებას და ა.შ.

გერმანიის ბიუჯეტის საერთო შემოსავლებში გადასახადებზე მოდის 80-85%. ქვეყნის ხელისუფლება გადასახადებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკურ განვითარებასა და სახელმწიფოზე ზემოქმედების კუთხით.[1] ამასთანავე, მეწარმეობისა და კერძო ინიციატივისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად, მთავრობა კვლავაც ინტენსიურად იღვწის საგადასახადო ტვირთის შესამცირებლად; 2000 წელს მთავრობამ დაამტკიცა „საგადასახადო რეფორმის პრინციპები 2001-2005 წლებისათვის" და უკვე შეუმცირდათ გადასახადები საოჯახო მეურნეობებსა და საწარმოებს, 2001 წელს წინა წელთან შედარებით, 45,4 მლრდ მარკით (კუმულატიური შემცირება 2001-2005 წ. შეადგენს 181,8 მლრდ მარკას). კორპორაციული მოგების გადასახადი, რაც 2000 წელს 50%-ს აღემატებოდა, უკვე 2001 წელს 40%-ზე ნაკლები გახდა. სისტემატურად მცირდება საშემოსავლო გადასახადიც: მაქსიმალური განაკვეთი შემცირდა 53%-დან 1999 წელს, 48,5%-მდე 2001 წელს, ხოლო 2005 წელს იქნება 42%. გადასახადების ასეთი შემცირება მნიშვნელოვნად დაასტიმულირებს მეწარმეობას მისგან გამომდინარე შედეგებით, მაგრამ, ალბათ, პირველ ხანებში მაინც გაამწვავებს ფინანსურ პრობლემას, უწინარესად — ბიუჯეტის ასპექტით. არც ის არის გამორიცხული, ბიუჯეტი გარკვეული დროით მაინც, კვლავ დეფიციტური გახდეს. სწორედ ეს პრობლემა გახდება განახლებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკის ეფექტიანობის შემოწმების ქვაკუთხედი. ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის გერმანიის ეკონომიკა საკმაო სტაბილურობით ხასიათდება.

---

[1] იაკობ მესხია, ოლეგ ნიკოლეიშვილი, გადასახადები და დაბეგვრა, თბ., 2002, გვ. 223

ამასთან, თანამედროვე გერმანიის ბევრი დარგი გამოირჩევა კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონით. გადამამუშავებელ მრეწველობაში 100 უმსხვილესი ფირმა თავს უყრის ქვეყანაში საერთო ბრუნვის 60%-ს და დასაქმებულთა 50%-ზე მეტს. მსოფლიოს 50 უმსხვილეს სამრეწველო კომპანიათა შორის 7 გერმანულია. და მაინც, ცენტრალიზაციის ყველაზე მაღალი დონე მიღწეულია საკრედიტო სფეროში. ბანკთა შორის ლიდერობს ოთხი: „დოიჩე ბანკი", „დრეზდენ ბანკი", „ვესტდოიჩე ლბ", „კომერცბანკი", რომლებიც შედიან მსოფლიოს უმსხვილეს ბანკთა რიცხვში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კაპიტალისა და წარმოების ცენტრალიზაციის მაღალი დონის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა უკავია წვრილ და საშუალო კომპანიებს, რომლებიც ქმნიან ქვეყნის მეპ-ის თითქმის ნახევარს და უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების 2/3-ს.

სახელმწიფო, შეღავათიანი კრედიტებით და დაბეგვრით, პირდაპირი ბიუჯეტური დაფინანსებით, სახელმწიფო შეკვეთებით, კადრებითა და ა.შ. არსებით მხარდაჭერას უწევს მცირე ბიზნესს, განსაკუთრებით — საკუთარი რეზერვების მობილიზაციაში, წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. გარდა ამისა, გერმანიაში ფუნქციონირებს ინოვაციურ სფეროში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სისტემა.

გერმანიის ეკონომიკა იყო და კვლავაც რჩება მსხვილ მწარმოებელთა — მრავალდარგოვანი კონცერნებისა და წვრილი და საშუალო საწარმოების ოპტიმალური, დაბალანსებული შეთანაწყობის ტიპურ ქვეყანად. მსხვილი ფირმა არცთუ მაინცდამაინც ბევრია, მაგრამ მათი ეკონომიკური როლი უდიდესია. ისინი განასახიერებენ მსხვილ კაპიტალს, რომლის ზეგავლენითაც ფორმირდება ძირითადი პროპორციები ეკონომიკაში. შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენენ მეურნეობის რენტაბელობის, სტაბილურობისა და საიმედოობის გარანტს.

გერმანიისათვის ასევე დამახასიათებელია ეკონომიკის საწარმოო სექტორის საბანკო ფინანსური კონტროლი. მსხვილი ბანკები ფლობენ სამრეწველო და სხვა კომპანიათა აქციების მნიშვნელოვან პაკეტს, ასევე ახორციელებენ კომპანიების აქციების წვრილ თანამფლობელთა საგრასტო (ნდობით) მართვას, ჰყავთ წარმომადგენლები კომპანიათა სამეთვალყურეო საბჭოებში და მონა-

წილეობენ უმნიშვნელოვანეს ფინანსურ თუ საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღებაში.

კომპანიათა დიდი ნაწილი მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული მონაწილეობის სისტემის, პირადი უნიის, საკრედიტო თუ საწარმოო ურთიერთობათა მეშვეობით. ეს იწვევს იმას, რომ დღემდე გერმანულ კომპანიათა მნიშვნელოვანი ნაწილი ცალკეულ ოჯახთა კონტროლქვეშ იმყოფება. მათ შორის ყველაზე მძლავრია ტისენების, ბაიერების, ფლიკების, სიმენსონების, ოპელების, გრუდინგების, ნეკერმანებისა და სხვათა ოჯახები.[1]

მონოპოლიური კაპიტალის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უცხოურ ტნკ-ებს. გერმანიის 30 უმსხვილესი კომპანიიდან 1/3 კონტროლდება უცხოური კაპიტალის მიერ.

საერთოდ, 90-იან წლებში გერმანიის ეკონომიკური განვითარება ხასიათდება ზრდის არცთუ მაღალი ტემპით. მეპ-ის საშუალო წლიურმა ზრდამ 1991-1996 წწ. შეადგინა 1,5%, რაც ოდნავ მაღალია დასავლეთ ევროპის საშუალო და იაპონიის მაჩვენებელზე. მოცემულ პერიოდზე მოდიოდა ეკონომიკური ციკლის დაბალი ფაზა: 1993 წ. ქვეყანაში მშპ შემცირდა 1,1%-ით. ამასთან, გერმანიაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, უკანასკნელი ათწლეულები აღინიშნა ეკონომიკური ზრდის ტემპთა შემცირებით 60-იანი წლების 4,4-დან 2%-მდე 1980 წელს. მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურული კრიზისის პირობებში გაუარესდა კვლავწარმოების საერთო პირობები.

ყოველივე აღნიშნულის ფონზე საინტერესოა გერმანიის ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები. საქმე ისაა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპმა, მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურულმა კრიზისმა, რომელთაც გამოიწვიეს კვლავწარმოების ახალ ტიპზე გადასვლა, განაპირობეს სტრუქტურული ცვლილებები. მშპ-ში შემცირდა მატერიალური წარმოების და, უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წილი და გადიდდა მომსახურების წილი.

80-იანი წლებიდან გფრ-ში ხორციელდება ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ ტიპზე გადასვლა. დღეისათვის ის არის ტიპური განვითარებული ქვეყანა პოსტინდუსტრიული საზოგადოებით, რომელშიც შექმნილია ინფორმაციული საზოგადოების საფუძველი. ამას-

---

[1] **В. К. Ломакин,** Мировая экономика. Учебник для вузов, М., Финансы, 1998, გვ. 520.

ითან, კვლავაც ინტენსიურად მიმდინარეობს მრეწველობის სტრუქ-
ტურული გარდაქმნები, რომლის პროცესშიც იცვლება ინვესტი-
ციათა მიმართულება: ამჟამად კაპიტალურ დაბანდებათა 80%
ხმარდება მოწყობილობათა მოდერნიზაციასა და გამოცვლას და
მხოლოდ 20% — სიმძლავრეთა გაფართოებას. საქმე ისაა, რომ
მსოფლიოს მასშტაბით მწვავე კონკურენციამ გერმანიის წინამე
დააყენა წარმოების ხარჯების შემცირების, პროდუქციის განახლე-
ბისა და მოწყობილობათა მოდერნიზაციის საკითხი. სწორედ ასეთი
პოლიტიკის შედეგია ის, რომ გერმანიას ერთ-ერთი წამყვანი ადგი-
ლი უკავია მსოფლიოში პროდუქციის განახლებით. გერმანიის ეკო-
ნომიკაში მშპ-ს 1,1% მოდის სოფლის მეურნეობაზე, 34,5% —
მრეწველობაზე, 64,4% — მომსახურების სფეროზე.

გერმანიის მრეწველობის სტრუქტურაში წამყვანია მანქანათ-
მშენებლობა, რომელზეც მოდის დარგში დასაქმებულთა 50%.
გამოშვების სტრუქტურაში სიმძიმის ცენტრი ტრადიციული პრო-
დუქციის წარმოებიდან სულ უფრო გადადის სამეცნიერო-ტექნი-
კურ პროდუქციაზე. წამყვანი ადგილი უკავია საავტომობილო
მრეწველობას, საერთო მანქანათმშენებლობასა და ელექტროტექ-
ნიკურ მრეწველობას. საერთო მანქანათმშენებლობაში ფუნქცი-
ონირებს 4,5 ათასზე მეტი ფირმა, რომლებიც ძირითადად სპე-
ციალიზებული არიან წვრილსერიულ წარმოებაზე, შემკვეთთა
მოთხოვნილების გათვალისწინებით. მათ დიდ ნაწილში დასაქმე-
ბულია 300-ზე ნაკლები მუშაკი. გერმანიას წამყვანი ადგილი უკა-
ვია მსოფლიოში დაზგებისა (მეორე) და ავტომობილების (მესამე)
წარმოებით. გერმანია ასევე უმაღლეს ტექნიკურ დონეზე შავი
ლითონების უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში.

მაღალგანვითარებულია გერმანიის სოფლის მეურნეობა. მარ-
თალია, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებით
ის ჩამორჩება საფრანგეთსა და იტალიას, მაგრამ წარმოების ინ-
ტენსივობითა და პროდუქტიულობით აღემატება ევროკავშირის
სამუალო დონის მაჩვენებელს. გერმანიას წამყვანი ადგილი უკა-
ვია მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო შრომის მანქანა-აღჭურ-
ვილობითა და ქიმიკატების გამოყენებით.

აგრარული წარმოების ინდუსტრიალიზაცია განსაკუთრებული
ინტენსიურობით მიმდინარეობდა 50-60-იან წლებში, რასაც საფუძ-
ველად ედო აქტიური საინვესტიციო პოლიტიკა, რის შედეგადაც
სოფლის მეურნეობა მოკლე პერიოდში გადაიქცა ეკონომიკის

ერთ-ერთ მსხვილ კაპიტალტევად დარგად. 80-იანი წლების დასაწყისიდან სოფლის მეურნეობაში ძლიერდება ინტენსიური ფაქტორების მოქმედება, რაც ადეკვატურად ასახავს ტექნიკური პროგრესის რესურსდამზოგავ მიმართულებაზე გადასვლის საერთო ტენდენციას. ამის საფუძველზე იზრდება მაღალმწარმოებლური იარაღმანქანებისა და ტრაქტორების წარმოება და გამოყენება, იხვეწება სასუქებისა და ქიმიკატების, გენური ინჟინერიის გამოყენების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მაღალ პროდუქტიულობას, ამინდის კაპრიზების მიუხედავად. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მაღალ ეფექტიანობას გარემოს „ტექნიკური დატვირთვის" შემცირების პირობებში. ამ უკანასკნელს კი საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

მთლიანობაში გერმანიის ასკ, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციული განშტოებით, მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალგანვითარებული და ეფექტიანი სამეურნეო სისტემაა.

სოფლის მეურნეობის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა, რომლის ცენტრალური რგოლია პროდუქციის წარმოებისა და მათი ფასების ოდენობის დაწესების პრაქტიკა. განვითარების მაღალი დონით ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელშიც პრაქტიკულად ჩართულია ყველა მწარმოებელი. კოოპერაციის მეშვეობით ხორციელდება მეურნეობების მომარაგება წარმოების საშუალებებითა და ქიმიკატებით, მეურნეობათა დაკრედიტება, პროდუქციის დამზადება და გადამუშავება. კოოპერირების მაღალი დონით ხასიათდება რძის წარმოება და რეალიზაცია, რომლითაც მოცულია 80%, მარცვლეულის — 50, ბოსტნეულის — 40, ღვინის — 30% და ა.შ. სამაგიეროდ, საწარმოო კოოპერირება სუსტადაა განვითარებული. სახელმწიფო კოოპერატივებს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს.

გერმანიის აგრარული სფეროს მაღალი განვითარების შედეგია ის, რომ სამამულო წარმოება უზრუნველყოფს სურსათზე ქვეყნის მოთხოვნილების 4/5-ს, მათ შორის მთლიანად და მეტადაც — ხორბალზე, შაქარზე, ხორცზე, ყველსა და კარაქზე.

მომსახურების სფეროს განვითარებით გერმანია რამდენადმე ჩამორჩება სხვა განვითარებულ ქვეყნებს, თუმცა მსოფლიო მეურნეობაში ის სპეციალიზდება საბანკო და საფინანსო მომსახურებაზე, ტურიზმზე. გერმანიას აქვს ერთობ მაღალგანვითარებული ინფრა-

სტრუქტურა: საავტომობილო და რკინიგზის საუცხოო ქსელი, ევროპასა და მსოფლიოში უმსხვილესი საპაერო ხაზები. გერმანიის სატრანსპორტო სფეროშო გამოიყენება ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიები.

ამჟამად მომსახურების სფეროს მრავალფეროვან სტრუქტურაში დასაქმებულია მოსახლეობის 53%, მათ შორის ყველაზე მეტი — ვაჭრობასა და ტრანსპორტზე (19%), სახელმწიფოს მართვის სფეროში (15%).

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გერმანიის დიდი წარმატებები სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ადამიანისეული კაპიტალის ხარისხით, რაც განისაზღვრება მუშაკთა მაღალი პროფესიულ-საგანმანათლებლო დონით, სიახლეთა სწრაფი ათვისებით, კვალიფიციურ მუშაკთა დიდი წილით. გერმანია ფლობს განვითარებულ სამეცნიერო და ტექნიკურ ცოდნას, რასაც ტრადიციული ფესვები აქვს და რაც კომპანიებს დიდ უპირატესობას ანიჭებს კონკურენციულ ბრძოლაში მსოფლიო ბაზრებზე.

4. საგარეო-ეკონომიკური კავშირები

გერმანიის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველია ეკონომიკური კავშირების განვითარება მის მთავარ პარტნიორებთან — ევროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-სა და იაპონიასთან, ასევე მსოფლიოს ზოგ სხვა რეგიონთან. ამის საფუძველი კი ის არის, რომ გერმანიის ეკონომიკა ხასიათდება წარმოების ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონით. შესაბამისად, საგარეო ვაჭრობაც გერმანიის ეკონომიკის ყველაზე დინამიკური დარგი, მისი ეკონომიკური ზრდის სტიმულია. 1997 წელს ექსპორტისა და იმპორტის წილი მშპ-ში შესაბამისად შეადგენდა 26,6 და 24,9%-ს. 1998 წელს დაფიქსირდა საგარეო საეაჭრო ბალანსის დადებითი სალდოს რეკორდული მაჩვენებელი — 136,1 მლრდ გერმანული მარკა. იმავე წელს გერმანია მეორე ადგილზე იყო მსოფლიოში ექსპორტით — 539,7 მლრდ დოლარი, ანუ მსოფლიო ექსპორტის 10% და ასევე მეორეზე იმპორტით — 466,6 მლრდ დოლარი, ანუ მსოფლიო იმპორტის 8,4%. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა ექსპორტის წილი მშპ-ში — თითქმის 30%-ს მიაღწია. ეს გამოწვეულია ექსპორტის სწრაფი ტემპით ზრდით: 2001 წელს მან

მიაღწია სარეკორდო მაჩვენებელს — 13-14%, 2002 წლის პროგნოზი იყო 10% და მეტი, რაც უმრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ ზრდას (დაახლოებით 2%-ით საშუალოწლიურად). კონკურენტუნარიანობით გერმანია ჩამორჩება აშშ-ს, შვეიცარიას, იაპონიასა და სხვა ქვეყნებს. მსოფლიო ბაზარზე ყველაზე მყარი პოზიციები გერმანულ კომპანიებს უკავიათ ტრადიციულ საქონელთა ექსპორტში — ნომენკლატურით მრავალფეროვანი სამრეწველო საქონლით, უმთავრესად საინვესტიციო დანიშნულებისა, რომელთაც კონკურენტების მიმართ უპირატესობა აქვთ, როგორც წესი, არა ფასით, არამედ საქონლის ხარისხით. ექსპორტის 55% და მეტი მოდის ოთხ საქონლურ ჯგუფზე: ავტომშენებლობაზე, საერთო მანქანათმშენებლობაზე, ქიმიურ და ელექტროტექნიკურ საქონელზე. გერმანულ კომპანიებს პირველი ადგილი უკავიათ მზა ქიმიური საქონლის ექსპორტში (17%).

ხვედრითი წონით, მსოფლიო ექსპორტში გერმანიას პირველი ადგილი უკავია საერთო მანქანათმშენებლობის 43 ქვედარგიდან 22-ში; წამყვანი ადგილი უკავია ასევე საფეიქრო ნაწარმის ექსპორტში — მსოფლიო მიწოდების 12%-მდე და ტანსაცმლის ექსპორტში მესამე ადგილი (6-7%), ჩინეთისა და იტალიის შემდეგ.

აქ იმის შესახებაც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში გერმანიამ მრეწველობის რიგ დარგებში დაკარგა წამყვანი პოზიციები უმსხვილეს ექსპორტიორთა შორის. მაგალითად, ყველაზე პერსპექტიული ტექნოლოგიური საქონლით (კომპიუტერები, ინფორმაციული სისტემები, კავშირგაბმულობის საშუალებებით) ექსპორტში მესამედან (1990) დაეშვა მეცხრე პოზიციაზე (1996წ.), ხოლო მისი ხვედრითი წონა შესაბამის ბაზარზე შემცირდა 7,5-დან 4,9%-მდე. მიუხედავად ამისა, მაღალი ტექნოლოგიების საქონელთა ბაზარზე გერმანიის წილი მეტია, ვიდრე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის.

გერმანიას მსოფლიოში მეოთხე ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტით — აშშ-ის, საფრანგეთისა და ნიდერლანდების შემდეგ. ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა რძე და რძის პროდუქტები.

გერმანული ექსპორტის სტიმულირებას ხელს უწყობს დაფინანსებისა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დაზღვევის სისტემა. ამისათვის არსებობს სპეციალური საკრედიტო ინსტიტუ-

ტები — ექსპორტის დაკრედიტების საზოგადოება და სხვა საკრედიტო დაწესებულებები. ამით მთავრობა საგარეო-ეკონომიკურ სფეროში სადაზღვევო მექანიზმის ფარგლებში ახორციელებს რისკის მოქნილ პოლიტიკას.

გერმანია იმპორტის სიდიდით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საიმპორტო კვოტა ბევრი დარგისათვის არსებითად გაიზარდა: გადამამუშავებელ მრეწველობაში — 22%-მდე, ხოლო მასში ავიაკოსმიური მრეწველობისათვის — 80%-მდე. საიმპორტო კვოტის გადიდება აიხსნება შიდადარგობრივი სპეციალიზაციის ინტენსიფიკაციით, რის შედეგადაც იზრდება მიგასავაჭრო გაცვლა ერთსა და იმავე საქონლურ ჯგუფებს შორის.

იმპორტის მთლიან მოცულობაში ძირითადია მზა სამრეწველო ნაკეთობა და ნახევარფაბრიკატები (1997წ. მესაბამისად — 70 და 10%), ასევე ავტომობილები, ამწე-სატრანსპორტო სამუალებები, ელექტროტექნიკური ნაწარმი, ელექტრომატარებლები, ფერადი ლითონები, ნაგლინი, მინერალური ნედლეული, საფეიქრო ნაწარმი, ტანსაცმელი. ძირითადად იმპორტი უზრუნველყოფს გერმანიის მოთხოვნილებას პირველად ენერგომატარებლებზე: 1998 წელს — ნავთობზე 98%-ით, ბუნებრივ გაზზე — 80%, ქვანახშირზე — 26%, მურა ნახშირზე — 2%-ით. გერმანია არის ასევე მაღალი ტექნოლოგიების იმპორტიორი ქვეყანა.

გერმანიის სავაჭრო პარტნიორებად გამოდიან მრეწველურად განვითარებული ქვეყნები (მათზე მოდის მთელი საგარეო ვაჭრობის 75%) და, პირველ რიგში, ევროკავშირი (55%), რომელთა შორის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია საფრანგეთი (ექსპორტის 12% და იმპორტის 11%), დიდი ბრიტანეთი (8 და 6,3%), ნიდერლანდები (7,7 და 8,2%), იტალია (7,6 და 8,4%). აშშ-ზე მოდის მთლიანი ბრუნვის 8-9%, იაპონიაზე — 3-4%, განვითარებად ქვეყნებზე — 12%.

გერმანია მსოფლიოში კაპიტალის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია. მის კომპანიებს საზღვარგარეთ ინვესტიციების მოცულობით მესამე ადგილი უკავიათ მსოფლიოში. გერმანიის კომპანიათა პირდაპირ კაპიტალდაბანდებათა წილი საზღვარგარეთულ ინვესტიციათა მთლიან მოცულობაში უკანასკნელ წლებში 25-35%-ს შეადგენს, მაშინ, როცა უცხოურ დაბანდებათა წილი გერმანიის ეკონომიკაში 5%-ს არ აღემატება. გერმანული დაბანდებები განსაკუთრებით დიდია საფრანგეთში, შვეიცარიაში, ბენელუქსში,

ინგლისსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ამასთან, კაპიტალის დაბანდების ძირითადი ობიექტი გახდა აშშ, რომელზეც მოდის მთლიანი დაბანდების 30%. გერმანია მნიშვნელოვან პირდაპირ კაპიტალურ დაბანდებას ახორციელებს განვითარებად ქვეყნებშიც. მათზე მოდის მთლიანი დაბანდების 44%, რომლის უმეტესობა კონცენტრირებულია მსხვილ და მრეწველობაში პროგრესირებად ქვეყნებში — ბრაზილია, არგენტინა, ინდოეთი.

გერმანიამ პოზიციები განიმტკიცა სასესხო კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზეც. ის სიდიდით მეოთხე დონორია განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების მოცულობით (11,3%).

ქვეყნის მთელი საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შედეგები აისახება საგადამხდელო ბალანსში, რომლის სალდოც მაღალი დადებითი მაჩვენებლით ხასიათდება. ეს, უწინარესად, განპირობებულია ექსპორტის იმპორტზე მნიშვნელოვანი მეტობით. მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-სთან საგადამხდელო ბალანსის დადებითმა სალდომ განაპირობა გერმანული მარკის მაღალი ავტორიტეტი დასავლეთ ევროპაში და არა მხოლოდ იქ. საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე გერმანული მარკა თავისი მნიშვნელობით მეორე საერთაშორისო საინვესტიციო და სარეზერვო ვალუტაა. ამის დასტურია ის, რომ მისი წილი საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში 14%-ია, მსოფლიო სავალუტო რეზერვებში — 15-20%, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობაში — დაახლოებით 14%.

5. გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელის ძირითადი ნიშნები და განვითარების მიმართულებები

როგორც უკვე აღინიშნა, გერმანიის ეკონომიკის ომის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ის, რომ ეკონომიკის ახლებური მოწყობა დაეფუძნა „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ნეოლიბერალურ კონცეფციას, რომელიც დაეყარა როგორც „ფრაიბურგის სკოლის“ (ქ. ფრაიბურგის უნივერსიტეტის) მეცნიერთა, უწინარეს ყოვლისა, ვ. ოიკენისა და ვ. რეპკეს ე.წ. „ორდოლიბერალიზმის“ იდეას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შესახებ, ასევე „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ იდეას, რომელსაც პროპაგანდას უწევდა ა. მიულერ-არმაკი და

რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობის ცალკეული ფენების შემოსავლების მეტისმეტი უთანაბრობის სახელმწიფოს პოლიტიკის მეშვეობით აღმოფხვრას და სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემის შექმნას საბაზრო ეკონომიკაში სამართლიანობის ელემენტების შეტანის მიზნით.*

ორივე ეკონომიკური სკოლის საერთო ნიშანი იყო ის, რომ ორივე ემხრობოდა საბაზრო ეკონომიკის იდეას თავისი ისეთი საფუძვლებით, როგორიცაა: წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი ფასწარმოქმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და, შესაბამისად, მოსახლეობის მოთხოვნილებათა ყველაზე სრულ დაკმაყოფილებას. მათი აზრი არსებითად ერთიანი იყო სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური როლის შესახებაც.

✓ამ კონცეფციის საფუძველზე, მეტ-ნაკლებად მოდიფიცირებული სახით, გერმანული ეკონომიკის ახალი მოდელის შექმნის პრაქტიკული ხორცშესხმა წილად ხვდათ ომის შემდგომი ეკონომიკის მინისტრს, ხოლო შემდეგ გფრ-ის კანცლერ ლუდვიგ ერჰარდსა და მის თანამოაზრეებს. მათი საერთო იდეალი იყო ადამიანის როგორც უზენაესი სიმდიდრის თავისუფლება ეკონომიკასა და პოლიტიკაში. „კეთილდღეობა ყველასათვის", „ეკონომიკა ჩვენი ბედია" და. ა.შ. — ასეთი იყო ლ. ერჰარდის საბაზრო მეურნეობის კონცეფციის ძირითადი დევიზი. და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ომის შემდგომ ათ წელიწადში გერმანიამ არა მხოლოდ აღადგინა დანგრეული ეკონომიკა, არამედ ბევრი ეკონომიკური მაჩვენებლით გაუსწრო თავის მეზობლებს და დაიკავა ერთ-ერთი სალიდერო ადგილი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყანათა შორის. ეს დიდი გარდატეხა, რაც განხორციელდა ლუდვიგ ერჰარდის პროგრამითა და ხელმძღვანელობით და აშშ-ის თანადგომით, ცნობილია „გერმანული სასწაულის" სახელით.

---

* სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გერმანიაში სახელმწიფო სოციალურ პოლიტიკას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს, ბისმარკის კანცლერობის დროს, როცა ამოქმედდა დაქირავებულ მუშაკთა სოციალური დაცვის ისეთი უპრეცენდენტო აქტები, როგორიც იყო: აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის შესახებ (1883წ.), საწარმოში უბედური შემთხვევებისას მეწარმეთა პასუხისმგებლობის შესახებ (1884წ.), სადაზღვეო საპენსიო სისტემა მოხუცებულობისა და ინვალიდობისას პენსიის გადახდით (1889წ. მუშებისათვის, 1911 წ. მოსამსახურეთათვის) და სხვ.

იგი სამაგალითოა ბევრი სხვა ქვეყნისათვის, რომლებიც „ძალდატანებით მართვალი მეურნეობიდან“ სოციალურად ორიენტირებულ შერეულ ეკონომიკურ სისტემაზე გადადიან.

გერმანიაში ჩამოყალიბებული, კონკურენციაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა, მართალია, არ იცავს ყველას და თითოეულს გარდუვალი რისკისა თუ სხვა მსგავსი შემთხვევებისაგან, მაგრამ ადამიანს აყენებს ისეთ მდგომარეობაში, როცა ისინი თავიანთი მოქმედებისა და მისი შედეგებისათვის სრული პასუხისმგებელნი არიან.

დასავლეთ გერმანიის 1948 წლის სამეურნეო რეფორმა, რომელმაც ძირეულად შემოაბრუნა ამ ქვეყნის ბედი, მოიცავდა ორ პარალელურ რეფორმას: ფულად რეფორმასა და ფასების რეფორმას. ფულადი რეფორმის ამოცანა იყო გაუფასურებული ფულიდან მტკიცე ვალუტაზე გადასვლა, ფასების რეფორმისა კი — „ძალდატანებით მართვადი მეურნეობის“ და ამ მეურნეობით განპირობებული რესურსების ადმინისტრაციული განაწილებისა და ფასებზე კონტროლის შეცვლა. რეფორმა ჩატარდა თანმიმდევრულად და სწრაფი ტემპით. ამასთან, ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციას საყოველთაო ხასიათი არ მიუღია. სახელმწიფომ სტრატეგიულ პროდუქციათა ფასებზე კონტროლი შეინარჩუნა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა მართვადი გახადა. მთლიანობაში ლ. ერჰარდის რეფორმა აშკარად ლიბერალური მიმართულებისა იყო, რომელსაც თან ახლდა მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტიანი ღონისძიებები. ეკონომიკის რეგულირების, მათ შორის განსაკუთრებით ფასების მართვის ადმინისტრაციული მეთოდების გაუქმება, საგადასახადო რეფორმა, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ღონისძიებები, ფულის რეფორმის შედეგად ვალუტის კურსის სტაბილიზაცია და სხვა დემოკრატიული გარდაქმნები აქტიურად ასტიმულირებდა მეწარმეობის განვითარებას და ეფექტიანი სამეურნეო წესრიგისათვის მტკიცე საფუძველს ქმნიდა.

რაც მთავარია, გერმანიისათვის ბაზარი და საბაზრო ეკონომიკა იმთავითვე მიჩნეული იყო არა თვითმიზნად, არამედ სოციალური მიზნების მიღწევის, კერძოდ, საზოგადოებაში კლასობრივ განსხვავებათა დაძლევისა და ქვეყნის შემოქმედებითი ძალების მაქსიმალური განვითარებისათვის თავისუფალი, კერძო ინიციატივისა და კონკურენციის ეკონომიკის აქტიურ სახელმწიფოებრივ

რეგულირებასთან შეხამების ფენომენად. აქვე უნდა აღვნიშნოთ გერმანიის ერთი სპეციფიკური მახასიათებლის შესახებ, როგორიც არის: ეკონომიკის ზარალიანი სექტორების (ქვანახშირისა და ფოლადსადნობი მრეწველობა, გემთმშენებლობა, სოფლის მეურნეობა) სახელმწიფოებრივი სუბსიდირება (ე.წ. გერმანული „სუბსიდიარობის პრინციპის" პროგრამით).

ამჟამად გერმანული მოდელი სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკაა, როცა მეწარმეებს ენიჭებათ სრული თავისუფლება — იმუშაონ პირადი სარგებლობისათვის. აქ ყველასათვის შექმნილია თითქმის თანასწორი, ამოსავალი სასტარტო პირობები. გერმანული ეკონომიკური სისტემა მიმართულია: 1. უსამართლობის აღკვეთის; 2. საყოველთაო ჰარმონიის; 3. ყველასთვის კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ. ეკონომიკური სისტემის გერმანული მოდელის საფუძველია სოციალური გარანტიების ჰარმონიული კომბინირება, რისთვისაც მას მიიჩნევენ ყველაზე ოპტიმალურ მოდელად.

სამუშაო ძალაზე დანახარჯების სიდიდით (საათობრივი ანაზღაურება და დამატებითი მისაცემლები) გერმანიას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოს წამყვან 15 ქვეყანას შორის. ამასთან, გერმანია ინარჩუნებს უპირატესობას შრომის მწარმოებლურობის დონით ყველა წამყვან ქვეყანათა შორის, აშშ-სა და იაპონიის გამოკლებით, რომელთაც ის ჩამორჩება შესაბამისად 20 და 8%-ით (გადამამუშავებელ მრეწველობაში).

გერმანიის თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: აშკარად გამოხატული პოსტინდუსტრიული ეკონომიკა (მშჯ-ში ხვედრითი წონა შეადგენს: მომსახურების სფეროს — 64,4%-ს, მრეწველობისა — 34,5%, სოფლის მეურნეობისა — 1,1%); მძლავრი სახელმწიფო სექტორი, რომლის ხვედრითი წონა ბიუჯეტში 50%-ს აღემატება, და მაღალი გადასახადები. გერმანიაში გადასახადებზე მოდის მოგების 65%, აშშ-ში — 45%, ინგლისში — 45%); ეკონომიკის მკაფიო სოციალური ორიენტაცია (სოციალურ ფონდებში გადარიცხვები სელფასის ფონდის 80% და მეტია.). გერმანელი სამუშაო ძალა ყველაზე ძვირია მსოფლიოში — ის ღირს საშუალოდ 12 დოლარი საათში. გერმანიაში ყველაზე ბევრი დასვენების დღეა ევროპაში. ყველაფერი ეს აძვირებს გერმანულ პროდუქციას და ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას;

უცხოურ ინვესტიციათა დაბალი დონე, რაც შეადგენს მთლიანი დაბანდების მხოლოდ 7,5%-ს; გერმანიის ეკონომიკის ძლიერი ინტეგრაცია მსოფლიო მეურნეობასთან. გერმანია მეორე ადგილზეა როგორც ექსპორტით (მსოფლიოს 10%), ასევე იმპორტით (მსოფლიოს 8%). მისი ექსპორტი შეადგენს მშპ-ს 23,6%-ს; სახელმწიფოს მიერ ზარალიანი დარგების სუბსიდირება, როგორიცაა: ქვანახშირის, ფოლადსასხმელი, გემთმშენებელი და სოფლის მეურნეობა; კაპიტალის გატანის მაღალი დონე. გერმანელ მეწარმეებს გააქვთ საწარმოების შრომატევადი ნაწილები არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში იაფი სამუშაო ძალით, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც სოციალურ ფონდებში ნაკლები მოსაკრებლებით; უმუშევრობის მაღალი დონე, რაც შრომისუნარიანი მოსახლეობის 10%-ზე მეტს შეადგენს. გერმანიისათვის დამახასიათებელია სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი იმპორტი. განსაკუთრებით თურქეთიდან, საბერძნეთიდან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, რომელთაც იზიდავთ მაღალი ანაზღაურება; უზარმაზარი დანახარჯები აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიწების ცხოვრების დონის გამოთანაბრებისათვის, რომლის პროგრამა ფასდება 2 ტრლნ მარკით და რაც ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება.[1]

თანამედროვე გერმანიის ეკონომიკური სისტემა მიჩნეულია როგორც „სოციალური საბაზრო მეურნეობა". გერმანიისათვის, მისი განვითარების ყველა ეტაპზე, დამახასიათებელი იყო სახელმწიფოს დიდი როლი, გაცილებით მაღალი, ვიდრე აშშ-ში. სახელმწიფოს აქტიური სოციალური პოლიტიკა დამახასიათებელია გერმანიისათვის დღესაც. ეს მოდელი უკომპრომისოა ეკონომიკურ ზრდასა და სიმდიდრის თანაბარ განაწილებას შორის. სისტემის ცენტრშია სახელმწიფოს სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური დოვლათის მეტ-ნაკლებად თანაბარ განაწილებას საზოგადოების წევრებს შორის. გერმანიის მაკროეკონომიკური განვითარების სხვა თავისებურებაა ე.წ. „რეინის კაპიტალიზმი", რაც ხასიათდება ბანკების მნიშვნელოვანი როლით ქვეყნის ეკონომიკაში. ბანკები გერმანიაში არის სამრეწველო კომპანიებისა და მომსახურების სფეროს მსხვილი აქციონერები, რის გამოც ისინი აქტიურად ერევიან ბიზნეს-გადა-

[1] **А. Г. Мовсесян. С.Б. Огнивцев,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 491.

წყვეტილებათა მიღებაში. შესაბამისად, ბანკების პოზიციები გერმანიის ეკონომიკაში უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში.

აქ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ გერმანულ კომპანიათა დომინირებადი თვისებაა მათი მართვის სისტემის „შინაგანი" ხასიათი, რომლითაც ყველა მონაწილე – აქციონერები, მმართველები, დაქირავებული მუშაკები, არენდატორები, მიმწოდებლები და მომხმარებლები ზემოქმედებას ახდენენ ისეთი ორგანოებით, როგორიცაა სამეთვალყურეო და საწარმოო საბჭოები.

გერმანიის „სოციალური საბაზრო ეკონომიკის" ცენტრში იმყოფება ე. წ. გადაწყვეტილებათა მიღებაში თანამონაწილეობის სისტემა. საწარმოებში მოქმედებს საწარმოო საბჭოები, რომლებიც ირჩევიან პირდაპირი კენჭისყრით. ისინი მონაწილეობენ საწარმოო პროცესებისა და სამუშაო ადგილების ორგანიზაციაში. დიდ საწარმოებში კი (2 ათას კაცზე მეტი) ჩამოყალიბებულია სამეთვალყურეო საბჭოები, რომლებიც ფართო მონაწილეობას იღებენ საწარმოთა მართვაში. ისინი ფაქტობრივად მენეჯმენტის ერთიანი სისტემის ნაწილები არიან.

მაღალგანვითარებულია გერმანიის სოციუზრუნველყოფის სისტემა, რაც ემყარება სამ საფუძველს – ჯანდაცვის დაზღვევას, პენსიებსა და დახმარებებს უმუშევართათვის. უმუშევრები 32 თვე იღებენ უწინდელი ხელფასის 2/3-ს, რომლის შედეგადაც დახმარება კლებას იწყებს. საპენსიო ფონდები თვითფინანსირდება და არსებობს შენატანების საფუძველზე. მეწარმეთა და მუშების შემოსავლებიდან გადარიცხვების წილი ამაღლდა 26,5%-დან 1970 წელს, 39,2%-მდე 1994 წელს. მთელი ეს მექანიზმი დღემდე განაპირობებს გერმანიის სამეურნეო სისტემის მყარ ხასიათს.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, დღეისათვის გერმანია ეკონომიკის სოციალური მოდელის გამო, სერიოზულ სირთულეებს განიცდის, რაც დაკავშირებულია 1990-იან წლებში ქვეყნის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთ ხარვეზთან (შრომის ანაზღაურებისა და სოციალური გარანტიების მაღალი დონე, ინოვაციათა ნაკლოვანებები). მაგალითად, სოციალური გარანტიების მაღალმა დონემ გამოიწვია ის, რომ გერმანულ კომპანიათა წმინდა მოგების 40% მიდის შრომის ანაზღაურებაზე, სოციალურ ფონდებში გადარიცხვებზე. შესაბამისად, სამუშაო ძალის

ღირებულება და უმუშევართა დახმარება გერმანიაში ყველაზე მაღალია. ასე მაგალითად, ერთი საათის შრომის ანაზღაურების მთლიანმა დანახარჯებმა 1995 წელს შეადგინა 45,52 მარკა, რომლიდანაც 20,44 მარკა დამატებით ანაზღაურებაზე მოდიოდა. შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდა: აშშ-ში — 25,18 და 7,42; იაპონიაში — 35,48 და 14,56; დიდ ბრიტანეთში — 20,9 და 6. ცხადია, მუშაკები ურიად კმაყოფილნი არიან ასეთი მაღალი ანაზღაურებითა და დამატებითი მისაცემლებით, მაგრამ სამუშაო ადგილები იმდენად ძვირი გახდა, რომ მსოფლიო კონკურენციის პირობებში მას ზარალი მოაქვს გერმანელი მეწარმეებისათვის. ამასთან, მთავარი არის ის, რომ ასეთი დიდი სოციალური სიკეთე მნიშვნელოვნად მოწყვეტილია შრომის მწარმოებლურობის დონეს, რაც დიდხანს არ შეიძლება გრძელდებოდეს. შესაბამისად, თანამედროვე გერმანიის ეკონომიკის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მუშაკთა ანაზღაურების ოდენობასა და შრომის მწარმოებლურობას შორის ობიექტურად აუცილებელი თანაფარდობის დამყარება.

მნიშვნელოვანი პრობლემაა, ასევე უმუშევრობის მაღალი დონე, რაც 90-იანი წლების შუა ხანებში დასავლეთ გერმანიაში 11%-ს, ხოლო აღმოსავლეთ გერმანიაში 17%-მდე აღწევდა. XXI საუკუნის დასაწყისისათვის უმუშევართა რაოდენობა საკმაოდ შემცირდა (2000 წელს უმუშევრობამ საშუალოდ ქვეყანაში შეადგინა 9,6%, ნაცვლად 10,5%-ისა 1999 წელს, ხოლო 2001 წელს იყო 9,3%), თუმცა ეს პრობლემა კვლავაც მწვავეა, და როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, სამუშაო ადგილების უკმარისობა გამოწვეულია არა ნაკლები მოთხოვნით, არამედ სტრუქტურული და ინსტიტუციური პრობლემებით. სწორედ ამიტომ, მსოლოდ ეკონომიკური ზრდა ვერ უზრუნველყოფს უმუშევრობის დონის ოპტიმიზაციას.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ბოლო პერიოდამდე გერმანიაში მაღალი სოციალური გარანტიებისათვის გამოიყენებოდა მძლავრი ფისკალური პრესი მოსახლეობასა და კომპანიებზე. გადასახადებით დაბეგვრამ 90-იანი წლების ბოლოს არნახულ სიდიდეს მიაღწია. თუ აშშ-ში გადასახადებზე მოდის გაუნაწილებელი მოგების 32%, დიდ ბრიტანეთში 45%, გერმანიაში ის 65%-ია. ბევრ სხვა არასასურველ შედეგთან ერთად, ეს იწვევს იმას, რომ გერმანია არცთუ ისე მიმზიდველია უცხოური კაპიტალისათვის. ეს

კი, საბოლოო ანგარიშით, იწვევს უახლესი ტექნოლოგიებით ქვეყნის საწარმოთა აღჭურვილობის შენელებას. ეს მაშინ, როცა გერმანია არ არის მსოფლიო ტექნოლოგიური ლიდერი, განსაკუთრებით სუსტია მისი პოზიციები მიკროელექტრონიკისა და გენური ინჟინერიის სფეროში.

გერმანიაში ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება დღემდე მოთხოვნის ეკონომიკის კეინზური თეორიის მიხედვით გრძელდება. „სოციალური საბაზრო ეკონომიკა" ემსახურება კეთილდღეობის სახელმწიფოს განმტკიცებას, რომელიც გადაანაწილებს ყველა რესურსს ეკონომიკაში. სახელმწიფო დანახარჯების წილი გერმანიის მშპ-ში ძალიან მაღალია – 50%. „სოციალური საბაზრო მეურნეობის" პრობლემები ართულებს ქვეყნის აღმოსავლეთი და დასავლეთი მიწების კონსოლიდაციას, რამდენადაც აღმოსავლეთს სჭირდება დიდი თანხები ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისა და, საერთოდ, ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასასვლელად.

*/ გერმანიას სჭირდება „სოციალური საბაზრო მეურნეობის" იმ მოდელის ცვლილებები, რომელიც წარმატებით ვითარდებოდა ბოლო პერიოდამდე, მაგრამ გლობალიზაციის პირობებში არაეფექტიანი გამოდგა. ამ პროცესებში დიდ იმედებს ამყარებენ 1998 წ. 27 სექტემბერს არჩეულ ფედერალურ კანცლერ გ. შრედერზე, რომელსაც მიიჩნევენ ლ. ერჰარდის იდეებისა და სოციალური ბაზრის უკეთეს დამცველად, ვიდრე უწინდელი კანცლერი ჰელმუტ კოლი იყო. საინტერესოა, რომ გერმანია თავის რეფორმისტულ პოლიტიკაში ორიენტაციას იღებს არა აშშ-ის გამოცდილებაზე, არამედ, პირველ რიგში, ეკ-ის თანამოძმე ქვეყნების გამოცდილებაზე. თანამედროვე რეფორმების ევროპული გამოცდილებით არის ორი ალტერნატივა: კონსერვატიზმ-„ბლეიერიზმი" დიდ ბრიტანეთსა და სოციალიზმ-„ჟოსპენიზმი" საფრანგეთში. შრედერი თავის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში ემყარება უმთავრესად ამ ორი დასახელებული ქვეყნის გამოცდილებას: საფრანგეთი გამოდის როგორც სოციალური ბაზრის გერმანული მოდელის მსგავსი და ნიმუში, ხოლო დიდი ბრიტანეთი, როგორც კონსერვატიზმისა და ლეიბორიზმის წარმატებული შეთანხმების ნიმუში.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შრედერმა წამოაყენა მოდერნიზებული საბაზრო ეკონომიკისაკენ გერმანიის მოძრაობის, ქვეყნის დაკარგული კონკურენტუნარიანობის აღდგენის პროგ-

რამა. იგი ატარებს ე.წ. „ახალი ცენტრის“ პოლიტიკას, რომლის მიზანია სოციალიზმის მშენებლობა, მეგობრული ბიზნესის, „ადამიანური სახის“ ეკონომიკური სისტემის ფორმირება. ამ მიზნით იგი ახორციელებს ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროგრამას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს: კომპანიათა გადასახადების შემცირება, შრომის ბაზრის მოქნილობა და სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირება, ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის მოდერნიზაცია, ფედერალური ბიუჯეტის ხარჯების შემცირება 16,7 მლრდ დოლარით 2000 წლისათვის, სახელმწიფოს საპენსიო დანახარჯების შემცირება და საგადასახადო შეღავათების შემოღება კერძო საპენსიო დანაზოგებზე და სხვ.

ამ მხრივ დიდ ყურადღებას იპყრობს გერმანიაში 1999 წლის ბოლო თვეების მოელენები. გერმანიის ბუნდესტაგმა მწვანე შუქი აუნთო სამთავრობო საგადასახადო კანონების პაკეტს. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ახალი კანონების შემოღების შედეგად გერმანია თავს დააღწევს მაღალი გადასახადებისა და თითქოსდა დაბალეფექტიანი კორპორაციული სტრუქტურის მქონე ქვეყნის იმიჯს, რაც ხელს უშლიდა პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების უფრო დიდ მოდინებას. მართლაც, დიდად საყურადღებოა, რომ 2001 წლის იანვრიდან კორპორაციათა მოგების გადასახადი მთელი 15 პუნქტით — 40%-დან 25%-მდე შემცირდა. 2002 წლიდან კი საერთოდ გაუქმდა იმ კაპიტალის დაბეგვრა, რომელიც აქციათა მსხვილი პაკეტების გაყიდვით წარმოიქმნება. ეს სიახლე მნიშვნელოვნად დააჩქარებს გერმანიის კორპორაციული სისტემის რესტრუქტურიზაციას. გადასახადების ეს დაწევა, რომელიც გერმანიაში კანცლერ შრედერის ეკონომიკური პოლიტიკის დიდ წარმატებად მოინათლა, ნაწილია იმ ტენდენციებისა, რომლებიც ბოლო წლებში მიმდინარეობს. მაგალითად, კორპორაციული მოგების გადასახადი (მიწის გადასახადის ჩათვლით) 1998წ. 56,4% იყო, 1999 წ. — 51,8% გახდა, ხოლო 2001 წელს — 38,6%. იგივე ითქმის საშემოსავლო გადასახადის შესახებაც: 1999 წელს მისი მაქსიმალური განაკვეთი იყო 55,5%, 2005 წლისათვის ის შემცირდება ეტაპობრივად 44,3%-მდე.

ცხადია, გერმანიაში გადასახადების განაკვეთების შემცირება ამ ქვეყანას ბიზნესის საწარმოებლად ყველაზე მიმზიდველს ხდის დიდი შვიდეულის ქვეყნებს შორის. ეს კი, თუ ათწლეულობით

დამკვიდრებულ ტრადიციას გავითვალისწინებთ, ნიშნავს, რომ გერმანიის კვალდაკვალ საქმიანი აქტიურობა მთელ კონტინენტზეც მოიმატებს. და მართლაც, ნელ-ნელა მსგავსი ტენდენციები თითქმის ყველა ევროპულ სახელმწიფოში მძლავრობს. ამას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურების საქმიანობის გააქტიურება.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, 2000 წელს ასევე ცხადი გახდა, რომ შრედერის კაბინეტმა სამედიცინო და სოციალური დაზღვევის სფეროს რადიკალური რეფორმის კურსი აიღო, რის მედეგადაც მცირდება სოციალური გადასახადები და შესაბამისად გადარიცხვები სოციალურ ფონდებში, სახელმწიფო სულ უფრო ნაკლებად, ხოლო ინდივიდები სულ უფრო მეტად გადაწყვეტენ თავიანთი შემოსავლების გამოყენების მიმართულებას. დიდი კამათის საგანია საპენსიო რეფორმა, რაც გათვლილია 2030 წლისათვის და რაც მის თვისებრივ ტრანსფორმაციას გამოიწვევს. კურსი მაინც უმეტესწილად კერძო დაგროვების სტიმულირებაზეა აღებული, თუმცა მოხუცებულობაში სიღარიბის გამოსარიცხავად, შემოღებულ იქნა მინიმალური (საბაზისო) პენსია, რაც დაფინანსდება საგადასახადო შემოსავლებიდან.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ახალი ცენტრის" პოლიტიკის ნაწილობრივ განხორციელების შემდეგ, გერმანიაში ახალი აღმავლობა დაიწყო: ეკონომიკურმა ზრდამ 2000 წელს შეადგინა 2,5%, ნაცვლად 1,4%-ისა წინა წელს; რამდენადმე შემცირდა უმუშევრობისა და ინფლაციის დონე და ა.შ. მაგრამ გერმანიას აწუხებს სერიოზული პრობლემებიც, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარია ის, რომ ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას და მთლიანად საზოგადოებრივი კეთილდღეობის პროცესს ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ მიწებზე სჭირდება მეტი კომპლექსურობა, ერთიანობა, საერთო მაკროეკონომიკური რეგულირება, რისთვისაც მთავრობა თანმიმდევრულად იღვწის. უფრო მეტიც, განსაკუთრებით 2000 წელს ცხადი გახდა, რომ შრედერის კაბინეტმა კურსი აიღო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სფეროს ყოვლისმომცველ რეფორმირებაზე. ამასთან, გარდაქმნას აქვს უპირატესად სოციალურ-ნეოლიბერალური შეფერილობა.

თავი V

საფრანგეთის შერეული ეკონომიკური მოდელის სპეციფიკა და მოდიფიკაცია

1. ქვეყნის საერთო დახასიათება და ეკონომიკური განვითარების ძირითადი ეტაპები

საფრანგეთი დასავლეთ ევროპის უდიდესი ქვეყანაა ფართობით – 550 ათ. კვ. კმ., ხოლო მეოთხეა მსოფლიოში თავისი ეკონომიკური პოტენციალით; მოსახლეობა შეადგენს 58,7 მლნ კაცს, რომელთა 97% ფრანგია. საფრანგეთის მშპ შეადგენს 1,4 ტრლნ დოლარს (მსოფლიო მშპ-ის დაახლოებით 5%), ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 25 ათ. დოლარი წელიწადში.

საფრანგეთი მდიდარია წიაღისეულით, როგორიცაა: რკინის მადანი, ქვანახშირი, ბოქსიტები, ბუნებრივი გაზი, ურანი, ვოლფრამი, თუთია, ვერცხლი და სხვ. საფრანგეთს ამ მხრივ აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობა გერმანიასთან შედარებით. საფრანგეთისთვის დამახასიათებელია ასევე კლიმატური პირობების ფართო დიაპაზონი, რაც ხელსაყრელია სოფლის მეურნეობისათვის, საბღვაო კურორტის, სამთო-სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის განვითარებისათვის. საფრანგეთის მდიდარი ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა აურაცხელ ტურისტს იზიდავს (სამუალოდ წელიწადში 65 მლნ კაცს), ხოლო ქვეყნის დედაქალაქი – პარიზი, ეს, ე. პემინგუეის თქმით, „ღღესასწაულია, რომელიც მუდამ ჩემთანაა“.[1]

საფრანგეთი, დიდ ბრიტანეთთან ერთად, ერთ-ერთი პირველი დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და სამრეწველო განვითარების მხრივ მოწინავეთა რიგებში იყო იმთავითვე მსოფლიო მასშტაბით. XX საუკუნეა შუა პერიოდიდან კი ეკონომიკური განვითარების დონითა და ტემპებით მას მნიშვნელოვნად გაუსწრეს აშშ და გერმანიამ. თუ მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში საფრანგეთის ხვედრითი წონა 1870 წელს 10% იყო, 1913 წელს ის 7%-მდე დაეცა. ეს ჩამორჩენა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიო-

[1] Погорлецкий А.И. Экономика зарубежных стран, уч., С-П, 2000, გვ. 220.

დამდე გრძელდებოდა, რაზეც მეტად მტკივნეულად იმოქმედა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა.[1]

საფრანგეთის ეკონომიკამ მეორე მსოფლიო ომის დროს უდიდესი ზარალი განიცადა: დაინგრა 2100 ათასი შენობა, დაზიანდა 253 ათასი ფერმა, 195,5 ათასი სამრეწველო საწარმო. 1944 წლისათვის სამრეწველო წარმოების დონემ შეადგინა ომამდელის 38%. მაგრამ სულ მალე, ომის შემდგომი პირველი მთავრობის ძალისხმევით, 1946 წლის ბოლოს, სამრეწველო წარმოების მოცულობამ მიაღწია ომამდელის 70%-ს. ასეთი წარმატების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა საფრანგეთის ეკონომიკის ზოგიერთ დარგში (განსაკუთრებით მრეწველობაში) განხორციელებული ნაციონალიზაცია: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ავიაციის ნაწილი და საავტომობილო მრეწველობა; საფრანგეთის სახელმწიფო ბანკისა და ოთხი უმსხვილესი დეპოზიტური ბანკის, სადაზღვევო კომპანიების და ასევე პროგრესული სოციალური რეფორმები (დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს, ორსულებს, ავადმყოფებს, ხანდაზმულებს და ა.შ.).

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საფრანგეთის ცენტრალური მთავრობის შიგაპოლიტიკის პრობლემა იყო ახალი კონსტიტუციის მიღება, რამაც 1946 წლის 24 დეკემბერს საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკას (1946-1958 წწ.). კონსტიტუცია უდავოდ დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა:* აღიარებული იყო მოქალაქეთა თავისუფლება სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებთან ერთად (შრომის, დასვენების, ჯანდაცვის, შრომის პირობებისა და საწარმოთა მართვის და ა.შ. სფეროებში), ასევე, გაფართოვდა პარლამენტის უფლებები. 1947 წლის 5 მაისს კომუნისტებს დაატოვებინეს კოალიციური მთავრობა და ამ დროიდან იწყება ქვეყნის პოლიტიკური კურსის მარჯვნივ შემობრუნება, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა სსრ კავშირთან თანამშრომლობის თითქმის უარყოფით და აშშ-თან დაახლოებით. 1948 წელს

---

[1] დ. ძნელაძე, მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 1997, გვ. 220.

* აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს იმის შესახებ ჯერ კიდევ 1804 წელს მიღებულ იქნა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (ნაპოლეონის კოდექსი), რამაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა სხვა ქვეყნებში სამოქალაქო უფლებათა განვითარებაზე. აღნიშნული კოდექსი მოიცავს სამოქალაქო, საოჯახო, პროცესუალურ, ნაწილობრივ – შრომის უფლების ნორმებს. ამასთან, მოსპო რა ფეოდალური პრივილეგიები, კოდექსმა განამტკიცა კერძო საკუთრების უფლება, რაც ხელშეუხებლად გამოცხადდა.

ხელი მოეწერა საფრანგეთ-აშშ-ს ხელშეკრულებას ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ („მარშალის გეგმა"), რის საფუძველზეც საფრანგეთმა აშშ-სგან მიიღო დიდძალი კრედიტი და სუბსიდიები (1948-1951 წწ. – 2458 მლნ. დოლარი). 1949წ. საფრანგეთი შეუერთდა ჩრდილოეთ ატლანტიკის ორგანიზაციის ხელშეკრულებას („ნატო"), ხოლო 1957 წელს – ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ანუ „საერთო ბაზრის" წევრი გახდა.

1950 წლისათვის საფრანგეთმა აღადგინა სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე, ხოლო 1954-1958 წწ. მკვეთრად გამოიკვეთა მისი აღმავლობის კონტურები: სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 40%-ით, ხოლო მისი საშუალოწლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 9%. ასეთი აღმავლობის მნიშვნელოვანი მატერიალური საფუძველი ძირითადი კაპიტალის განახლების ინტენსიური პროცესი იყო, რაც 3-ჯერ და მეტად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდთან შედარებით. ასევე, საგრძნობლად გადიდდა შრომის მწარმოებლურობაც: 1954-1958 წწ. მისმა საშუალოწლიურმა ზრდამ შეადგინა 5-7% (შედარებისათვის – აშშ-მი მხოლოდ 3%).

საფრანგეთის ეკონომიკური აღმავლობის ფაქტორთა შორის აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 50-იანი წლებიდან არსებითად შეიცვალა ქვეყანაში კაპიტალის დაგროვების პოლიტიკა. ცნობილია, რომ საფრანგეთი პირველი მსოფლიო ომის წინ გადაქცეული იყო მსხვილ საერთაშორისო კრედიტორად (მხოლოდ დიდ ბრიტანეთს ჩამორჩებოდა ამით). 1882 წლიდან 1913 წლამდე პერიოდში უცხოეთში დაბანდებული ფრანგული კაპიტალი მიდადაგროვების 1/3-ს შეადგენდა (უმეტესად სასესხო კაპიტალის სახით). ამან ქვეყნის საწარმოო სფეროს „მკვებავი არტერია" არსებითად შეამცირა, რამაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენა გამოიწვია. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან საფრანგეთის როგორც „საერთაშორისო მევახშის" პოზიციები თანდათანობით შესუსტდა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის მრეწველობაში კაპიტალის დაბანდებისა და, შესაბამისად, ფინანსური შესაძლებლობის გაძლიერებას. თანაც, საფრანგეთში ტრადიციულად ცნობილი იყო ისეთი კლანური ბანკები, როგორიცაა: „როტშილდების", „ძმები ლაზარ", „ფორმსის", „მალლეს" და სხვ.[1]

---

[1] დ. ძნელაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 223.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგების ფართო მასშტაბებით გამოყენებამ უზრუნველყო საფრანგეთის ფორსირებული ინდუსტრიული განვითარება, რამაც მოიცვა სოფლის მეურნეობაც. ამ პერიოდისათვის (50-იანი წლების ბოლოს) საფრანგეთმა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით დასავლეთ ევროპაში I ადგილი, ხოლო მსოფლიოში III ადგილი დაიკავა (განსაკუთრებით ხორბლის, ქერის, შაქრის ჭარხლის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებით).

ყოველივე ამ პროცესს თან ახლდა ძველი ეკონომიკური სტრუქტურების მსხვრევა და ახლის მოძიება, რამაც ერთობ გაამწვავა სოციალური გარემო და ობიექტური აუცილებლობით გამოიწვია სახელმწიფოებრივ-ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება. ამან კონცენტრირებული გამოხატულება პოვა 1958 წელს ახალი კონსტიტუციის მიღებით, ანუ ამიერიდან იწყება საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ისტორია. სწორედ მას უკავშირდება საფრანგეთის კოლონიური იმპერიის ფაქტობრივად დაშლა, რაც 1960 წელს გაფორმდა ოფიციალურად (თუმცა დე გოლმა სამთავრობო განცხადება ალჟირის ხალხთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ ჯერ კიდევ 1959 წელს გააკეთა).

საფრანგეთის დიპლომატიის განთავისუფლებამ კოლონიური ამლილობის ტვირთისაგან, მსოფლიო ძალების ახალმა განაწილებამ და გადანაწილებამ არსებითი პროგრესული ცვლილებები გამოიწვია საფრანგეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ამის მატერიალური საფუძველი კი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება-კონსოლიდაცია იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1959-1968 წწ. სამრეწველო განვითარების ინდექსი 1,5-ჯერ გადიდდა, ხოლო პასიური საგადამხდელო ბალანსი აქტიური გახდა. მიუხედავად ამისა, მეხუთე რესპუბლიკის ხელისუფლებამ იმავე 1968 წლის შემოდგომაზე ღრმა ფინანსური კრიზისი განიცადა, დაკარგა რა თავისი ოქრო-ვალუტის რეზერვების თითქმის ნახევარი, ხოლო ფრანკის სიმტკიცე სერიოზულად შეირყა. ამით ქვეყნის ეკონომიკის სიმყარესაც გარკვეული სიძნელეები შეექმნა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, დე გოლის ხელისუფლებამ განიზრახა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის სისტემის შეცვლა და სენატის რეფორმირება, რისთვისაც 1969 წელს ჩატარდა რეფერენდუმი. რეფორმას მხარი დაუჭირა რეფერენდუმის მონაწილეთა მხოლოდ

46,8%-მა, ანუ უმცირესობამ, რის გამოც დე გოლი გაღადგა. იმავე წელს სახელმწიფოს მეთაურად არჩეულ იქნა ჟ. პომპიდუ, რომლის დროსაც (1969-1974 წწ.) განხორციელდა რიგი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა „ახალი საზოგადოების" ჩამოყალიბების ლოზუნგით, რაც ითვალისწინებდა უმაღლესი სკოლის რეორგანიზაციას, საწარმოებში პროფკავშირთა უფლებების გაფართოებას, პროფგანათლების, ასევე საპენსიო სისტემის სრულყოფას და სხვ., რაც ნაწილობრივ განხორციელდა.

80-იან წლებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპი რამდენადმე შენელდა, გართულდა ეკონომიკური კვლავწარმოების პირობები. დაიწყო მეურნეობის სოციალური სტრუქტურის გადახალისების, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესები, რამაც ხელი შეუწყო უდიდესი ტრანსნაციონალური კორპორაციების ჩამოყალიბებას.

ამავე პერიოდში საფრანგეთი მნიშვნელოვნად დაზარალდა განვითარებადი ქვეყნების „დავალიანების კრიზისით". მესამე სამყაროს ტრადიციული პარტნიორებიდან კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის იძულებითმა პერეორიენტაციამ განვითარებულ ქვეყნებზე, სრულად გამოავლინა ეროვნული მრეწველობის სტრუქტურული ნაკლოვანებები. სწორედ ეს განსაზღვრავდა მსოფლიო-სამეურნეო რყევებისადმი საფრანგეთის ეკონომიკის გაძლიერებულ მგრძნობელობას, რაც მოითხოვდა სამრეწველო წარმოებისა და ექსპორტის სტრუქტურის დაუყოვნებლივ გარდაქმნას ეროვნულ კომპანიათა რენტაბელობის სწრაფ ამაღლებასთან ერთად. ამას კი ხელს უშლიდა 80-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთის ეკონომიკურ პოლიტიკაში მოჭარბებული ანტისამეწარმეო მიდგომები და ანტისაბაზრო ღონისძიებებიც კი. ამან, თავის მხრივ, განაპირობა ქვეყნის შიგნით საინვესტიციო საქმიანობის შემცირება და კაპიტალის მასობრივი გატანა, რაც არახელსაყრელად ზემოქმედებდა საშინაო მოთხოვნის ძირითად მაჩვენებელთა დინამიკასა და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობაზე. გამწვავებულ მაკროეკონომიკურ პრობლემათა შორის უმთავრესი იყო სახელმწიფოს ვალის ნახტომისებური ზრდა, კერძო ბიზნესის წარმოების მოცულობის შეკვეცა, მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება, სახელმწიფო ხარჯების კოლოსალური

ზრდა ნაციონალიზებული კომპანიების სანაციის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე განხორციელების შედეგად. ამავე პერიოდში, კერძოდ, 1983 წლიდან, საფრანგეთის მთავრობა ახორციელებდა თანმიმდევრულ ანტიინფლაციურ პოლიტიკას, რაშიც მთავარი როლი უნდა შეესრულებინა ფრანკის სტაბილური კურსის შენარჩუნებას, რამაც შემდგომში ახალი გაგრძელება პოვა მაასტრიხტის ხელშეკრულებით, რომელმაც დააწესა ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის მკაცრი კრიტერიუმები ერთიან ევროვალუტაზე გადასვლის საერთო სტრატეგიის ფარგლებში.[1]

მთლიანობაში, 80-იანი წლების პირველი ნახევრის შედეგები ნაკლებადდამაიმედებელი იყო, ვიდრე 1975-1980 წლების პერიოდი. თუმცა, მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა 1986 წლიდან დაწყებული, გაიზარდა მსოფლიო ერთობლივი მოთხოვნა, ხელისუფლებაში დაბრუნდნენ აქტიური ანტისაბაზრო რეგულირების მოწინააღმდეგეები, საწარმოებმა თანდათანობით იწყეს დავალიანების ლიკვიდაცია, გაიზარდა კაპიტალის ექსპორტი, ნაკლებად მასალატევადი წარმოების ხარჯზე დაჩქარდა ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკის გამოცოცხლების ინტენსიური პროცესი 90-იანი წლების დამლევამდე გაგრძელდა. და მაინც, უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე საფრანგეთის ეკონომიკის ძირითადი პრობლემა დაიყვანება დილემაზე: „ინფლაცია ან დაქვეითება". ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა 1990-1996 წწ. დაცემისა და სტაგნაციის პერიოდში, ასევე დასავლეთი ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უმუშევრობის უპრეცენდენტო ზრდით. მაგრამ უკვე 1997 წლიდან, საფრანგეთი გაბედულად გამოდის ეკონომიკური დაქვეითების მდგომარეობიდან და შედის მყარი აღმავლობის ხანაში.

და მაინც, საფრანგეთის ეკონომიკაში „ოცდაათი სამწუხარო წლის" მანძილზე (როგორც 1966-1996 წწ. პერიოდს ხშირად უწოდებს ფრანგული ეკონომიკური პრესა) მიმდინარე პროცესები არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს: იყო რა აშკარად ნეგატიური მოკლე და სამუალოვადიანი პლანით, ის ხშირად გამოირჩეოდა დადებითი გრძელვადიანი შედეგებით, რამდენადაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტი-

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 1998, №8, გვ. 92.

ანობის ამაღლებას და ძირითადი სახეობის პროდუქციის მოდერნიზაციას და ხარისხის ამაღლებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყო შრომის მწარმოებლურობის განუხრელი ზრდა, რომელი მაჩვენებლითაც საფრანგეთმა XXს. დამლეევს მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა, გაუსწრო რა თვით აშშ-საც კი. საფრანგეთის ეკონომიკის თანამედროვე სტრუქტურა, მრეწველობის წილი მშპ-ში, დასაქმებაში, ინვესტიციებში სავსებით შეესაბამება მსოფლიოს სხვა განვითარებული ქვეყნების პარამეტრებს (იხ. ცხრილი).

საფრანგეთის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (ზრდის ტემპი %-ით წინა წელთან)[1]

	1960-1970 წწ.	1971-1980 წწ.	1981-1990 წწ.	1991-1996 წწ.	1996-2000 წწ.	1999წ.	2000წ.	2001წ. პროგნოზით
მშპ	5,6	2,3	3,3	1,1	2,8	2,9	3,3	3,1
პირადი მოხმ.	4,3	3,5	1,8	0,7	1,7	2,1	2,6	2,8
სახელმწიფო მოხმ.	4,1	3,3	2,5	2,3	1,3	2,6	1,3	1,3
ინვესტიციები	7,8	2,5	2,6	3,4	4,8	7,1	6,2	5,4
იმპორტი	10,2	5,8	3,9	5,4	8,1	3,7	13,1	8,5
ექსპორტი	8,6	7,2	5,2	5,3	7,4	3,7	12,8	8,6
სამრეწველო წარმოება	5,1	3,2	1,2	0,9	1,0	3,6	13,1	8,6
დასაქმება	0,6	0,5	0,3	0,3	1,1	1,8	1,9	1,6
შრომის მწარმოებლურობა	5,1	1,5	2,9	0,7	1,7	1,0	1,4	1,4
დაზოგვის ნორმა	25,0	20,6	18,8	19,3	20,8	21,4	21,7	21,3
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	4,2	9,9	6,1	2,6	0,9	0,4	1,8	1,9
მიმდინარე ოპერაციების ბალანსი	0,5	0,3	0,5	0,7	0,9	1,8	1,6	1,3

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2001, № 8, გვ. 97.

2. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების მოდელის თავისებურებები და მოდიფიკაცია უკანასკნელ წლებში

XX საუკუნის მანძილზე საფრანგეთის ეკონომიკის ევოლუციაში უდიდესი როლი შეასრულა ინსტიტუციურმა ფაქტორმა – უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ძალების თანაფარდობამ, რაც ყალიბდებოდა მთელი რიგი ეკონომიკური, ისტორიული და ფსიქოლოგიური კომპონენტებისაგან. საფრანგეთში, რომელიც ცნობილია თავისი სახელმწიფოებრივი წარსულით, უძველესი კულტურის მაღალი კათოლიკური ტრადიციებით, რაც საზოგადოებრივ მეგნებაში ბატონობდა წერილბურჟუაზიული სისტემის ფასეულობებისა და სამევახშეო ორიენტაციის მეურნეობათა სუბიექტების აზროვნების სახით, მსხვილი სამეწარმეო ბურჟუაზია გასული საუკუნის 20-იან წლებამდის საკმაოდ სუსტი იყო. ამიტომაც საზოგადოება მას არ აფასებდა როგორც იმის უნარმქონეს, რომ დამოუკიდებლად წარმატებით გადაეწყვიტა ეკონომიკის კარდინალური საკითხები, განსაკუთრებით – ინდუსტრიალიზაციის პრობლემა. ამიტომაც, საზოგადოება ყოველთვის ცდილობდა აღნიშნული თუ სხვა შესაბამისი ფუნქციების დელეგირება სახელმწიფოზე მოეხდინა, რომელიც ჯერ კიდევ აბსოლუტიზმის დროს განიხილებოდა როგორც ყველაზე მძლავრ და ეფექტიან ეკონომიკურ სუბიექტად.[1]

ამ ტრადიციების საფუძველზე ათეული წლების მანძილზე ყალიბდებოდა და იხვეწებოდა ფრიად სპეციფიკური საბაზრო ეკონომიკის ფრანგული მოდელი, რომელიც გეგმიანი საწყისების ეფექტიანი გამოყენების კლასიკური მაგალითია. ამასთან, საფრანგეთის ეკონომიკური სისტემა ძალიან ჰგავს გერმანულს. აქაც მოქმედებს ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული მოდელი, რომლის ცენტრში იმყოფება „კეთილდღეობის („მწყალობელი") სახელმწიფო". სწორედ ეკონომიკაში სახელმწიფოს მაღალი როლის გამო ასეთ სისტემას ხშირად უწოდებენ ეტატიკურ მოდელსაც,[2] რაც ნიშნავს სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. სახელმწიფო სექტორში და-

---

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2001, №8, გვ. 92.
[2] Погорлецкий А.И. Экономика зарубежных стран. Уч. С-П. 2000, გვ. 220.

საქმებულია ქვეყნის ეკონომიკაში მომუშავეთა 24%, ხოლო მშპ-ს ნახევარზე მეტი სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით გადის.

საწარმოების საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის პირველი გამოცდილება იყო სახალხო ფრონტის საქმიანობა (1934-1936 წწ.), რომლის მიზანი იყო განემტკიცებინა ქვეყნის მრეწველობის პოზიციები ცალკეულ საწარმოთა განსახელმწიფოებრივების მეშვეობით, იძულებითი კარტელირებით, სუბსიდირებით, საფასო კონტროლითა თუ სხვა მეთოდებით. მსხვილი მრეწველობის სრული ნაციონალიზაციის, ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მკაცრი საფასო კონტროლის შემოღების პროგრამები ფიგურირებს საფრანგეთის სხვადასხვა მემარცხენე პარტიის არა მხოლოდ ომის შემდგომ დოკუმენტებში, არამედ პრეზიდენტ დე გოლის „თავისუფალი საფრანგეთის" პროგრამაშიც. ასეთი პროგრამების მეტ-ნაკლებად რეალიზაციას მოპყვა ქვეყნის ენერგეტიკისა და მისი მომსახურე მომპოვებელი დარგების, შავი მეტალურგიის, საგრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ქიმიის, საყოფაცხოვრებო ელექტროაპარატურის, სამშენებლო მასალების მრეწველობის, კაჟშირგაბმულობის, საგრანსპორტო გადაზიდვების საწარმოთა სრული ან ნაწილობრივი გასახელმწიფოებრივება. ნაციონალიზებული საწარმოები, ფაქტობრივად, აღმოჩნდა არასაბაზრო სფეროში და მათ სახელმწიფო აფინანსებდა ბიუჯეტიდან, იმავდროულად კონტროლს უწევდა საინფორმაციო პროექტების მიღებისა და რეალიზაციის მიმდინარეობას. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ეს ვარიანტი ცნობილია დირიჟიზმის სახელწოდებით და მიზნად ისახავს ბიზნესის წარმართვას განსაზღვრული მიმართულებით, რათა გადაწყვეტილ იქნეს ძირითადი მაკროეკონომიკური ამოცანები. ამ პროცესის ძირითადი ამოცანა იყო ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლება, რაც მიღწეულ იქნა, თუმცა მას თან ახლდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. მათ შორისაა ნაციონალიზებული წამყვანი სამრეწველო კომპანიების გადაქცევა მონსტრად, სახელმწიფოს მიერ დაცულად როგორც საშინაო, ასევე საგარეო კონკურენციისაგან, საბიუჯეტო სახსრების მფლანგველებად რეალურად არსებულ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად. შემდგომში, საფრანგეთის ეკონომიკის გახსნილობისა და მის „საერთო ბაზარში" შესვლის კვალობაზე, კიდევ უფრო აშკარა გახდა სახელმწიფო კომპანიების დაბალკონკურენტ-

უნარიანობა, და შესაბამისად, არაეფექტიანობა. ამის გათვალისწინებით, კომპანიები და საერთოდ ბიზნესი იწყებს მოქნილ რეაგირებას გარესამყაროში შეცვლილი სიტუაციების მიმართ და იწყებს ბრძოლას საკუთარ კომპანიებში ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების მიზნით. 60-იანი წლების უკანასკნელ მესამედში მათ ეს შეძლეს და სახელმწიფოც არსებითად დაეთანხმა იმას, რომ დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობით, მთავრობის გარკვეული თანადგომით, მათ შეუძლიათ განსაზღვრული მაკროეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა. ეს ნიშნავდა დირიჟიზმის მკაცრი მექანიზმიდან კეინზური ტიპის სტანდარტულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლას. უფრო მეტიც, სახელმწიფომ შეზღუდა რა ბიუჯეტის სახსრების ნაციონალიზებულ კომპანიებში გადაქაჩვა, გადაწყვიტა მრეწველობის სტრუქტურის მოდერნიზება, განურჩევლად საკუთრების ფორმებისა. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავდა მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერასაც, რომლის სტიმულირება ხორციელდებოდა „მსხვილი პროექტების" და „ეროვნული ჩემპიონების" შექმნისა და წახალისების გზით. სახელმწიფოს ყოველმხრივი მხარდაჭერით სარგებლობდა ეკონომიკის ყველა თანამედროვე სტრუქტურა: სატელეკომუნიკაციო მოწყობილობათა წარმოება, ავტომშენებლობა, თვითმფრინავმშენებლობა, სამხედრო და სამოქალაქო ელექტროტექნიკური მოწყობილობა და სხვ. მთლიანობაში, სახელმწიფო აქტიურად უწყობდა ხელს მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეთა განვითარებას როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიების დაფინანსების მეშვეობით. იმავდროულად, დაგეგმვა სახალხომეურნეობრივი პროპორციულობის რეგულირების ინსტრუმენტიდან ბიზნესის მხარდაჭერის საშუალება გახდა, განსაკუთრებით ფინანსური დეფიციტის მქონეთათვის. ეკონომიკის ლიბერალიზაციის წლებში (1967-1974) წამყვანმა ფრანგულმა კომპანიებმა გაზარდეს თავისი პოტენციალი. მათი რეალიზაციის მოცულობა თითქმის 10-ჯერ გაიზარდა,[1] ხოლო მთლიანობაში, ბიზნესმა განიმტკიცა თავისი ცხოველქმედება და აჩვენა მთელი რიგი მაკროეკონომიკური პრობლემის წარმატებით გადაწყვეტის უნარი.

---

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2001, №8, გვ. 93.

მიუხედავად ამისა, 70-იანი წლების შუა ხანების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კვლავ წინა პლანზე წამოსწია სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გაძლიერების საჭიროება. კერძოდ, საფრანგეთის სინამდვილეში ეს განხორციელდა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ბიზნესისათვის დახმარების გაწევით – სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი წარმოების ხარჯების ოპტიმიზაციის მეშვეობით, მაშინ როცა სხვა უმეტეს ქვეყანაში წინა პლანზე კვლავ მკაცრმა დირიჟიზმმა წამოიწია.

მომდევნო – 80-იან წლებში, როცა ხელისუფლებაში მოვიდა მემარცხენე მთავრობა (სოციალისტები), ეკონომიკური ზრდის ფაქტორად მიჩნეულ იქნა მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკის განხორციელება. ასეთი მიდგომის ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის იყო მცდელობა შეექმნათ წარმოებისა და განაწილების მიზნობრივი მართვის სისტემა მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და საკრედიტო ორგანიზაციების გასახელმწიფოებრივების მეშვეობით. ახალი ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ 200-მდე რეფორმას შორის ყველაზე აღსანიშნავია კანონი ნაციონალიზაციის შესახებ (1982 წ.), რომელიც შეეხო შვიდ უმსხვილეს სამრეწველო ჯგუფს: „პეშინე-იუეინ-კიულმან“ (ფერადი მეტალურგია და ქიმიური მრეწველობა), „რონ-პულენკი“ (ქიმიური მრეწველობა), „კომპანი ენერალ დ. ელექტრისიტე“ (ელექტროენერგია), „ტომპსონ-ბრანდტ“ (ელექტრონიკა, ელექტროტექნიკა), „სანტ-გობენ-პონტ-ა-მუსონ“ (მინისა და საშენი მასალების წარმოება), „დასო“ (ავიამშენებლობა) და „მარტა“ (სარაკეტო შეიარაღება) და ა.შ. მასშტაბური ნაციონალიზაციის შედეგად სახელმწიფოს გადაეცა სამრეწველო საწარმოთა 1/3, 36 მსხვილი ბანკი, ბევრი სადაზღვევო კომპანია და სხვ. მთავრობამ შეძლო მიეღწია გასახელმწიფოებრივ საწარმოთა ფინანსური გაჯანსაღებისათვის, თუმცა ფაქტობრივად ბაზარს მოწყვეტილი ასეთი საწარმოების საქმიანობა ნაკლებეფექტიანი აღმოჩნდა, რამაც, საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფოს დიდი ფინანსური სიძნელეები შეუქმნა. მთავრობამ საღად შეაფასა რა ეკონომიკაში შექმნილი არცთუ სახარბიელო სიტუაცია, მოახდინა „გაუხმაურებელი“ დენაციონალიზაცია, რაც კერძო ინვესტორებზე სახელმწიფო კომპანიების მიყიდვის სახით ხორციელდებოდა. ამის მიზანი, მსგავსად მემარჯვენეებისა, კომპანიათა მომგებიანობის ამაღლება იყო. ასეთ სიტუაციაში მე-

მარცხენე მთავრობამ თავის პოლიტიკაში ზოგიერთი არსებითი ცვლილება შეიტანა, მიღებულ იქნა „ათპუნქტიანი პროგრამა“ (ე.წ. „დელორის გეგმა“), რომლის ძირითადი ამოცანა იყო სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღება. ამ მიზნით, გაიზარდა გადასახადები მომსახურების რიგ სფეროში, სოციალურ საჭიროებებზე ასიგნებები „გაიყინა“ და სხვ. ამ და სხვა ღონისძიებათა მეშვეობით, მიღწეულ იქნა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაცია, თუმცა ეკონომიკის დაგეგმილი სამპროცენტიანი ზრდა მიუღწეველი დარჩა.

1986 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა ძალებმა – მემარჯვენეებმა (ჟაკ შირაკის მეთაურობით) თავიანთი საქმიანობის ლაიტმოტივად დენაციონალიზაციის ფართო პროგრამა გამოაცხადეს, რომლის მიზანიც იყო განსახელმწიფოებრივება როგორც 80-იან, ასევე ადრე, 40-იან წლებში ნაციონალიზებული საწარმოებისა. მოკლე პერიოდში კერძო მესაკუთრეების ხელში გადავიდა 65 სახელმწიფო და ნახევრად სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმო რიგი მსხვილი სამრეწველო ჯგუფის, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, სარეკლამო სააგენტოების, სატელევიზიო პროგრამების და ა.შ. სახით (თუმცა, საინტერესოა, რომ ჟ. შირაკის ხელისუფლებამ სახელმწიფო საკუთრებაში დატოვა ელექტროენერგიის მწარმოებელი და გამანაწილებელი, გაზის მომპოვებელი და ტელესაკომუნიკაციო საწარმოები). მიზანი იყო დენაციონალიზებულ საწარმოთა აქტიურად ჩართვა როგორც საშინაო, ასევე მსოფლიო საბაზრო ურთიერთობებში. ამისთვის მნიშვნელოვნად შეამცირეს კორპორაციული გადასახადები, გაანთავისუფლეს ფასები და შეკვეცეს ე.წ. „მსხვილი პროექტებისა“ და „ეროვნული ჩემპიონების“ პროგრამები. იმავდროულად თითქმის ყველა სახელმწიფო საწარმო გადაყვანილ იქნა თვითდაფინანსებაზე. ეკონომიკის ლიბერალიზაციის ასპექტით, ეს ცვლილებები ყველაზე რადიკალური იყო XX საუკუნის უკანასკნელ ოცწლეულში. 90-იანი და მომდევნო წლები ხასიათდება საწინააღმდეგო იდეოლოგიის მქონე მთავრობათა მონაცვლეობით, რაც არც თუ დადებითად ზემოქმედებდა სამეურნეო მექანიზმის მინაარსსა და ეფექტიანობაზე.

1997 წელს და მომდევნო პერიოდში გრძელდებოდა XX ს. უკანასკნელი ათწლეულის სტრუქტურული ძვრები დაკავშირებული სახელმწიფო კომპანიების პრივატიზებასთან, რომლის, ასე ვთქვათ,

მეორე ტალღა (პირველ ტალღად მიჩნეულია 1986-1988 წწ.), დადგა 1993 წელს ხელისუფლებაში მემარჯვენეცენტრისტული მთავრობის მოსელის შემდეგ. პრივატიზების პროგრამა შეეხო უმეტესად უმსხვილეს და ყველაზე მომგებიან კომპანიებს, რომლებიც მოქმედებდნენ სამეურნეო დამოუკიდებლობის პრინციპით. მათ მორის იყო: საფრანგეთის სამი უმსხვილესი ბანკიდან ერთი – „ბანკ ნასიონალ დე პარი", ქიმიურ-ფარმაცევტული კონცერნი „რონ პულენკ" და სამი ძირითადი სადაზღვევო კომპანია: „იუაპ", „აგფ" და „გან". იმავდროულად მემარჯვენე უმრავლესობის მთავრობამ მოახდინა საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულად და დინამიკურად განვითარებადი კომპანიის „ფრანს ტელეკომის" ნაწილობრივი პრივატიზება. ასეთი გადაწყვეტილების მიზანი იყო როგორც ტელესაკომუნიკაციო სექტორის ლიბერალიზაცია, ასევე მომსახურების სრულიად ახალი სახეობების მასობრივი დანერგვისათვის ხელშეწყობა.[1]

როგორც მკვლევრები შენიშნავენ, პრივატიზების მეორე ტალღისათვის დამახასიათებელია ის, რომ განსხვავებით სხვა ქვეყნების პრივატიზებული კომპანიებისა, რომლებიც უპირატესად ეროვნულ ნიადაგზე ახორციელებენ რესტრუქტურიზაციას, საფრანგეთის ასეთ კომპანიებზე უცხოური კაპიტალის ზეგავლენა საკმაოდ ძლიერია. ამ და სხვა ნეგატიური შედეგების აღმოფხვრისათვის, აუცილებლად მიიჩნევენ სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე მთავრობათა ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთდაახლოებას, რაც საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის, მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შედეგების მიღწევის გარანტია. ეკონომიკური პოლიტიკის ასეთი პრაგმატიზმი უკვე საგრძნობია, რაზეც მოწმობს თანამედროვე ცვლილებები საფრანგეთის სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში.

XX საუკუნის 90-იან წლებში საფრანგეთმა განიცადა ეკონომიკური რეფორმის ორი ტალღა.[2] პირველი დაკავშირებული იყო ქვეყნის ეკონომიკაში ნეოკონსერვატიზმის დანერგვასთან და უკავშირდება ა. ჟიუპეს სახელს, რომელიც პრემიერ-მინისტრი გახდა ჟ. შირაკის პრეზიდენტად არჩევასთან ერთად 1995 წელს.

---

[1] ეურნ. „Мировая экономика и международные отношения", 1998, № 8, გვ. 96.
[2] Погорлецкий А.И. დასახელებული ნაშრომი, გვ. 224.

მეორე ტალღა, რომელიც ხორციელდება დღესაც, დაკავშირებულია სოციალისტ პრემიერ-მინისტრ ლ. ჟოსპენის სახელთან, რომელმაც გააგრძელა საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების და იმავდროულად ეკონომიკის განსახელმწიფოებრივების პოლიტიკური კურსი.

პრემიერ-მინისტრი ჟიუპე მკაცრი ლიბერალური ეკონომიკური რეფორმის მომხრე იყო. მან ამოცანად დაისახა საფრანგეთის სოციალური მეურნეობის ნეოკონსერვატული რეფორმა: საფრანგეთის სოციალური სისტემის კრიზისის დაძლევა რიგი სოციალური გარანტიის მოხსნით; ფინანსების დარგში მაასტრიხტის შეთანხმების კრიტერიუმთა დონეზე გასელა, რისთვისაც აუცილებლად მიიჩნევდა სახელმწიფო ბიუჯეტის სარჯების შემცირებას სოციალური პროგრამების შეკვეცით; ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის საგადასახადო რეფორმის განხორციელება, უმუშევრობასთან ბრძოლა და შრომის ბაზრის მობილურობის ამაღლება; ფართომასშტაბიანი პრივატიზება და ეკონომიკის დერეგულირება.

ამ პროგრამის განხორციელება მთავრობამ დაიწყო სახელმწიფო მოხელეთა პრივილეგიების შეკვეცით, რამაც ამ უკანასკნელთა დიდი უკმაყოფილება და ფაქტობრივად, საბოტაჟი გამოიწვია, რეფორმა შეჩერდა, ხოლო პრემიერ-მინისტრი ჟიუპე 1997წ. გადაირჩიეს. იმავდროულად, ეროვნულ კრებაში უმეტესობა მოიპოვეს მემარცხენეებმა – ლ. ჟოსპენი გახდა პრემიერ-მინისტრი. მისი პირველი საპროგრამო განცხადება დაახლოებით ასეთი იყო: საფრანგეთი დიდი ტრადიციების ქვეყანაა, მას განვითარების საკუთარი გზა აქვს, რაც სრულიადაც არ ითვალისწინებს ძველის ნგრევას. საფრანგეთის ეკონომიკის განვითარების პრინციპები გადაისინჯება ნელა, თანდათანობით... რაც ყველაზე საინტერესოა, ნეოკონსერვატიულ სტილში ასეთი პოლიტიკა განაგრძეს მემარცხენეებმა, რის გამოც ჟოსპენის თანამედროვე გარდაქმნებს უწოდეს „წყნარი რევოლუცია“ საფრანგეთში.

ეკონომიკური ცხოვრების სფეროს, რომლებშიც ცვლილებათა შედეგები უკვე საგრძნობია, მიეკუთვნება: *მეწარმეობა*, რომლის მიმართ გადასინჯულია მიდგომები – რეალურად მცირდება სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში; *რესტრუქტურიზება* – პირველ პლანზე გამოდის აქციონერთა ინსტიტუტი, ხოლო ანაზღაურება

სულ უფრო დამოკიდებული ხდება შრომის საბოლოო შედეგებზე; *შრომის ბაზარი* – მთავრობა სულ უფრო ეფექტიან ღონისძიებებს ახორციელებს შრომის ბაზრის მობილურობისათვის; *საკალუტო კავშირი* – ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია აძლიერებს ქვეყნის წვლილს ევროს კურსის განმტკიცებაში; *მაღალი ტექნოლოგიები* – სახელმწიფო ყოველნაირად ასტიმულირებს კერძო ინვესტიციებს მეცნიერებისა და ტექნიკის განუხრელი აღმავლობისათვის.

ზოგიერთ სფეროში წარუმატებლობისა და ასევე წინააღმდეგობის მიუხედავად, ჟოსპენი აგრძელებს საფრანგეთის განვითარების „მესამე გზის" თავის კურსს – უარყოფს რა ეკონომიკურ ლიბერალიზმს, მაგრამ აღწევს კომპრომისს სოციალურ სიმშვიდესა და ეკონომიკურ ეფექტიანობას შორის. ეს ნიშნავს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მიღებას, მაგრამ თავისუფალი საბაზრო საზოგადოების განვითარების პრინციპების უარყოფას,[1] რაც საუკეთესო ვარიანტადაა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ ჟოსპენის მთავრობამ შექმნა 300-400 ათასამდე ახალი სამუშაო ადგილი, თუმცა უმუშევართა გარკვეული ნაწილი, მაღალი სოციალური დახმარების გამო, მუშაობის დაწყებას არ ჩქარობს. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს უმუშევრების დახმარების პრაქტიკის გადასინჯვას, რაც ასევე მთავრობის დღის წესრიგში დგას. თანდათან მცირდება სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში, ასევე ბიუჯეტის დეფიციტიც შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მუშავდება და ამოქმედების პროცესშია კერძო საპენსიო ფონდების შექმნის პროგრამები, გრძელდება (უფრო ფართო მასშტაბითაც კი, წინა მთავრობასთან შედარებით) პრივატიზების კურსი და ა.შ.

მოკლედ, მართალია, სოციალისტები თანდათან ცვლიან ტრადიციულ აზროვნებას და ამცირებენ სახელმწიფოს სამეწარმეო როლს, მაგრამ იმავდროულად მყარად დგანან მშრომელთა სოციალური გარანტიების დასაცავად. მაგალითად, 2000წ. შემოიღეს 35-საათიანი სამუშაო კვირა, 39-საათიანის ნაცვლად. დადგენილი ნორმების ზემოთ ყველა სამუშაო იბეგრება მაღალი გადასახადით. ასეთი ღონისძიება, რეფორმატორთა აზრით, დამატებით მექმნის ას ათას სამუშაო ადგილს.

---

[1] **Погорлецкий А.И.** დასახელებული ნაშრომი, გვ. 226.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფრიად სპეციფიკურია საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც გეგმიან საწყისებს ემყარება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში საფრანგეთისთვის დამახასიათებელი იყო ინდიკატიური დაგეგმვა, რომლის უმთავრესი ამოცანა, ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორების კოორდინაცია, ანუ შერეული ეკონომიკის მართვაა. ეს გულისხმობს მნიშვნელოვან ზემოქმედებას საბაზრო სისტემის ფუნქციონირებაზე მისი ოპტიმიზაციის მიმართულებით, თუმცა სახელმწიფოს ჩარევა კერძო მეწარმეობაში შეზღუდულია. სხვა საქმეა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი, რომლის წილიც მშპ-ში 29%-ია. ქვეყნისათვის სპეციფიკურია ისიც, რომ ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში მოქმედებს სახელმწიფო საწარმოთა ორი ტიპი. პირველს მიკუთვნებული აქვს კომერციულ საწარმოთა სტატუსი და მონაწილეობს საბაზრო „თამაშობებში". მათს საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევა უმნიშვნელოა. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, ძირითადად ენერგეტიკის, ქვანახშირის, გაზის, სამხედრო მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებია თავისებური მონოპოლიზმით, რომელთაც სახელმწიფო მფარველობს პირდაპირი გაგებით: უზრუნველყოფს ხელფასითა და სოციალური დაცვის სისტემით, ეწევა მათს ინვესტირებასა და მოდერნიზაციას და ა.შ. ამ ჯგუფის საწარმოთა მიზანია არა მოგების მიღება, არამედ მოსახლეობის იაფი და ეფექტიანი მომსახურება.

დაგეგმვის თანამედროვე ეტაპს საფრანგეთში უწოდებენ „სტრატეგიულს" დეტალიზაციის გარეშე, რომელშიც მინიშნებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები. ასეთი გეგმის ამოცანაა უზრუნველყოს ყველა სოციალური პარტნიორის მონაწილეობა ეკონომიკურ პროცესებში, თუმცა იქ გეგმას არასოდეს შეუცვლია ბაზარი. პირიქით, ძირითადი ეკონომიკური კავშირების როლს სწორედ ბაზარი ასრულებს. უფრო მეტიც, ფრანგულ ინდიკატიურ გეგმაში საერთოდ არ ფიგურირებს რა, სად და რა ოდენობით აწარმოონ, თუმცა, იმავდროულად საფრანგეთის ეკონომიკის ფუნქციონირების პრაქტიკა ნათლად წარმოაჩენს ბაზრისა და გეგმის ნაყოფიერი „თანამშრომლობის" შესაძლებლობას. ფრანგებისთვის კანონია გეგმის სტრატეგიული მიმართულებები: განათლებისა და მეცნიერების განვი-

თარება, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა და ა.შ. საფრანგეთში ცივილიზებული დაგეგმვის ლაიტმოტივია: „დაგეგმეთ მხოლოდ სტრატეგია, დანარჩენი მიანდეთ ბაზარს“.

სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი აშკარა გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო პროგრამირებასა და დაგეგმვაში, რომლის ორგანოთა შორის გამოირჩევა დაგეგმვის კომისარიატი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გეგმებმა საფრანგეთს საიმედო ორიენტაცია მისცა ახალი ტექნოლოგიების ათვისებაზე, სტრუქტურულ გარდაქმნებზე, სამეცნიერო-კელევით სამუშაოთა გაძლიერებაზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის დაფინანსების ნახევარზე მეტი სახელმწიფოზე მოდის, ხოლო მიზანი კი არის ამ მხრივ ქვეყნის ჩამორჩენის დაძლევა და მსოფლიოში არსებული დონის მიღწევა. ამასთან, ევროკავშირის განვითარების კეალობაზე, საფრანგეთის მთავრობა ცდილობს ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგი მიუსადაგოს მის დონეს. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაბალკონკურენტიანი დარგების დარეგულირებას.

მართალია, ბოლო პერიოდში სახელმწიფომ რამდენადმე შეამცირა ეკონომიკის რეგულირება, მეტი სტიმული მისცა კერძო სექტორს, რისთვისაც შეიცვალა საგალუტო და ფასების კონტროლი, შემცირდა გადასახადების განაკვეთები, გაიზარდა კომპანიათა შეღავათები, მაგრამ საფრანგეთში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სიღრმე და მასშტაბი მაინც დიდია, რითაც ის მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანას აღემატება.

საქმე ის არის, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მსხვილი სახელმწიფო საკუთრება, რაც დროდადრო იყიდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად. მაგალითად, ხელისუფლებამ შეძლო ძალზე ხელსაყრელად გაეყიდა კომპანია „ფრანს ტელეკომი“ — 8 მლრდ დოლარად. სახელმწიფო ავრძელებს კონტროლს ბუნებრივ მონოპოლიათა ფასებზე, ჯანდაცვის მომსახურების ტარიფებზე, აგრარული სექტორის პროდუქციის 80%-ის ფასებზე და ა.შ.

მთლიანობაში, როგორც ბევრი პოლიტიკოსი და მეცნიერი აღნიშნავს, ევროპენის მთავრობის ახალი კურსის შედეგები სახეზეა. თანამედროვე საფრანგეთი გახდა აშკარად გამოხატული პოსტინ-

დუსტრიული ქვეყანა მომსახურების სექტორის მაღალი დონით, რომელთა შორის ჯანდაცვის განვითარებულობით მას მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია, უმუშევრობაც სულ უფრო დაბლა იწევს, ხოლო ეკონომიკაც ახალ წარმატებებს აღწევს მსოფლიო მასშტაბით. მაშასადამე, ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება „კეთილდღეობის სახელმწიფოს" მშენებლობის პროცესი, რომელიც მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე ხარჯავს მშპ-ს 20%-ს. ყოველივე აღნიშნულიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ევროპენის ხელისუფლებამ, რომელიც უარყოფდა ეკონომიკურ ლიბერალიზმს, მართლაც მონახა განვითარების „მესამე გზა", რომელშიც ოპტიმალურადაა შეხამებული ეკონომიკური ეფექტიანობა და სოციალური სამართლიანობა.

3. ეკონომიკის სტრუქტურა და დინამიკა

საფრანგეთი მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების ხუთეულში შედის. მშპ-ს მოცულობის, სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და მსოფლიო ვაჭრობაში წილის მიხედვით საფრანგეთი აშშ-ის, იაპონიისა და გერმანიის შემდეგ მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა, ხოლო საბანკო საქმიანობის მასშტაბების მიხედვით – მესამეზე. დასავლეთ ევროპის სამრეწველო პროდუქციის წარმოების 17% და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების 20% საფრანგეთზე მოდის.[1] სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობით საფრანგეთს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის მესამე, ხოლო ევროპაში – პირველი ადგილი უკავია.

საფრანგეთის ეკონომიკა მაღალგანვითარებული მრეწველობით ხასიათდება, რომლის დარგებიდან მსოფლიო ბაზრებზე აღიარებულია: აეროკოსმიური მრეწველობა, სამხედრო მრეწველობა, საერთო მანქანათმშენებლობა და ლითონდამამუშავებელი მრეწველობა, ავტომშენებლობა, ფერადი და შავი მეტალურგია, ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობა, ატომური ენერგეტიკა, ფარმაცევტიკა და პარფიუმერია, ქიმიური მრეწვე-

---

[1] მსოფლიო ეკონომიკა. პროფ. გრ. თოდუასა და შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბ., 2001, გვ. 575.

ლობა, საგრანსპორტო მანქანათმშენებლობა. საფრანგეთში კურსი აღებულია მეცნიერებატევად სამრეწველო პროდუქციის წარმოებაზე. ამის მეოხებით საფრანგეთს მსოფლიოში სალიდერო ადგილი უკავია რკინიგზის მოძრაკი შემადგენლობის (ჩქაროსნული მატარებლები), რობოტოტექნიკის, კავშირგაბმულობის საშუალებების, ახალი მასალების წარმოებაში, ბიოტექნოლოგიებისა და მიკროელექტრონიკის სფეროში.

საფრანგეთის მრეწველობის სტრუქტურაში წამყვანია მანქანათმშენებლობა, რომელზეც მოდის მთლიანი პროდუქციის 12%. ეროვნული სამრეწველო სტრუქტურის ერთ-ერთი საფუძველია საავტომობილო მრეწველობა. ქვეყნის ორი უმსხვილესი კომპანია „პეჟო-სიტროენ“ და „რენო“ აწარმოებს მსუბუქი ავტომობილების მსოფლიო გამოშვების 4% და 5%-ს შესაბამისად. საფრანგეთის კომპანიებს მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია (იაპონიის შემდეგ) ელსადგურებისთვის ენერგეტიკულ მოწყობილობათა წარმოებით. საფრანგეთი წამყვანი ქვეყანაა მსოფლიოში სარაკეტო მრეწველობის განვითარების დონით. პროექტ „არიანსპეის“ მეშვეობით უზრუნველყოფილია ქვეყნის წამყვანი პოზიცია თანამგზავრების კომერციულ გაშვებაში. მის წილად მოდის მსოფლიო კოსმიური ბაზრის დაახლოებით 50%. მთლიანად ქვეყნის სამრეწველო წარმოება ხასიათდება მაღალი კონცენტრაციით, მსხვილ მწარმოებელთა სიჭარბით. საკმარისია აღინიშნოს, რომ სამრეწველო პროდუქციის 2/3 100 უმსხვილეს კომპანიაზე მოდის. ამასთან, თითოეულ დარგში 2-3 ფირმას უკავია მონოპოლიური მდგომარეობა. მაგალითად, შავ მეტალურგიაში ფუნქციონირებს ფოლადის გიგანტური სახელმწიფო კომპანია „იუზინორ-სასილორი“, რომელზეც მოდის ფოლადის წარმოების 70%. ელექტრონიკისა და ელექტროტექნიკის მრეწველობაში დომინირებს „კომპანია ჟენერალ დე ელექტრისიტე“ და სახელმწიფო კომპანია „ტომსონი“, რომლებიც აწარმოებენ შესაბამისი პროდუქციის ნახევარს. მონოპოლიზაციის მაღალი დონით ხასიათდება საავტომობილო მრეწველობა: სახელმწიფო კომპანია „რენო“ და კერძო კომპანია „პეჟო“ აწარმოებს ავტომობილთა მთლიანი გამოშვების 93%-ს. ალუმინის წარმოების 94% მოდის მსხვილ კორპორაცია „პეშინეიუკინ-კიულმანზე“, ხოლო სპილენძის, თუთიისა და ნიკელის წარმოება, თითქმის მთლიანად, „იმეტალის“ ხელშია თავმოყრილი.

რამდენიმე ფრანგულ კომპანიას მსოფლიოში სალიდერო პოზიცია უკავია. ასეთია, მაგალითად, ქიმიური კომპანია „პეშინე", ფირმა „ამეტი" ელექტროსადენების, კონცერნი „ტომსონი" — თეითმფრინავის მოწყობილობებისა და საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის წარმოების მიხედვით. მსოფლიოს 100 უმსხვილეს კომპანიათა რიცხვში დღეისათვის 8 ფრანგულია, ნაცვლად 2-ისა 1961 წელს.

როგორც აღინიშნა, მაღალგანვითარებულია საფრანგეთის სოფლის მეურნეობა, რომლის დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია მეცხოველეობას. მასზე მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 2/3. საფრანგეთი შედის მსოფლიოში ღვინის, ქერის, რძის, კარაქის მწარმოებელ-ექსპორტიორთა წამყვან სამეულში. ქვეყნის ტრადიციული დარგებია მევენახეობა, მებაღეობა და ა.შ. სოფლის მეურნეობა მყარ ინდუსტრიულ საფუძველზე ვითარდება. საფრანგეთი ამით მხოლოდ ნიდერლანდებს, გერ-სა და დანიას ჩამორჩება. ქვეყანაში მიღწეულია თვითუზრუნველყოფის დონე ისეთი სახეობის პროდუქციის წარმოებაში, როგორიცაა: მარცვლეული (200%), კარაქი, კვერცხი, ხილი — 100% და მეტი და სხვ.

სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მეურნეობათა შედარებით მცირე ზომით, თუმცა სავარგულთა საშუალო ოდენობა არის 28 ჰა, რაც ევროკავშირის ბევრი ქვეყნის მაჩვენებელს აღემატება. მეურნეობათა ნახევარზე მეტი კერძო საკუთრების მიწებზე ფუნქციონირებს. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში წამყვანი ადგილი მსხვილ მეურნეობებს უკავია: 50 ჰა და მეტი სავარგულის მქონე მეურნეობებზე მოდის მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწების 17%, ხოლო იწარმოება მთლიანი პროდუქციის 2/3. სოფლის მეურნეობაში გავრცელებულია მეურნეობის ჯგუფური გაძღოლა, მათ შორის წამყვანია კოოპერატივები, რომელიც ყველაზე მეტად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაში, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღებაში ფიგურირებს.

სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედება ეკონომიკური მეთოდებით ხორციელდება. სტრუქტურულ პოლიტიკაზე დიდ ზეგავლენას ახდენს სოფლისმეურნეობრივი ორიენტაციის ევროპის ფონდი. სახელმწიფოს მასტიმულირებელი მეთოდები გამოიყენება როგორც ცალკეული პროდუქციის წარმოების გაფარ-

თოების, ასევე ჭარბწარმოების შეკვეცისათვის. არსებობს, ასევე, სპეციალიზებული ბანკი „კრედი აგრიკოლ“, ადგილებზე თავისი ფილიალებით, ასევე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონდი, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებითა და მეთოდებით ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის ოპტიმიზაციასა და ეფექტიან განვითარებას. საფრანგეთის თანამედროვე ეკონომიკის სტრუქტურაში, მაღალი და მყარი ზრდის ტემპებით გამოირჩევა მომსახურების სფეროს პროგრესირებადი სექტორი (იძლევა მშპ-ს 71%-ზე მეტს), რაც ძირითადად ტურიზმისა და ფინანსების სახითაა წარმოდგენილი. ძლიერი და მაღალგანვითარებულია საფრანგეთის საბანკო სისტემა, რომელიც 400-ზე მეტ ბანკს აერთიანებს. მსოფლიოს 50 უმსხვილეს ბანკთა შორის 6 ფრანგული ბანკია: „კრედი აგრიკოლ“, „ბანკ ნასიონალ დე პარი“, „კრედი ლიონე“, „სოსეტე ჟენერალ“, „გსუპ დე კესს დ'ეპარნ“, „კომპანი ფინანსერ და პარიბა“.

აღსანიშნაეია, რომ საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმის პროცესმა ხელი შეუწყო საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების წარმოშობას, რომლებიც საკმაოდ ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ფორმირებაზე.

საფრანგეთის ეკონომიკაში აქტიურ როლს ასრულებს მცირე ბიზნესი, რამაც პოზიციები განიმტკიცა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, განსაკუთრებით – მომსახურების სფეროსა და ვაჭრობაში. საერთოდ კი, არასაფინანსო საბაზრო მომსახურების სფეროში ფირმების 83%, მშენებლობაში – 80%, ვაჭრობაში – 79% მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის. ასეთი მეწარმეობის ეფექტიანობა მიიღწევა მათი ვიწრო სპეციალიზაციით. მაგალითად, ფარმაცევტიკის, ზუსტი მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების მთლიანი პროდუქციის ნახევარი მცირე და საშუალო საწარმოებში იქმნება. მთავრობა მცირე ბიზნესის საქმიანობას წაახალისებს სპეციალური ფონდების მეშვეობით, შეღავათიანი საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების მიცემით და ა.შ. მსგავსად ყველა განვითარებული ქვეყნისა, საფრანგეთშიც სამეწარმეო საქმიანობის მრავალი სამართლებრივი ფორმა არსებობს, თუმცა ყველაზე მასობრივი და ეფექტიანი მაინც სააქციო საზოგადოებაა.

და მაინც, საფრანგეთის ეროვნული ეკონომიკის არსებითი სპეციფიკა სახელმწიფო სექტორის მაღალი ხვედრითი წონაა, ხოლო ნაციონალიზებული ფირმები, როგორც წესი, სააქციო საზოგადოების ფორმით არის წარმოდგენილი. მეწარმეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რა სახელმწიფო სექტორს, იძლევა სახელმწიფოებრივი მეწარმეობის კლასიკურ მაგალითს და უარყოფს ლიბერალურ წრეებში გავრცელებულ აზრს სახელმწიფო კორპორაციების თითქოსდა აშკარა არაეფექტიანობის შესახებ. სახელმწიფო კორპორაციები დომინირებენ ავტომშენებლობის, აეიაკოსმოსის, ელექტრონული, ქიმიური მრეწველობის, შავი მეტალურგიისა და ზოგ სხვა სფეროში. ეს ის დარგებია, რომელთაც ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და დიდ ინვესტიციებს საჭიროებენ.

მართლაც, სახელმწიფო კორპორაციები არა მხოლოდ წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონით ხასიათდებიან, არამედ გამოირჩევიან შრომის მაღალი მწარმოებლურობითა და ეფექტიანობით, ასევე აქტიური საგარეო სავაჭრო საქმიანობით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს საფრანგეთის ეკონომიკის კიდევ ერთი სპეციფიკის შესახებ, რაც ვლინდება ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორებისადმი სამთავრობო მიდგომის, საერთოდ მათი ფუნქციონირების პირობების არსებითი განსხვავების სახით. ტრადიციულად ქვეყნის ეკონომიკური იდეოლოგია იყო სახელმწიფო სექტორის უპირატესობის აღიარება, მასში დასაქმების წახალისების ყოველნაირად ხელშეწყობის, ხოლო კერძო მეწარმეობისათვის მეორეხარისხოვანი როლის მინიჭების პოლიტიკა. ამის კონკრეტული გამოხატულებაა ის, რომ სახელმწიფო სამსახური ითვლება ყველაზე პრესტიჟულად, სოლო სახელმწიფო მოხელეები ყველაზე პრესტიჟული კლასია, იშვიათად ექვემდებარებიან შტატების შემცირებას, აქვთ გაცილებით მაღალი და გარანტირებული შემოსავლები, ვიდრე კერძო ბიზნესშია, პენსიაზე გადიან 50-55 წლის ასაკში, როგორც წესი, უფრო მაღალი პენსიით, ვიდრე ხელფასია. მაღალია უმუშევრების დახმარება და ჰყავთ საიმედო მფარველი ძლიერი პროფკავშირების სახით. ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებიც, პირველ რიგში, ორიენტირებული არიან სახელმწიფო მოსამსახურეების პროფესიონალურ მომზადებაზე, ხოლო ბიზნესის კულტურის ჩვევათა გამომუშავებას

თითქმის არ ექცევა ყურადღება. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს მაღალი სოციალური გარანტიების სისტემა, მნიშვნელოვანი განსხვავება სახელმწიფო და კერძო სექტორების ფუნქციონირების პირობებს შორის, ასევე, „ტვინის" ფართოდ გადინება საზღვარგარეთ. ბოლო პერიოდში ასეთი ტენდენციები ნაკლებად იგრძნობა, თუმცა ამ მიმართებით კვლავაც ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. ერთ-ერთი მთავარი არის ის, რომ ხელფასი კერძო სექტორში გაცილებით დაბალია, ხოლო სახელმწიფო სექტორისათვის დამახასიათებელი სოციალური გარანტიები, მისთვის ფაქტობრივად არ არსებობს. ეს მაშინ, როცა სოციალური გარანტიები ფინანსირდება, პირველ რიგში, გადასახადის გადამხდელთა ანგარიშზე. ამასთან, მაღალია არა მხოლოდ არაპირდაპირი და ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადები, არამედ მეწარმეთა სოციალური შენატანებიც.

საერთოდ კი, საფრანგეთის საგადასახადო სისტემა საბიუჯეტო შემოსავლების მთავარი წყაროა – 90%-ზე მეტს შეადგენს. საინტერესოა, რომ დღგ პირველად საფრანგეთში იქნა შემოღებული XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში და მოკლე პერიოდში გაერცელდა 40-ზე მეტ ქვეყანაში. იგი ამოიღება საქონელთა წარმოებისა და მიმოქცევის ყველა ეტაპზე ახლად შექმნილი ღირებულების საფუძველზე. საბოლოო ანგარიშით, ამ გადასახადის მთელი თანხა შედის იმ საქონელთა და მომსახურების ფასში, რომელიც საბოლოო მოხმარებას ექვემდებარება. დღგ-ზე მოდის ბიუჯეტის შემოსავლების 40-42%, ანუ ის საფრანგეთის საგადასახადო სისტემის წამყვანი ელემენტია. სხვა გადასახადებიდან აღსანიშნავია საშემოსავლო გადასახადები, აქციზები, საკუთრების გადასახადი, მიწის გადასახადი და ა.შ. ცალკეულ პერიოდებში პროგრესული საგადასახადო რეფორმების მიუხედავად, საგადასახადო ტვირთი მაინც საკმაოდ მძიმეა და იგი სასურველ სტიმულს არ აძლევს კერძო სექტორს შემდგომი გაფართოებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის. უფრო მეტიც, მაღალი გადასახადები სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მასტიმულირებელი ეფექტიანი პოლიტიკის არარსებობა იწვევს ინოვაციების უკმარისობას საფრანგეთის ეკონომიკაში. ამასთან, ერთიან ევროვალუტაზე გადასვლისას აღმოჩნდა, რომ სოციალური უზრუნ-

ელყოფის ფისკალური ტვირთი და ხარჯები საფრანგეთში გაცილებით მაღალია მის ძირითად პარტნიორებთან შედარებით, რაც ამცირებს მის არა მხოლოდ კონკურენტუნარიანობას, არამედ ეკონომიკურ-საფინანსო სისტემის ეფექტიანობას, ასუსტებს რა მოსახლეობისა და კომპანიების მიდრეკილებას დაზოგვისადმი. მესაბამისად, საფრანგეთის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა სოციალური და საგადასახადო სფეროში რადიკალური რეფორმის განხორციელება, რომელიც მიესადაგება მსოფლიო ბაზრებზე ჩამოყალიბებულ ახალ კონიუნქტურას და ხელს შეუწყობს საფრანგეთის ეკონომიკის მდგრადობას.

4. საგარეო საფაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები

საფრანგეთის ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის ორგანული ნაწილია, ის ფართოდაა გახსნილი საგარეო კავშირებისათვის, საგარეო ვაჭრობა კი – ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მშპ-ში ექსპორტის წილი შეადგენს 23,5%. 2000 წლის ბოლოსათვის საფრანგეთი მსოფლიოში მეოთხე ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყანა იყო, მათ შორის მომსახურების ექსპორტით – მესამე, სოლო იმპორტით – მეექვსე ადგილი ეკავა.

საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის დარგში პრიორიტეტი ეძლევა ურთიერთშენაცვლებად ნაწარმთა განვითარებას. „საშინაო ბაზრის ახალი დაპყრობის“ იდეასთან ერთად ფართოდ პოპულარულია „დასავლეთ ევროპის ბაზრის ახალი დაპყრობის“ იდეა. სწორედ ამ მიზნით, უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს. რეგულირება მიმართულია ფრანგული საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ, რისთვისაც გამოიყენება საქონელთა და მომსახურების როგორც წარმოების, ასევე მიმოქცევის სტადიაზე ზემოქმედების ახალი ფორმები და მეთოდები, ე.ი. მარკეტინგის მთელი სისტემა თანამედროვე, ფართო გაგებით.

საფრანგეთის ექსპორტის სტრუქტურის თავისებურება, ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ტრადიციულად იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის მაღალი ხვედრითი წონა – 20%. ამჟამად ქვეყნის ექსპორტში ლიდერობს მანქა-

ნათმშენებლობის პროდუქცია და მოწყობილობები – 43%, ხოლო იმპორტში მისი წილი 39%-ია. საავიაციო ტექნიკის, ლოკომოტივების, ვაგონების ექსპორტით საფრანგეთს უკავია მეორე ადგილი, ავტომობილებითა და ქიმიური მრეწველობის პროდუქციით – მესამე ადგილი, სამხედრო ტექნიკითა და იარაღის ექსპორტით – მეორე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტით საფრანგეთი მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩება. საგარეო ბაზრებზე რეალიზდება წარმოებული პროდუქციის 1/3-ზე მეტი. აკრარული პროდუქციის ექსპორტში ჭარბობს ხორბალი, ქერი, სიმინდი, რძე და რძის პროდუქცია.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად ამაღლდა იმპორტული კომპონენტები (მშპ-ს 21%), რაც დაკავშირებულია შრომის საერთაშორისო დანაწილების შემდგომ განვითარებასთან. იმპორტში მაღალი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის პროდუქცია (40-60%).

80-იან წლებში საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის მოცულობა გაორმაგდა, ხოლო მისი საშუალოწლიური ზრდის ტემპმა რამდენადმე გადააჭარბა მშპ-ს შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, იმპორტის ზრდის ტემპი მაღალი იყო, ვიდრე ექსპორტისა, რაც აბსოლუტურ მაჩვენებლებშიც აისახა პირველის სასარგებლოდ: 1990 წელს იმპორტმა (1226 მლრდ ფრანკი) გადააჭარბა ექსპორტს (1176 მლრდ ფრანკი) 50 მლრდ ფრანკით, ანუ წარმოიშვა საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, რაც რამდენიმე წელს გაგრძელდა და ქვეყნისათვის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად იქცა. დეფიციტი უმთავრესად წარმოიშვა მინერალური ნედლეულის, ქიმიური პროდუქციისა და სამომხმარებლო საქონელთა ნაწილისა და სხვათა იმპორტის ხარჯზე. ამასთან, საფრანგეთი ტექნიკურ მიღწევათა თითქმის წმინდა იმპორტიორი ქვეყანაა, რის გამოც საპატენტო და სალიცენზიო გარიგებათა დეფიციტი ცალკეულ წლებში აღემატებოდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს ნახევარს. თავის მხრივ, ტექნიკური გაცვლის მთელი დეფიციტის 73% მოდის ისეთ სექტორებზე, როგორიცაა: ელექტრონიკა, ქიმია, ინფორმატიკა. პატენტებისა და ლიცენზიების შესყიდვების მთლიანი ხარჯის 60% აშშ-ში მიდის. საგარეო ვაჭრობის დეფიციტი დაძლეულ იქნა XX ს. დამლევისათვის. მაგალითად, 1998 წელს

საქონლურმა ექსპორტმა შეადგინა 307,0 მლრდ დოლარი (მსოფლიო ექსპორტის 5,7%), ხოლო იმპორტმა – 287,2 მლრდ. დოლ. (5,2%), ანუ სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო იყო 29,8 მლრდ. დოლ.

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის საქონლური სტრუქტურა (1998 წ.) გამსხვილებული სახით შემდეგნაირად გამოიყურებოდა (%%): სოფლის მეურნეობის პროდუქცია ექსპორტში – 14, იმპორტში – 11; ენერგომატარებლები შესაბამისად: 2 და 8; სამომხმარებლო საქონელი: 17 და 19; ავტომობილები: 14 და 14; ნახევარფაბრიკატები: 24 და 25; ორგტექნიკა: 29 და 27.

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურა კი შემდეგნაირია (საფრანგეთის წილი ექსპორტსა და იმპორტში %-ობით): ევროკავშირი – 62 და 61; აშშ – 7 და 9; აზია – 7 და 8; აფრიკა 5 და 4; ახლო და შუა აღმოსავლეთი – 4,3; ცენტრალურ-აღმოსავლეთი ევროპა და დსთ – 4 და 3; იაპონია – 2 და 3; ლათინური ამერიკა – 2 და 2; სხვა – 7 და 7.[1]

საფრანგეთის მთავარი პარტნიორი ევროკავშირში არის გერ, რომელზეც მოდის ექსპორტის 16% და იმპორტის 20%. მეორე ადგილზეა იტალია – 12%. სხვა ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია აშშ 7% და 9%, განვითარებად ქვეყნებზე მოდის 8%.

საფრანგეთის კომპანიები აქტიურად იღებენ საგარეო ეკონომიკური ექსპანსიისათვის, რომლის მნიშვნელოვანი სამუალებაც კაპიტალის ექსპორტია. საფრანგეთზე მოდის მსოფლიო საზღვარგარეთული პირდაპირი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 5%, მისი 30% თავმოყრილია განვითარებად ქვეყნებში, რაც სხვა ბევრი ქვეყნის წილზე საკმაოდ მაღალია.

საფრანგეთი კაპიტალის დიდი იმპორტიორიცაა. ამ მხრივ, უცხოურ ფირმათა შორის წამყვანია აშშ-ის კომპანიები – 48%. უცხოური კაპიტალი კონცენტრირებულია საფრანგეთის მრეწველობის საკვანძო და უახლეს სექტორებში, სადაც მას, არცთუ იშვიათად, სალიდერო პოზიცია უკავია. მაგალითად, ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაში ის აკონტროლებს დარგის მთელი ბრუნვის 52%, ქიმიურ მრეწველობაში – 55%, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში – 50%-ს და ა.შ.

---

[1] **Погорлецкий А.И.** დასახელებული ნაშრომი, გვ. 228.

აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყნებში საფრანგეთის კომპანიათა საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის უზრუნველყოფაში დიდი ადგილი უკავია ეკონომიკურ დახმარებას, რითაც საფრანგეთი ჩამორჩება მხოლოდ აშშ-სა და იაპონიას, ხოლო მშპ-თან მიმართ დახმარების წილით ყველა ქვეყანას აღემატება.

დიდია საფრანგეთის ადგილი მსოფლიოს მეცნიერულ გამოკვლევათა პროგრამებში. მთელ რიგ პოზიციაში მას წამყვანი ადგილი უკავია, ასეთებია: ატომური ენერგეტიკა, საავიაციო ტექნიკა, კავშირგაბმულობის საშუალებები (მოწყობილობები), სამრეწველო დანიშნულების ელექტრონიკა და ა.შ. თუმცა მსოფლიო მიღწევებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება ინფორმატიკაში, ელექტრონიკის ზოგიერთ სახეობასა და ბიოტექნოლოგიაში.

თ ა ვ ი VI

ეკონომიკური სისტემის შვედური მოდელი

1. შვედეთის ზოგადი დახასიათება

ტერიტორია შეადგენს 450 ათას კვ.კმ., რომლის 54% ტყეს უკავია, 16% – მთებს. მოსახლეობა (1993წ.) 8,7 მლნ კაცია, რომლის 96% შვედია. სახელმწიფო წყობილება – კონსტიტუციური მონარქიაა – მართვის საპარლამენტო ფორმით. სახელმწიფოს მეთაურია მეფე, რომელსაც კონსტიტუციამ შეუნარჩუნა მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქცია, ე.ი. მას არა აქვს პოლიტიკური ძალაუფლება, არ მონაწილეობს პოლიტიკაში და ოფიციალურად შვედი ხალხის წარმომადგენელია. მისი მოვალეობაა ყოველწლიურად – ოქტომბერში გახსნას ერთპალატიანი პარლამენტის – რიკსდაგის სესია. ის ხელს არ აწერს სამთავრობო გადაწყვეტილებებს. შვედეთის ახალი კონტიტუციით ძალაუფლება ეკუთვნის მთავრობას – მასში შემავალი პარტიითა თუ პარტიებით.

შვედეთი ეკუთვნის მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანათა რიცხვს, გამოირჩევა ინტენსიური სოფლის მეურნეობით (რომლისთვისაც გამოიყენება ქვეყნის მთელი ტერიტორიის მხოლოდ 8%) და ფართო საგარეო-ეკონომიკური კავშირებით. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შვედეთს მშპ-ს წარმოებით მსოფლიოში სალიდერო ადგილი უკავია. ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე მიღწეულ იქნა, ჯერ ერთი, ხელსაყრელი ისტორიული პირობებით (ნეიტრალიტეტის დაცვით, მას არც ერთ მსოფლიო ომში მონაწილეობა არ მიუღია და ომით არა თუ არ დაზარალებულა, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდასაც მიაღწია), და მეორე, ზოგიერთი ბუნებრივი რესურსის სიმდიდრით: შვედეთს აქვს დასავლეთ ევროპაში მერქნისა და რკინის მადნის დიდი მარაგი, ასევე, უხვი ჰიდროენერგია. XX საუკუნის 20-იან წლებამდე შვედეთის სამრეწველო წარმოებისა და ექსპორტის საფუძველს შეადგენდა ხე-ტყისა და რკინის მადნის გადამუშავებასთან დაკავშირებული დარგების პროდუქცია. ბოლო პერიოდში ეს დარგები ამ მხრივ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, წამყვანი ადგილი კი – გემთმშენებლობამ, ავტომშენებლობამ და ავიამშენებლობამ, ელექტროტექნი-

კამ და ელექტრონიკამ დაიკავა. მიუხედავად ამისა, შვედეთი რკინის მადნის, ხარისხოვანი ფოლადის, ხე-ტყის მასალებისა და ცელულოზა-ქაღალდის პროდუქციის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი და ექსპორტიორია.

შვედეთის სოფლის მეურნეობა, ემყარება რა ტექნოლოგიური წარმოების წესს, გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობითა და საქონლურობით. სამამულო წარმოება უზრუნველყოფს ქვეყნის სურსათზე მოთხოვნილების 4/5-ს, მათ შორის, პრაქტიკულად მთლიანად – რძით, ხორცით, სასურსათო და საფურაჟე მარცვლეულით. სოფლის მეურნეობაში დომინირებს მსხვილი ფერმები – 20-30 პა და მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულით. სოფლის მეურნეობის დარგებს შორის წამყვანი მეცხოველეობაა, რომლის შემოსავლებიც 2-ჯერ აღემატება მემცენარეობისას.

შვედეთის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა მისი აშკარად გამოკვეთილი საექსპორტო მიმართულება. საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში შვედეთს მეათე ადგილი უკავია განვითარებულ ქვეყნებს შორის. საგარეო ბაზრებზე რეალიზდება მთლიანი ეროვნული პროდუქტის 1/4, მათ შორის მრეწველობის პროდუქციის 1/3-ზე მეტი, რომელთა შორის ჭარბობს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია (50%-მდე), ხე-ტყის დამუშავებისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის პროდუქცია (20%), მეტალურგია (8%) და ა.შ. იმავდროულად ქვეყანა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტზე. სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნილების თითქმის 1/4 იფარება იმპორტით: მანქანებისა და მოწყობილობების – 35%, სათბობის – 18%, ქიმიური მრეწველობის პროდუქციის – 8%, სხვადასხვა ლითონის – 7% და ა.შ.

შვედეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორებია ევროკავშირის ქვეყნები, რომლებზეც მოდის ექსპორტისა და იმპორტის 1/2 - მათ შორის განსაკუთრებით გერ, ინგლისი, ნორვეგია, დანია, ფინეთი და ა.შ., ასევე აშშ.

მსოფლიო ბაზრებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულების გამო, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ციკლური რყევები საკმაოდ დიდ ზემოქმედებას ახდენს შვედეთის ეკონომიკაზე, რომელიც თუმცა დაუყოვნებლივ, მაგრამ „ფაქიზად“ რეაგირებს მსგავს მოვლენებზე.

შვედეთის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონე. მრეწველობის წამყვან დარგებში, გემთმშენებლობაში, საბანკო და სადაზღვევო საქმეში დომინირებს უმსხვილესი კონცერნები, რომელთა უმეტესობა ტნკ-ებია: ასეთებია მანქანათმშენებლობაში „სკფ“, „ასეა“, „ლ.მ. ერიკსონი“, „ელექტროლუქსი“, „ვოლვო“, „სმბ-სკანია“, „ალფა-ლავალი“.

მთლიანობაში, შვედეთის 20 უმსხვილეს საერთაშორისო კორპორაციაზე მოდის ქვეყნის მთელი ექსპორტის მოცულობის დაახლოებით 40%.

შვედეთის სახელმწიფო სექტორის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა დიდძალი ფულადი სახსრების აკუმულაცია და გადანაწილება სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისათვის. სახელმწიფო სექტორი და სახელმწიფო საკუთრება იდენტური როდია. შვედეთში ის საწარმოა სახელმწიფო, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ მას ეკუთვნის. სახელმწიფო სექტორი კი მოიაზრება როგორც სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში, რითაც შვედეთს განვითარებულ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი უკავია. სახელმწიფო სექტორის საქმიანობა ხასიათდება მაღალი ხარისხითა და დაბალი დანახარჯებით საზოგადოებრივი მომსახურების ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, რაშიც იკვეთება კერძო და სახელმწიფო სექტორების ურთიერთმოქმედება. პირველთა შემოსაელების ნაწილი, საგადასახადო თუ სხვა ფორმით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის წყაროა და მნიშვნელოვნად წარიმართება მოსახლეობისა და კერძო ეკონომიკური აგენტების მომსახურებაზე, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს მთელი ეკონომიკის ეფექტიანობას, რომლის საფუძველიც კერძო სექტორია.

ამასთან, შვედეთის ეკონომიკაში საკმაოდ ძლიერი პოზიცია უკავია კოოპერატივებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შვედეთის აგრარულიდან ინდუსტრიულ, მაღალგანვითარებულ ქვეყნად გადაქცევაში. კოოპერატიული მოძრაობა დიდ როლს ასრულებს აგრარულ სფეროში, მრეწველობაში, ვაჭრობაში, საბინაო მშენებლობაში და ა.შ. შვედეთის ეკონომიკაში, კერძო სახელმწიფო საკუთრების შემდეგ, ის წარმოდგენილია „მესა-

მე ძალის", ანუ „მესამე ალტერხატივის" სახით, ეფუძნება დემოკრატიულ პრინციპებს და პოპულარულია ფართო მასებში, იგი ე.წ. „სახალხო მოძრაობის" კატეგორიაში გადის.

შვედეთის სიამაყეა ლეგენდარული ალფრედ ნობელი და მისი სახელობის პრემიები. ალფრედ ნობელი იყო შვედი მრეწველი და გამომგონებელი. კერძოდ, მას ეკუთვნის დინამიტის აღმოჩენა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო მრეწველობის განვითარებაში. 1895 წელს ნობელმა შეადგინა ანდერძი, რომლითაც მისი ქონება, რომელმაც გარდაცვალების წინ (1896წ.) შეადგინა 9,2 მლრდ დოლარი, უნდა დაყოფილიყო ყოველწლიურად 5 თანაბარ ნაწილად და განაწილებულიყო „პრემიის სახით იმ ადამიანებზე, რომლებმაც კაცობრიობას ყველაზე დიდი სიკეთე მოუტანეს". ანდერძი გაისსნა 1897 წელს. ნობელის პრემია მიენიჭება ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის, ლიტერატურის და ა.შ. დარგებში, მათ შორის – მოგვიანებით – ეკონომიკაში. ამ უკანასკნელის სრული სახელწოდებაა ეკონომიკურ მეცნიერებაში ალფრედ ნობელის ხსოვნისადმი მიძღვნილი შვედეთის ბანკის პრემია. იგი დაწესდა 1968 წელს (ენიჭება 1969 წლიდან), შვედეთის ბანკის ინიციატივით, მისი დაწესებიდან 300-წლოვანი იუბილეს დროს. ნობელის პრემიის ახალი ლაურეატების სახელები, როგორც წესი, ცხადდება ალფრედ ნობელის დაბადების დღეს – 21 ოქტომბერს, და დაჯილდოება ხდება მისი გარდაცვალების დღეს – 10 დეკემბერს. პრემია გადაეცემა შვედეთის მეფის სტოკჰოლმის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.[1]

2. შვედური სოციალური მოდელის („სკანდინავიური სოციალიზმის") არსი

დასავლეთი ევროპის საკმაოდ დიდი რეგიონი ოცზე მეტ სახელმწიფოს აერთიანებს. მათ შორისაა მსხვილი, სამუალო, მცირე და ე.წ. „ჯუჯა" სახელმწიფოები. თითქმის ყველა მათგანი მაღალგანვითარებულთა კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკური მოდელი, რაც არსებითად განსხვა-

[1] ეკონომიკური ლექსიკონი, პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, თბ., 2001, გვ. 345.

ვება აშშ-სა და იაპონიის ეკონომიკური განვითარების მოდელებისაგან. მათ შორის არსებითია ის, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის სოციალურმა ორიენტაციამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია – სახელმწიფო აქ მრავალ სოციალურ ფუნქციას ახორციელებს.

დასავლეთი ევროპის ე.წ. მცირე ქვეყნებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ჩრდილოეთი ევროპის ქვეყნებს: დანიას, ისლანდიას, ნორვეგიას, ფინეთსა და შვედეთს. ეს ქვეყნები, თავიანთი ეკონომიკური სისტემით, განეკუთვნებიან „სკანდინავიური სოციალიზმის" მოდელს, რაც სოციალური საბაზრო მეურნეობის ერთ-ერთი ვარიანტია და გულისხმობს ეკონომიკაში სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს, განსაკუთრებით მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისით. ამ მოდელმა აღნიშნულ ქვეყნებს მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. ამ მიღწევებში მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორების როლიც, რასაც მკვლევრები და პოლიტიკოსები „სკანდინავიური გამონაკლისით" ნათლავენ. მათ შორისაა, ჯერ ერთი, ის, რომ ჩრდილოეთი ევროპის ქვეყნები შორს იდგნენ ომების, რევოლუციების, ამბოხებებისა და სხვა მსგავსი კატაკლიზმებისაგან, რაც ევროპის კონტინენტისათვის საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო; მეორე, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება არ ემყარებოდა ძალადობას, ძარცვა-გლეჯასა თუ იძულებას, იგი ატარებდა მშვიდობიან ხასიათს, ხოლო სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებს ხელისუფლება ახორციელებდა საზოგადოების ყველა ფენის ინტერესთა ჰარმონიული შეხამების, დიდი კომპრომისების ნიადაგზე; მესამე, წინარე ორი ფაქტორი უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კაპიტალის დაგროვებისა და მიზანმიმართული ეფექტიანი გამოყენებისათვის მთელი საზოგადოების სასარგებლოდ; მეოთხე, გასული საუკუნის 30-იან წლებში სკანდინავიის ქვეყნების ხელისუფლებაში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეს ეროვნული მეურნეობის საბაზრო ორიენტაციისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის ყოველმხრივ დასაბუთებული, ნათელი და გასაგები პროგრამები – მათი განსორციელების ეკონომიკური პოლიტიკის ტაქტიკითა და სტრატეგიით გაჯერებული.

შვედეთის ეკონომიკური განვითარების მოდელი „სკანდინავიური სოციალიზმის“ ყველაზე გამოკვეთილი მოდელია, რომელიც სოციალურ-საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ „ძლიერ“ ვარიანტს წარმოადგენს და გულისხმობს სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკაში, განსაკუთრებით – მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისით.

XX ს. 30-იან წლებში შვედეთში, ისევე როგორც სხვა სკანდინავიური ქვეყნების ხელისუფლებაში მოსული სოციალ-დემოკრატები, ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებდნენ, რომელშიც ორგანულად იყო შეხამებული ეროვნული ეკონომიკის საბაზრო ორიენტაცია და მოსახლეობის სოციალური დაცვის მაღალი დონე. მოცემული მოდელი ამერიკელ ჯ. გელბრეითის სკოლის „კონვერგენციის თეორიის“ ერთ-ერთი მკაფიო პრაქტიკული გამოხატულებაა, რომელიც ე.წ. კაპიტალისტური და სოციალისტური ეკონომიკური სისტემების ყველა საუკეთესო მახასიათებელს აერთიანებს. შვედეთის ეკონომიკის საფუძველი კერძო საკუთრება და ინდივიდუალური მეწარმეობაა, სახელმწიფოს ძირითად ამოცანას კი შეადგენს არა კერძო კაპიტალის ნაციონალიზაცია და პირდაპირი ჩარევა ეკონომიკაში, არამედ ძლიერი და ეფექტიანად მოქმედი კერძო სექტორის მიერ შექმნილი მთლიანი ეროვნული პროდუქტის გადანაწილება.[1]

შვედური მოდელის სათავე უნდა ვეძიოთ XXს. 30-იან წლებში, როცა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში 1929-1933წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, შეთანხმება დადო გლეხთა პარტიასთან საზოგადოებრივი წარმოების შეუფერხებელი პროცესის უზრუნველყოფისათვის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების ძირითადი მიზანი იყო ეფექტიანი მოთხოვნის მხარდაჭერა და მოსახლეობის სრული დასაქმება. მიღებული ღონისძიებებით სწრაფად იქნა დაძლეული კრიზისის შედეგები, თუმცა ახალი კურსის ძირითადმა მიღწევებმა (რომელიც სოციალიზმის შვედური მოდელით მოინათლა) ძირითადად ომის შემდგომ პერიოდში იჩინა თავი, როცა, მაგალითად, 50-იან წლებში, მმპ-ს სამუა-

---

[1] მსოფლიო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუასა და მ. ჟეშაპიძის რედაქციით, თბ., 2001, გვ. 633.

ლოწლიურმა ზრდამ შეადგინა 3,3%, ხოლო 60-იან წლებში – 4,6%. ამ პერიოდში ტრადიციული დარგები, რომლებიც ეყრდნობოდა ორ მნიშვნელოვან სანედლეულო რესურსს – რკინის მადანსა და ხე-ტყეს, აგრძელებდა მნიშვნელოვანი როლის შესრულებას, მაგრამ იმავდროულად ამაღლდა მანქანათმშენებლობისა და სხვა მაღალტექნოლოგიური სექტორების როლი. შვედეთს დღეს აქვს თავისი განვითარებული ავიამშენებლობა, წყალბადის ენერგეტიკა, ორი ეროვნული საავტომობილო კომპანია, მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ტელეკომუნიკაციები.

შვედური მოდელი ემყარება რა სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიას, აქცენტს აკეთებს ეფექტიანი კერძო საკუთრების დომინირებადობაზე საკუთრების სხვა ფორმების მიმართ, აუცილებლად არ მიიჩნევს საკუთრების განსაზოგადებას და არც სახელმწიფო საკუთრებაზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ მასში მთავარია შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების სახელმწიფოებრივი მაქსიმალური დარეგულირება საგადასახადო სისტემის მეშვეობით. საკმარისია აღინიშნოს, რომ შვედეთში გადასახადები მშპ-ს 50-60%-მდეა, უფრო ზუსტად, თუ ორი ათეული წლის წინათ ეს მაჩვენებელი 90%-მდე შეადგენდა, უკანასკნელ პერიოდში ის საშუალოდ 55%-ია. სოციალური სამართლიანობის მიღწევისათვის სწორედ საგადასახადო სისტემის მეშვეობით გადანაწილდება შვედეთის მშპ-ს თითქმის 70%.

შვედეთის ეკონომიკაში კერძო სექტორის წილი 85%-ია, ხოლო სახელმწიფოსი – მხოლოდ 15%. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს ძირითად ამოცანად მიჩნეულია არა კერძო საკუთრების ნაციონალიზაცია, ან კიდეე – პირდაპირი ჩარევა ეკონომიკაში, არამედ ძლიერი კერძო სექტორის მიერ შექმნილი მშპ-ს სამართლიანი გადანაწილება მთელი საზოგადოების სასარგებლოდ. კერძო საკუთრებისადმი სოციალ-დემოკრატების განსაკუთრებული დამოკიდებულების არსს შესანიშნავად გამოხატავს შვედეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრ უ. პალმეს ხატოვანი გამოთქმა: „ოქროს კვერცხმდებელ ქათამს არ კლავენ“ („Зачем резать курицу, несущую золотые яйца?“)[1]. სხვანაირად, ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და კერძო სექტორის განსაზოგადოება უაზრობაა, თუკი

---

[1] **Погорлецкий А.И.**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 260.

შესაძლებელია მის მიერ შექმნილი შემოსავლების ოპტიმალური გადანაწილება. მოკლედ რომ ვთქვათ, ეკონომიკური სისტემის შვედური მოდელის არსებითი ნიშანია — *კერძო საკუთრების დომინირებადობა წარმოების სფეროში და მოხმარების სამოგადოებრივი ხასიათი*, რაც დიამეტრულად უპირისპირდება კლასიკური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ძირითად წინააღმდეგობას — *წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის.*

შვედური მოდელის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია, ასევე, შრომისა და კაპიტალის პარტნიორობა, მათ შორის მთავარია შრომის ბაზარზე ურთიერთობის სპეციფიკა, რაც დიდი ხნის მანძილზე პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მეწარმეებსა და დაქირავებულ მუშებს შორის კოლექტიური ხელშეკრულებით რეგულირდებოდა. შვედურ მოდელში წინა პლანზეა წამოწეული სრული დასაქმებისა და შემოსავლების გამოთანაბრების კონცეფცია ფასების სტაბილურობის პირობებში. თანასწორობისადმი მისწრაფება განსაკუთრებით გაძლიერდა 1928 წლიდან, როცა სოციალ-დემოკრატიის ლიდერმა პერ ალბინ ჰანსონმა წამოაყენა ერთობ მიმზიდველი კონცეფცია — „შვედეთი ხალხის სახლია“, რაც გულისხმობდა ერის ინტერესთა ერთობას და რაც მთელი მოსახლეობის მიერ ერთსულოვნად იქნა მიღებული და სამოქმედო პროგრამად მიჩნეული. ცოტა მოგვიანებით, 1944 წლისათვის, შვედეთის მუშათა მოძრაობის პროგრამაში აისახა სრული დასაქმების იდეა. შვედური მოდელის მნიშვნელოვანი ელემენტია მიზნობრივი პოლიტიკა შრომის ბაზარზე, რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა პარლამენტსა და მთავრობას, კერძოდ, შრომის სამინისტროს ეკისრება, რომელსაც ექვემდებარება შრომის ბაზრის სახელმწიფო ადმინისტრაცია. ამ სისტემაში დასაქმების 400-მდე სახელმწიფო ორგანიზაცია შედის. ამასთან, სიახლეა ის, რომ უკანასკნელ პერიოდში ნებადართულია შრომითი მოწყობის კერძო საagენტოების ფუნქციონირება, თუმცა სახელმწიფო კანონის მოთხოვნით, ყველა ახალი სამუშაო ვაკანსია მეწარმეებმა რეგისტრაციაში უნდა გააგარონ დასაქმების სახელმწიფო სამსახურში.

შვედეთში შრომის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის შემუშავებულია და ხორციელდება სხვადასხვა პროგრამა. კერძოდ, სამუშაო ძალის დასაქმებისა და მოთხოვნის სტიმული-

რებისათვის ასეთი პროგრამა ათეულზე მეტია. მთავარი ამოცანაა შრომაზე მოთხოვნის წახალისება უმუშევრობის ზრდის პერიოდში. გარდა ამისა, პროგრამა უმუშევრებს საწარმოო სტაჟის შეძენის შესაძლებლობასაც აძლევს, რაც მნიშვნელოვნად აიოლებს მათ შრომით მოწყობას ღია ბაზარზე, ასევე ხორციელდება პროფესიათა არჩევისა და კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ღონისძიებები. ამ და სხვა მსგავს ღონისძიებათა მეოხებით სულ უფრო მცირდება შრომის სარეზერვო არმია, რომლის 1,5-2%-მდე დაყვანა ოპტიმალურადაა მიჩნეული.

სრულ დასაქმებასთან ერთად ახალი განვითარება პოვა შემოსავლების გამოთანაბრების კონცეფციამ. ორივე მათგანი თითქმის ყოველთვის იყო ქვეყნის ხელისუფლების მთავარი და უცვლელი მიზანი, რასაც შვედი ხალხი აქტიურად უჭერდა მხარს. გარკვეული მიღწევებია თანასწორობისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში. ჯერ ერთი, სრული დასაქმება, თავისთავად, შემოსავლების გამოთანაბრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რითაც საზოგადოება თავიდან იცილებს განსხვავებას შემოსავლებსა და ცხოვრების დონეში, გრძელვადიანი უმუშევრობიდან გამომდინარე, რაც იწვევს მოქალაქეთა შემოსავლების დიდ დანაკარგებს. და მეორე, ხელფასის დარგში სოლიდარობის პოლიტიკის მიზანია თანაბარი მრომისათვის თანაბარი ანაგზაურების მიღწევა. ამისთვის მთავრობა იყენებს პროგრესულ დაბეგვრასა და მომსახურების განშტოებულ საზოგადოებრივ სისტემას. შედეგი კი არის ის, რომ 50-იანი წლების ბოლოს განსხვავება სხვადასხვა ჯგუფის ხელფასებს შორის, ასევე მუშებსა და მოსამსახურეებს შორის სანახევროდ შემცირდა და გამოთანაბრებამ მსოფლიოში ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია. ეს შვედური მოდელის მნიშვნელოვანი სპეციფიკაა, რითაც ის არსებითად განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან. ამასთან, „შვედური სოციალიზმის“ მოდელი, თავისი მიმზიდველი სახელის მიუხედავად, არა თუ განსხვავდება ყოფილი „საბჭოური სოციალიზმისაგან“, არამედ თავისი იდეოლოგიითა და საფუძველით (კერძო საკუთრების პრეროგატიული ხასიათი) ყველაზე ანტიკომუნისტურია. ტერმინი „შვედური მოდელი“, როგორც შვედი მეცნიერი ა. იუპანსონი აღნიშნავს, ღრმა შინაარსის შემცველია და გულისხმობს ენდოგენურ სისტემურ სტრუქტურას, რომლის შემადგენელი ნაწილები ჰარმონიულად ურთიერთმოქმედებენ და ურთიერთთა-

ვაზობენ ერთმანეთს. მოდელი ხასიათდება ტიპური სისტემურ-პოლიტიკური ნიშნებით, რომლის სხვადასხვა ნაწილი გულისხმობს და განაპირობებს ერთმანეთს.[1]

უფრო კონკრეტულად, შვედური მოდელი, მისი ერთ-ერთი არქიტექტორის რ. მეიდნერის სიტყვებით, არის უწინარეს ყოვლისა, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს უნივერსალური მოდელი, რომელიც ხასიათდება საყოველთაო თანასწორობითა და სრული დასაქმებით, საშოგადოების ყველა წევრის სოციალური უზრუნველყოფით, მომსახურების განვითარებული სახელმწიფოებრივი სექტორით, ყოვლისმომცველი სოლიდარული პოლიტიკით.[2]

ყველა სხვა ევროპული ქვეყნის ეკონომიკური მოდელისაგან განსხვავებით, შვედეთის სოციალური პოლიტიკა გამოირჩევა უნივერსალურობით, საყოველთაობით და უფრო სრულად შეესაბამება „მზრუნველი, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" კონცეფციას.

მსოფლიოში ცნობილია მოსახლეობის სოციალური დაზღვევის შვედური სისტემა, რომლმაც თავისი არსებობის მანძილზე, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მისი ძირითადი ნიშანი გახდა უნივერსალურობა, ე.ი. სოციალური დაზღვევის ორბიტაშია ქვეყნის მთელი მოსახლეობა, მიუხედავად დასაქმების სახეობისა და ბევრ შემთხვევაში – მისგან დამოუკიდებლად, იღებს თუ არა ესა თუ ის პიროვნება ხელფასს. სწორედ ამიტომ პქვია შესაბამის პოლიტიკას უნივერსალური სოციალური პოლიტიკა. სრული სამუშაო დღით დასაქმებულ დროებით უმუშევართა დახმარება 240 კრონია დღეში; დაზღვეულთათვის კი – ხელფასის 80% (მაქსიმუმი 580 კრონი დღეში). ავადმყოფობის ფურცელი მუშაკს მოეთხოვება 7 დღეზე მეტი ხნით ავადმყოფობისას, ხოლო მისაცემელი ხელფასი 80%-მდეა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა: მამაკაცებისა – 78 წელი, ქალებისა – 81 წელი, რაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საინტერესოა, რომ ყოველი 10 შვედიდან 7 დარწმუნებულია მომავლით. მრეწველობის მუშათა საშუალო ხელფასი თვეში 16 ათასი კრონია, მ.შ. კერძო სექტორში მომუშავეებისა – 22-23 ათ. (1 შვედუ-

---

[1] Северная Европа: Проблемы истории, М., 1995, გვ. 344.

[2] Общество и экономика, 1997, № 1-2, გვ.30.

რი კრონი დაახლოებით 0,13 აშშ დოლარს უდრის). ყველაზე დაბალი ხელფასი 9-10 ათ. კრონია, ყველაზე მაღალი – 40-50 ათ. კრონი.

შვედურ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მეთოდი ეკონომიკური და სამართლებრივია. სახელმწიფო, თავის მეცნიერულ პოტენციალზე დაყრდნობით შეიმუშავებს ამა თუ იმ დარგის განვითარების ხელშემწყობ საკანონმდებლო ნორმებს, სახავს განვითარების შეღავათიან პერსპექტივებს და ა.შ. ასეთი პოლიტიკის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი არის სახელმწიფო ბიუჯეტი. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთი რეგიონების ფრიად განსხვავებული ეკონომიკური პირობების გამოსათანაბრებლად. ამისათვის გამოიყენება სამთავრობო ტრანსფერტები.

სახელმწიფო სექტორს, რომელიც მოიცავს ეროვნულ მთავრობასა და თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს (მუნიციპალური და საოლქო საბჭოები), აქვს ფართო უფლებები, მასში შედის განათლება, შრომითი მოწყობა, სამრეწველო პოლიტიკა, ავადმყოფთა და ხანდაზმულთა მოვლა და, საერთოდ, სოციალური უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა და ა.შ. ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელებისათვის სახელმწიფო ორგანოები, გადასახადების სახით, იღებენ საერთო-ეროვნული რესურსების ნაწილს. სწორედ ამით არის გამოწვეული გადასახადების შედარებით მაღალი დონე, თუმცა გადასახადების გადამხდელებს, სხვადასხვა მომსახურებისა და მისაცემლის სახით, უბრუნდება მისი გარკვეული ნაწილი.

შვედეთის ეკონომიკის ომის შემდგომი პერიოდის მართვის წარმატებული მოდელი, ბუნებრივია, გარკვეულ კორექტივებს განიცდიდა. ეკონომიკის მართვის მექანიზმში სერიოზული ცვლილება მოხდა 80-იან წლებში, როცა მოქმედ მოდელში გარკვეულმა ხარვეზებმა იჩინა თავი. მაგალითად, 1980-1990წწ. მშპ-ს ყოველწლიურმა ზრდამ შეადგინა 2%, ანუ ორჯერ ნაკლები 1970-1980წწ. შედარებით. ამასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომ შეფერხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პროგრესული გადასახადების სწრაფი ზრდაა, კერძოდ ის, რომ დაბალ შემოსავლებზე გადასახადი 20% იყო, მაღალზე – 86%. შესაბამისად, პარტიათაშორისი შეთანხმებით – 1989წელს, შემცირდა გადასახადები და იმავდროულად შემოღებულ იქნა უნივერსალური და ეფექტიანი დაბეგვრა. ეს სისტემა შე-

მოიღეს 1990 წელს, ხოლო სრულად ამოქმედდა 1992 წელს. ახალი წესით, კერძო პირები უხდიან საშემოსავლო გადასახადს სახელმწიფოსა და მართვის ადგილობრივ ორგანოებს, მაშინ როცა იურიდიული პირები იბეგრებიან საერთო-სახელმწიფოებრივი საშემოსავლო გადასახადით, რომლის დონეც ფირმებისათვის 28%-ია. კერძო პირთა საშემოსავლო გადასახადი 1998 წელს შეადგენდა დადგენილ მინიმუმს ზევით მიღებული ყველა შემოსავლის დაახლოებით 25%-ს. გადასახადების ამოღება შეადგენს დაახლოებით 90%-ს, ხოლო ამოღების სისტემა თანდათანობითი ხასიათისაა, რასაც ეწოდება „გადახდა შემოსავლების მიღების კვალობაზე".

შვედეთის სახელმწიფოს სოციალური ხარჯები აღემატება მშპ-ს ნახევარს, ნაცვლად მესამედისა დასავლეთი ევროპის ქვეყნებში და მეოთხედისა – დანარჩენ ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ამასთან, ყველა შვედი მოქალაქის კეთილდღეობა, თუნდაც მსხვილი მეწარმე იყოს, ამა თუ იმ ზომით დამოკიდებულია სახელმწიფოს „წყალობაზე". ამის დასტურია ის, რომ ქვეყანა გამოირჩევა მოსახლეობის მაღალი სახელმწიფო ტრანსფერტებით, რაც მის ფულად შემოსავლებში 1/4-ია, ხოლო დასავლეთის სხვა ქვეყნებში – 15-16%.[1] ასევე ფრიად მაღალია სოციალური მომსახურების „გასახელმწიფოებრივების" დონე შემოსავლების განაწილებაში, განათლებასა და ჯანდაცვაში, სადაც მშპ-დან სახელმწიფო ასიგნებათა ხვედრითი წონა აღემატება დასავლეთის ქვეყნების შესაბამის სამუალო მაჩვენებელს ორჯერ, ყველა განვითარებულ ქვეყანას – 1,5-ჯერ. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ შვედეთის ეკონომიკის მოდელის საბაზრო-კერძომესაკუთრეობითი საფუძვლის მიუხედავად, აქ გაცილებით მეტად, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ბოლო პერიოდამდე დომინირებდა კოლექტივისტურ-უნივერსალური ფილოსოფიურ-ეკონომიკური დოქტრინა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ შვედეთის ეკონომიკის გახსნილობის (ღია ხასიათის) მიუხედავად, თავისი სოციალური პოლიტიკით სოციალ-დემოკრატიული კოალიციური მთავრობა ყოველთვის თანმიმდევრულად ატარებდა ქვეყნის „მსოფლიო სტანდარტებისაგან" დაცვის პოლიტიკას, რათა მას დესტრუქციული ზემოქმედება არ მოეხდინა შვედურ მოდელზე. სწორედ ამიტომ შვედეთი კრიტი-

---

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2000, №9, გვ. 74.

კულად უდგებოდა ევროკავშირში შესვლის იდეას, თუმცა ეს მაინც მოხდა 1995 წელს და მიუხედავად „შვედურ მოდელში“ ადეკვატური ცვლილებების განხორციელებისა, მთავრობა კვლავაც ცდილობს შეინარჩუნოს განაწილების მაღალსოციალიზებული სისტემა.

მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია შვედურ ფენომენს, რომელმაც „ზემოდან“ მართვით უზრუნველყო საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნა სოლიდარობის, სრული თანასწორობისა და საყოველთაო კეთილდღეობის პრინციპებით.

ეროვნული შემოსავლისა და სახელმწიფო ხარჯების განაწილებაში, გადანაწილებასა და მოხმარებაში სახელმწიფოს დიდი როლის გამო, რეფორმისტულ იდეოლოგიაში, ასეთმა საქმიანობამ „ფუნქციონალური სოციალიზმის“ სახელწოდება მიიღო.[1]

შვედური მოდელის თავისებურებაა ინსტიტუციონალიზმის მაღალი დონე, განსაკუთრებით, ბიუჯეტის ხარჯების რეგულირების სფეროში. შვედეთის მთავრობის სოციალური პოლიტიკა გამსჭვალულია თანასწორობის იდეებით, სხვა ქვეყნებთან შედარებით შვედური მოდელი გამოირჩევა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშაკებს შორის ხელფასის მაღალი გამოთანაბრებით. მისთვის დამახასიათებელია უნივერსალურობა: სოციალური დაზღვევის სისტემით მოცულია მთელი მოსახლეობა და არა მხოლოდ მისი უღარიბესი ნაწილი, როგორც ეს ბევრ სხვა ქვეყანაშია. უპირატესობა ენიჭება დასაქმების შენარჩუნებასა და მუშაკთა გადამზადებას, კადრების ფართო პროფესიულ მომზადებას.

XX ს-ის 30-იან და განსაკუთრებით 50-იან წლებში შვედეთში მომხდარი არსებითი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძვრები მჭიდროდაა დაკავშირებული დასავლეთის დემოკრატიისათვის უპრეცენდენტო ერთი პოლიტიკური პარტიის მრავალწლიან მმართველობასთან. 1932 წლიდან მოყოლებული მუშათა პარტია მხოლოდ 9 წელი იყო ოპოზიციაში (1976-1982 და 1991-1994წ.წ.), დანარჩენ დროს კი სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელობდა კოალიციურ კაბინეტს, ე.ი. ფაქტობრივად მართავდა ქვეყანას.[2]

საბოლოო ანგარიშით, შვედეთის სოციალ-დემოკრატიამ გასული საუკუნის 20-იანი წლების ნაციონალიზაციის იდეიდან იწყო

---

[1] А.М. Волков. Швеция: социально-экономическая модель, М., 1991, გვ. 7.

[2] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения“, 2000, №9, გვ. 72.

გადასვლა ფუნქციონალური სოციალიზმის კონცეფციაზე, რომლის მიზანი იყო კერძოკაპიტალისტური მეწარმეობისა და ეკონომიკური ზრდის შედეგების წარმართვა მოსახლეობის სოციალური გამოთანაბრებისა და საწარმოო დემოკრატიის ფორმირებაზე. ეს ნიშნავდა კეინზური რეცეპტებით ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფართო მასშტაბებს, განსაკუთრებით გადასახადების გადიდების მეშვეობით სახელმწიფოს შემოსავლების გადამანაწილებელი და სოციალურ-კანონშემოქმედითი როლის გაძლიერებას. ასეთი მიდგომა ემყარებოდა სოციალურ-რეფორმისტული იდეოლოგიის კოლექტიურ და უნივერსალურ პრინციპებს. ეს შეესაბამებოდა ინდუსტრიალიზმის ეპოქის პრინციპებს და მეტ-ნაკლები ზომით დამახასიათებელი იყო მთელი დასავლური ცივილიზაციისათვის, მაგრამ შვედეთში ის რეალიზდებოდა ყველაზე სრულად და მიზანსწრაფულად, სუბიექტური ფაქტორის დიდი როლის მეშვეობით — გარდაქმნების გზაზე ძლიერი სოციალური ორიენტირებულობით. შვედეთმა ამ გზაზე გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დიდ წარმატებას მიაღწია და 80-იან წლებში სტაბილურად დაიკავა პირველი ადგილი მსოფლიოში ეკონომიკის ფუნქციონალური სოციალიზებულობით. ამ პროცესის თანმხლები ეკონომიკაში იყო სახელმწიფო დირიჟიზმის მაღალი დონე და სოციალური მომსახურების ფაქტობრივად სრული გასახელმწიფოებრივება სოციალური გამოთანაბრების მისაღწევად. ეს ის პერიოდია, როცა შვედეთის სოციალ-დემოკრატია ეძებს „საშუალო", ან უფრო მეტიც, „მესამე გზას", განსხვავებულს საბჭოური სოციალიზმისა და „თავისუფალი" კაპიტალიზმისაგან. მიზანი კი კონკრეტულია — გააძლიეროს კერძო სექტორის ფუნქციონირების შედეგთა სოციალიზაცია, შეამციროს დაქირავებული მუშაკებისა და მათი ოჯახების დამოკიდებულება ბაზარზე და სოციალური დოვლათის განაწილებაში შეიტანოს ეგალიტარულობის ელემენტები.

3. მითი შვედური სოციალური მოდელის ფიასკოს შესახებ

80-იანი წლებიდან აქტიურად აკრიტიკებენ „საერთო ქვაბის", შემოსავლების გამოთანაბრებისა და სხვა მსგავს თეორიებს, რომელთა პრაქტიკულად რეალიზაციაც ავიწროებს ბაზარს და შესა-

ბამისად ირღვევა სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანი მუშაობისათვის აუცილებელი ფუნქციონალური კავშირები და ურთიერთდამოკიდებულება საბაზრო და არასაბაზრო სფეროებს შორის. კერძოდ, მაღალი ინდივიდუალური საშემოსაველო გადასახადი მენეჯერთა და სპეციალისტთა შრომითი მოტივაციის დესტიმულირებას ახდენს. მენეჯერები და მეწარმეები მაღალდისციპლინირებული და კვალიფიციური არიან, მათი მუშაობაც, როგორც წესი, ეფექტიანია, მაგრამ ზოგჯერ არ პყოფნით სტიმული, მოტივაცია გასწიონ რისკი, გამოავლინონ ეფექტიანობის ამაღლების ახალი შესაძლებლობები, რაც ესოდენ საჭიროა კონკურენტულ უპირატესობათა შექმნისა და ამაღლებისათვის.[1] ასევე, შემოსავლების გამოთანაბრების მიზნით ხელფასის დიფერენციაციის დაბალი კოეფიციენტი უარყოფითად ზემოქმედებს სამუშაო ძალის საგანმანათლებლო-კვალიფიციურ დონეზე, სოციალური მომსახურების სახელმწიფოებრივი მონოპოლიზმი აბრკოლებს კონკურენციას და ზღუდავს კლიენტთა არჩევანის თავისუფლებას, მკაცრი შრომითი კანონმდებლობა აბრკოლებს დასაქმების მოქნილი ფორმების გამოყენებას, რაც ფართოდაა გავრცელებული სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ყოველივე აღნიშნულის გამო, 80-იან წლებში ეკონომიკური ზრდის ტემპები შენელდა, გარკვეულად ჩამორჩა მსოფლიოს მოწინავე მაჩვენებლებს, რამაც მშპ-ს სულადობრივი სიდიდით შვედეთი მესამე ადგილიდან პირველი ათეულის მიღმა გადასწია, სახელმწიფო ბიუჯეტიც თითქმის ქრონიკულად დეფიციტური გახდა, ხოლო სახელმწიფო ვალმა მიაღწია მშპ-ს 70%-ს.

ასეთმა არასასურველმა მოელენებმა ობიექტურად განაპირობეს ეკონომიკის დერეგულირების, პრივატიზებისა და ბაზრის როლის გაძლიერების აუცილებლობა, რაც, საბოლოო ანგარიშით, „ბაზარი-პოლიტიკის“ კოორდინაციისა და თანაფარდობის, პირველის სასარგებლოდ ლიბერალიზაციაზე დაიყვანება. ამასთან, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოებრივი აზრი თითქმის ერთიანია იმაში, რომ სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება და მისი დაფინანსების ტრადიციები რადიკალურად არ უნდა შეიცვალოს, თუმცა მასობრივი მხარდაჭერით უკვე აღარ სარგებლობს სოციალური გამოთანაბრების იდეოლო-

---

[1] Майкл Портер. Международная конкуренция, М., 1993, გვ. 765.

გია, უმეტესობა თვლის, რომ აუცილებელია ინდივიდთა შრომითი ძალისხმევის მეტი სტიმულირება, რათა მათ მნიშვნელოვანწილად თავის თავზე აიღონ ოჯახის შენახვის პასუხისმგებლობა. იმავდროულად, საზოგადოებრივი აზრი კვლავაც განწყობილია სულისკვეთებით, რომ უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქალაქეთა შრომით მოწყობასა და საბინაო პირობებით უზრუნველყოფაში.

და მაინც, სულ უფრო გაცხადდა ის გარემოება, რომ საკუთრების უფლების (განკარგვა, მართვა, განაწილება) ფუნქციური სოციალიზაცია როგორც მისი თანდათანობითი განსაზოგადოება, ლოგიკურად იწვევს ბაზრის ქმედითუნარიანობის შეზღუდვას. კერძო საკუთრება და ბაზარი – ერთიანი ფენომენია, რომლებიც დიალექტიკურად განსაზღვრავენ ერთიმეორეს, ერთმანეთზე არიან დამოკიდებული და უერთმანეთოდ არ არსებობენ. შესაბამისად, პირველის, ე.ი. კერძო საკუთრების სოციალიზაციის პროცესი იმავდროულად ნიშნავს ბაზრის „არეალების" შეზღუდვასა და მისი ფუნქციების თანდათანობით გადასვლას სახელმწიფოზე. ფუნქციების ასეთი გადანაწილება XX ს-ში კაპიტალიზმის ევოლუციის კანონზომიერი მოვლენა იყო ეკონომიკურ თეორიაში ნეოკონსერვატიული ტალღის მომძლავრებამდე. თუმცა, შვედეთში ეს პროცესი მიზანსწრაფულად სტიმულირდებოდა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო სიღრმისეულად განვითარდა და „სოციალურმა უფლებებმა შეავიწროვა ფულადი უფლებები", ანუ ფულსა და ბაზარს თანმიმდევრულად ცვლიდა შემოსავლების „პოლიტიკურად რეგულირებადი" განაწილება მოხმარების საზოგადოებრივ ფონდებზე აქცენტირებით.

აქ იმის შესახებაც უნდა აღინიშნოს, რომ „ბაზარი – პოლიტიკის" თანაფარდობის საკითხებზე შვედეთის სოციალ-დემოკრატიაში აბსოლუტურად ერთნაირი აზრი არ არის, ანუ არსებობს განსხვავებული შეხედულებებიც, მაგრამ მთლიანობაში მაგისტრალური პოზიცია ერთნაირია: უპირატესად სოციალიზაცია იქ, სადაც ის საბაზრო მეთოდებთან შედარებით პრაქტიკულად უკეთეს შედეგებს იძლევა.

მთლიანობაში მაინც, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პოსტინდუსტრიალიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში, შვედური მოდელის კოლექტივისტურ-უნივერსალური ბუნება, რო-

მელიც უპასუხებდა ინდუსტრიული საზოგადოების ინტერესებს, წინააღმდეგობაში მოექცა მსოფლიოში მიმდინარე არსებით ცვლილებებთან. გამომდინარე აქედან, შვედურ მოდელს, თავისი მკაცრი გაგებით, გარკვეული ბზარი შეეპარა. საქმე ის არის, რომ გლობალიზაცია სულ უფრო ავიწროებს ეროვნულ-სახელმწიფოებრიეი რეგულირების შესაძლებლობებს და აქრობს მოდელის სპეციფიკურ ნიშნებს, სულ უფრო ამცირებს ეკონომიკური სისტემის რეგულირებაში პარტიულ-პოლიტიკური ფაქტორის როლს. გასული საუკუნის 80-იანი წლების უკვე პირველ ნახევარში დაიმალა რეგულირების აღიარებული კოლექტიურ ხელშეკრულებათა ცენტრალიზებული სისტემა, ხელფასის სფეროში სოლიდარობის პოლიტიკა ძალზე გაფერმკრთალდა. ამის მიზეზი გახდა ხელფასის დაუსაბუთებელი ზრდით გამოწვეული ინფლაცია, რამაც თავის მხრივ, ეკონომიკის დესტაბილიზაცია გამოიწვია. 90-იანი წლების დამდეგს მოხდა სოციალური მაკროკონსენსუსის დეინსტიტუციონალიზაცია, რამდენადაც ხელფასის ფორმირებისა და საერთოდ შრომით ურთიერთობათა რეგულირების კოლექტივისტურ-უნიერსალურმა მეთოდოლოგიამ უწინდელი ქმედითობა დაკარგა. 1980-იან წლებში შვედეთის ეკონომიკური მოდელის სირთულეები იდენტურია გერმანიისა და საფრანგეთის სოციალური მოდელისათვის იმავე პერიოდში დამახასიათებელი სიძნელეებისა. ეს მთლიანობაში გამოწვეული იყო მაღალი გადასახადებით მეწარმეობის დამუხრუჭებით, ერთი მხრივ, და მოსახლეობის ძლიერი სოციალური დაცვით, მეორე მხრივ, რამაც გარკვეულწილად შრომის მწარმოებლურობის ზრდის სტიმული დაუკარგა დაქირავებულ მუშაკებს. ამან მნიშვნელოვნად შეანელა შვედეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი, რითაც მას 1970-იან წლებში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია ეკავა მსოფლიოში, 1990-იანი წლების შუა პერიოდში მე-16 ადგილზე გადაინაცელა. ამ და სხვა მოვლენებმა გარკვეული საფრთხე შეუქმნა შვედეთის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. ამას თან დაერთო ნეოკონსერვატიზმის ახალი ტალღის მოზღვავება მსოფლიო მასშტაბით, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ლიბერალიზაციის იდეას იცავდა. აღნიშნულთან ერთად, შვედეთის შესვლამ ევროკავშირში, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქმე ის არის,

რომ კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალმა გადააადგილებამ, წარმოების გაძლიერებულმა ინტერნაციონალიზაციამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას (მშპ 1999წ. გაიზარდა 4%-ით, მაშინ როცა 1990-1993წწ. მისი საშუალოწლიური ზრდის ტემპი შემცირდა 5%-ით), მაგრამ, მეორე მხრივ, გაძლიერდა კაპიტალის „გაქცევა" და „ტვინის გადინება", რაც სამომავლოდ ბევრ საფიქრალს შეუქმნის ქვეყანას. უფრო მეტიც, თუ XX საუკუნის 80-იან წლებში შვედეთის მსხვილი კომპანიები ყიდულობდნენ საზღვარგარეთის საწარმოებს, დღეისათვის უკუპროცესი მიმდინარეობს — ბევრი შვედური ფირმა გადააადგილებს თავის შტაბ-ბინას სხვა ქვეყნებში, იქაურ საწარმოებთან შერწყმის შედეგად. ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა ერთ-ერთ ყველაზე ტრადიციულ — შვედურ მოდელში ობიექტურად აუცილებელი კორექტიეების შეტანის საჭიროება.

და მაინც, მიუხედავად იმ „ბზარისა", რაც გლობალიზაციის პროცესებმა და სხვა თანამდევმა მოვლენებმა გამოიწვიეს „შვედურ მოდელში", ძნელია დაეთანხმოთ ახალგაზრდა შვედი ლიბერალის სვენ-ოტო ლიტორინის ძალიან მკაცრ და არცთუ ობიექტურ შეფასებას: XIX საუკუნის ბოლოს შვედეთი იყო კაპიტალიზმისა და თავისუფალი მეწარმეობის ქვეყანა. XX საუკუნეში გაეთებული არჩევანი არასწორი აღმოჩნდა. როგორი ძლიერი და აყვავებულიც არ უნდა იყოს ეკონომიკა სხვადასხვა ხელშემწყობი პირობის შეხამებით, ის ვერ გაუძლებს სოციალისტურ ექსპერიმენტებს... „მესამე გზა" არ არსებობს. შვედურმა მოდელმა, რომლის მიზანი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს რეგულირება და მეურვეობა, ქვეყანა პირველხარისხოვანიდან მეორეხარისხოვანად გადააქცია. ექსპერიმენტის ხანგრძლივობა და სიღრმე ადასტურებს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით „მზრუნველი სახელმწიფო" არ შეესაბამება ეფექტიანობის თუნდაც ყველაზე დაბალ სტანდარტებს. სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში არ არის პოლიტიკური ძალა გარდაქმნას ეს მოდელი".[1] დასახელებული ავტორის საკმაოდ პესიმისტური და არარეალისტური დასკვნის რეზიუმე ასეთია: „შვედური მოდელის შესახებ მითის მსხვრევა" (!).

---

[1] უფრო ვრცლად ის. Свен-Отто Литторин. Швеция, журн. "ЭКО", 1992, 1(211), сз. 126-135

ფაქტობრივად, კი არ „დაიშალა“ შვედური მოდელი, არამედ ხდება ამ მოდელის რეკონსტრუქცია, მისი შევსება ეკონომიკური დემოკრატიის იდეოლოგიით, როგორც საზოგადოების დემოკრატიზაციის მესამე, მაღალი ეტაპი (პოლიტიკური დემოკრატიის – პირველი ეტაპი და სოციალური დემოკრატიისა – მეორე ეტაპის შემდეგ). მათ შორისაა, ზემოთ უკვე აღნიშნული კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგულირების დეცენტრალიზაციის და ხელფასის დარგში სოლიდარობის პოლიტიკის თითქმის დასასრული. ეს ტენდენცია 90-იან წლებში გაერცელდა ეკონომიკის მართვასა და სოციალურ პოლიტიკაზე. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები და ინდივიდები სულ უფრო დამოუკიდებელი ხდებიან – მეტი ვალდებულებითა და პასუხისმგებლობით. ეკონომიკის ლიბერალიზაციის მაჩვენებელია, ასევე, 80-იანი წლების ბოლოს საკალუტო კონტროლის მოხსნა, ხოლო 90-იანი წლების შუა ხანებში – რიგი დარგის რეგულირებაზე უარისთქმა (საკელეკომუნიკაციო, ენერგეტიკული, საჰაერო ტრანსპორტი და ბანკები) და სახელმწიფო საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზება. ამან ხელი შეუწყო ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანიების აღმოცენებას, საერთოდ, კერძო სექტორის გაძლიერებას და ქვეყანაში უცხოური კაპიტალის უპრეცენდენტო მოდინებას. მიმდინარეობს შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია, განსაკუთრებით დაქირავების პირობების სფეროში. მართალია, ძირითადი დაქირავებული მუშაკები უწინდებურად დაცული არიან სამუშაოდან დათხოვნისაგან, მაგრამ კომპანიებს ნება დაერთოთ დაიქირაონ დროებითი მუშაკებიც, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების ფლექსიბილიზებას.[1]

მთლიანობაში, შვედეთის ეკონომიკაში ყველაზე არსებითი ცვლილება იყო ის, რომ რამდენადმე „შერბილდა“ სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, სახე იცვალა სახელმწიფო სექტორის პოზიციებმა, შემცირდა კორპორაციული და ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადების განაკვეთები, ქვეყანა მოიცვა პრივატიზების ტალღამ, შემოღებულ იქნა მკაცრი ეკონომიის რეჟიმი სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში და ა.შ.

---

[1] Веттерберг Г. Новое общество. М., 1999, გვ. 54

შეედური მოდელის არა ფიასკოზე, არამედ ახალ მოთხოვნათა შესაბამისად მის რეკონსტრუქციაზე მიუთითებს უწინარესად ის გარემოება, რომ ძირითადად კვლავ ძალაშია მოდელისათვის დამახასიათებელი მოსახლეობის სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრინციპები, მეთოდები და ფორმები. სოციალ-დემოკრატიული პარტიის 2000 წლის მარტის ყრილობამ კვლავაც აქტუალურად მიიჩნია სოციალური პოლიტიკის საყოველთაოობის და მისი მაღალი გადასახადებითა და სოციალური მომსახურების ძლიერი სექტორის მეშვეობით უზრუნველყოფის კურსი.

სოციალური გამოთანაბრება და სრული დასაქმება კვლავაც გამოცხადდა სოციალ-დემოკრატიის უმთავრეს მიზნად, ხოლო ბაზრისადმი დამოკიდებულება არსებითად არ შეცვლილა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პარტიამ თავის დოკუმენტში პირველად დააფიქსირა ბიზნესისათვის (განსაკუთრებით მცირე ბიზნესის) ხელსაყრელი პირობების შექმნის აუცილებლობა, კომპანიათა გადასახადებით დაბეგვრა იმ ოდენობით, რაც მათ კონკურენტუნარიანობას შეუნარჩუნებს; გამარტივებულია კომპანიათა შექმნისა და საქმიანობის წესებიც; გარკვეული მინიშნება გაკეთებულია სახელმწიფოებრივი სოციალური დაცვის ალტერნატიული ვარიანტის შექმნის თაობაზე. მართალია, სახელმწიფო რჩება მოსახლეობის სოციალური დაცვის ძირითად გარანტად, მაგრამ იმავდროულად აქცენტი კეთდება ინდივიდთა მზარდ მორალურ და ფინანსურ პასუხისმგებლობაზე სოციალური გარანტიების უზრუნველყოფაში. მთავარია, ადამიანებმა იბრძოლონ არ მხოლოდ თავინთი სოციალური უფლებების დასაცავად, არამედ არ დაუშვან სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილება, იგრძნონ პასუხისმგებლობა თავიანთი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

მაგალითად, სოციალური სერვისის სამსახურებს სულ უფრო მეტად იღებენ თავის თავზე კერძო საწარმოები, ფართოვდება ადგილობრივი ორგანოების სოციალური ფუნქციები, ფართოდ ვრცელდება კერძო საპენსიო ფონდები, ხოლო სახელმწიფო საპენსიო ფონდების დაფინანსებაში სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებენ თვით მუშაკები. მთლიანობაში, კურსი აღებულია სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო მონოპოლიის შემცირებისაკენ.

ყოველივე ეს მეტყველებს შვედურ მოდელში „უნივერსალური კეთილდღეობის იდეოლოგიის“ პრინციპების სრულყოფის, მისი დემოკრატიზაციის შესახებ, მოცემულ სისტემაში პიროვნების როლის გააქტიურებისა და სახელმწიფოს „სოციალური დაგვირთვის“ რამდენადმე შემსუბუქებისა და სამოქალაქო საზოგადოების სოციალური როლის ამაღლების ტენდენციაზე. მაშასადამე, შვედურმა მოდელმა ფიასკო კი არ განიცადა, არამედ ხდება მისი მიზანმიმართული გარდაქმნა, რითაც კოლექტივიზმი რაციონალურად ერწყმის ინდივიდუალიზმს, ხოლო უნივერსალიზმი კარგავს აბსოლუტურობას.[1]

ამრიგად, შვედეთი დღეისათვის წარმატებით წყვეტს საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეული გარდაქმნის მესამე ეტაპის ამოცანას. როგორც აღინიშნა, პირველი ეტაპის ამოცანა იყო პოლიტიკური დემოკრატიის, „პლურალიზმის“ მიღწევა, მეორე ეტაპზე პრაქტიკულად განხორციელდა „სოციალური დემოკრატიის“ პრინციპების რეალიზაცია; მესამე ეტაპზე, რომელიც ეყრდნობა პირველ ორს, მთავარია „ეკონომიკური დემოკრატიის“ სრულყოფილად განხორციელება. მესამე ეტაპის სტრატეგიის რეალიზაციის დონეზე, სხვა რეალიებთან ერთად, მეტყველებს ის, რომ შვედეთში მიღწეულია არა მხოლოდ ცალკეული მოქალაქის კეთილდღეობა, არამედ ცხოვრების საერთო მაღალი დონე, ყველასათვის უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მომსახურება, შრომისა და მოხმარების თანაბარი უფლება ყველასათვის, დამკვიდრებულია უფასო კვება და განათლება საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, მოხუცებულთა უზრუნველი ცხოვრება, გადაწყვეტილია მოსახლეობის საბინაო და დასვენების პრობლემა და სხვ. საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი ერთიანი პუმანიზებული სისტემა მყარად ეწინააღმდეგება საზოგადოების ფენებად დამლას, დიფერენციაციას.[2]

როგორც ყოველივე აღნიშნულიდან ჩანს, შვედეთი დღეს განიცდის ახალი ტიპის სისტემური ზრდის სიძნელეებს, რაც კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს „კეთილდღეობის სახელმწიფოდან“ „კეთილდღეობის საზოგადოებაზე“ გადასვლის რთული

---

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения“, 2000, №9, გვ. 82.
[2] რევაზ გოგოხია. საბაზრო ეკონომიკა. ლექციები. თბ., 1996. გვ. 132-133.

პროცესის დაძლევაში. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო მიესადაგება შესამჩნევად ტრანსფორმირებულ საშინაო და საგარეო პირობებს, ხოლო სახელმწიფო ფინანსების მიმართ დაწესებული სავალუტო კონვერგენციის კრიტერიუმების გამოყენება სულ უფრო პასუხობს ევროკავშირის მოთხოვნებს.

ამრიგად, სისტემური თვისებრივი განახლებით მოცულ შვედეთს ყოველგვარი პირობა აქვს და უნარი შესწევს თანმიმდევრულად და წარმატებით გადაჭრას უნიკალური და ურთულესი ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური პრობლემები. ამასთან, შვედური მოდელის სპეციფიკა მოითხოვს, ერთი მხრივ, არ დაუშვას მასობრივი დესოციალიზაცია, რაც საზოგადოების შეძრწუნებას, იმედგაცრუებას გამოიწვევს, ხოლო, მეორე მხრივ, გაბედულად ჩამოაცილოს სახელმწიფოს ზედმეტი სოციალური დატვირთვა. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია შვედეთის პოლიტიკური პარტიებისა და ხელისუფლების ტრადიციულად ჩამოყალიბებული მაღალი პოლიტიკური კულტურა, დიალოგისა და კომპრომისების ხელოვნება, ქვეყნის ინტერესების გარშემო მჭიდრო დარაზმულობა, საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესობის აღიარება და მის გარშემო ყველა ძალის გაერთიანება.

თავი VII

იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი („იაპონური სასწაული“)

1. ზოგადი დახასიათება

იაპონია აშკარად გამოხატული დემოკრატიული სახელმწიფოა, ხოლო იმპერატორი – სახელმწიფოსა და ერის მთლიანობის სიმბოლო.

ეკონომიკური სიძლიერით იაპონია აშშ-ისა და ევროკავშირის შემდეგ მესამე ცენტრია მსოფლიოში. მისი ტერიტორია 378 ათასი კვ. კმ-ია, რომლის 99% მოდის ქვეყნის ოთხ დიდ კუნძულზე: ხოკაიდო, ხონსიუ, სიკოკუ და კიუსიუ. მთლიანობაში იაპონია შედგება 6800 კუნძულისაგან. მოსახლეობა – 126 მლნ ადამიანია, რომლის 73% ქალაქად ცხოვრობს. მეპ-ის მოცულობა (1996წ.) 4,6 ტრლნ დოლარია, შეადგენს მსოფლიო მთლიანი პროდუქტის 14%-ს და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. მოსახლეობის ერთ სულზე მეპ-ი შეადგენს 36600 დოლარს (აშშ-ში – 34000 დოლარია). იაპონიაზე მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების 12%. პირველი ადგილი უკავია გემთმშენებლობაში, ავტომშენებლობაში, დაზგების, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის, ელექტრონული კომპონენტების, რობოტების წარმოებაში. მასზე მოდის ტელევიზორების მსოფლიო წარმოების 60%, ფოლადის გამოდნობის – 14,3%, ხელოვნური ბოჭკოს – 12,3%.

სამეურნეო დინამიკის მკვეთრი დამუხრუჭების მიუხედავად (მშპ-ის ზრდის ტემპი უკანასკნელ წლებში 1%-ზე ნაკლებია), იაპონია განაგრძობს ლიდერობას ბევრ პოზიციაში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიმდინარე გადასახდელების დიდი დადებითი ბალანსი (95 მლრდ დოლარი 1997 წელს), ოქროვალუტის რეზერვი (22 მლრდ დოლარი), წმინდა საგარეგარეთული აქტივები (1 ტრლნ დოლარი), მოსახლეობის პირადი აქტივები და დანაზოგები (მშპ-ის ორწლიანი მოცულობის ეკვივალენტი). 80-იანი წლების შუა პერიოდში იაპონია გახდა მსოფლიოს უდიდესი კრედიტორი, ის სსფ-ს შემდეგ სიდიდით მეორე მეპაიეა მსოფლიოში. იაპონიის

ხვედრითი წონა საერთამორისო კრედიტში 5%-დან 1980 წელს, 20,6%-მდე გაიზარდა 1990 წელს.

იაპონიის კუნძულები არაჩვეულებრივად ლამაზია, მაგრამ ქვეყანა წიაღისეულით ერთობ ღარიბია, რამდენადმე სამეურნეო მნიშვნელობისაა მხოლოდ კირქვა, გაზი და ქვანახშირი. იაპონია ოკეანის რესურსებით მდიდარია, თევზისა და თევზპროდუქტების უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში (საშუალო წლიური თევზჭერა შეადგენს 13 მლნ ტონას). იაპონია ბუნებრივი რესურსებით ძალიან ღარიბია, ის თითქმის მთლიანად დამოკიდებულია გარე სამყაროზე, ე.ი. ნედლეულისა და სათბობის იმპორტზე, მათ შორის (%): ქვანასშირის — 97,1, ნავთობის — 99,7, რკინის მადნის — 100, სპილენძის — 99,9, ტყვიის — 95,5, ცინკის — 87,7, ბოქსიტების — 100. იაპონიის ტერიტორიის მხოლოდ 11%-ია ვარგისი სოფლის მეურნეობისათვის, ფერმები კი მცირე სიდიდისაა — ფართობით არ აღემატება 1,6 ჰა-ს.

იაპონია საკმაოდ კონსერვატიული ქვეყანაა. თანამედროვე ისტორიაში „დიდი ტრანსფორმაცია" მოხდა მხოლოდ ორჯერ: პირველად 1867-1868წწ. ბურჟუაზიული რევოლუციის დროს („რევოლუცია მეიძი"), რაც ნიშნავდა იაპონიის გადასვლას შუა საუკუნეების ეპოქიდან კაპიტალიზმზე. მეორე ცვალებადობა დაკავშირებულია იაპონიის დამარცხებასთან მეორე მსოფლიო ომში და მომდევნო რეფორმატორულ ღონისძიებებთან. ასე, რომ, ამ ორი დიდი ცვლილების შედეგად იაპონიამ ას წელიწადში განვლო გზა ტრადიციული ფეოდალურ-ეკონომიკური სისტემიდან განვითარებულ საბაზრო ეკონომიკამდე. იაპონიის ზოგმა მეზობელმა — სამხრეთ კორეამ, ტაივანმა, ტაილანდმა გამოიყენეს მისი გამოცდილება.

იაპონური ცივილიზაციის საფუძველია: 1. სინტოიზმი — იაპონიის ნაციონალური რელიგია, რაც ემყარება ქვეყნის საღვთო და დიდი დანიშნულების რწმენას; 2. ბუდიზმიც ქადაგებს შეუპოვრობასა და სიმტკიცეს მიზნის მიღწევაში; 3. კონფუციანელობაც ემყარება სახელმწიფოსა და საზოგადოების იერარქიულ სტრუქტურას. შესაბამისად, რაც მთავარია, სინტოიზმი „შემწყნარებელი" რელიგიაა, რაც მასთან ერთად, სხვა რელიგიების აღიარების შესაძლებლობას იძლევა. ეს კი იაპონელებს შესაძლებლობას აძლევს დაუბრკოლებლად გაითავისონ კულტურული, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ინოვაციები. სავსებით კანონზომიერია, რომ XIX

საუკუნის ბოლოს იაპონია მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა მოსახლეობის 100%-იანი წერა-კითხვის მცოდნეობით.

უნიკალურია იაპონიის საზოგადოებრივი განვითარების მოდელი. საზოგადოებაში მკაცრადაა დაცული იერარქია — ასაკითა და სოციალური მდგომარეობით უფროსთა — მეთაურობა (მბრძანებლობა). თავისებური კოლორიტით ხასიათდება აღმოსაელური მენტალიტეტი — მეჯიბრებითობის აღიარებული პრინციპი და განათლების კულტი. იაპონელთათვის ასევე ტრადიციულია ე.წ. სიუივიზმი (ფრანგ. suivre - მიბაძვა), რაც გამოიხატება კოლექტიურ ქმედებაში, ჩვევათა გადაღება-ურთიერთგაზიარებაში, საერთო გემოვნებაში და ა.შ. სიუივიზმის თავისებური ილუსტრირებაა იაპონური ანდაზა: „გზაზე გადასელა წითელ შუქზე შეიძლება, თუ ამას ყველა ერთად გავაკეთებთ". სიუივიზმი აისახება თვით მართვის იაპონურ მოდელში, რომლისთვისაც ასევე დამახასიათებელია ჩამოყალიბებული წესებისა და კანონების მტკიცედ დაცვა და ქცევის საერთოდ მიღებული ნორმების დარღვევისადმი სიძულვილი. ამ ფონზე მართლაც რომ ბუნებრიეად ისმის რიტორიკული კითხვა: იპონიამ მოკლე პერიოდში როგორ მოახერხა ეკონომიკურად მძლავრი მეორე ქვეყანა გამხდარიყო მსოფლიოში?

2. ომის შემდგომი განვითარების თავისებურებანი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები

ომის შემდგომ წლებში იაპონიამ დიდ წარმატებებს მიაღწია ეროვნული ეკონომიკის აღმავლობაში. ზრდის დინამიკით, ეკონომიკური საქმიანობის მოტივაციით, ბიზნესის ორგანიზაციის ფორმებით, პროდუქციის ხარისხითა და კონკურენტუნარიანობით იაპონიას ანალოგი არ გააჩნია ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორისაც კი.

გამოკვეთილად თავისებურია მეორე მსოფლიო ომის შედეგების ლიკვიდაციისა და ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის იაპონური გამოცდილება.. ეს, უწინარესად, დაკავშირებულია იაპონიის დამარცხებასთან მეორე მსოფლიო ომში, როცა ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად ამოქმედდა თანამედროვე ადმინისტრირების მკაცრი ვერტიკალი — დამშვენებული

დეკორატიული დემოკრატიზმით, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო: 1. ძირითადი პროდუქტების წარმოებისა და განაწილების ცენტრალიზებული დაგეგმვა; 2. ფიქსირებული ხელფასი და რეგულირებადი ფასები; 3. მწარმოებლების, მიმწოდებლებისა და მომხმარებლების მკაცრი „ურთიერთმიბმა"; 4. საბარათო სისტემა; 5. მონოპოლიზაცია და მილიტარიზაცია — უმსხვილესი კონცერნების არსებობა, რომელთა უმეტესობაც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი იყო. როგორც ჩანს, იაპონიის „ამომავალი მზის ქვეყნად" გადაქცევის სასტარტო პირობები საკმაოდ მძიმე იყო, თუმცა მან ეს ყველაფერი დაძლია, რაშიც არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა ტრადიციულმა აღმოსავლურმა მენტალიტეტმა, იაპონელთა რკინისებურმა დისციპლინამ და შრომისმოყვარეობამ. ამასთან, არანაკლებია საოკუპაციო ხელისუფლების როლიც, რომელმაც ახალი სული ჩაუდგა იაპონურ რეფომებს. ფაქტობრივად, იაპონური რეფორმები დამუშავდა წამყვანი ამერიკელი პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ, ხოლო ადგილზე, ვაშინგტონის დირექტიეებით, რეფორმები ხორციელდებოდა ცნობილი გენერლის დუგლას მაკარტურის ხელმძღვანელობით. რეფორმის მიზანი იყო იაპონიაში დემოკრატიული კაპიტალიზმის მშენებლობა, ყოფილი აგრესორის განიარაღება. ამ ასპექტით ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროგრამა ითვალისწინებდა ფულად რეფორმას, ეკონომიკის დემონოპოლიზაციას, შრომით ურთიერთობათა რეფორმას, სამხედრო წარმოების კონვერსიას, საბიუჯეტო რეფორმას, ფულადი მიმოქცევის სტაბილიზაციას და ვალუტის კურსის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას, საგადასახადო რეფორმას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმა განხორციელდა უმკაცრესი დისციპლინის, არსებითად — დიქტატურის პირობებში, რამაც მნიშნელოვანწილად განაპირობა რეფორმის წარმატება. აშშ-ის საოკუპაციო ადმინისტრაციამ იაპონიაში განახორციელა ღრმა ინსტიტუციური რეფორმების სერია. გერმანიის მსგავსად, აქაც მოხდა ფასების ლიბერალიზაცია, სტაბილიზებულ იქნა ბიუჯეტი და შემოიღეს ფიქსირებული საავალუტო კურსი, განხორციელდა ეკონომიკური ძლიერების უკიდურესი კონცენტრაციის დაძლევისა და საბაზრო კონკურენციის გაძლიერების პროგრამები.

უნიკალურია თავისი მასშტაბითა და შედეგებით აგრარული რეფორმაც — განხორციელდა მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისა და მიწების მასობრივი გაყიდვის ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო წვრილ, დამოუკიდებელ ფერმერულ მეურნეობათა შექმნას. მთელი მიწების დაახლოებით 80% ჩამოერთვა მემამულეებს, რომლებიც თითქმის არ იყენებდნენ ამ მიწებს საწარმოო მიზნით, და ის მიეყიდა საკმაოდ დაბალი ფასებით გლეხებს. ამან საფუძველი ჩაუყარა მასობრივ ფერმერულ მოძრაობას და რეფორმიდან სულ რაღაც ორი წლის შემდეგ ქვეყანამ დაძლია სასურსათო კრიზისი. მიწის ახალმა მესაკუთრეებმა უმოკლეს დროში შეძლეს შიმშილის პრობლემის გადაჭრა.

არანაკლები რადიკალური რეფორმა იყო ეკონომიკის დემონოპოლიზაცია, რომლის მსვლელობაშიც მოსახლეობის ფართო ფენებისათვის საწარმო-მონოპოლისტთა აქციების მიყიდვით ჩამოყალიბდა მესაკუთრეთა მასობრივი ფენა. მოკლე პერიოდში, სულ რაღაც ორ წელიწადში, განხორციელდა საკუთრების უფლების გადანაწილების მსოფლიო ისტორიაში უმსხვილესი ოპერაცია, რომლითაც აქციების 70% გადავიდა მოქალაქეთა ხელში. ეს გახდა იაპონიაში ახალი შრომითი ურთიერთობების საფუძველი, რაც ვლინდება იმით, რომ დასაქმებულ მუშაკებს თავისი კომპანია საკუთარ ოჯახად, მშობლიურ გარემოდ მიაჩნიათ.

აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, საოკუპაციო მთავრობამ განახორციელა ასევე საგადასახადო რეფორმა, რამაც საწარმოებისათვის უზრუნველყო დაგროვების შიგაწყაროების გაჩენა.

ასეთმა თანმიმდევრულმა რეფორმებმა უზრუნველყვეს იაპონიის „ეკონომიკური სასწაული“. დემილიტარიზაციისა და ქვეყნიდან საოკუპაციო ჯარების გასვლის შემდეგ იაპონიამ თავის განკარგულებაში მიიღო გარდაქმნილი ეკონომიკა, რომელიც თანდათანობით ითვისებდა მსოფლიოში აპრობირებულ მეურნეობრიობის მოწინავე მეთოდებს. ამის საფუძველზე იაპონიის ეკონომიკურმა განვითარებამ უმაღლეს დონეს მიაღწია 50-იან წლებში, როცა მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 14,9% შეადგინა. მომდევნო პერიოდში კი ის შედარებით შენელდა: 60-იან წლებში იყო 11,3%, 70-იან წლებში — 4,5%, 80-იან წლებში — 3,8%, 90-იან წლებში — 1,8%. იაპონიის ეკონომიკის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ეტაპები: ომისშემდგომი პირველი წლების რე-

ფორმები (1946-1952წწ.); ზრდის მაღალი ტემპების პერიოდი (1955-1973წწ.); ნედლეულსა და სათბობზე ფასების ზრდისადმი ადაპტაციის პერიოდი (1974-1989წწ.) და 90-იანი წლების სტრუქტურული კრიზისის პერიოდი.

მთლიანობაში, თუ 1970 წლამდე იაპონიისათვის დამახასიათებელი იყო ეკონომიკური ზრდის ექსტენსიური ტიპი (შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობა ვერტიკალურ ფორმებზე ორიენტაციით, „წარმოების მასშტაბის ეფექტის" მაქსიმალური გამოყენება წარმოების ხარჯების ეკონომიის მიზნით, მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების გადმოღება და ათვისება, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემაში სახელმწიფოს დომინირებადი როლი), 1970-იანი წლებიდან იაპონიის ეკონომიკური განვითარების ახალი ეტაპის დამახასიათებელი ნიშნები გასდა საწარმოო რესურსების გამოყენების ინტენსიფიკაცია, წარმოების დარგობრივი სტრუქტურასა და დასაქმებაში ცვლილებები, ეკონომიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლის მკვეთრად გაძლიერება, საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის შეცვლა – საქონელთა ექსპორტიდან უპირატესად კაპიტალის ექსპორტზე გადასვლის მიმართულებით, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემაში პრიორიტეტების შეცვლა არაპირდაპირ რეგულირებაზე კურსის აღებით.

მას შემდეგ, რაც იაპონიამ დაძლია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით თავისი ტექნიკური ჩამორჩენა და აითვისა ახალი ტექნოლოგიები, შეუდგა ახალი მსოფლიო სტანდარტების მზა ნაკეთობათა სერიულ გამოშვებას. ასევე, განხორციელდა მსხვილ საწარმოთა რეკონსტრუქცია, შეიქმნა რიგი ახალი, ომისშემდგომი თაობის დარგი, როგორიცაა: ნავთობქიმია, სინთეზური ბოჭკოს და ფისის წარმოება, ელექტრონიკა, ახალ ტექნიკურ ბაზაზე ჩამოყალიბდა გადამამუშაევებელი მრეწველობა თავისი მრავალი განშტოებით. ამ პერიოდში სახელმწიფო აქტიურად ერეოდა დარგებსა და საწარმოებს შორის რესურსების განაწილებაში, მრეწველობის ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით, ე.ი. ახორციელებდა მიზანმიმართულ სამრეწველო პოლიტიკას. ამის შედეგად 60-იანი წლების ბოლოს იაპონიაში შეიქმნა კონკურენტუნარიანი ექსპორტის სამრეწველო პოტენციალი, დაძლეულ იქნა სავაჭრო ბალანსის პერიოდული დეფიციტი. 70-იანი წლების ბო-

ლოს კი გაუქმდა იმპორტზე საეალუტო-სალიცენზიო კონტროლი, მოიხსნა უცხოური კაპიტალის მოდინებაზე შეზღუდვები, შემდგომ კი იაპონიის კაპიტალის ექსპორტზეც იგივე გავრცელდა.

იაპონიის ეკონომიკური განვითარების მომდევნო პერიოდი ხასიათდება როგორც სტრუქტურული აღაპტაციისა და ინტერნაციონალიზაციის პერიოდი. 70-იან წლებში ნავთობის ორმა მსოფლიო კრიზისმა გამოიწვია იაპონიაში ინფლაცია და ეკონომიკური ზრდის ტემპების მკვეთრი შენელება. ამავე პერიოდში ამოიწურა ექსტენსიური ზრდის რეზერვები, განსაკუთრებით ახალი შრომითი რესურსების მოზიდვის დარგში. ამიტომაც ეკონომიკა დაადგა რესურსების დაზოგვისა და კაპიტალტევადი წარმოების ზრდის გზას. იაპონიის მრეწველობა სულ უფრო ორიენტირებული გახდა მეცნიერებატევად დარგებზე, მისი ღერძი გახდა ელექტრონული მანქანათმშენებლობა და კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების წარმოება.

ამასთანავე, 1980-იან წლებში იაპონიაში განხორციელდა ადმინისტრაციული რეფორმა, რომლითაც დენაციონალიზებულ იქნა რიგი მსხვილი საწარმო, მოხდა საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის კორექტირება, შემცირდა სახელმწიფოს სოციალური ხარჯები.

80-იანი წლების ბოლოდან, ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან ეკონომიკური წინააღმდეგობების გამწვავებისა და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მხრივ კონკურენციის გაძლიერების დასაძლევად, იაპონიაში დაიწყო ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა საშინაო მოთხოვნის გაფართოების, მომსახურების სფეროსა და ინფორმატიკის როლის გაძლიერების, საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარების მიზნით. პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭა „მაღალი პოტენციური ზრდის“ დარგებს, მაღალტექნოლოგიურ პროექტებსა და მეცნიერულ-ტექნიკურ მიმართულებებს, როგორიცაა ტელეკომუნიკაციები, ავიაცია და კოსმონავტიკა, მედიცინა, ბიოტექნოლოგია, გარემოს დაცვა და ა.შ.

განვითარების უპირატესად ინტენსიურ ტიპზე გადასვლის შემდეგ მკვეთრად ამაღლდა იაპონიის ეკონომიკის ეფექტიანობა, იაპონია გადაიქცა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად.

ამრიგად, ისტორიულად ძალზე მოკლე ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით — 1955-1985წწ., იაპონია გახდა მსოფლიოში

ერთ-ერთი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და დიდი პოტენციალის მქონე ქვეყანა. აღნიშნულ პერიოდში მშპ გადიდდა 37-ჯერ, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით კი — 27,7-ჯერ, ეროვნული სიმდიდრე — 5,6-ჯერ, ხოლო აქტივთა მთლიანი მოცულობა — 77-ჯერ. მშპ-ს წარმოებით, 1985 წელს, იაპონიამ მსოფლიოში დაიკავა მეორე ადგილი (აშშ-ს შემდეგ), ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით კი, გაუსწრო აშშ-ს. 1986 წლისათვის, იაპონიას მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოებით, მეორე — კომპიუტერების წარმოებით. 1985 წელს იაპონიაში გამოიყენებოდა 93 ათასი სამრეწველო რობოტი, რაც შეადგენდა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში გამოყენებული რობოტების 70%-ს და მას ამ მხრივ პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში.

იაპონიის ეკონომიკის წარმატება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ასევე ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა: მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, ხელსაყრელი საგარეო პირობები, სახელმწიფოსა და ბიზნესის კოოპერაცია, ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ქსელური სისტემა, რითაც თითქმის ყველა იაპონური ფირმა პრაქტიკულად დაკავშირებულია ერთიმეორესთან სხვადასხვა მექანიზმით.

იაპონიის „ეკონომიკური სასწაულის" ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი დიდი და უნიკალური ადამიანისეული პოტენციალის გამოყენებაა. იაპონელთა ერთ-ერთი მთავარი თვისება ქცევისა და საერთოდ ყოფიერების კოლექტიური მანერაა. მისი ძირითადი პრინციპებია: ლიდერისადმი მკაცრი მორჩილება და უფროსისადმი ზედმიწევნითი პატივისცემა; თანაცხოვრებისა და ერთობლივი საქმიანობის დადგენილი წესების დაცვა; ურთიერთსიყვარული და პატივისცემა; ორგანიზებულობა და დისციპლინირებულობა — მორჩილება განსაზღვრული ნორმატიული მოთხოვნებისადმი; პატიოსნება და ღირსება, როგორც საქმიანობისა და ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი; სტაბილურობა როგორც საზოგადოების უმაღლესი ფასეულობის კრიტერიუმი; შრომის დიდი სიყვარული მიუხედავად დასაქმების ხასიათისა, პრინციპით — „ყველა სამუშაო კარგია, რომელიც ადამიანს კმაყოფილებას და საზოგადოებრივ აღიარებას მოუტანს, თვითრეალიზაციის საშუალებას მისცემს".

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით იაპონიაში ჩამოყალიბდა უნიკალური კადრები, რომლებიც მუშაობენ არა მხოლოდ შემოსავლებისათვის, არამედ ქვეყნის სტაბილურობისა და აყვავებისათვის; სხვანაირად რომ ვთქვათ, იაპონიაში მართლაც რომ „კადრები წყვეტენ ყველაფერს". სწორედ ასეთ კადრებს ამზადებს ქვეყნის როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური, ასევე კერძო უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა სისხლხორცეული ამოცანაა მაღალგანათლებული, ინტელიგენტური, ფართოდ ინფორმირებული და სოციალურად აქტიური სპეციალისტების აღზრდა. აქედან გამომდინარე, სავსებით კანონზომიერია ის, რომ კადრების სპეციალიზაციას ყველა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი უთმობს სასწავლო დროის 30%-ზე ნაკლებს. შესაბამისად, პროფესიონალიზმის ჩამოყალიბება წარმოების, ე.ი. შიგასაფირმო ამოცანადაა მიჩნეული.

მაღალკვალიფიციური კადრები იაპონური მენეჯმენტის საფუძველია, რაც არსებითად დასავლურს ემყარება, თუმცა მნიშვნელოვანი სპეციფიკითაც ხასიათდება. იაპონური მენეჯმენტი ბიზნესის წარმატების საიდუმლოს ხედავს უნარში – „აღზარდო ადამიანი და იმუშაო მასთან". სხვა კომპონენტებია: ფირმის საქმიანობისა და მისიის იდეოლოგიის ნათლად ჩამოყალიბება, რწმენა იმისა, რომ ყველაფერი, რაც იწყება, უნდა განვითარდეს; ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა დონესა და ეტაპზე უნდა იყო ადამიანი, ადამიანი ბუნების ნაწილია – უნდა დაექვემდებარო მის კანონებს; გახსოვდეს – ფირმის შემოსავლები – თანამშრომელთა საქმიანობის ანაზღაურების წყაროა; გწამდეს წარმატების – სიძნელეების მოუხედავად, ის აღრე თუ გვიან აუცილებლად მოვა; ხშირად დაეკითხე კოლექტივს და გწამდეს მისი; ბიზნესი – შემოქმედებაა; გაითავისე პასუხისმგებლობა ყველა დროში დროის გამოყენებაზე; შეგეძლოს დინამიკური მოძრაობა „წინააღმდეგობიდან შეთანხმებისაკენ", იყავ პირდაპირი და გახსნილი; გწამდეს საზოგადოების სამართლიანობის და გამოაველინე ინტერესი პოლიტიკისადმი.

საბოლოო ანგარიშით, იაპონიის ეროვნული ეკონომიკის მოდელის ჩამოყალიბებაში გამოირჩევა ორი პერიოდი – ომის შემდგომი, ასე ვთქვათ, გარდამავალი ეკონომიკა, რომლის (პირველი პერიოდის) *ეკონომიკური ორიენტაცია* იყო წარმოების

პრიორიტეტი, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება რაოდენობრივი ზრდის ანგარიშზე; *ეკონომიკური ზრდის მეთოდი* იყო საგარეო ვაჭრობის განვითარება უწინარესად ექსპორტის მეშვეობით; *წარმოების ტექნოლოგიის სასიათს განსაზღვრავდა* ენერგიის ახალი წყაროების გამოყენება, მისი კონცენტრაცია და უპირატესად ბუნებრივი რესურსების გამოყენება, თუმცა ამას შეეძლო გამოეწვია ეკონომიკური წონასწორობის დარღვევა; *წარმოების წამყვანი დარგი* იყო გადამამუშავებელი მრეწველობა; *სამუშაო ძალის* მხრივ ადგილი ჰქონდა უპირატესად ახალგაზრდა მუშების სიჭარბეს; *სახელმწიფოს კურსი* იყო აშშ-სა და ევროპის ქვეყნების დაწევა და გასწრება; *ფასეულობითი ორიენტაცია* – ერთგვაროვნება, კოლექტივიზმი; *საერთაშორისო წვლილი* – პასიური. მეორე – პოსტგარდამავალი პერიოდის *ეკონომიკური ორიენტაცია* იყო მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლება, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მისწრაფება საზოგადოებაში სტაბილურობისაკენ; *ეკონომიკის ზრდის მეთოდი* – საშინაო ბაზრის გაფართოება; *წარმოების ტექნოლოგიის სასიათი* – ინფორმაციული რევოლუცია, წარმოების პროცესის დაქუცმაცება, ბუნებრივი რესურსების წილის შემცირება წარმოებულ საქონელში, გარემოს დაცვა-შენარჩუნება; *წარმოების წამყვანი დარგი* – ტექნიკურად რთული, მაღალტექნოლოგიური დარგი; *სამუშაო ძალა* – სამუშაო ძალის უკმარისობა, ხანდაზმული ადამიანების წილის ზრდა; *სახელმწიფო კურსი* – ღია პოსტინდუსტრიული საზოგადოების მშენებლობა; *ფასეულობითი ორიენტაცია* – მრავალფეროვნება, პლურალისტური წესი; *საერთაშორისო წვლილი* – აქტიური და კონსტრუქციული.

3. იაპონიის ეკონომიკის სტრუქტურა და ძირითადი ნიშნები

90-იანი წლების ბოლოსთვის იაპონიისათვის დამახასიათებელი იყო ეროვნული მეურნეობის შემდეგი სტრუქტურა: მშპ-ს 41%-ს შეადგენდა მრეწველობის პროდუქცია, მომსახურების სფერო – 56,7%, ხოლო სოფლის მეურნეობისა – 2,2%. ეკონომიკის სტრუქტურით იაპონია რამდენადმე განსხვავდება დიდი შვიდეუ-

ლის სხვა ქვეყნებისაგან, რომლებშიც მაღალია არამატერიალური წარმოების სფეროს წილი. იაპონიისათვის კი, პირიქით, დამახასიათებელია „ზეინდუსტრიალიზაცია“.

ამასთან, მაღალგანვითარებულია სოფლის მეურნეობაც, რომელიც უზრუნველყოფს კვების პროდუქტებზე ქვეყნის მოთხოვნილების 70%-ზე მეტს. ძირითადი კულტურებია: ბრინჯი, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, ციტრუსოვნები. სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი ინტენსიურობითა და მოსავლიანობით. მიწის სიმცირის გამო ქვეყანაში არსებობს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დიდი რაოდენობა, სადაც ხილი და ბოსტნეული იწარმოება ხელოვნურად, რომელიც სასარგებლო თვისებებით არ ჩამოუვარდება ბუნებრივს.

ბუნებრივია, იაპონიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თევზის მრეწველობას.

რაც შეეხება მთლიანად მრეწველობას, იაპონიისათვის დამახასიათებელია მძიმე და მოპოვებითი დარგების ხვედრითი წონის შემცირება და მეცნიერებატევადი დარგების ინტენსიური ზრდა. ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რობოტების, მიკროსქემების, ტელეკომუნიკაციების მოწყობილობათა წარმოებას, აეროკოსმოსურ ინდუსტრიას. გარდა ამისა, იაპონია სპეციალიზდება ავტომშენებლობაზე (წელიწადში დაახლოებით 13 მლნ ავტომობილი), საერთო და საგრანსპორტო მანქანათმშენებლობაზე, ელექტრომომარაგებაზე, ქიმიური მრეწველობისა და მაღალხარისხოვანი ფოლადის წარმოებაზე.

იაპონია მსოფლიოში ლიდერობს ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ტექნოლოგიაში. საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკურ ღონისძიებათა 80%-ს აფინანსებს კორპორაციები. ამასთან, მიუხედავად საკუთარი ტექნოლოგიური ბაზის სიმყარისა, იაპონია აქტიურად ისრუტავს უცხოურ სიახლეებს და აქტიურად ნერგავს კიდეც.

იაპონიის ენერგეტიკა დიდადაა დამოკიდებული იმპორტზე. ამიტომ აქტიურად იღვწიან ელექტროენერგიის არაგრადიციული წაყროების გამოყენებისათვის. მაღალგანვითარებულია ტრანსპორტის ყველა სახეობა.

არამატერიალური წარმოების სფეროთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვაჭრობა, ფინანსები და საბანკო საქმე.

იაპონიისათვის დამახასიათებელია წერილ მეწარმეთა დიდი სოციალური ფენა. საოჯახო ტიპის კერძო საწარმოები ჭარბობს არა მხოლოდ საცალო ვაჭრობაში, საზკვებასა და მომსახურების სხვა სფეროებში, არამედ გადამამუშავებელ მრეწველობაშიც. მაგალითად, ამ უკანასკნელში დაქირავებულ მუშაკთა 74% დასაქმებულია საწარმოებში, რომელთაც აქვთ 300-მდე სამუშაო ადგილი.

პრაქტიკულად დაქირავებული შრომის გარეშე ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობა. იაპონიაში არის 2 მლნ 600 ათასი გლეხური მეურნეობა, უპირატესად — წერილი. მიწის ნაკვეთის საშუალო სიდიდე 1,9 პა-ია (თუმცა დამუშავებული მიწების ნახევარზე მეტი სარწყავია, რომელიც წელიწადში ორ მოსავალს იძლევა). მათი მხოლოდ 17%-ია სოფლის მეურნეობით დაკავებული. სხვები, სარგებლობენ რა ქალაქებთან სიახლოვითა და ტრანსპორტის ქსელით, შემოსავლის დიდ ნაწილს იღებენ სხვა დარგებიდან.

იაპონიისათვის დამახასიათებელია ასევე დასაქმების მაღალი დონე. 70-იანი წლების მანძილზე უმუშევრობის დონე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 2-2,8%-ის დონეზე იყო და მხოლოდ 90-იან წლებში გადააცილა 3%-ს. იაპონიის სახელგანთქმული „სამუდამოდ დაქირავების სისტემა“ — სტაჟის მიხედვით ანაზღაურებით — ეს არაფორმალური ინსტიტუტია. ის ვრცელდება მხოლოდ მსხვილ საწარმოებზე და მოიცავს ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის მუშაკებს მენეჯერების, ინჟინრების და სხვათა სახით (დაქირავებით მომუშავეთა არა უმეტეს 10%-ისა). შესაბამისად, იაპონიაში პრაქტიკულად არ არის შრომის ბაზარი მმართველთა უმაღლესი რგოლისათვის. მენეჯერის კარიერა — მთელი სასიცოცხლო პერიოდის კარიერაა ერთსადაიმავე ფირმაში.

სხვა დაქირავებულ მუშაკთა უმუშევრობის დაბალი დონე აიხსნება რიგი ფაქტორით, როგორიცაა: სოციალური პარტნიორობის ტრადიციები, სამუშაო ადგილებზე კარგად დაყენებული სწავლება, დროებითი კონტრაქტებით სამუშაოს ფართოდ გავრცელება (ან კიდევ — არასრული სამუშაო დღით) ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში.

იაპონიის მსხვილ კორპორაციათა სექტორი — ესაა 2,4 ათასი სააქციო კომპანია, რომელთა აქციებიც კოტირდებიან საფონდო ბირჟებზე. გარდა ამისა, ქვეყანაში არის წერილ საწარმოთა მასა

– 3,7 მლნ ინდივიდუალური და საოჯახო საწარმოთა სახით და 770 ათასი – პარტნიორობა.

პრაქტიკულად ყველა საწარმო გაერთიანებულია დარგობრივ კავშირებში – არამომგებიანი საწარმოების თავისუფალი წევრობით და თავისუფლად გამოსვლის უფლებით.

ეკონომიკის იაპონურ მოდელში არსებითი სპეციფიკით ხასიათდება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობა. ამ უკანასკნელს საფუძველად უდევს ღრმა ეროვნული ტრადიციები და ემყარება პარტნიორულ ურთიერთობას. სახელმწიფოს მეშვეობით ნაწილდება მშპ-ს დაახლოებით 40%, რაც მნიშვნელოვნად აღემატება აშშ-ს მაჩვენებელს, მაგრამ ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. აშშ-ში სახელმწიფოს მიერ რეგულირებად დარგებში იწარმოება მშპ-ს მხოლოდ 6%, იაპონიაში ეს მაჩვენებელი შეადგენს მრეწველობაში – 16,8%-ს, სოფლის მეურნეობაში – 86%-ს, საფინანსო სფეროში – 100%-ს, საშუალოდ – 50%-ს. იაპონიაში არსებობს დაახლოებით 10 ათასი კომპანია, რომლებიც ერთობლივად ფინანსირდება სახელმწიფოსა და კერძო მესაკუთრეების მიერ. ამასთან, მთავარია ის, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მთლიანობაში სახელმწიფო ხელმძღვანელობს მისი რეგულირების ფართო არსენალის გამოყენებით. სახელმწიფო განსაზღვრავს და ცვლის ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტებს, ამუშავებს და მკაცრად ატარებს სამრეწველო პოლიტიკას და ა.შ. საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო და ბიზნესი თანაბრად ინაწილებენ ეროვნული ეკონომიკის განვითარების შედეგებზე პასუხისმგებლობას.

ამასთან, იაპონიაში შექმნილია ბიზნესის მართვის ორიგინალური სტრუქტურა, რომელიც გამოირჩევა მოქნილობითა და სწრაფადცვალებადი მოთხოვნებისადმი აღაპტირებით. ფრიად საინტერესოა ისიც, რომ წარმოების ორგანიზაციაში ფართოდ გამოიყენება კონფუციანურ-ბუდისტური ცივილიზაციის კოლექტიური ტრადიციები, დიდი ეფექტი აქვე სამუშაო ადგილებზე კონტროლს, ხარისხის წრეთა საქმიანობას და ა.შ.[1]

იაპონიაში ბიზნესი იყოფა ორ ჯგუფად: მსხვილი ბიზნესი და საშუალო და მცირე ბიზნესი. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება იური-

---

[1] **А.Г. Мовсесян, С.Б. Огнивцев.** დასახელებული ნაშრომი, გვ. 527.

დიული პირები (ფირმები და სხვა) 100 მლნ-მდე იენის კაპიტალით ან 300 კაცამდე მომუშაევეთ. 1996 წელს მოქმედებდა 627 ათასი ქარხანა, რომელთა შორის საშუალო და მცირე საწარმოთა წილი, სადაც მომუშაევეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 300 კაცს, შეადგენდა 99%-ს.

მსხვილ საწარმოებსა და საშუალო და წვრილ საწარმოებს შორის განსხვავება თვალსაჩინოა. მაგალითად, მსხვილი ქარხნების 0,1%, სადაც თითოეულში მუშაობს 1000 კაცზე მეტი, აწარმოებს ქვეყნის მთლიანი პროდუქტის 25%-ს, ხოლო მცირე ქარხნების 72,7%, სადაც თითოეულში დასაქმებულია 9 კაცზე ნაკლები, იძლევა პროდუქციის 5,3%-ს. ასევე მნიშვნელოვანია განსხვავება შრომის მწარმოებლურობისა და ხელფასის დონეში, თუმცა, მიუხედავად, ამისა, ქვეყანაში ძალზე დიდია საშუალო და მცირე ბიზნესის როლი, სადაც მუშაობს დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 73%, ხოლო იწარმოება გამოშვებული მთლიანი პროდუქციის 50%.

ᲛᲡᲮᲕᲘᲚ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ კი განსაკუთრებით გამოირჩევა ფინანსური ჯგუფები, რომლებიც დიდძალ კაპიტალს მართავენ, მათ შორისაა: „მიცუი“, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 280 ათას კაცს, ხოლო მოგება — 153,6 მლრდ იენს; „მიცუბისი“, შესაბამისად — 240 ათასი კაცი და 546,3 მლრდ იენის მოგება; „სუმიტომო“, შესაბამისად, 150 ათასი კაცი და 12 მლრდ იენის მოგება; „მიცუვა“, შესაბამისად, 280 ათასი კაცი და 426 მლრდ იენის მოგება; „ჯიტიგინ“, შესაბამისად, 440 ათასი კაცი და 940,7 მლრდ იენის მოგება.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1999 წელს მსოფლიოს 40 უმსხვილესი კომპანიიდან 16 იაპონური იყო. ასეთი მსხვილი კომპანიების მოქმედება რამდენადმე სპეციფიკურია: ხდება მათი გარკვეულწილად შეზრდა მთავრობასთან, რის შედეგადაც ისინი ასე თუ ისე ზემოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკური კურსის ფორმირებაზე. ბევრი იაპონელი პოლიტიკოსი სარგებლობს მსხვილ კომპანიათა მხარდაჭერით და, პირიქით.

ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡ საფინანსო სისტემას აერთიანებს ტელეკომუნიკაციების ბანკთაშორისი საინფორმაციო სისტემა, რაც ყველაზე განვითარებულია მსოფლიოში. ის კომპიუტერული ქსელის მეშვეობით

აერთიანებს 5300 საფინანსო ორგანიზაციას და 42000 ფილიალს, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ ყოველგვარი გზაენილი ყველა ადგილიდან იმავე დღეს მიიღონ.

იაპონიაში ცხრა მსხვილი კომერციული ბანკია, რომელთაც უფლება აქვთ გახსნან განყოფილებები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ᲥᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ 129 ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲐᲨᲘ, 33 ᲢᲠᲐᲡᲢ-ᲑᲐᲜᲙᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲜᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲞᲔᲜᲡᲘᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲘᲝ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲡ, ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲡᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ 13 ᲑᲐᲜᲙᲘ: ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢ-ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲣᲗᲘ ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ (ᲣᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ) ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ, 13 ᲑᲐᲜᲙᲘ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲥᲡᲔᲚᲘ ᲓᲐ 73 ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ (ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲬᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘᲔᲑᲘ) ᲡᲐᲞᲐᲘᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲛᲐᲗ ᲠᲘᲪᲮᲔᲡ ᲛᲘᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ, ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲖᲔᲕᲠᲕᲐᲨᲘ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ. ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ, ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ, ᲮᲘᲓᲔᲑᲘᲡ, ᲓᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ, ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲚᲒ.

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ 80-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ-ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲰᲝᲚᲘᲐ, ᲐᲕᲘᲐᲮᲐᲖᲘ „JAE“ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲜᲐᲒᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲢᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ Ა.Შ.

ამრიგად, იაპონიაში, მსგავსად აშშ-ისა, სახელმწიფო სექტორი დიდი არ არის. დასავლეთი ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ის მოქმედებს არა მრეწველობაში, არამედ ინფრასტრუქტურის დარგებში. იაპონია მძლავრი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ქვეყანაა, რაც ხორციელდება სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის გარეშე. მის არსენალშია საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო ბერკეტები, საგარეო ვაჭრობის საბაჟო-სატარიფო რეგულირება, ბაზრებზე კონკურენციის მხარდაჭერა და ბუნებრივ მონოპოლიათა საქმიანობის რეგლამენტირება.

იაპონია როგორც ქვეყანა, შედარებით „მცირე" მთავრობის სახელმწიფოა. მისი კონსოლიდირებული ბიუჯეტის ხარჯები მშპ-ს 26-27%-ია. ეფექტიანი საგადასახადო განაკვეთი (საერთოეროვნული და ადგილობრივი გადასახადების ჯამი) მშპ-ის 22-23%-ია.

ცენტრალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საფუძველია პირდაპირი გადასახადები. მოქალაქეთა შემოსავლებზე, მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე გადასახადები შეადგენს მთელ საგადასახადო შემოსულობის 42%-ს. მოგების გადასახადი დაბალია და დიფერენცირებულია საწარმოთა სიდიდის მიხედვით — 26-33%-ის ფარგლებში. არაპირდაპირი გადასახადი არსებობს სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, რაც შეადგენს საცალო ფასის სულ 5%-ს.

იაპონიის ბიუჯეტის დანახარჯებითი ნაწილის თავისებურებაა ეროვნული თავდაცვის დაფინანსების ძალიან დაბალი დონე (6%, ანუ მშპ-ს 1%-ზე ნაკლები). დანახარჯების უმსხვილესი მუხლია სოცდაზღვევა და პენსიები (16-18%), ასევე სახელმწიფო ინვესტიციები და ინფრასტრუქტურა.

დღეისათვის ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის ხარჯების ყველაზე დიდი ნაწილია სახელმწიფო ვალის მომსახურება. 90-იან წლებში ქვეყანა განიცდის ომისშემდგომ პერიოდში მესამე საბიუჯეტო კრიზისს (1946-1949წწ., 1977-1980წწ.). 1996-97 საფინანსო წელს ბიუჯეტის კრიზისმა, რაც იფარება სახელმწიფო ობლიგაციებით, მიაღწია სახიფათო დონეს — 28%-ს, რაც შეადგენს ქვეყნის მშპ-ს 4,2%-ს.

ყოველივე ზემომითითებულთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად განსხვავებული, სპეციფიკურია ეროვნული ეკონომიკის დარგთა კლასიფიკაცია იაპონიაში, რაც „საბოლოო მიდგომის“ პრინციპს ემყარება, რომლის თანახმადაც „წარმოება წარმოებისათვის“ ნონსენსია, რამდენადაც პროდუქტი იწარმოება მოხმარებისათვის, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ამ მეთოდოლოგიით ყველა დარგი დაყოფილია სამ სექტორად: პირველი სექტორი – სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, ტყის მეურნეობა; მეორე სექტორი – სამთო მრეწველობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა; მესამე სექტორი – ელექტროენერგეტიკა, გაზის და თბომეურნეობა, წყალმომარაგება, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ვაჭრობა, ფინანსები დაზღვევა, მომსახურება, მართვა და ა.შ.

ამ კლასიფიკაციის საფუძველზე მთავრობა ახორციელებს ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროგნოზირებასა და მართვას. ამასთან, იაპონია მტკიცედ აღგას ეროვნული ეკონომიკის მესამე სექტორის ხვედრითი წონის გადიდების პოლიტიკას, რამდენადაც მიაჩნიათ, რომ ყოველი ცივილიზებული საზოგადოების მიზანია, უწინარეს ყოვლისა, ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნას საბოლოო მომხმარებლებისათვის. ამით ვლინდება იაპონიის ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის ფორმების განსხვავება მრეწველურად განვითარებული სხვა ქვეყნების მოდელებისაგან.

ჩაპონიის ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების დინამიკა 1900-2000 წწ. ხასაითდება შემდეგი მაჩვენებლებით:

იაპონიის ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა დასაქმებულთა რიცხოვნობის მისედვით შეადგენდა (% მთლიანის მიმართ): 1900 წელს – I სექტორში – 84,9, II-ში – 4,9 და III-ში – 10,2; 1930 წელს, შესაბამისად: 49,7; 20,5 და 29,82; 1960 წელს: 30,2, 28,0 და 41,8; 1980 წელს: 10,4, 34,8 და 54,6; 1990 წელს: 7,2; 33,6 და 58,7; 2000 წელს: 5,1; 30,7 და 63,7.[1]

ეროვნული ეკონომიკის ასეთი სტრუქტურული ძერები შეესაბამება ინდუსტრიული განვითარების მოდელს, რომელშიც ეროვნული ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია იწყება გადამამუშავებელი მრეწველობისა და სამშენებლო ბაზის საფუძვლების შექმნით.

[1] Бок Зи Коу, Экономика Японии. Какова она. М., 2002, გვ. 32.

ეკონომიკის მესამე სექტორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ (1999წ.): აშშ – 75,3%, ავსტრალია – 74,4%, დიდი ბრიტანეთი – 73,3, ეფრ – 64,8, იტალია – 63,2, იაპონია – 63,1%.

ეკონომიკის პირველი სექტორის დარგებიდან სოფლის მეურნეობაში დიდი ხნის მანძილზე მოსახლეობის 80%-ზე მეტი იყო დასაქმებული. გლეხი ძირითადად ხელით შრომობდა და შრომაც დაბალმწარმოებლური იყო, ხოლო მოსაელიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო ამინდზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის მთავრობამ განახორციელა რიგი მსხვილი ეკონომიკური რეფორმა, რომელთა შორის ყველაზე წარმატებული იყო 1946წ. დაწყებული აგრარული რეფორმა, რომლის შედეგადაც სერიოზული ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში. ჯერ ერთი, რეფორმის შემდეგ აღარ მოქმედებს მიწათსარგებლობის საიჯარო ფორმა. 1949 წელისათვის უკვე 90% სახნავისა მუშავდებოდა თვით მესაკუთრეების მიერ; მეორე, მკვეთრად გაიზარდა ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში; მესამე, უმუალოდ სახელმწიფომ იწყო ბრინჯის წარმოების რეგულირება, რომელიც კვების ძირითადი პროდუქტია; მეოთხე, თავისუფალი ეკონომიკის საფუძველზე, ჩამოყალიბდა სურსათის ბაზრების მოქნილი სისტემა, სადაც გლეხებს უფლება აქვთ მოთხოვნისა და მიწოდების კანონების შესაბამისად, თავისუფლად მიაწოდონ ბაზარს თავისი პროდუქცია; მეხუთე, შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და საცდელი სადგურები სოფლის მეურნეობისათვის; მეექვსე, დაიწყეს სხვადასხვა კოოპერატივის, საზოგადოების, ასოციაციის, კავშირების შექმნა ფერმერთა გაერთიანებისა და დახმარების აღმოსაჩენად.

ამ და სხვა გარდაქმნების მეშვეობით იაპონიის სოფლის მეურნეობა გახდა მაღალპროდუქტიული და თანამედროვე ფერმერული მეურნეობის სახე მიიღო, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიური წარმოების წესს ემყარება. ამის შედეგია ის, რომ 1970-1999წწ. სოფლის მეურნეობით დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 6680 ათ. კაცით, ანუ 62,5%-ით.

სოფლის მეურნეობაში მიმდინარე სერიოზული ცვლილებების გათვალისწინებით, 1995 წლიდან, იაპონიაში მოქმედებს გლეხური მეურნეობის დაჯგუფების ახალი მეთოდი. გლეხური მეურნეობა –

შეურნეობა 1 ჰა-ზე მეტი ფართობით, ან 150 ათ. იენზე მეტი წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მოცულობით; გლეხური მეურნეობა კომერციული მიზნით – მეურნეობა 3 ჰა-ზე მეტი ფართობით, ან 500 ათ. იენზე მეტი წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მოცულობით; ძირითადი მეურნეობა – მუშაობენ ადამიანები 65 წლამდე, ოჯახის შემოსავლების 50%-ზე მოდის სოფლის მეურნეობაზე; დამატებითი მეურნეობა – მუშაობენ ადამიანები 65 წლამდე, ოჯახის შემოსავლების 50%-ზე ნაკლები მოდის სოფლის მეურნეობაზე; დამხმარე მეურნეობა – მუშაობენ 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანები; პირადი მეურნეობა – მეურნეობები 1 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობით, ან 150 ათ. იენზე ნაკლები წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მოცულობით.

ტენდენცია ისეთია, რომ მცირდება კომერციული მიზნებით მომუშავე გლეხურ მეურნეობათა რიცხვი, რომელიც თანდათანობით გადაიქცევა დამხმარედ. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ რიგი გარეშეების გამო, იაპონიაში სასურსათო პროდუქციის შემოტანა, ხშირ შემთხვევაში, უფრო აბსურდია, ვიდრე საკუთარი წარმოების ორგანიზაცია.

ამიტომ, საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საკმაოდ დიდი შესაძლებელობის მიუხედავად, იაპონია სასურსათო რესურსების 60%-ის იმპორტს ეწევა. რაც შეეხება თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებს, 1999 წლის მონაცემებით, შემდეგია: მარცვლეულის – 27%, მათ შორის ბრინჯის – 95, ხორბლის – 9; ბოსტნეულის – 83, ხილის – 49, ხორცის – 54, კვერცხის – 96, რძის – 70% და ა.შ.

იმავდროულად, იაპონიის ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში 1996წ. შეადგენდა: მარცვლეულში – 6%, ბრინჯისა – 2,5, სოიასი – 14, ხორცისა – 11,3, ფრინველის – 9, შაქრის – 4,7%.

რაც შეეხება ეკონომიკის მეორე სექტორის დარგებს, მათი პროდუქცია შემცირების ტენდენციით ხასიათდება. უფრო მეტიც, საბოლოოდ იკვეცება ნავთობის, რკინის, სპილენძისა და ა.შ. ამოღება. შემთხვევითი არ არის, რომ ენერგიის თვითუზრუნველყოფით განვითარებულ ქვეყნებს შორის იაპონიას ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია და შეადგენს: პირველადი ენერგიით (ენერგია წარმოებული არა მხოლოდ ქვანახშირის, ნავთობისა და გაზის

მეშვეობით, არამედ ჰიდრავლიკური და გეოთერმული ძალებით) – 22%, ქვანახშირით – 3,2, ნავთობით – 0,2, ბუნებრივი გაზით – 3,7%. მიუხედავად ამისა, და ეს კიდევ ერთი იაპონური საოცრებაა, იაპონელებმა არ იციან რას ნიშნავს ბინებში სინათლე და სითბო არ იყოს.

ამრიგად, ენერგომატარებლებით თვითუზრუნველყოფის თვალსაზრისით, იაპონია თითქმის მთლიანად დამოკიდებულია სხვა ქვეყნებზე. ამასთან, ამ პოზიციით ამომავალი მზის ქვეყანას ყველაზე არახელსაყრელი წანამძღვრები აქვს სამრეწველო წარმოების განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, ქვეყანა, რომელიც არ ფლობს აუცილებელ ბუნებრივ რესურსებს, მარჯვედ არის ადაპტირებული მსოფლიო ეკონომიკის რეალურ პირობებთან. ის მოქმედებს შეფარდებითი უპირატესობის კანონის შესაბამისად.

იაპონიის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანია მანქანათმშენებლობა, რომლითაც მას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. იაპონიის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა (1992წ.) ასეთია: მანქანათმშენებლობა – 50,2%, ქიმიური და ნავთობტექნიკური – 12, კვების მრეწველობა – 10,8, ხე-ტყისა და ქაღალდის – 9, მეტალურგია – 6,5, მსუბუქი მრეწველობა – 4,2, სამშენებლო მასალები – 3,3%.

იაპონიამ სწორედ გადამამუშავებელი მრეწველობის და უწინარესად – მანქანათმშენებლობით გაიყვანა ეროვნული ეკონომიკა მსოფლიოს მრეწველურად მაღალგანვითარებულ ქვეყანათა რიცხვში. სწორედ თანამედროვე გადამამუშავებელი მრეწველობით ამომავალი მზის ქეეყანამ განახორციელა „ეკონომიკური სასწაული“.

იაპონიამ განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია ავტომშენებლობაში და ამ სფეროში აღიარებული მსოფლიო ლიდერი გახდა. საინტერესოა, რომ 70-იან წლებში მისი მრეწველობის „ფლაგმანი“ იყო მეტალურგია. შემდგომ მისი ადგილი დაიკავა ავტომშენებლობამ. 1996 წელს საავტომობილო მრეწველობამი შრომობდა 780 ათასზე მეტი კაცი. უკვე მრავალი წლის მანძილზე იაპონია აწარმოებს 10 მლნ-ზე მეტ ავტომობილს წელიწადში. 1999წ. გამოშვებული ავტომობილების რაოდენობით იაპონიამ დაიკავა მეორე ადგილი მსოფლიოში (აშშ-ს შემდეგ). მსუბუქი ავ-

ტომობილების რაოდენობით აიპონია უსწრებს აშშ-ს, მაგრამ მთლიანობაში აშშ-ს ჩამორჩება საგვირთო ავტომობილებისა და ავტობუსების რაოდენობით.

იაპონიის ყოველწლიური ექსპორტი შეადგენს 6 მლნ ავტომობილს, მათ შორის: აშშ-ში – 27,9%, გერმანიაში – 6,6% ავსტრალიაში – 5,8% ინგლისში – 4,1%. ავტომობილების ექსპორტს დიდი მოგება მოაქვს იაპონიის ეკონომიკისათვის, რის გამოც ამ სფეროში საქმიანობა გაფართოებით ხასიათდება.

იაპონიის საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკა, მსგავსად ავტომობილებისა, მსოფლიო აღიარებით სარგებლობს. თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა უნარიანი გამოყენებით, გამომგონებლობითა და „ოქროს ხელებით“ იაპონელები დღეს აწარმოებენ უმაღლესი დონის საყოფაცხოვრებო ტექნიკას.

2000 წლისათვის იაპონიის ექსპორტმა შეადგინა: ფერადი ტელევიზორები – 3,1 მლნ ცალი, ვიდეო-კამერები – 0,8 მლნ, მაგნიტოფონები – 3,9 მლნ, ვიდეო-მაგნიტოფონები – 3,9 მლნ, მაცივრები – 0,2 მლნ, სარეცხი მანქანები – 0,2 მლნ, მტვერსასრუტი – 0,3 მლნ, კონდიციონერი – 1,9 მლნ და ა.შ.

იაპონია არა მხოლოდ წარმატებით იყენებს კომპიუტერებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, არამედ თვით აწარმოებს საუკეთესოს. 2000 წლისათვის წარმოებულ იქნა 15638,7 ათ. ცალი, ნაცვლად 4,6 ათ. 1970 წელს. კომპიუტერთა მორის უპირატესობა ენიჭება პერსონალურებს, რომლის წილი მთლიანი წარმოების 98%-ია.

იაპონია დიდ ყურადღებას უთმობს სამრეწველო რობოტების შექმნასა და გამოყენებას. მისი წარმოება 1980-1987წწ. გაიზარდა შესაბამისად 20 ათასიდან 78 ათასამდე, ე.ი. თითქმის – 3,8-ჯერ.

გამოყენებული სამრეწველო რობოტების რაოდენობით იაპონიას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. მაგალითად, 1997წ. გამოყენებულ რობოტთა რაოდენობა შეადგენდა: იაპონიაში – 413 ათას ცალს, აშშ-ში – 77 ათ., გერმანიაში – 67 ათ., კორეის რესპუბლიკაში – 30 ათ., იტალიაში – 28 ათ. და ა.შ.

იაპონიის ეკონომიკის სექტორთა შორის ყველაზე სწრაფად განვითარებადი მესამე სექტორის დარგებია, რომელშიც დასაქმებულია მომუშავეთა მთლიანი რაოდენობის 60% და იძლევა ეროვნული შემოსავლის ასევე 60%-ს.

მესამე სექტორის ფირმებისა და კომპანიების რაოდენობა (ათასი)[1]

ცხრილი 1

მაჩვენებლები	1978	1986	1996
საბითუმო და საცალო ვაჭრობა და კვების ქსელი	2868	3048	2831
საფინანსო კომპანიები და დაზღვევა	76	95	108
უძრავი ქონების კომპანიები	214	258	292
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	142	169	190
კომუნალური საწარმოები (ელენერგია, სითბო, გაზი, წყალი)	11	10	10
დასვენების სფერო	1335	1604	1795
სახელმწიფო მმართველობა	45	46	46
სულ	4691	5230	5272

მესამე სექტორში — „სერვისის ინდუსტრია", იაპონიის ერთ-ერთი უმსხვილესი დარგია, რაც ჩანს მეორე ცხრილიდან.

იაპონიის მესამე სექტორის „სერვის ინდუსტრიის" როლი[2]

ცხრილი 2

მაჩვენებლები	1990	1999	2000
მმპ	441,9	512,5	–
მესამე სექტორის დარგები – ტრლნ იენი	282,5	376,3	...
მათ შორის:			
„სერვისის ინდუსტრია" – ტრლნ იენი	91,7	129,3	...
დასაქმებულთა რაოდენობა – მლნ კაცი	62,5	64,6	64,5
მესამე სექტორის დარგები, – ტრლნ იენი	36,7	40,8	41,0
მათ შორის:			
„სერვისის ინდუსტრია" – ტრლნ იენი	13,9	16,9	17,2

[1] **Бок Зи Коу**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 94.
[2] იქვე, გვ. 104.

1999წ. მხოლოდ სერვის-ინდუსტრიამ აწარმოა მშპ – 129 ტრლნ იენი, რაც შეადგენს საერთო-ეროვნული მაჩვენებლის 25,2%-ს.

იაპონიაში საყოველთაო ბრუნვის საგანია თავისუფალი დროის გადიდება, რისთვისაც აუცილებელია საოჯახო შრომის შემსუბუქება. ამიტომ იქ მაღალია ოჯახების საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფის დონე. მაგალითად, 2000 წელს ქალაქისა და სოფლის ოჯახების უზრუნველყოფის დონე (%) შეადგენდა შესაბამისად: მაცივრებით – 98,1 და 97,8; სარეცხი მანქანებით – 99,3 და 100,0; კონდენსატორით – 86,7 და 79,1; ტელევიზორით – 99,0 და 99,3; ვიდეომაგნიტოფონით – 79,2 და 67,9; სტერეომაგნიტოფონით – 55,8 და 50,0; კომპიუტერით – 39,8 და 21,6; ავტომობილით – 83,1 და 91,0.

იაპონიამ, როგორც ერთ-ერთმა მრეწველურად ყველაზე განვითარებულმა და მდიდარმა ქვეყანამ, შეძლო თავისი მოქალაქეებისათვის შეექმნა სოციალური უზრუნველყოფის საკმაოდ ეფექტიანი სისტემა, რომლითაც ადამიანებს, რომელთაც მთელი თავისი ცხოვრება წარმოებაში იმუშავეს, შეუძლიათ მშვიდად იცხოვრონ.

ამჟამად იაპონიაში მოქმედებს საპენსიო უზრუნველყოფის ორი სისტემა: ძირითადი და დამატებითი.

ძირითადი სისტემის მონაწილენი არიან ადამიანები 20-დან 59 წლამდე, რომლებიც მუშაობენ წარმოებაში და აქვთ წლიური გამომუშავება არანაკლებ 1300 ათასი იენისა. ისინი იხდიან სამუშაო ადგილზე კანონით დაწესებულ პროცენტს თავიანთი გამომუშავებისა საპენსიო ფონდში და 60 წლის მიღწევისას იღებენ ძირითად პენსიას, რომლის უფლებაც აქვთ იმათ, ვინც შენატანს ახორციელებდა არა ნაკლებ 25 წლისა.

დამატებით ანაზღაურებაში მონაწილეობენ მუშები და მოსამსახურეები ნებაყოფლობით საწყისებზე. გარდა ძირითად საპენსიო ფონდში შენატანისა, მათ შეაქვთ დამატებითი განსაზღვრული თანხა და საპენსიო ასაკის მიღწევისას იღებენ დამატებით პენსიას.

გარდა საპენსიო უზრუნველყოფისა, სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევს უფროსი ასაკის ადამიანთა სოცუზრუნველყოფას. სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების წილი (%) ეროვნულ შემოსავალში (1997) შეადგენდა: იაპონიაში – 18,9, აშშ-ში – 18,4, დიდ ბრიტანეთში – 27,2, გერმანიაში – 37,7, საფრანგეთში – 37,7, შვედეთში – 46,2.

4. საგარეო-ეკონომიკური კავშირები

სხვა განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ბოლო პერიოდამდე, მნიშვნელოვანი სპეციფიკით ხასიათდება იაპონიის საგარეო-ეკონომიკური კავშირები. იაპონია შედარებით ნაკლებად იყო ჩართული შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. მსოფლიო ვაჭრობაში იაპონიაზე მოდიოდა 7,3%, ხოლო მისი საექსპორტო კვოტა შეადგენდა მშპ-ს 10,5%-ს, ასევე საშინაო მოთხოვნილებათა მსოლოდ 10% კმაყოფილდებოდა იმპორტით, რაც იმას ნიშნავს, რომ იაპონიის ეკონომიკა ამ მხრივ მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ ახდენდა მსოფლიო კონიუნქტურაზე. თანამედროვე იაპონიისათვის კი დამახასიათებელია საგარეო-ეკონომიკური კავშირების უკიდურესად მაღალი დონე. საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტებია: ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა, სალიდერო როლი მსოფლიო ეკონომიკაში, მსოფლიო ვაჭრობასა და ინვესტიციებში ფინანსური და ტექნოლოგიური ძლიერების დემონსტრირება და ა.შ. საგულისხმოა, რომ იაპონიას 1999წ. ექსპორტით მესამე, ხოლო იმპორტით მეოთხე ადგილი ეკავა მსოფლიოში, საგაჭრო ბალანსიც დადებითია (107 მლრდ დოლარი).

იაპონიის მსოფლიო ეკონომიკური ლიდერობის ერთ-ერთი მაჩვენებელია მისი საგარეო ვაჭრობის მასშტაბები, რომლის განვითარების ძირითადი წანამძღვრებია ის, რომ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო, იაპონია არ აწარმოებს ზოგიერთ საქონელს, რაც აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის და მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის. ამიტომაც აუცილებელია ნავთობის, ყავისა და ზოგიერთი სხვა საქონლის იმპორტირება. იმავდროულად ქვეყანაში იწარმოება ზოგიერთი სახეობის იმაზე მეტი საქონელი, რაც აღემატება საშინაო მოთხოვნილებას: ავტომობილები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, კომპიუტერები და ა.შ.

იაპონიის ომის შემდგომი ეკონომიკის პირობებში საგარეო ვაჭრობა შედარებით სტაბილურად ვითარდება. უფრო მეტიც, მომდევნო პერიოდში, კერძოდ, 1985-1999 წლებში, ექსპორტის მოცულობა გადიდდა 2,4-ჯერ, იმპორტისა — იგივე ოდენობით. იაპონიას, როგორც წესი, აქვს საგარეო ვაჭრობის დადებითი ბალანსი,

რაც მას შესაძლებლობას აძლევს უზრუნველყოს მეტ-ნაკლები ზომით მყარი ფინანსური მდგომარეობა. იაპონიის საგარეო ვაჭრობის თავისებურებაა ექსპორტში მრეწველობის პროდუქციის მაღალი ხვედრითი წონა, რითაც მას მსოფლიოში, სინგაპურთან ერთად, პირველი ადგილი უკავია – 95%, შვეიცარიას – 93, ახალ ზელანდიას – 92, იტალიას – 89, სლოვენიას – 89, ჩინეთს – 85, გერმანიას – 83, აშშ-ს – 81 და ა.შ.

1997 წელს საგარეო-ეკონომიკურმა ბრუნვამ შეადგინა 91,6 ტრლნ იენი, მათ შორის ექსპორტმა – 50,1 ტრლნ, ხოლო იმპორტმა – 41 ტრლნ. ექსპორტში წამყვანი პოზიციები უკავია მანქანა-ტექნიკურ პროდუქციას (73,7%), როგორიცაა: ავტომობილები, ნახევარგამტარები, საოფისე მოწყობილობა, გემები, სამეცნიერო და ოპტიკური ხელსაწყოები, ძალოვანი დანადგარები. იმპორტის მნიშვნელოვან და სტაბილურ წილს შეადგენს სურსათი (13,6%), სანედლეულო საქონელი (8,7%), მინერალური სათბობი (18,4%). იაპონია ნავთობის, ქვანახშირის, ხე-მასალის, ქაღალდის, მუყაოსა და ფანერის მსხვილი იმპორტიორია (მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში). იაპონიას მყარი ადგილი უკავია შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, როგორც კაპიტალის ექსპორტიორს. ის არის უმსხვილესი წმინდა კრედიტორი მსოფლიოში, რომელზეც მოდის საერთაშორისო დაკრედიტების 53%. ეს განპირობებულია ქვეყანაში დაგროვების მაღალი ნორმით (მშპ-ს 32%), რითაც ის აშშ-ს 2-ჯერ აღემატება. უმსხვილესი იაპონური საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები – მიცუბისი, მიცუი, სუმიტომო, ფუჯი, სანვა, დაიიტი, კანე – ფლობენ გიგანტურ ფინანსურ ძალას და მძლავრ საწარმოო ბაზას.

როგორც აღინიშნა, საინტერესოა იაპონიის კაპიტალის მოძრაობის ტენდენცია. იაპონიის დიდძალი კაპიტალი გაედინება (ათჯერ მეტი, ვინემ შემოდის) მოკლევადიან ფასიან ქაღალდებში დაბანდების სახით აშშ-ის, ევროპისა და აზიის ბაზრებზე, რომელთა უმსხვილესი კრედიტორია იაპონია. საზღვარგარეთ პირდაპირი ინვესტიციების 42% და მეტი დაბანდებულია აშშ-ში, დაახლოებით 24% – აზიის ქვეყნებში, დასავლეთ ევროპაში – 15%.

80-იანი წლების შუა ხანებისათვის იაპონიას დიდი დადებითი სალდო აქვს აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან. ამასთან, 1986წ. იაპონიამ აღიარა, რომ საგაჭრო ბალანსის დადებითი სალდო ეკო-

ნომიკის სტრუქტურული დისპროპორციების შედეგია, რომელიც ძლიერადაა ორიენტირებული ექსპორტზე. ამიტომ შემოღებულ იქნა შეღავათები იმპორტიორთათვის, რათა გამოთანაბრებულიყო სავაჭრო ბალანსი და სწორედ საშინაო მოთხოვნა გამხდარიყო ეკონომიკური ზრდის საყრდენი.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია წყნარი ოკეანის რეგიონს, რომლის ქვეყნებიც, განსაკუთრებით ჩინეთი, სწრაფად ვითარდებიან.

იაპონიის მთელი ექსპორტის 48,6% (1997 წლის მდგომარეობით) მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, მათ შორის: აშშ-ზე – 27,8%, ევროკავშირზე – 15,6%, განვითარებად ქვეყნებზე – 50,8%. იმპორტიდან: განვითარებულ ქვეყნებზე – 46,1%, მათ შორის აშშ-ზე – 22,3%, ევროკავშირზე – 13,3%, განვითარებად ქვეყნებზე – 52,3%. იაპონიის ძირითადი საექსპორტო საქონელია: ავტომობილები, ორგტექნიკა, ზუსტი ხელსაწყოები, ფოლადი, ავტოსათადარიგო ნაწილები, გემები, პლასტმასები, ქსოვილები, ლითონპროდუქცია. ძირითადი საიმპორტო საქონლებია: ნავთობი, ტანსაცმელი, თევზი და თევზპროდუქტები, ბუნებრივი გაზი, მერქანი, ავტომობილები, ხორცი, ქვანახშირი, ოქრო.

მართალია, იაპონიის ეროვნული ეკონომიკა დამოკიდებულია იმპორტზეც (ნავთობი, ქვანახშირი, მერქანი, რკინა და სხვ.), მაგრამ ქვეყნის უნიკალურობა არის ის, რომ მან მიაღწია ისეთ მდგომარეობას, როცა იმპორტის თანაფარდობა მშპ-სთან ყველაზე დაბალია მსოფლიოში: 1997 წელს ეს თანაფარდობა შეადგენდა (%): იაპონიაში – 10,3; აშშ-ში – 12,3; გერმანიაში – 26; დიდი ბრიტანეთში – 27,2; საფრანგეთში – 23,6; იტალიაში – 22,7; ჩინეთში – 18,5; რუსეთში – 20,1 და ა.შ. მთლიანობაში, იაპონიის ეროვნული ეკონომიკის ყველაზე ოპტიმალური მოდელის არსებითი მახასიათებელია ის, რომ ქვეყანა შესყიდული ნედლეულით აწარმოებს საექსპორტო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას, ხოლო ამონაგები სახსრებით იძენს საჭირო ნედლეულს და აფართოებს წარმოებას. ამდაგვარად, იაპონია ასრულებს „მსოფლიო ფაბრიკის“ როლს ავტომობილების, ლითონისა და ტელევიზორების, მანქანების, მოწყობილობების, ელექტროსაყოფაცხოვრებო ტექნიკისა და მრავალი სხვა საქონლის წარმოების სფეროში.

იაპონიის საგალუტო მდგომარეობის განმტკიცებას თან ახლავს საერთაშორისო ანგარიშწორებაში იენის მონაწილეობის გაფართოება. იენი ემსახურება იაპონიის ექსპორტის მთლიანი მოცულობის 34%-ს და იმპორტის 12%-ს. ამასთან საგულისხმოა, რომ მთავრობა არ ახდენს იენის საგალუტო როლის ამაღლების ფორსირებას, რამდენადაც უფრთხის მას არასასურველი შედეგები არ მოპყვეს იაპონიის ეკონომიკისათვის.

სპეციფიკურია იაპონიის მონაწილეობა საერთამორისო ინტეგრაციაში. იაპონიის კავშირებს ახლომახლო ქვეყნებთან არცთუ იშვიათად უწოდებენ აზია-წყნარი ოკეანის ინტეგრაციას. საქმე ისაა, რომ იაპონია გახდა უმსხვილესი ბაზარი აზიის ყველაზე დინამიკური ქვეყნებისათვის. ფაქტობრივად, ეს არის მყარი არაფორმალური სავაჭრო ბლოკი. აქ არ არის კაპიტალების ევროპული გადახლართვა: იაპონიიდან მიდის კაპიტალები თითქმის ცალმხრივი ნაკადით რეგიონში, ხოლო სამუშაო ძალის მიგრაცია ცალმხრივია საწინააღმდეგო მიმართულებით. კაპიტალების გადახლართვისა და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილებისათვის, რასაც ევროპული ინტეგრაცია ემყარება, აქ ჯერაც არ არის პირობები.

მიუხედავად აღნიშნულისა, იაპონიამ შეძლო შეექმნა მძლავრ საშინაო ბაზარზე დაფუძნებული საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მოდელი, რომლითაც, ფაქტობრივად, რეალიზდება საკმაოდ დახურული ეკონომიკური მოდელი მაღალი საიმპორტო ბაჟითა და საშინაო და საგარეო ბაზრების ფასების არსებითი განსხვავებით. მთლიანობაში, იაპონიის თანამედროვე ეკონომიკური მოდელი არსებითად ექსპორტზეა ორიენტირებული, რამიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სამთავრობო ინსტიტუტებმა: იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკმა, საგარეო ვაჭრობის დაზღვევის სისტემამ, საგადასახადო სისტემამ და ა.შ.

დაბოლოს, იაპონიის როგორც მსოფლიოს სამი წამყვანი ეკონომიკური ცენტრიდან ერთ-ერთის თავისებურება არის ის, რომ იგი როგორღაც ბალანსირებას ახდენს აშშ-ის პოზიციაზე, რომლის მიზანია ყველა სფეროში დომინირება, და დასავლეთ ევროპას შორის, რომელიც დაკავებულია თავისი საშინაო ინტეგრაციით.

5. იაპონიის ეკონომიკური განვითარების მოდელის („იაპონური სასწაულის“) არსი, ძირითადი ნიშნები, მიღწევები და სიძნელეები

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (VII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე) იაპონიაში გაბატონებული იყო ფეოდალიზმი, რაც ემყარებოდა სამურაების სამხედრო წოდებას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ურყევი კოდექსი პატიოსნებისა და ბატონისადმი უსიტყვო ერთგულებისა, რომლის დარღვევაც თვითმკელელობის (ხარაკირის) ტოლფასი იყო. სპეციფიკურია, რომ იაპონიაში არ არსებობდა ბატონყმური სამართალი, ხოლო გლეხები ფორმალურად თავისუფალი იყვნენ. ქვეყანას მართავდნენ რა სეგუნები (მხედართმთავრები), ატარებდნენ ქვეყნის „ჩაკეტილ“ პოლიტიკას, რაც იაპონიას უცხოელთათვის თითქმის შეულწეველს ხდიდა. XIX საუკუნის შუა ხანებში (კერძოდ, 1854 წელს) აშშ-ს ესკადრებმა აიძულეს იაპონია გაეხსნა თავისი პორტები, ხოლო 1868 წელს სეგუნების ხელისუფლება დაეცა და ძალაუფლება გადავიდა 16 წლის მაცუხიტოს ხელში, მოხდა რევოლუცია „მეიძი“, ე.ი. გადასელა საკანმანათლებლო მმართველობაზე („მეიძის“ პირდაპირი თარგმანი). ახალმა მთავრობამ სწრაფად განახორციელა აგრარული რეფორმა, რომლითაც მიწის ნაკვეთის ყველა მფლობელი გამოცხადდა მესაკუთრედ, მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლებით. იმავდროულად განხორციელდა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება, რის ბაზაზეც შეიქმნა შემდგომში ცნობილი საოჯახო ფირმები: მიცუი, მიცუბისი, ფურუკავა, იასუდა და სხვ., რომლებიც უკვე XX საუკუნის დასაწყისში გარდაიქმნენ სავსებით თანამედროვე კონცერნებად. იმავე პერიოდში ჩაისახა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების იდეაც. 1895 წელს მიღებულ იქნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ათწლიანი გეგმა, რაც მრეწველობის განვითარების საფუძველზე, არსებითად ქვეყნის მილიტარიზაციას ისახავდა მიზნად.[1]

მეორე მსოფლიო ომში გერმანიასთან ერთად გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ, იაპონიაში ხელისუფლება გადავიდა საოკუპაციო ხელისუფლების ხელში ამერიკელი გენერლის დ. მა-

---

[1] **А.Г. Мовсесян, С.Б. Огнивцев,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 514.

კარტურის მეთაურობით. აშშ გახდა რა იაპონიის სტრატეგიული მოკავშირე, შეუდგა ქვეყნის დანგრეული ეკონომიკის აღდგენას. უწინარესად ჩატარდა აგრარული რეფორმა, რითაც ლიკვიდირებულ იქნა მემამულეთა საკუთრება მიწაზე: სახელმწიფო ყიდულობდა მიწას და ყიდდა მას ყოფილ არენდატორებზე. ომის შემდგომ პირველ ხუთწლედში გლეხ-მესაკუთრეთა რაოდენობა 1,9 მლნ-დან 3,8 მლნ-მდე გაიზარდა.

იაპონიის ეკონომიკის არაჩვეულებრივი სწრაფი ზრდა — „იაპონური სასწაული" დაიწყო 50-იანი წლების შუახანებიდან. ასე მაგალითად, 1951-1970 წწ. მშპ-ს საშუალოწლიური ზრდის ტემპმა შეადგინა: იაპონიაში — 15,2%, გერ-სა და იტალიაში — 4, საფრანგეთში — 6,2, აშშ-ში 4%. ამასთან, საინტერესოა, რომ იაპონიაში 1961-1970 წწ. მშპ-ს საშუალოწლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 11%, ხოლო ძირითად კაპიტალში ინვესტიციები აღწევდა მშპ-ს 40%-ს. ამასთან, რაც მთავარია, იაპონიამ შეძლო ერთიმეორესათვის შეეხამებინა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი და ღრმა სტრუქტურული გარდაქმნები. აღნიშნული პერიოდი იაპონიისათვის იყო უპრეცენდენტო ტექნოლოგიური მოდერნიზაციის, პატენტებისა და ლიცენზიების, ნოუ-ჰაუს და ა.შ. შეძენის პერიოდი. მეორე მსოფლიო ომისშემდგომ 20-25 წელიწადში იაპონიამ გადმოიღო და დანერგა ათი ათასზე მეტი უახლესი ტექნოლოგია, რის შედეგადაც ქვეყანაში დომინირებადი ხდება მძიმე და ქიმიური მრეწველობა, შავი მეტალურგია, გემთმშენებლობა, იმავე პერიოდის ბოლოს სწრაფად განვითარდა ავტომშენებლობა, ელექტრონიკა, დაზგათმშენებლობა, ხოლო უკვე 80-იანი წლებიდან ინტენსიურად ვითარდება ბიოტექნოლოგია, ოპტოელექტრონიკა, ახალი მასალებისა და ნახევარგამტარების წარმოება.

საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკაში იაპონია დიდხანს მისდევდა საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის პროგრამას. მხოლოდ 70-იან წლებში იქნა საგარეო ვაჭრობა ლიბერალიზებული, ხოლო იენა გახდა კონვერტირებადი ვალუტა, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით. ამასთან, სავალუტო ოპერაციების სრული ლიბერალიზაცია შესაბამისი კანონმდებლობის რადიკალური გადასინჯვის გზით მოხდა მხოლოდ 1998 წლის აპრილში. ქვეყანა მიემხრო ე.წ. „აღმზრდელობითი პროტექციონიზმის" სტრატეგიას, რომლითაც საშინაო ბაზარზე სამამულო მწარმოებელთა დაცვა

უნდა განხორციელებულიყო კონკურენტუნარიანი გარემოს შენარჩუნების დონეზე. ქვეყნის შიგნით „ახალი მომხმარებლების“ გაჩენისა და დაცვის მიზნით შეიქმნა 50 კანონისაგან შემდგარი კოლოსალური კომპლექტი. მოხმარების სფეროში მთავრობის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო მოთხოვნის ტოტალური დაფარვის სისტემა, ხოლო იაპონელები ჩამოყალიბდნენ როგორც ყველაზე მაღალმომთხოვნი („შარიანი“) მომხმარებლები. მაღალ სამომხმარებლო კულტურის საფუძველი გახდა იაპონური პროდუქციის ზეუმაღლესი ხარისხი და ტევადი სამინაო ბაზარი. ყოველივე ეს კი განაპირობა თანმიმდევრულ და ღრმა ინსტიტუციურ გარდაქმნათა მეშვეობით საბაზრო ინსტიტუტების სრულიად ახლებურმა მენეჯმენტმა, რამაც წინა პლანზე წამოსწია, ახლებურად წარმოაჩინა საბაზრო ღირებულებები.

მოკლედ რომ ვთქვათ, ომის შემდგომ პერიოდში იაპონიამ წარმატებით განვლო „გარდამავალი პერიოდი“ (თუმც იაპონიაში თითქმის არ ყოფილა მსჯელობა „გარდამავალი ეკონომიკის“ შესახებ, არამედ, აქცენტი გაკეთებული იყო „ეკონომიკის ეროვნული მოდელის“, „ეროვნული ეკონომიკის“ შესახებ და ა.შ.) და არა მხოლოდ აღადგინა ეროვნული ეკონომიკა, არამედ გარდაქმნა რა ის თანამედროვე საფუძველზე, მიაღწია ეკონომიკური განვითარების მაღალ ტემპებს (იხ. ცხრილი 3).

ეკონომიკური ზრდის საშუალოწლიური ტემპები (%)[1]

ცხრილი 3

ქვეყნები	1950-1955	1956-1960	1961-1965	1966-1970
იაპონია	9,2	9,8	9,6	12,3
იტალია	5,6	5,5	5,1	5,7
საფრანგეთი	4,3	4,8	5,1	5,4
გფრ	9,3	6,4	4,8	4,6
აშშ	4,3	2,2	4,7	3,2
დიდი ბრიტანეთი	2,7	2,6	3,4	2,3

[1] **Бок Зи Коу**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 127.

როგორც ცხრილიდან ჩანს, განხილულ პერიოდში, ე.ი. ომის შემდგომი ოცი წლის მანძილზე, ეკონომიკური ზრდის საშუალოწლიური ტემპებით, იაპონია მნიშვნელოვნად უსწრებდა ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა აშშ, გფრ, საფრანგეთი და ა.შ. რაც შეეხება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებებით მშპ-ს წარმოებას, ამ მაჩვენებლით იაპონიამ უკვე 1988 წელს გაუსწრო აშშ-სა და სხვა მრავალ განვითარებულ ქვეყანას. კიდევ უფრო შთამბეჭდავია ის, რომ იაპონიის „ეკონომიკურმა სასწაულმა" უზრუნველყო არა მხოლოდ მშპ-ს ზრდის მაღალი ტემპები, არამედ ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო წარმოების მოცულობით მან თანმიმდევრულად გაუსწრო იტალიას, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, გფრ-ს და მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოში აშშ-ს შემდეგ.

იაპონიის „ეკონომიკური სასწაულის" ფენომენი მრავალსახოვანია, რომელთა შორის მკვლევრები და პოლიტიკოსები უმთავრესად მიიჩნევენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: 1) ეკონომიკური რეფორმების რადიკალური და კონსტრუქციული ხასიათი, განხორციელების თანმიმდევრულობა და შეუქცევადობა; 2) კონსტრუქციული პოლიტიკური სისტემისა და გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის დიალექტიკური შეხამება და ძლიერად ამოქმედება; 3) შრომასა და კაპიტალს შორის პარმონიული თანამშრომლობა; 4) მთავრობის არაკორუმპირებულობა და პატრიოტული აღმშენებლობითი როლი; 5) დიდძალი ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის მოზიდვა და განვითარება; 6) მაღალი მეწარმეობითი სულისკვეთება; 7) განათლების მაღალი დონე; 8) ფირმათა კონსტრუქციული ინვესტირება და აქტიური აღმშენებლობითი საქმიანობა; 9) უნაკლო სამუშაო ძალა, როგორც წარმოების გადამწყვეტი ფაქტორი; 10) ეკონომიის მკაცრი რეჟიმის საყოველთაო ხასიათი; 11) საბანკო კრედიტის ეფექტიანი გამოყენება; 12) თავისუფალი ვაჭრობის ხელსაყრელი პირობები; 13) პოლიტიკური (და საერთოდ — საზოგადოებრივი) სტაბილურობა; 14) სამხედრო ხარჯების სიმცირე; 15) აშშ-ს მეურვეობა და ა.შ.

საკუთარი ბუნებრივი რესურსების სიმწირის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის უქონლობის, ფინანსური სიღატაკის მიუხედავად, ყველა სხვა ხელსაყრელი ფაქტორის უნარიანად გამოყენებისა და აშშ-ს აქტიური ფინანსურ-ეკონომიკურ-ორგანიზაციული

დახმარების მეშვეობით, იაპონიამ მოკლე დროში წარმატებით დაძლია ომისშემდგომი პერიოდის ამოცანები. კერძოდ, განხორციელდა ომისშემდგომი ეკონომიკის აღდგენა-განვითარებისა და მშენებლობის ისეთი მნიშვნელოვანი გეგმები, როგორიცაა: დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნის ხუთწლიანი გეგმა (1956-1960 წწ.), ახალი გრძელვადიანი ეკონომიკური გეგმა (1958-1962 წწ.), ეროვნული შემოსავლის გაორკეცების გეგმა (1961-1970 წწ.), სამუალოვადიანი ეკონომიკური გეგმა (1964-1968 წწ.), სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა (1967-1971 წწ.), სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების შექმნის გეგმა (1973-1977 წწ.), ახალი –შვიდწლიანი სოციალურ-ეკონომიკური გეგმა და ა.შ.[1] რაც მთავარია, ეკონომიკის მთელ ამ აღდგენა-აღმშენებლობით პერიოდში არცერთ მთავრობას არცერთ ეტაპზე, არა თუ უარი არ უთქვამს, არამედ, პირიქით, ინტენსიურად იყენებდა დაგეგმვისა და პროგნოზირების პრინციპებს.

იაპონიის „ეკონომიკური სასწაულის" ზემოთ დასახელებულ ფაქტორებთან ერთად, უსათუოდ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ეკონომიკის იაპონური მოდელი წლების განმავლობაში იქმნებოდა ქვეყნის გეოგრაფიული, ისტორიული, სოციალური, რელიგიური და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით. სწორედ ამ სპეციფიკური განსაკუთრებულობის საფუძველზე გამოიყენა იაპონიამ დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური მიღწევების დიდი გამოცდილება და შეინარჩუნა თავისი ეროვნული, რელიგიური და ისტორიული თავისებურებები. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში, რაც მაშინ ჩაითვლება პროგრესულად, თუ ამ პირობებში მსოფლიო ცივილიზაციაში თავის წელილს შეიტანს თითოეული ქვეყანა, თვითმყოფადობისა და უნიკალურობის შენარჩუნებასთან ერთად.

იაპონურმა მოდელმა თავისი ორიგინალობითა და დახვეწილობით განაპირობა ქვეყნის ეკონომიკის აყვავება და ცხოვრების მაღალი დონე. ამ მოდელისათვის დამახასიათებელია რამდენიმე ფუძემდებლური პრინციპები, რომელთა შორის უწინარესად გამოირჩევა კორპორაციებისა და მათში დასაქმებულთა ინტერესების

---

[1] **Бок Зи Коу**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 129.

ერთიანობა. იაპონური საწარმო, ფაქტობრივად, ერთი დიდი მტკიცე სოციალური უჯრედია (ოჯახია), სადაც ყველა ერთისათვის და ერთი ერთეული ყველასათვის მრუნავს.

იაპონიაში ფართოდ გამოიყენება საწარმოთა მოგებაში მუშაკთა მონაწილეობის სისტემა, როგორც წარმოების ზრდის ავტომატური რეგულატორი. მუშაკთა დიდი ნაწილის გასამრჯელოს მნიშვნელოვანი ოდენობა დამოკიდებულია წლის ბოლოს მისაღებ პრემიაზე. ამის მეშვეობით მუშაკები თავიანთ თავს თვლიან „უფრო მუდმივ პარტნიორებად, ვინემ დაქირავებულებად".

იაპონიის ეკონომიკის წარმატებულ ფუნქციონირებაში, ზრდის მექანიზმის სისტემაში უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის გადახდისუნარიანი საბაზრო მოთხოვნილება და მისი მყარი საფუძველი – ხელფასის დინამიკა. ხელფასი გაიზარდა 1960-1970 წწ. 1,3-ჯერ; 1970-1980 წწ. – 1,4-ჯერ; 1980-1990 წწ. – 1,2-ჯერ; 1990-1996 წწ. – 1,1-ჯერ. აქვე უნდა აღინიშნოს დაგროვებისადმი (დაზოგვისადმი) იაპონელთა მიდრეკილების შესახებ. 1996 წ. იაპონელთა ოჯახების დანახარჯების სტრუქტურაში დანაზოგის წილი საშუალოდ 17,2% იყო.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მსყიდველობითი უნარიანობით ხელფასი იაპონიაში გაცილებით დაბალია, ვინემ აშშ-სა და გფრ-ში. მაგალითად, საშუალო საათობრივი გამომუშავება მსყიდველობითი უნარიანობის გათვალისწინებით შეადგენს (იენი): იაპონიაში – 2208, აშშ-ში - 3089, გფრ-ში – 3771.

სამაგიეროდ, იაპონიის გამოცდილებამ გარკვეული კორექტივები შეიტანა ფილიპსის მრუდის პრინციპში: „ან ინფლაცია, ან უმუშევრობა". იაპონიის ეკონომიკურმა სასწაულმა უზრუნველყო უმუშევრობის სტაბილური დონე, რაც მიახლოებულია ბუნებრივ დონესთან, და იმავდროულად ზომიერი ინფლაცია. როგორც მკვლევარები ასკვნიან, სხვა საქმეა, ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ასეთი „ჰარმონია" როდემდის გაგრძელდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ იაპონური მოდელი ემყარება ქვეყნის მოსახლეობის მაღალეროვნულ შეგნებას – ქვეყნის კეთილდღეობას აყენებენ ცალკეულ ადამიანთა კეთილდღეობაზე მაღლა. ეს ეკონომიკურად ვლინდება იმით, რომ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდა უსწრებს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, რითაც უზრუნველყოფილია პრო-

დუქციის თვითღირებულების შემცირება, მსოფლიო ბაზარზე მისი მაღალკონკურენტუნარიანობა და როგორც შედეგი – ცხოვრების მაღალი დონე.

ეკონომიკის მართვის იაპონური ტიპის ამოსავალია: 1. მუშაკთა ხანგრძლივი, პრაქტიკულად სამუდამო დაქირავება; 2. ხელფასის ზრდა მუშაობის სტაჟის შესაბამისად; 3. პროფკავშირების ორგანიზება ფირმის და არა დარგის დონეზე, პრინციპით: „ერთი საწარმო – ერთი პროფკავშირი".

იაპონიის ეკონომიკის წარმატებულ ფუნქციონირებაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიკის ყველა სექტორის საწარმოთა „ორგანიზებულობის" ელემენტი. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმით, რომ პრაქტიკულად ყველა საწარმო – უმსხვილესიდან დაწყებული უწვრილესით დამთავრებული – გაერთიანებულია სხვადასხვა ასოციაციაში, კავშირსა თუ კოოპერატივში დარგობრივი ან ფუქნციური ნიშნის მიხედვით.

ამასთან, რაც მთავარია, მცირე და საშუალო ბიზნესი წარმატებით ფუნქციონირებს ეკონომიკის ყველა სფეროში, რაც თავისუფალი კონკურენციის ყველაზე აქტიური და მობილური ელემენტია. მაგალითად, იაპონიაში მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, ქვეყნის საწარმოთა 99% მიეკუთვნება მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს. სწორედ ეს უდევს საფუძვლად საბაზრო სისტემის იაპონური მოდელის მნიშვნელოვან თავისებურებას, რომლის არსია: „მასობრივი წარმოება – მასობრივი რეალიზაცია – მასობრივი მოხმარება".

იაპონური პროდუქციის მაღალკონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს კორპორაციების დაგეგმვის, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის პროგნოზირების (საშუალოვადიანი, ძირითადად ხუთწლიანი მონაკვეთით და გრძელვადიანი, ძირითადად 15-20 წლისათვის) საყოველთაოდ აპრობირებული პრაქტიკა.

თანამედროვე იაპონიის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ინტენსიური სტრუქტურული გარდაქმნები თანამედროვე რესურსდამზოგავი, მეცნიერება და ინფორმაციატევადი მოდელების საფუძველზე. იაპონია საყოველთაოდ აღიარებული მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი და უმსხვილესი კრედიტორია. მეცნიერება და ტექნიკა საბაზრო ეკონომიკის, მთლიანად

ეკონომიკური ზრდის იაპონური მოდელის მთავარი სტრუქტურული ფაქტორია. დიდი მნიშვნელობა აქეს აგრეთვე ფულადი მიმოქცევისა და ფასების შეფარდებით სტაბილურობას.

განვითარების იაპონური მოდელი განსხვავდება აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის მაღალი დონით. იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა სამეურნეო განვითარების ზოგადი პერსპექტიული მიმართულებების შემუშავება ინდიკატიური გეგმების სახით. აღსანიშნავია, რომ ასეთ გეგმიანობის ელემენტებს არსებითი წვლილი შეაქეს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებაში. პირველი ასეთი საორიენტაციო ხასიათის „ეკონომიკის აღდგენის გეგმა" 1949წ. შედგა და გათვლილი იყო 1952 წლამდე პერიოდისათვის. და მაინც, პირველი ოფიციალური გეგმა დამუშავდა 1955 წელს, რომლის შემდეგაც შედგა 12 გეგმა (ძირითადად ხუთწლიანი). მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ეროვნული შემოსავლის გაორკეცების გეგმა" (1960 წ.), რომლითაც ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ათ წელიწადში ორჯერ უნდა გაზრდილიყო (პროგრამა ფაქტობრივად შვიდ წელიწადში განხორციელდა).

1995 წლის დეკემბერში იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა 1996-2000 წწ. ახალი ეკონომიკური პროგრამა სახელწოდებით – „სტრუქტურული რეფორმების სოციალურ-ეკონომიკური გეგმა – ძლიერი ეკონომიკა და პრობლემებისაგან თავისუფალი ხალხის ცხოვრება", რაც მიზნად ისახავს დიდ სტრუქტურულ ძვრებს ეკონომიკაში. სტრუქტურული ძვრების და, საერთოდ, ეკონომიკის გარდაქმნის მთავარი მიმართულებაა წარმოების ავტომატიზაცია და რესურსთდაზოგვა, ახალი მეცნიერებატევადი დარგებისა და წარმოების განვითარება, არსებული დარგების ძირეული ტექნოლოგიური გარდაქმნა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების საფუძველზე, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, სამმართველო-ორგანიზაციული სისტემის სრულყოფა მენეჯმენტის უახლეს მიღწევათა საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერებასა და განათლებას, რაც ეკონომიკური ზრდის მთავარ სტრუქტურულ ფაქტორად გადაიქცა (მაგალითად, თუ 1960-1970 წწ. მათზე მოდიოდა მშპ-ის ნამატის 57%, 90-იანი წლების დამლევს მან 85%-ს მიაღწია). ამავე პერი-

ოდმი ინტენსიურად სორციელდებოდა მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეთა იმპორტიდან საკუთარ სისტემაზე გადასვლა (შესაბამისი საკუთარი პატენტების ხვედრითი წილი 18-24%-დან გაიზარდა 83-85%-მდე).

უნიკალური საინფორმაციო სისტემა და პროგნოზირება ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს სრულად განჭვრიტოს ბაზრისა და წარმოების მოცულობა და სტრუქტურა, ე.ი. გეგმაზომიერად მართოს ის არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც კი. საინფორმაციო სისტემაზე გადასვლა ეკონომიკის განვითარებაში ახალ თვისებრიობასა და ეფექტიანობაზე, ახალ რეგულატორებზე გადასვლის საეტაპო მოვლენაა. ამასთან, კვლავაც მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საბაზრო მეთოდებისა და სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების მეთოდების ოპტიმალური შეხამებისათვის, რაც ეკონომიკური სისტემის მაღალეფექტიანი ფუნქციონირების პირობაა. ბუნებრივია, ადმინისტრაციული და საბაზრო მეთოდების თანაფარდობა მთლიანად განისაზღვრება კონკრეტული ვითარებით. გამოცდილება ადასტურებს, რომ რაც უფრო მწვავეა ეკონომიკური სიტუაცია, მით დიდია პირდაპირი ადმინისტრაციულ-არაეკონომიკური მეთოდების როლი, და რაც უფრო სტაბილურია მდგომარეობა, მით უფრო დიდია საბაზრო მეთოდებისა და ადმინისტრაციული არაპირდაპირი რეგულატორების (გადასახადები, კრედიტი, ფასები და სხვ.) სამოქმედო არეალი.

და მაინც, იაპონიის ეკონომიკის დიდი წარმატებების მიუხედავად, 90-იან წლებში იქ სერიოზულმა სიძნელეებმა იჩინა თავი, რაც გამოვლინდა შემდეგი ნიშნებით: 1. იაპონიის ეკონომიკური ზრდის ტემპი ყველაზე დაბალია დიდი შვიდეულის ქვეყნებს შორის; 2. რამდენადმე დაეცა დოლართან მიმართებით იენის კურსი; 3. ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ბოლო წლებში მერყეობს 6-9%-ის ფარგლებში, რაც იფარება სახელმწიფო ვალის ანგარიშზე, რაც თავის მხრივ, იზრდება და ბევრი განვითარებული ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით მაღალია; 4. საშინაო ბაზარზე საგრძნობია საქონელთა ჭარბწარმოება და, შესაბამისად, სამომხმარებლო მოთხოვნის დაცემა; 5. დაახლოებით 3%-ით შემცირდა კომპანიათა მოგება; 6. სარგებლის განაკვეთი პრაქტიკულად ნულის ტოლია, რაც შესაძლებლობას არ

იძლევა სტიმულირებულ იქნეს ეკონომიკური ზრდა კრედიტის განაკვეთის შემცირების ტრადიციული წესით; 7. დაიწყო უმუშევრობის ზრდა, რაც 1998 წლის 3%-დან 1999 წელს 7%-მდე გადიდდა; 8. შემცირდა ექსპორტის ოდენობა და ა.შ. რაც შეეხება მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპს, ის შეადგენდა: 70-იან წლებში – 5,4%-ს, 80-იან წლებში – 4,3%-ს, 1991წ. – 3,8%-ს, 1992-1994 წწ. – 1%-ზე ნაკლები იყო, 1995 წ. – 1,4%, 1996 წ. – 3,5%, 1997წ. – 0,2%; 1998 წ. – 0,6%; 1999 წ. – 1,4%; 2000 წელს – 0,0%. საშუალო წლიური ზრდის ტემპი 1991-2000 წლებში ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე 1981-1990 წლებში – 2,7 პუნქტით, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი შემცირდა ევროკაემირის ქვეყნებში 0,4 და აშშ-ში – 0,2 პუნქტით. თუ იაპონია დიდხანს ლიდერობდა ახალი ინფორმაციების ტექნოლოგიების სფეროში, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გარკვეულწილად ჩამორჩა. პრობლემაა ისიც, რომ ქვეყნის მოსახლეობა სწრაფად ბერდება, ამასთან, მცირდება ახალგაზრდების რიცხოვნობა, რის გამოც იგრძნობა მობილური სამუშაო ძალის უკმარისობა არატრადიციული აზროვნებით.

ზაქედან ცხადია, რომ ეკონომიკის განვითარების იაპონური მოდელი მაღალეფექტიანი იყო 1990 წლის ბოლომდე, მაგრამ შემდგომ ის საკმაო შეფერხებებით ხასიათდება, ე.ი. მთლად უზადო არ აღმოჩნდა, როგორც ეს ჩანდა 35-40 წლის მანძილზე.

ეკონომიკის ფუნქციონირებაში ზემოთ აღნიშნული და სხვა ხასიათის სარვეზების აღმოფხვრას იაპონია შეეცადა ძველი მეთოდებით, როგორიცაა: ეკონომიკური ზრდის შეკავება (ინვესტიციების შემცირებით), ექსპორტის გაძლიერება (იენის დევალვაციით) და იმპორტის შემცირება (უცხოური საქონლისა და კაპიტალის სამინაო ბაზარზე მოდინების ხელის შემლით). როგორც მაღალკვალიფიციური ექსპერტები ასკვნიან, აღნიშნულ ღონისძიებათა ნაცვლად, უფრო ეფექტიანი იქნებოდა წესრიგის დამყარება საბანკო სფეროში (საკრედიტო ექსპანსიის არდამვება, კრედიტის გაცემა საბაზრო საფუძველზე), ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესუსტება (გადასახადების შემცირება, სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება), მოთხოვნის წახალისება სამომხმარებლო ბაზარზე (გადასახადების შემცირებით), საშინაო ბაზრის უფრო მეტი გახსნილობა უცხოელ ინვესტორთათვის და სხვ. როგორც მიიჩნევენ, დღეისათვის იაპონია საჭიროებს დაახლოე-

ბით იმავე რეფორმას, რაც განხორციელდა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში 80-იან წლებში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ იაპონია გარკვეულწილად ჩამორჩა აშშ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყანას ეკონომიკის დერეგულირებაში. იაპონიის თანამედროვე ეკონომიკური პრობლემები დაკავშირებულია არა იმდენად უშუალოდ ქვეყანასთან, რომელიც ფლობს მძლავრ საინვესტიციო და ინტელექტუალურ პოტენციალს, რამდენადაც მართვის არასწორ მეთოდებთან. იაპონიის მენეჯმენტის სპეციფიკის, ასევე მომწიფებული სტრუქტურული ძვრების შეყოვნების გამო, იაპონია მსოფლიო სამეურნეო სისტემის ერთ-ერთ რთულ რგოლად იქცა. თუმცა, როგორც უაღრესად დადებითი მომენტი, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს რთული სიტუაციიდან იაპონიის გამოყვანის გზების ძიება, რაც, ალბათ, ახალი „ეკონომიკური სასწაულის" საფუძველი გახდება. საქმე ის არის, რომ მთელს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში 90-იანი წლების ძლიერი კრიზისის მიუხედავად, ზრდის საკმაოდ ოპტიმისტური ტენდენციები დაისახა უკვე 2001 წლიდან. პოზიტიური ტენდენციებიდან შეიძლება გამოიყოს ის, რომ იაპონიის გარშემო იქმნება აზიის ქვეყნების ეკონომიკათა გაერთიანება, რაც მძლავრი ეკონომიკური კავშირის სახეს იღებს. სულ უფრო ინტენსიური ხდება ფინანსურ-ეკონომიკური თანამშრომლობა იაპონიას, ჩინეთს, სამხრეთ კორეასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ნაციათა ასოციაციის ათ წევრ ქვეყანას შორის (მალაიზია, სინგაპური, ფილიპინები, ინდონეზია, ტაილანდი და ა.შ.). აქ ლიდერობის პრეტენზიას აშკარად იაპონია აცხადებს.

მნიშვნელოვანი პოზიტიური მოვლენაა ის, რომ აშშ-ს მსგავსად, იაპონიაშიც გაჩნდა „ახალი ეკონომიკა" მაღალტექნოლოგიებსა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე დამყარებული კომპანიების სახით.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1999 წელს იაპონიამ განახორციელა გრანდიოზული ფინანსური რეფორმა, რამაც „დიდი გარღვევის" სახელწოდება მიიღო, შეიქმნა ახალი კანონების მთელი პაკეტი, რითაც გადაისინჯა ბანკების, ბირჟების, სადაზღვევო საქმიანობისა და ფასიანი ქაღალდების შესახებ არსებული ნორმატიული აქტები. გარდაქმნების არსია – ფინანსური ოპერაციების ლიბერ-

ალიზაცია, რომლითაც აღნიშნულმა კომპანიებმა უფლება მიიღეს განახორციელონ ფინანსური ოპერაციების მთელი სპექტრი.

იმავდროულად, იაპონიის წამყვანმა ბანკებმა დაიწყეს სწრაფი რესტრუქტურიზაცია. 1999 წლის ბოლოს სამმა წამყვანმა ბანკმა – „დაიტი კანგე", „იაპონიის სამრეწველო ბანკი" და „ფუჰი" – განაცხადეს საფინანსო ჰოლდინგის – „მიძუხოს ჯგუფი" შექმნის შესახებ. ეს არის ბანკი 1 ტრლნ დოლარის აქტივით, ერთ-ერთი უმსხვილესი მსოფლიოში. ამის კვალდაკვალ ბანკებმა „სუმიმოტო" და „საკურა" – განაცხადეს (2002 წლის აპრილს) შერწყმის თაობაზე, რომელთა ჯამობრივმა აქტივმა შეადგინა 931 მლრდ დოლარი. მოკლედ, მიმდინარეობს მთელი საფინანსო სისტემის რესტრუქტურიზაცია, ერთიანდებიან საბროკერო და სადაზღვეო კომპანიები, რაც იმის მაუწყებელია, რომ „ფინანსური იაპონია" ემზადება კონკურენციული ბრძოლის ახალი ეტაპისა და რეევანშისათვის 90-იანი წლების მარცხის გამო.[1] ამის საფუძველი კი არის ის, რომ იაპონიის ეკონომიკას აქვს შემდგომი ზრდა-განვითარების მძლავრი პოტენციალი, დაგროვების მაღალი ნორმა, დამქირაველებლებსა და დაქირავებულებს შორის სტაბილური დამოკიდებულება, პყავს შრომისმოყვარე და მაღალმემსრულებელი სამუშაო ძალა, საწარმოებში აქტიურ მენეჯერთა ძლიერი ფენა და ა.შ.

---

[1] **А.Г. Мовсесян, С.Б. Огнивцев,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 514.

თავი VIII

კორეის რესპუბლიკის „ექსპორტზე ორიენტირებული“ ეკონომიკური მოდელი

1. ქვეყნის ზოგადი დახასიათება

სამხრეთი კორეა, ანუ ოფიციალური სახელწოდებით კორეის რესპუბლიკა, დინამიკურად განვითარებადი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, რომელსაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ე.წ. „აზიური დრაკონების“ ოთხეულში (ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური). მეორე მსოფლიო ომში იაპონიის მილიტარიზმის განადგურების შედეგად ბოლო მოეღო კორეაში იაპონიის თითქმის 40-წლიან კოლონიურ ბატონობას, თუმცა სიმდროინდელი მოკავშირეების — სსრ კავშირისა და აშშ-ს შეთანხმებისამებრ კორეის ნახევარკუნძული დაიყო შესაბამისად მათ სამეურვეო ჩრდილოეთ და სამხრეთ ზონებად. ეს დროებითი გამიჯვნა, სამწუხაროდ, დიდხანს გაჭიანურდა, უფრო მეტიც, 1950-1953წწ. ომმა „განამტკიცა“ ნახევარკუნძულის გახლეჩა ორ ნაწილად, რომლებიც სხვადასხვა გზით წავიდნენ. 1948 წლის 15 აგვისტოს კორეის რესპუბლიკა გამოცხადდა როგორც საპარლამენტო რესპუბლიკა საპრეზიდენტო მმართველობით. პრეზიდენტი როგორც სახელმწიფოს მეთაური, ირჩევა პირდაპირი საყოველთაო ფარული არჩევნების გზით ხუთი წლის ვადით, ახალი ვადით არჩევის უფლების გარეშე. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან პარლამენტს — ნაციონალურ კრებას. პრეზიდენტი ქმნის კაბინეტს (სახელმწიფო საბჭოს), რომელსაც ამტკიცებს ნაციონალური კრება, პრემიერ-მინისტრი კი პრეზიდენტის მოადგილეა.

კორეის რესპუბლიკის ტერიტორია სულ 99,1 ათასი კვ.კმ-ია, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა — 43 მლნ კაცი, რომელთაგან 10 მლნ დედაქალაქ სეულში ცხოვრობს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ ცხოვრობს დაახლოებით 4 მლნ კორეელი. მათ შორის: აშშ-ში — 1 მლნ, იაპონიაში — 700 ათასი, ჩინეთში — 2 მლნ და ა.შ., რომელთაც მჭიდრო კავშირები აქვთ კორეის რესპუბლიკასთან.[1]

---

[1] Толорая Г.Д. Республика Корея, М., 1991, გვ. 47.

კორეა ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი ქვეყანაა მსოფლიოში – ტერიტორიის 70% მთებს უკავია. სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი ფართობი ერთობ ცოტაა – მხოლოდ ზღვის სანაპირო ზოლებსა და მდინარეთა აუზებში. ასეთმა რელიეფმა დიდი ზემოქმედება მოახდინა კორეელთა ცხოვრების წესზე, მეურნეობასა და კულტურაზე. საყოველთაოდაა ცნობილი კორეელთა შეუპოვრობა, ამტანობა, შრომისმოყვარეობა და გერგილიანობა, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდი როლი შეასრულა „სეულის ეკონომიკური სასწაულის" განხორციელებაში.

კორეის რესპუბლიკა ერთობ ღარიბია ბუნებრივი რესურსებით და თითქმის მთლიანად დამოკიდებულია მინერალური რესურსების იმპორტზე. სამრეწველო მნიშვნელობისაა მხოლოდ ქვანახშირის საბადოები, არის მცირეოდენი რკინის მადანი და საკმაოდ მნიშვნელოვანი – ამორფული გრაფიტის მარაგი. წიაღისეულის ასეთი სიმწირის მიუხედავად, ქვეყანამ მოკლე ისტორიულ პერიოდში (სულ რაღაც 40 წელიწადში) შთამბეჭდავ ეკონომიკურ პროგრესს მიაღწია. გასული საუკუნის 90-იან წლებში, განვითარებულ ქვეყნებს შორის კორეას სამრეწველო წარმოებით მე-15 ადგილი ეკავა, საქონელბრუნვით – მე-13, გემთმშენებლობით – მეორე, ტელევიზორების წარმოებით – მე-4. მისდევს რა ეკონომიკური განვითარების „საექსპორტო მოდელს", მთავრობა ყოველნაირად ასტიმულირებს ექსპორტს, რომლის ძირითადი სფეროებია ავტომშენებლობა, კომპიუტერები, ვიდეომაგნიტოფონები, ნახევარგამტარები და სხვა მაღალტექნოლოგიური ნაკეთობები. ამით ის დიდ კონკურენციას უწევს მსოფლიოს ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებს[1].

მშპ-ს ოდენობით კორეის რესპუბლიკა მსოფლიოში მე-11 ადგილზეა, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 15 ათას დოლარამდე მშპ[2].

ამრიგად, კორეის რესპუბლიკამ, რომელიც თავდაპირველად დიდად იყო დამოკიდებული აშშ-ზე, დაადგა რა უცხოური კაპიტალის მასობრივი მოზიდვის სტრატეგიას, მალე დააღწია თავი ეკონომიკურ და სოციალურ ჩამორჩენილობას და ქვეყანა დასავ-

---

[1] **Игребаев А.Т., Осинов В.П.** Южная Корея, М., 1990, გვ. 3.

[2] **Погорлецкий А.И.** დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

ლეთზე ცალმხრივი დამოკიდებულებიდან მტკიცედ გადავიდა მსოფლიოს ძირითად ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრებთან პარტნიორულ ურთიერთობებზე. ამით ქვეყანაში დაიწყო საზოგადოების ლიბერალიზაციის პროცესი და მთლიანობაში ეკონომიკური განვითარების კორეულმა მოდელმა სავსებით კანონზომიერად დაიმკვიდრა ადგილი სხვა აღიარებულ მოდელებთან ერთად.

საბოლოოდ, თანამედროვე კორეის რესპუბლიკის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ანალიზისას, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის ფაქტორთა მთელი კომპლექსი, რამაც განსაზღვრა თანამედროვე ეტაპის სპეციფიკა. მათ შორისაა: იაპონიისადმი 35-წლიანი კოლონიური დაქვემდებარება (1910-1945წწ.), კორეის გახლეჩა ორ ნაწილად მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1950-1953 წლების მძიმე და დამანგრეველი ომი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება და განვითარება ორ კორეულ სახელმწიფოს შორის უაღრესად დაძაბული კონფრონტაციის პირობებში[1].

2. საექსპორტო სტრატეგიის კონცეფცია – კორეის ეკონომიკური განვითარების მოდელის გენერატორი

XX საუკუნის თითქმის 50-იანი წლების ბოლომდის კორეის რესპუბლიკის ეკონომიკური ცხოვრება განვითარებადი ქვეყნების ანალოგიური იყო, მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობდა. ქვეყანა არსებითად აშშ-ს დახმარებით არსებობდა და აშშ-ზე დამოკიდებულებისა და სიღატაკისაგან თავის დაღწევის გამოსავალი თითქმის არ ჩანდა.

სწორედ ასეთ პირობებში, 60-იანი წლების დამდეგიდან, კორეის რესპუბლიკა შეუდგა იმ დროისათვის უპრეცენდენტო – ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის განხორციელებას. ამიერიდან, სწორედ ეკონომიკური და, კონკრეტულად, რესპუბლიკის ეკონომიკის მოდერნიზაციის მთავარი ინსტრუმენტი გახდა „ექსპორტორიენტირებული ზრდის სტრატეგია“,

---

[1] Бучкин А.Я. Социальная эволюция современной Южной Кореи, М., 1987, გვ. 3.

რომელიც დომინირებდა ეკონომიკური განვითარების ოთხი ხუთწლიანი გეგმის შესრულების პროცესში (1962-1981წწ.). ასეთი სტრატეგიის არჩევა ნაკარნახევი იყო სამინაო ბაზარზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზღვარის გადალახვის აუცილებლობით, დაფინანსების ახალი წყაროების გამონახვის საჭიროებით, არსებული საწარმოო და შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებისათვის.

[საექსპორტო სტარტეგიის კონცეფცია ეკონომიკის დარგებს განიხილავს როგორც პროდუქციის წარმოების მხოლოდ ან ძირითადად მაინც როგორც ეკონომიკური ზრდის გენერატორს. მიჩნეულია, რომ საექსპორტო ამონაგები გახდება გაფართოებული კვლავწარმოების საფუძველი, უზრუნველყოფს დაგროვების ნორმის ზრდას და წარმოებრიეი სტრუქტურის თანდათანობით განვითარებას, ხელს შეუწყობს სამინაო მოხმარებისათვის საქონელთა, ასევე მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის იმპორტის შესაძლებლობას.] ამ ნოვატორულ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, თითქოსდა არ ჰქონდა არაეითარი საფუძველი ქვეყნის სუსტი რესურსული პოტენციალისა და ეკონომიკის ძირითადი სექტორების ჩამორჩენილობის პირობებში, მაგრამ იმ ქვეყანათა შორის, სადაც ეს კონცეფცია გამოიცადა, ექსპერტთა აზრით, კორეის რესპუბლიკა ყველაზე წარმატებული მაგალითია, რაც მისაბაძი უნდა გახდეს თანამედროვე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც.

ერთადერთი, რაზეც კორეის რესპუბლიკაში ამ პროგრამის განხორციელებისას დაყრდნობა შეიძლებოდა, შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული და კვალიფიციური სამუშაო ძალა იყო, თუ ის დასაქმებული იქნებოდა. ამისათვის კი საჭირო იყო დიდძალი უცხოური კაპიტალის მოზიდვა და ქვეყანაში ეკონომიკური გამოცოცხლების დაწყება. საექსპორტო წარმოების აღორძინების პროგრამა ძირითადად 20-წლიან პერიოდს ითვალისწინებდა. მას დასავლეთის ექსპერტებმა „სეულის ეკონომიკური სასწაულის" საიდუმლო უწოდეს[1]. პროგრამა ხორციელდებოდა ეტაპობრივად, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის თანმიმდერულად გაგარების საფუძველზე. მის პირველ ეტაპზე (1963-1969წწ.) უცხოური კაპიტალი უზრუნველყოფდა სამინაო კაპიტალდაბანდებათა 44%-ს და იმ-

[1] Толорая Г.Д., დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

პორტის ნახევარზე მეტის დაფინანსებას. 60-იანი წლები შუა ხანებიდან უფრო მზარდი როლის შესრულება იწყეს ქვეყნის საწარმოებმა უცხოური კაპიტალის უშუალო მონაწილეობით, რომლის ოდენობამ 5 მლრდ დოლარს გადააჭარბა. ყველაზე მეტი ასიგნება მოდიოდა აშშ-დან, იაპონიიდან და საერთაშორისო საფინანსო და სავალუტო ორგანიზაციებიდან. 80-იანი წლების შუა რიცხვებისათვის სახელმწიფო სესხმა შეადგინა 13 მლრდ დოლარი. სესხების 70%-მდე თანხა გამოიყენებოდა მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნაზე.

უცხოურმა კაპიტალმა გადამწყვეტი როლი შეასრულა კორეის რესპუბლიკაში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაში, რამაც თავის მხრივ დიდად განაპირობა ექსპორტის არნახული ზრდა. ქვეყანაში სამართლიანად გავრცელდა გამოთქმა: „ექსპორტი ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა". საქმე ის არის, რომ საშინაო ბაზრის სივიწროვის გამო მხოლოდ საექსპორტო მიწოდება უზრუნველყოფდა სამამულო წარმოების ზრდას. ამის მეოხებით ქვეყნის მეპ-ში ექსპორტის წილი გაიზარდა 2,5%-დან 60-იანი წლების დამდეგს, 40%-მდე 80-იანი წლების დამლევისათვის. ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის შიგნით წარმოების ზრდის მესამედზე მეტს უზრუნველყოფდა საგარეო ბაზრებზე პროდუქციის გასაღება.

ამის მეოხებით, კორეის რესპუბლიკის მეპ-ის საშუალოწლიური ზრდის ტემპი 60-80-იან წლებში თითქმის 10% იყო, რაც იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენდა. მეპ-ის სტრუქტურაში არსებითად გადიდდა სამრეწველო საქონელთა ხვედრითი წილი — 41%-მდე 1983 წელს. საკუთრივ მრეწველობაში გაიზარდა მანქანათმშენებლობის, ქიმიის, მეტალურგიის წილი; შესაბამისად, ბუნებრივია, ამაღლდა ამ სექტორების წილი ექსპორტის საქონლურ სტრუქტურაში. მისმა ღირებულებითმა მოცულობამ გადააჭარბა 25 მლრდ დოლარს 80-იანი წლების შუა ხანებში, ნაცვლად 33 მლნ დოლარისა — 1960 წელს. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მეპ-ის მოცულობა 60-იანი წლების დამდეგიდან 1985 წლისათვის გაიზარდა 20-ჯერ და მეტად და შეადგინა 2 ათას დოლარზე მეტი. ყოველწლიურად, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის 50% და მეპ-ის 1/3-მდე გაიტანებოდა საზღვარგარეთ, მნიშვნელოვნად გაიზარდა კო-

რეის რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ პარტნიორთა რაოდენობა, დივერსიფიცირებული გახდა საგარეო-ეკონომიკური კავშირების სახეობები და ფორმები.[1]

ექსპორტის დარგში კორეის რესპუბლიკის სამთავრობო სტრატეგიაში გამოყოფილი იყო პრიორიტეტული დარგები, რომელთა პროდუქცია საზღვარგარეთ გასაღების სარჯზე სტიმულირდებოდა ზრდის ახალი, სულ უფრო მზარდი საშუალებები. ამ მექანიზმის რგოლებში იცვლებოდა ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის კვალობაზე: 60-იან წლებში ასეთი იყო დარგები, სადაც მაღალია ცოცხალი შრომის წილი, 80-იან წლებში – კაპიტალტევადი დარგები, მოგვიანებით კი ასეთი გახდა უახლეს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიღწევებზე დაფუძნებული დარგები, შეიცვალა უცხოური კაპიტალის როლიც. მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გახდა არა იმდენად ეკონომიკური განვითარების პროგრამების დაფინანსება, არამედ უახლესი ტექნოლოგიების მოწოდება და სამმართველო გამოცდილების გაზიარება. ყოველივე აღნიშნულის ფონზე, ქვეყნის მრეწველობის განვითარების ასპექტით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გადამამუშავებელ დარგებში პირველი ადგილი დაიკავა ელექტრონიკამ, საერთო მანქანათმშენებლობამ, ქიმიამ. სამხრეთი კორეა მოკლე პერიოდში გადაიქცა მარტივი და იაფი სხვადასხვა ნაწარმის მიმწოდებლებიდან – მიკროელექტრონიკის, ავტომატიზაციისა და ინფორმატიკის საშუალებების, ავტომობილების, გემების და ა.შ. სოლიდურ და საიმედო ექსპორტიორად. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის ნამდვილი „ლოკომოტივი“ ექსპორტი გახდა, რაც გაიზარდა 41 მლნ დოლარიდან 1962 წელს, 62,4 მლრდ დოლარამდე 1989 წელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის საწარმოო სფეროებში განსაკუთრებით ძლიერია აშშ-ს კომპანიების პოზიციები, მომსახურების სფეროში კი – იაპონიისა, თუმცა იაპონური ტექნოლოგიები ჭარბობს ტექნიკურად რთულ ნაკეთობათა წარმოებაშიც.

ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაცია მიმდინარეობდა ხუთწლიანი გეგმების ფარგლებში. I (1962-1966წწ.) და II (1967-1971წწ.) ხუთწლედის ამოცანა იყო საექპორტო წარმოების შექმნა, უმთავრესად მსუბუქი მრეწველობის

---

[1] **Бучкин А.Я.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

განვითარების ხარჯზე; III (1972-1976წწ.) ხუთწლედში უზრუნველყოფილ იქნა მძიმე მრეწველობის განვითარება, რომლის დარგობრივ სტრუქტურაში გაიზარდა გემთმშენებლობისა და მეტალურგიის ხვედრითი წონა. ამასთან, შენარჩუნებულ იქნა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი — 11% წელიწადში. IV ხუთწლედში (1977-1981წწ.) კვლავ გაგრძელდა მრეწველობის, მათ შორის განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის, მეტალურგიის, გემთმშენებლობის, ელექტრონიკის განვითარების კურსი. იმავე პერიოდსა და მომდევნო ხუთწლედში (1982-1986წწ.) საექსპორტო პროდუქციის მსოფლიო არენაზე მაღალკონკურენტუნარიანობის ღერძად აღიარებულ იქნა მისი მაღალი ტექნოლოგიური დონე, სოლო ცენტრალურ ამოცანად მიჩნეულ იქნა წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დონის ამაღლება და მოდერნიზაცია. პარალელურად მთავრობა ახორციელებდა ეკონომიკის ლიბერალიზაციის ღონისძიებებს, განსაკუთრებით საგარეო სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, რათა ბოლომდე აღმოფხვრილიყო ქვეყნის საგარეო ბაზრებზე გასვლის შემაფერხებელი მიზეზები.

VI (1987-1991წწ.) ხუთწლედის ამოცანა იყო ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფა, საბაზრო რეგულირების გაფართოება, საფინანსო-საკრედიტო სფეროს ლიბერალიზაცია, წვრილი და საშუალო ბიზნესის როლის ამაღლება და სხვ., რაც ძირითადად განსორციელდა.

როგორც ცნობილია, ქვეყნის ხელოვნურად გახლეჩის შემდეგ კორეის რესპუბლიკამ თითქმის დაკარგა მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიც არის მეტალურგია, ქიმიური, ცემენტის და ა.შ. ამასთან, სამხრეთში იყო თავმოყრილი მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოების 76,8%, კვების — 60,7%, ხისდამამუშავებელი მრეწველობის 68% და სხვ., მაგრამ ეს დარგები ქვეყნის გახლეჩის შემდეგ მოწყვეტილი აღმოჩნდა სათბობით, ელენერგიით მომარაგების მთავარი წყაროებისაგან, რაც ჩრდილოეთში იყო. მიუხედავად ამისა, გუშინდელმა კოლონიურმა ქვეყანამ, ომებით გაპარტახებულმა, სადაც არც ყოფილა რაიმე სერიოზული საქმიანი ბიზნესმენური ტრადიციები, მოკლე პერიოდში ღირსეული ადგილი დაიმკვირდა მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყანათა რიცხვში. ამაში გადამწყვეტი როლი, როგორც სავსებით სწორად აღნიშნავენ ცალკეული მკელევრები და

პოლიტიკოსები, შეასრულა იმ ეკონომიკურმა სტრატეგიამ, რაც რესპუბლიკაში თანმიდევრულად, მემკვიდროებითობის მეტ-ნაკლებად დაცვით ხორციელდებოდა ყველა მთავრობის მიერ, ქვეყნისა და ხალხის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

უწინარესად, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ 1949-1951წწ. ამშ-ს მხარდაჭერით განხორციელდა რადიკალური აგრარული რეფორმა, რის შედეგადაც ყოფილმა მემამულეებმა მიიღეს რა დიდძალი ფულადი სახსრები, მასობრივად მიეძალნენ ეაჭრობას, მრეწველობას, საფინანსო საქმეს. რეფორმის შედეგად უკვე 1965 წლისათვის იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ფლობდნენ და ამუშავებდნენ მიწას, 1945 წლის 14%-დან გაიზარდა 70%-მდე. მკვეთრად — 49-დან 7%-მდე შემცირდა არენდატორთა ხვედრითი წილი. აგრარულმა რეფორმამ სწრაფად მოულო ბოლო კაპიტალისტურამდელ აგრარულ ურთიერთობებს და დაამკვიდრა ფერმერული მეურნეობები. ამან გზა გაუხსნა კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას არა მხოლოდ სოფლად, არამედ ქალაქადაც. ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის აღორძინება დაიწყო აგრარული საკითხის გადაჭრით. სწორედ ამ სფეროში წარიმართა პირველი მსხვილი ინვესტიციები, ამაღლდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ფასები და ა.შ.

კორეის რესპუბლიკაში ხორციელდება ეფექტიანი ღონისძიებები აგრარული სექტორის მოდერნიზაციისათვის, რაც 70-იანი წლების დამდეგს დაიწყო დევიზით „მოძრაობა ახალი სოფლისათვის". ძირითად ამოცანად მიჩნეული იყო ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდაქმნა სოფლად, გლეხობის მიერ თანამედროვე აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაუფლება, მათი ცხოვრების დონის ამაღლება და სხვ. ამასთან, როგორც სახელმწიფო, ასევე მოზიდული სახსრებით ფინანსდებოდა სხვადასხვა პროგრამა სოფლად, როგორიცაა: კოოპერაციული ფერმებისა და გადამამუშავებელი ფაბრიკების ორგანიზაცია — მშენებლობა, ინფრასტრუქტურის შექმნა, თანამედროვე აგროტექნიკის დანერგვა და გლეხთა დახმარება საცხოვრებელი ბინების რემონტში და მრავალი სხვ.

აგრარული სექტორის მოდერნიზაციის ღონისძიებათა შედეგად მკვეთრად ამაღლდა სოფლის მეურნეობის საქონლიანობა, მარცელეულის მონოკულტურაზე სპეციალიზაციიდან მოხდა გადასვლა კულტურათა საბაზრო სპეციალიზაციაზე, რომელ პროექტებშიც

100 ათასამდე გლეხური მეურნეობა მონაწილეობს, რაც მათი საერთო რაოდენობის 40%-მდე შეადგენს. სოფლის მეურნეობა იძლევა ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დაახლოებით მესამედს, მაგრამ მიწათა უკმარისობის გამო იგი უძლურია დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილება სურსათზე. არადამაკმაყოფილებელია სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურაც, რომელშიც ძალიან დაბალია მეცხოველეობის ხვედრითი წონა. მემცენარეობის სტრუქტურაში კი ტრადიციულად ჭარბობს ბრინჯის მოყვანა, განვითარებულია მებოსტნეობა, მეხილეობა და სხვ. სურსათით უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზღვის პროდუქტთა მოპოვება.

კორეის რესპუბლიკის აგრარული სექტორის საფუძველი წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობაა, მათი წილი 1 ჰა მიწით 65,5%-ია, 1-2 ჰა-თი — 28,7% (XXს. 90-იანი წლების მონაცემებით). გლეხური მეურნეობები, როგორც წესი, წარმოების გაძღოლის ტრადიციულ ადათ-წესებს იყენებენ. მათ მდგომარეობას მნიშვნელოვნად ამძიმებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის გარკვეულწილად ლიბერალიზაცია.

როგორც ცნობილია, 1950-1953წწ. ომის დასრულების შემდეგ, აშშ-ს დახმარებით შემუშავდა სამხრეთი კორეის ეკონომიკის აღდგენის გეგმა, ხოლო სუბსიდებისა და „განვითარების სესხების" სახით აშშ-მ ქვეყანას მისცა 1,5 მლრდ დოლარი. ამან ხელი შეუწყო ეკონომიკის შედარებით სწრაფ აღდგენას.

60-იან წლებში მთავრობის ეკონომიკურ მიზნად დასახულ იქნა კერძო ინიციატივის წახალისება, ეროვნული კერძო კაპიტალისტური წყობის განმტკიცება „მართვადი კაპიტალისტური ეკონომიკის" დევიზით, რაც ნიშნავდა მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების შემოღებას. ეკონომიკური პოლიტიკის შემდგენელი ნაწილი გახდა ეკონომმიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმები, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მისი შესრულება არასოდეს აკარებდა დირექტიულ ხასიათს.

იმავე პერიოდში მთავრობამ კურსი აიღო ეკონომიკური განვითარების საექსპორტო ორიენტაციაზე. ზოგიერთი საკანონმდებლო აქტით უცხოურ კაპიტალს მიეცა რიგი პრივილეგია და, რაც მთავარია, მთავრობამ თავის თავზე აიღო ქვეყნის კონტრაგენტთა გადახდისუნარიანობის პასუხისმგებლობა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაპონიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას 1965 წელს, რამაც სათავე დაუდო იაპონიის კაპიტალის მოდინებას და კორეისათვის გაიხსნა იაპონიის ბაზარი. აღსანიშნავია, რომ ურთიერთობის ნორმალიზაციის შეთანხმებით იაპონიამ ივალდებულა კორეისათვის გადაეხადა 300 მლნ დოლარი კომპენსაცია იმ ზიანისათვის, რაც მას მიაყენა კოლონიური ბატონობის წლებში. იგივე შეთანხმება ითვალისწინებდა 200 მლნ დოლარი სესხის მიცემასა და 300 მლნ დოლარის კომერციული კრედიტის გახსნას.

სულ იაპონიამ კორეის რესპუბლიკას 20 წელიწადში (1965-1985წწ.) მისცა სამთავრობო და კერძო საფუძველზე 12 მლრდ დოლარი.

70-იანი წლების დასაწყისში აშშ-მ კორეის რესპუბლიკას შეუწყვიტა აუნაზღაურებელი სუბსიდიების მიცემა და ყველა უცხოური კაპიტალი მხოლოდ კომერციულ საწყისებზე გადავიდა.

80-იან წლებში კორეის რესპუბლიკის მმართველმა წრეებმა განაგრძეს განვითარების საექსპორტო მოდელის კურსი, რომლის განხორციელების მკვებავი არტერია იყო აშშ-ს და იაპონიის კაპიტალი. ამიის ქვეყნებში არც ერთ რეჟიმს, ტაივანის გარდა, არ მიუღია იმდენი უცხოური სუბსიდიები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კაპიტალის სახით და არ ყოფილა ისე მჭიდროდ დაკავშირებული აშშ-სა და იაპონიის ბაზრებთან, როგორც კორეა. მართალია, ქვეყნის ეკონომიკური პროგრამის დაფინანსებაში სულ უფრო იზრდებოდა საშინაო დაგროვების წილი, ხოლო უცხოურისა — მცირდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა 1987წ. მაინც შეადგინა 3 მლრდ დოლარი.

უცხოური კაპიტალის მოდინებამ თვალსაჩინოდ გაზარდა კორეის რესპუბლიკას საგარეო ვალი, რამაც შეადგინა: 1982 წელს — 37,3 მლრდ დოლარი, 1985 წელს — 45 მლრდ დოლარი. 1986 წელს კორეას მსოფლიოში მეოთხე ადგილი ეკავა დავალიანებით. მიუხედავად ამისა, კორეა იმ მცირერიცხოვან ქვეყანათა რიგებშია, რომლებიც სისტემატურად ამცირებენ ვალებს (1990 წლისათვის მისი ვალები შემცირდა 19 მლრდ დოლარამდე), ე.ი. ქვეყანა გადახდისუნარიანია.

რაც მთავარია, კორეამ უზრუნველყო ზრდის მაღალი ტემპები. მაგალითად, ბოლო 20 წლის მანძილზე მრეწველობის პრო-

დუქციის საშუალოწლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 8%, კოლოსალურ ოდენობას მიაღწია მეპ-მაც, რამაც შეადგინა: 1980 წელს – 56,5 მლრდ დოლარი, 1985 წელს – 86,5, ხოლო 1989 წელს კი – 200 მლრდ დოლარი. ბუნებრივია, მყარი ტემპებით იზრდებოდა ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე გაანგარიშებით, რომელმაც 1955 წელს 120 დოლარის ნაცვლად შეადგინა 4800 დოლარი 1984 წელს.

როგორ მიაღწია კორეის რესპუბლიკამ ასეთ წარმატებებს, რაც განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისათვის ჯერჯერობით გადაუჭრელი პრობლემაა? – ამაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ყველაზე დიდი ანალიზის საგანია საექსპორტო მოდელი, რაც დაწვრილებითაა შესწავლილი.

ეკონომიკის მოდერნიზაციის სწრაფი ტემპები შესაძლებელი გახდა კონკრეტულ-ისტორიული გარემოებებით, საგარეო და საშინაო ფაქტორების ურთიერთმოქმედებით, კერძოდ, სოციალური მიმართულების ფაქტორებით. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები თავისთავად ჯერ კიდევ არ არის მოსახლეობის უმეტესობის კეთილდღეობის დამადასტურებელი.

მწარმოებლური ძალების მძლავრ ზრდას კორეაში ჰქონდა არსებითი ნეგატიური მხარე – წინააღმდეგობის გამწვავება ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ განვითარებას შორის, გარღვევის გაღრმავება ეკონომიკის გათანამედროვეობასა და მის სოციალურ შედეგებს შორის.

ასეთი შეუსაბამობის უმნიშვნელოვანესი საშინაო მიზეზი გახდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების დეფორმაცია, რაც დაექვემდებარა საერთაშორისო მონოპოლიათა ინტერესებს. ექსპლოატაციის საფუძველი გახდა ადგილობრივი იაფი და შედარებით კვალიფიციური სამუშაო ძალა. ასეთ ვითარებაში ცნობილი სოციოლოგი, სეულის უნივერსიტეტის პროფ. კო ენბოკი ცდილობს დაასაბუთოს საზოგადოებაში განსაკუთრებული ჯგუფის არსებობა, რაც შეადგენს „ნაციონალიზმის მამოძრავებელ ძალას“, ე.ი. ისეთ სოციალურ წარმონაქმნს, რომელსაც უნარი აქვს გამოხატოს საერთო ეროვნული ინტერესები და უასეულობათა მოდერნიზებული სისტემა, გამომუშავებული ამ წარმონაქმნის ფარგლებში, რომელსაც, მისი აზრით, უნარი მესწევს ყველაზე მეტად შეესაბამებოდეს მთელი ნაციის ინტერესებსა და მისი განვითარების

მოთხოვნებს.[1] ზოგიერთი მკელეევარი და პოლიტიკოსი კორეის რესპუბლიკის განვითარების გაანალიზებისათვის მიმართავს სოციოეკონომიკურ კატეგორიებს, როგორიცაა „უმაღლესი", „საშუალო" და „უმდაბლესი" კლასები, რომელთათვისაც მიკუთვნების კრიტერიუმად აღებულია მხოლოდ მიღებული შემოსავლების დონე. მიჩნეულია, რომ არასაკმარისია „დაბალი კლასის" ინტელექტუალური სტანდარტი, მისი კულტურული განვითარების დონე, სოციალურ-ფსიქოლოგიური წარმოდგენები და მოთხოვნილებები „მამოძრაველი ძალის" როლის შესრულებისათვის. „მაღალ კლასს" ასევე უფლება არა აქვს წარმოადგინოს თავისი ერი, რამდენადაც ის მიისწრაფვის ნაციონალიზმისაკენ, რაც მალავს და რაციონალიზაციას უკეთებს კლასთა შორის კონფრონტაციას. შედეგად, „ნამდვილ ნაციონალურ ძალად" მიიჩნევენ „საშუალო კლასს", რომელიც თითქოსდა ოპტიმალურად ახამებს თავის თავში აუცილებელ სოციალურ და ფსიქოლოგიურ თვისებას, უნარი აქვს ამაღლდეს ყველა დანარჩენის ეგოიზმსა და განზრახვებზე. ასეთებს მიაკუთვნებენ ქალაქის მოსახლეობის 80%-ს და სოფლის მოსახლეობის 60%-ს.

„საშუალო კლასი", კორეის მმართველი წრეების აზრით, უნდა გახდეს „მოდერნიზატორთა ელიტის" ფორმირების საფუძველი... მან უნდა შექმნას ახალი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები, რაც მობილიზაციას უკეთებს ნაციას, გააერთიანებს ყველა ადამიანს ნაციონალური ურთიერთმოქმედების სისტემაში, უზრუნველყოფს ნაციონალური ინტეგრაციის სიმბოლოს და ხელსაყრელ პირობებს შექმნის მეწარმეობისათვის. თვით „საშუალო კლასის" შემადგენლობაში გამოიყოფა საკვანძო ჯგუფი „ინტელექტუალებისა", რომელიც მოწოდებულია მხარი დაუჭიროს ხელისუფლებას მთელი ერის პოტენციალის მობილიზებაში და მასებამდე დაიყვანოს ის აზრი, რომ დასახული მიზანი განსაზღვრავს რეალური სოციალური განვითარების მიმართულებას. აი, ამ ფაქტორებმა, სხვა ზემოთ დახასიათებულ მომენტებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს „სეულის სასწაულის" განხორციელებაში.

ამასთან, დიდი იყო ე.წ. ნდობის ფაქტორის როლიც. საქმე ის არის, რომ კორეის ომიდან ქვეყანა გამოვიდა რა დანგრეულ-გა-

---

[1] **Бучкин А.Я.** დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

ღატაკებული, მას პრაქტიკულად არ ჰქონდა არავითარი კაპიტალი. ბუნებრივია, კორეის რესპუბლიკის ეკონომიკის აღდგენაში გადამწყვეტი როლი შეასრულა აშშ-ს დახმარებამ, გასული საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით. აშშ-ს კვალდაკვალ, მომდევნო პერიოდში სხვა ქვეყნების მხარდაჭერით, კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებულ იქნა კორეის ეკონომიკის აღმაველობისათვის. ' ქვეყანამ დაუყოვნებლივ მოახდინა პროგრესული ძერების დემონსტრირება, რამაც უცხოელი ინვესტორების ნდობა განამტკიცა და მათი კაპიტალის ახალი მოზღვავება განაპირობა. ნდობას აძლიერებდა ისიც, რომ ყველა უცხოური სესხი პირდაპირ ან ირიბად წარიმართებოდა კორეის რესპუბლიკის მთავრობის სახელზე, რომელიც სუბსიდიების სახით კაპიტალს აძლევდა „რჩეულ" დარგებს ძალზე შემცირებული საპროცენტო განაკვეთით. უცხოური სესხის ასეთმა მთავრობისეულმა მართვამ დიდი ეფექტი გამოიღო, რაც ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროში საერთაშორისო წარმატების მისაღწევად აუცილებელი როდია კაპიტალის სიუხვე, თუკი არსებობს მისი გამოყენების ინსტიტუციური მექანიზმი, რაც შესაძლებლობას იძლევა რეალური კაპიტალი გამოყენებულ იქნეს პროდუქტიულ კაპიტალდაბანდებათა მიზნით. ამ პროცესს, ბუნებრივია, თან ახლდა კაპიტალის დაზოგვისა და დაგროვების წილის სწრაფი ზრდა, რისთვისაც კორეელები XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ყოველწლიურად გადადებდნენ შემოსავლების 32%-მდე, ამ მაჩვენებლით, ტაივანის შემდეგ, მას პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში. ამან უზრუნველყო ქვეყნის შიგნით საკუთარი კაპიტალის დაჩქარებული ფორმირება და, შესაბამისად, საზოგადოებრივი წარმოების განახლება-განვითარება.[1]

3. ქვეყნის სამეურნეო მექანიზმი: ეკონომიკური განვითარების ძირითადი მახასიათებლები

დღეისათვის უკვე საყოველთაოდ ცხადია, რომ იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სახით XX საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოვიდნენ არენაზე და წარ-

[1] **Портер, М.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 506.

მოადგენენ რეალურ ძალას საერთაშორისო კონკურენციამი, კორეის რესპუბლიკა ყველაზე პერსპექტიულია და ფლობს რიგ მნიშვნელოვან ნაციონალურ უპირატესობას ეკონომიკის ზოგიერთ წამყვან დარგში. რაც მთავარია, ქვეყნის მრეწველობა შრომის მწარმოებლურობის ზრდის საფუძველზე, სულ უფრო აეითარებს და აძლიერებს თავის კონკურენციულ უპირატესობას განსაკუთრებით ისეთი პროდუქციის წარმოებაში, როგორიცაა: საფეიქრო მრეწველობის ნაწარმი, საგრანსპორტო მოწყობილობები, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა, მეტალურგია, ნახევარგამტარები, კვების მრეწველობის პროდუქცია, საერთაშორისო მომსახურება მშენებლობის სფეროში.

საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შესაბამისი ფაქტორების შექმნისა და ამოქმედების ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბებას. ამ საქმეში დიდია ქვეყნის მთავრობის, ცალკეული კომპანიებისა და მთელი კორეელი ხალხის ერთობლივი ძალისხმევის როლი, რითაც უზრუნველყოფილ იქნა დიდძალი კაპიტალური დაბანდებები ეკონომიკაში, უწინარესად — მის პრეროგატიულ დარგებში. ეს გაცილებით მეტი იყო, ვინემ სხვა ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში გაკეთდა დაბანდებათა სახით, სწორედ ამით მიაღწია კორეის რესპუბლიკამ ეკონომიკის არნახულ ზრდას და მაღალკონკურენტუნარიანობას მსოფლიო მასშტაბით. ამასთან, როცა მსჯელობაა დიდი კაპიტალური დაბანდებების შესახებ, უწინარესად იგულისხმება ადამიანისეული კაპიტალის თვისებრივი სრულყოფა, სწავლა-განათლების, პროფესიული ოსტატობის დონის ამაღლება. კორეელთა ერთ-ერთი განსაცვიფრებელი და უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია განათლებისადმი დაუოკებელი ლტოლვა, რაც უმაღლესი პრიორიტეტია ყველა მშობლისათვის. სამხრეთ კორეაში მაღალია წიგნიერებისა და განათლების საშუალო დონე, უფრო მეტიც, ფართოდაა განვითარებული საუნივერსიტეტო განათლება. უმაღლეს სასწავლებელთა საერთო რაოდენობა 460-მდეა, მათი 80% კერძოა. უმაღლესი სასწავლებლები თვითონ ადგენენ სასწავლო გეგმებს, თუმცა აუცილებელია ისეთი საგნების სწავლება, როგორიცაა: კორეული ენა, ფილოსოფია, კულტურა და ისტორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესავალი, ეთიკა, ფიზკულტურა და სხვ. განათლების ადგილობრივ მაღალგანვითარებულ სისტემას ორგანუ-

ლად აესებს მრავალრიცხოვან კორეელ სტუდენტთა მომზადებ
საზღვარგარეთის, განსაკუთრებით კი, აშშ-ს უნივერსიტეტებში -
უმეტესად ტექნიკურ სფეროში. ამ ქვეყანაში სტუდენტთა რაოდე
ნობით კორეას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში
-ფრიად საყურადღებოა, რომ კორეის რესპუბლიკის მთავრობა დ
კორეული კომპანიები დიდძალ კაპიტალს აბანდებენ მაღალკვა
ლიფიციური კადრების მომზადების სფეროში. საკმარისია ითქვას
რომ XXს. 90-იან წლებში ბიუჯეტში განათლებაზე ხარჯები აღ
წევდა 21%-მდე. კორეის კომპანიებისათვის, რომლებიც თავიანთ
წარმოებისა და შემოსაელების პარამეტრებით აჭარბებენ გან
საზღვრულ სიდიდეს, ინსტიტუციური კანონით ვალდებული არიან
უზრუნველყონ თავისი პერსონალის შესაბამისი სწავლება. ¡მსხვი
ლი სამამულო კომპანიები ყოველწლიურად 25-30 მლნ დოლარს
გაიღებენ მომუშავეთა სწავლა-განათლებისა და პროფესიონალ
იზმის ამაღლების მიზნით, საყოველთაო პრაქტიკაშია დაქირავე
ბულთა ყოველწლიური ერთ-ორკვირიანი სწავლება. როგორც წე
სი, ბევრი წამყვანი მენეჯერი მაღალი რანგის დიპლომის მფლო
ბელია, ხოლო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი
მსხვილი კომპანიების თითქმის ყველა მაღალი დონის ხელმძღვა
ნელს აქვს. ამამიც ჩანს კორეელთა დიდი ინტერესი ახალი ტექ
ნოლოგიებისადმი, ასევე საკუთარი ტექნოლოგიების განვითარე
ბის შესაძლებლობები.¿ მაღალ დონეზე ორგანიზებული საუნივერ
სიტეტო სამეცნიერო კვლევის ორგანული გაგრძელებაა სპეციალ
ური სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარე შესაბამისი
გამოკვლევები, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ აფინან
სებს სახელმწიფო. წამყვან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულე
ბებია: კორეის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი, კო
რეის ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციების სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტი, კორეის ბიოგენეტიკის სამეცნიერო-კვლე
ვითი ინსტიტუტი და ა.შ. ფუნდამენტალურ გამოკვლევებთან ერ
თად, მათ ამოცანას შეადგენს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობასა
და პროგრესთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა. მიუხე
დავად იმისა, რომ კორეაში მეცნიერება (განსაკუთრებით ასტრო
ნომია და მედიცინა) ვითარდებოდა უძველესი დროიდან, მას გან
თავისუფლების მომენტში — 1945 წელს პრაქტიკულად არ ჰქონდა
სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. მხოლოდ ხუთწლიანი გეგმე

ბით ჩაეყარა საფუძველი სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ორგანიზაციას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მთავრობის მიერ 80-იან წლებში აღებული კურსი „ტექნოლოგია უწინარეს ყოვლისა“, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების სწრაფად შექმნას. დანახარჯები მეცნიერებაზე სწრაფად იზრდება და შეადგენს მშპს-ს 3%-ს, ხოლო ზოგიერთ წამყვან დარგში (ელექტრონიკა, ქიმია და სხვ.) მეტსაც. პრიორიტეტულ სამეცნიერო-ტექნიკურ მიმართულებად აღიარებულია მიკროელექტრონიკა, ინფორმატიკა, ახალი მასალების წარმოება, წყალბადის გამოკვლევები, ბიოტექნოლოგია. სწორედ ამ დარგების განვითარებაშია დამოკიდებული კორეის ეკონომიკის მაღალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო მასშტაბით. კორეის რესპუბლიკაში ახალ გამოკვლევათა განვითარება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია აშშ-ს, საფრანგეთის, გერ-ს, იაპონიის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობასთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერთა მომზადებას, რომელთა რაოდენობა კორეის რესპუბლიკაში 2000 წლისათვის 150 ათასამდე იყო, მათ შორის 10% მსოფლიო კლასისაა.

მეცნიერულ-ტექნიკური და საკონსტრუქტორო სამუშაოების ეფექტიანობის გადიდებისა და მეცნიერებაში კაპიტალდაბანდებათა გაფანტვის თავიდან აცილებისათვის, სახელმწიფომ 90-იანი წლებიდან მოახდინა ფინანსური რესურსების კონცენტრაცია პერსპექტიულ სამეცნიერო პროგრამათა განსაზღვრულ რაოდენობაზე. 1992 წელს განისაზღვრა ასეთი 11 მიმართულება, რომლის განვითარებაშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო ინსტიტუტები და კერძო კომპანიები.

მეცნიერებაში ინვესტიციების ყოველწლიური ზრდისას, 1999-2001 წლებში 14%-ით, კაპიტალდაბანდებებმა მეცნიერულ-ტექნიკურ და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე მიაღწია 12 მლრდ დოლარს და შეადგინა მშპ-ს 2,7% (1/3 – საბიუჯეტო სახსრები, 2/3 – კერძო). მათი ძირითადი ნაწილი ჩაიდო ბიოტექნოლოგიასა და მედიცინაში, ზუსტ ხელსაწყომშენებლობასა და ელექტრონიკაში. სამეცნიერო მიღწევათა ექსპორტი ფასდება სულ რაღაც 50 მლნ დოლარით, მაგრამ ნავარაუდევია, რომ ის 2005 წელს მიაღწევს 100 მლნ დოლარს და შემდგომ სწრაფად გაიზრდება.

ინოვაციური სფეროს რეფორმირება გულისხმობს მის კომერციალიზაციას მსხვილი კონგლომერატების რესტრუქტურიზაციის გზით, მცირე ვენჩურული ბიზნესის მხარდაჭერითა და მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე საშინაო მოთხოვნის სტიმულირებით. მხოლოდ 2001 წელს, რომელიც მთავრობის მიერ გამოცხადებული იყო „ბიოტექნოლოგიის წლად" და 2002 წლის ბოლოსათვის, მთავრობის დახმარებით უნდა შექმნილიყო ბიოტექნოლოგიებზე სპეციალიზებული 600 ვენჩურული კომპანია.

მინერალური რესურსებით ღარიბი ქვეყანა მდიდარია ადამიანისეული რესურსებით, სამუშაო ძალით, რომელიც 17 მლნ კაცს აღემატება. შედარებით დაბალი ანამღაურების მიუხედავად, ქვეყნისათვის უნიკალურია ის, რომ კორეელები უაღრესად შრომისმოყვარე და მაღალი დისციპლინის ხალხია. ამას განაპირობებს რიგი ისეთი ფაქტორი, როგორიცაა: ჯერ ერთი, მოსახლეობის ნაციონალური და ენობრივი ერთიანობა; მეორე, ყველა ჯანმრთელი მოქალაქე ვალდებულია იმსახუროს არმიაში; მესამე, ყოველგვარი საქმიანობა კორეაში აგებულია კონკურენცია-შეჯიბრებადობაზე. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩრდილოეთ კორეასა და იაპონიასთან კონკურენციას; მეოთხე, ყოველგვარ მოტივაციას და დისციპლინას საუუძვლად უდევს კონფუციანური რელიგიური კულტურა, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს განათლებას, შეუპოვარ შრომას, ხელისუფლების პატივისცემას, დამსახურებული წარმატების მიღწევას ცხოვრებაში საზოგადოებრივ იერარქიულ კიბეებზე აღმავალი სვლის მეშვეობით.[1]

კორეის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელის ერთ-ერთი არსებითი დამახასიათებელი ნიშანია (90-იანი წლების დამდეგამდე – განსაკუთრებით) სახელმწიფოს ყოვლისმომცველი როლი. მთავრობის ომის შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკა ცოტათი თუ განსხვავდებოდა კლასიკური მერკანტილიზმის კონცეფციისაგან: ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის მნიშვნელოვანწილად რეგლამენტაცია; ეროვნული მწარმოებლების დაცვა უცხოელი კონკურენტებისაგან იმპორტის საბაჟო და ადმინისტრაციული ბარიერების შეზღუდვით; საშინაო ბა-

---

[1] **Портер. М.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 503

ზარზე იმპორტშემცველელი პოლიტიკის განხორციელება, რაც გამოიხატა იმით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლო მხოლოდ ადგილობრივი პროდუქციის მოხმარება. ყოველივე აღნიშნულმა ხელი შეუწყო ქვეყნის დაჩქარებულ ინდუსტრიალიზაციას, სამამულო მწარმოებლების დაცვას, საექსპორტო წარმოების განვითარებას. იმავდროულად, მოქნილი სამეურნეო მექანიზმის მეშვეობით, ნაციონალური ეკონომიკაში ფართოდ მოიზიდებოდა უცხოური ინვესტიციები და ახალი ტექნოლოგიები, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ადგილობრივი სამუშაო ძალის დაბალი ღირებულება და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი.ესე უკანასკნელი ნიშნავდა იმას, რომ უცხოელ ინვესტორთა კაპიტალის დაცულობასა და გამრავლებაზე შესაბამისი გარანტიებით პასუხისმგებლობას იღებდა მთავრობა, ე.ი. უცხოელ ინვესტორთა რისკის ფონე ნულის ტოლი, ან უარეს შემთხვევაში ძალზე დაბალი იყო. მთავრობის ასეთმა პოლიტიკამ, რაც კონცენტრირებულ გამოხატულებას მობილურ სამეურნეო მექანიზმში პოულობდა, ფართოდ მოიზიდა უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიები, რომელთა უნარიანი გამოყენებით ქვეყანაში ჩამოყალიბდა და მძლავრად ამოქმედდა მაღალკონკურენტუნარიანი სამამულო წარმოება.

კორეის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამეურნეო მექანიზმის ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესებისათვის ხელშეწყობა, რამაც გამოიწვია მსხვილი საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების „ჩებოლის" აღმოცენება.[1] დღესაც კორეის რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მსხვილი ჯგუფების დომინირება „ჩებოლის" სახით, როგორიცაა: „ხიონდე", „დეუ", „სამსუნგი", „ლაკი-გოლდსტარი", რომელთაგან თითოეულის ბრუნვაც 10-15 მლრდ დოლარია. „ჩებოლზე" მოდის ქვეყნის ექსპორტის უდიდესი ნაწილი და მშპ-ს მნიშვნელოვანი ოდენობა. „ჩებოლი" თავისი მრავალმხრივი და ეფექტიანი საქმიანობის შედეგად, სარგებლობს მთავრობის კეთილგანწყობითა და მძლავრი მხარდაჭერით. მათ აქვთ დიდძალი კაპიტალი, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს აბანდებენ მრეწველობის ისეთ მსხვილ და პროგრესირებად დარგებში, როგორიცაა გემთმშენებლობა და ნახე-

[1] Ломакин В.К. Мировая экономика. Уч. , М., 1998. გვ. 688.

ვარგამტარების წარმოება. ამასთან, თითოეული მათგანი მზად არის თანამშრომლობისა და საქმიანობისათვის სამამულო მრეწველობის ყველა მსხვილ და პრეროგატულ დარგში. აღნიშნული სამრეწველო-საფინანსო ჯგუფები, პორტფელური ინვესტიციების მეშვეობით, დივერსიფიცირებული საწარმოებია, რომლებიც ემყარებიან უმაღლესი მენეჯმენტის სისტემას, დაბალანაზღაურებად სამუშაო ძალასა და მთავრობის მხარდაჭერას.

ამჟამად კორეაში ფუნქციონირებს 50-ზე მეტი საფინანსო-სამრეწველო დაჯგუფება, რომელთა წილად მოდის ეროვნული შემოსავლის მეოთხედზე მეტი, მთელი წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების დაახლოებით 3/4, საბანკო კრედიტის ნახევარი.

საფინანსო-სამრეწველო დაჯგუფებები ქადაგებენ პატერნალისტურ ლოზუნგებს საწარმოებში უკონფლიქტო ატმოსფეროს ფორმირების მიზნით. მაგალითად, „ხიონდეს“ ქარხნებში გავრცელებულია ლოზუნგი – „შრომა არ არცხვენს ადამიანს“, „სამსუნგის“ საწარმოებში აქცენტი კეთდება ტალანტიან მომუშავეებზე, „ადამიანური ჰარმონიის“ იდეა გამოყენებულია „ლაკი-გოლდსტარის“ ხელმძღვანელთა მიერ.

მაგრამ ბოლო პერიოდში მომწიფდა აზრი, რომ „ჩებოლში“ კაპიტალის შემდგომი კონცენტრაცია ხელს არ შეუწყობს ეკონომიკაში პროგრესულ ცვლილებათა დაჩქარებას და საჭიროა აქტიურობა ტექნიკურად რთულ, მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებაზე.

მეორე მხრივ, როგორც დადებითი მომენტი, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში მთავრობა სულ უფრო მეტად უჭერს მხარს წვრილ და საშუალო მეწარმეობას, რომლებიც სწრაფად ითვისებენ სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს. ამან განაპირობა ის, რომ 80-იან წლებში წვრილი და საშუალო ფირმები ვითარდებოდა გასწრებადი ტემპით. მათი წილი სამრეწველო წარმოებაში გაიზარდა 28%-დან 1980 წელს, 40%-მდე – 1987 წელს.

კორეის რესპუბლიკის კომპანიათა უმეტესობის სტრატეგია, კონკურენციულ ბრძოლაში გამარჯვებისათვის, არის დანახარჯების დაბალი დონის უზრუნველყოფა სტანდარტიზებულ ნაკეთობათა მასობრივი გამოშვებით. მართალია, ბოლო პერიოდამდე, ასეთი ნაკეთობები თავისი ძირითადი პარამეტრებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა შესაბამისი მსოფლიო ლიდერის მახასიათე-

ბლებს, მაგრამ დაბალანაზღაურებადი და მაღალმწარმოებლური სამუშაო ძალის გამოყენება უცხოური თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ საწარმოებში, კორეულ ფირმებს შესაძლებლობას აძლევს მიაღწიონ წარმოების ხარჯებში მნიშვნელოვან უპირატესობას. ამისათვის სახსრებს არ იშურებენ პერსონალის სწავლებაზე, რათა მათ შეეძლოთ მართონ თანამედროვე რთული ტექნიკა. ამასთან, კორეის ფირმებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათ ხელმძღვანელობენ ძალზე ძლიერი პირები, რომელთა ძალაუფლებაც მაღალია და დიდი პატივისცემით სარგებლობენ თავის ორგანიზაციებში. კორეის კომპანიათა ყველაზე უნიკალური ნიშანია მზადყოფნა რისკისათვის. ისინი გაბედულად იჭრებიან მათთვის ახალ დარგში და მზად არიან დიდი კაპიტალი გაიღონ ახალი ქარხნების მშენებლობისა და ტექნიკური აღჭურვისათვის, ჯერ კიდევ რაიმე მნიშვნელოვანი მეკვეთების გარეშეც კი. კორეის კომპანიათა მართვის მიზანია არა უწინარესად მომგებიანობა, არამედ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რაც ფასების შემცირების ფაქტორია, ხოლო ეს უკანასკნელი განაპირობებს რა ნაღდი ფულის ურყევ და, საბოლოო ანგარიშით, მეტი ოდენობით მოდინებას, წარმოების შემდგომი ზრდის დაფინანსებისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტული მომგებიანობა. სწორედ ასეთი მიდგომაა ფირმათა საზოგადოებრივი აღიარების საკვანძო მომენტი და მეწარმეობის გაფართოების მამოძრავებელი იმპულსი.

კომპანიათა დიდი ნაწილი კერძოა, თუმცა ბევრმა წამყვანმა მეწარმემ თავისი კომპანიის აქციის მნიშვნელოვანი ნაწილი გადასცა ფონდებს, რათა ამ გზით უზრუნველყონ კომპანიაზე კონტროლი თაობათა ცვლის პროცესში.

ამრიგად, კორეის რესპუბლიკის ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი თავისებურებაა ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირება, რომელიც მოიცავს ისეთ ბერკეტებს, როგორიცაა: ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დაგეგმვა, საკრედიტო და საგადასახადო ღონისძიებები, ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის შეზღუდვა, საფინანსო სფეროს მკაცრი კონტროლი, ფულადი სფეროს საბანკო რეგულირება, სახელმწიფო სექტორის საწარმოთა უშუალო მართვის საკმაოდ

ძლიერი სისტემა მოპოვებით დარგებში, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს მნიშვნელოვან ნაწილში.

სახელმწიფოს ეკონომიკური აქტიურობის შედეგია ეროვნულ მონოპოლიათა სწრაფი ზრდა, უწინარესად საგარეო-ეკონომიკურ სფეროში, რომლებიც სულ უფრო ერწყმის სახელმწიფო სტრუქტურების სისტემას. ამას ხელი შეუწყო საექსპორტო ორიენტაციის პოლიტიკის განხორციელებამაც. მონოპოლიური ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფები შეიქმნა, პირველ რიგში, საოჯახო-კლანური კორპორაციების „ჩებოლის" საფუძველზე. მათვე შექმნეს ასევე „გენერალური საეაჭრო კომპანია", რომელმაც 80-იანი წლების შუა რიცხვებში თავი მოუყარა ექსპორტის 70%-ზე მეტს. ეს გაერთიანებები დივერსიფიცირებული კონგლომერატებია, თავიანთი საზღვარგარეთული ფირმებითა და ფილიალებით, რომლებიც დიდ როლს ასრულებს ეკონომიკის მოდერნიზაციაში, ხოლო აწარმოებს ქვეყნის მშპს-ს თითქმის 2/3-ს. კორეის ეროვნული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები ღირსეულ კონკურენციას უწევს აშშ-ს, იაპონიისა და დასავლეთ ევროპის ტნკ-ებს. მსოფლიოს 500 უმსხვილეს კომპანიათა შორის 11 კორეულია, მათ შორის 4 პირველ ასეულშია და აქვთ სპეციალიზაციის მაღალი დონე („სამსუნგი" — ელექტრონიკაში, „ხენდე" — ავტო და გემთმშენებლობაში, „ლაკი-გოლდსტარი" — ქიმიასა და ელექტრონიკაში და ა.შ.).

ცხადია, კორეის რესპუბლიკის ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების საქმიანობას ნეგატიური მხარეებიც ახლავს თან. ისინი, თითქოსდა მოწყდნენ ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენებს და არცთუ იშვიათად, ატარებენ ანტიმუშურ, ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას. სახელმწიფო აპარატთან ფაქტობრივად შეწყმით მათ დაკარგეს უწინდელი მოქნილობა და გააძლიერეს საოჯახო-კლანური მართვის სისტემის ელემენტები. ეს განაპირობებს სიახლეთა სწრაფად დანერგვის უუნარობას, ოპერატიულ გადაწყვეტილებათა არარსებობას, ფინანსურ უმყარობასა და დაბალ მომგებიანობას. თავის მხრივ, მათი საქმიანობით იზრდება წვრილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა უკმაყოფილება, რომლებიც გრძნობენ მთავრობის უყურადღებობას.

ამასთან ერთად, ქვეყნის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ეკონომიკური ზრდის არასაკმაო ეფექტი მოსახლეობის ფართო მასებისათვის, რაც შემოსავლების არასამართლიანი განაწილებით

ელინდება. ცხოვრების დონეში განსხვავება საკმაოდ დიდია ქვეყნის მოსახლეობის ფენებს, განსაკუთრებით ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, რეგიონებს შორისაც, რაც სახელმწიფოს ჩარევასა და დარეგულირებას მოითხოვს.

ალბათ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მართალია, უცხოური კაპიტალი გახდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გადამწყვეტი ფაქტორი, მაგრამ მან წარმოშვა რიგი მტკივნეული პრობლემა. მათ შორისაა ეკონომიკის, ასე ვთქვათ, ორადი სტრუქტურა; პირველი, მაღალი ტექნოლოგიების საფუძველზე ფუნქციონირებადი ტრანსნაციონალური სექტორი, და მეორე, მას მოწყვეტილი, მოძველებული ტექნოლოგიებით და სამინაო ბაზრისათვის მომუშავე დარგები. მნიშვნელოვანი პრობლემაა ასევე კორეის რესპუბლიკის ფინანსური, საკალო და ტექნოლოგიური დამოკიდებულება გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით — საგარეო დავალიანება, რაც განუყოფლად დაკავშირებულია უცხოური კაპიტალის აქტიურ გამოყენებასთან. საკმარისია აღინიშნოს, რომ 80-იანი წლების შუა ხანებისათვის საგარეო ვალმა შეადგინა 46,8 მლრდ დოლარი, თუმცა 1990 წლისათვის ის შემცირდა 28,5 მლრდ დოლარამდე, რაც ქვეყნის ვალების მაღალგადახდისუნარიანობაზე მეტყველებს. ამის ეროვნული საფუძველი კი მისი სულ უფრო მყარად განვითარებადი და პროგრესირებადი ეკონომიკაა.

კორეის რესპუბლიკის მთავრობის მიერ ათწლეულების მანძილზე ეკონომიკის რეგულირებაში ტრადიციულად დიდი როლის შესრულებას განაპირობებდა საერთო-ეროვნული კონსესუსი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობაზე. ამან ხელი შეუწყო ხანგრძლივ პროგრესულ ცვლილებებს ისეთ დარგებში, სადაც ცვლილებები ნელა მიმდინარეობდა (მაგალითად, განათლების სფერო, ინფრასტრუქტურა, ექსპორტზე ზემოქმედება, მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების ორგანიზება და ა.შ.). ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფომ კორეის ფირმათა შორის „დამანგრეველი" კონკურენციის შესანელებლად როგორც სამინაო, ასევე საგარეო ბაზარზე, თუმცა კონკურენციაში ჩარევის ტენდენცია გარკვეულ სამიმროებასაც შეიცავს. და საერთოდაც, სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევა ეკონომიკაში, თანდათანობით, სულ უფრო წარსულის საქმე ხდება, რამდენადაც პროტექციონიზმი, კონკურენციის პროცესებში ჩარევა, სხვა მოძველებული მეთოდებით

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება საფრთხეს უქმნის ქვეყნის შემდგომ განვითარებას.

კორეის რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარება 90-იანი წლებიდან გადადის რა ახალ — ინოვაციურ სტადიაზე, განაპირობებს მთავრობის როლის მოდიფიკაციას. განვითარების ადრეულ სტადიაზე ობიექტურად აუცილებელი იყო მთავრობის თითქმის პირდაპირი ჩარევა კერძო ფირმების საქმიანობაში და დაყრდნობა მონოპოლიურ სამრეწველო-საფინანსო ჯგუფებზე, როგორც განვითარების ძირითად ძალაზე, სამთავრობო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების განხორციელებისათვის კაპიტალის მოზიდვის მიზნით. ბოლო პერიოდში ასეთი პოლიტიკა თანდათანობით უთმობს ადგილს კერძო სექტორის მიმართ ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა დეცენტრალიზაციის გაფართოებას. მთავრობის წამყვანი როლი თანდათანობით დაიყვანება პირდაპირი ჩარევიდან რესურსებით უზრუნველყოფის პოლიტიკაზე, რათა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ჯანსაღი კონკურენციისათვის. უფრო მეტიც, პირდაპირი აღმინისტრირება უნდა შეცვალოს გარემოწარმომქმნელმა და საინფორმაციო ფუნქციამ. საინვესტიციო სტადიიდან ინოვაციური სტადიისაკენ წინსვლის პროცესში მთავრობის წამყვანი როლი გამოელინდა ყველაზე მოწინავე და მაღალსპეციალიზებული წარმოების ინვესტიციების სტიმულირებაში, პროდუქციის ხარისხისა და გარემოს დაცვის მსოფლიო სტანდარტების დანერგვაში, ეკონომიკურ სიმძლავრეთა დეცენტრალიზაციასა და კონკურენციის დაცვაში და ა.შ.

ყველა ამ მიმართებით კორეის რესპუბლიკის ევოლუციური პოლიტიკა სახეზეა, რაც ქვეყანას ხელსაყრელ მომავალს უქადის.

აღნიშნულ პრობლემათა შორის მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეკონომიკის დეცენტრალიზაცია. ფაქტია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებამდე კორეის ეკონომიკა დიდ სარგებელს იღებდა კონგლომერატების ფუნქციონირებით, რომლებიც იღებდნენ რა თავის თავზე დიდ რისკს, მობილიზაციას უკეთებდნენ რესურსებს და ეფექტიანად წარმართავდნენ მოცემული დარგების საქმიანობას, ხოლო ურთიერთშორის ენერგიული კონკურენცია სელს უწყობდა კორეული ეკონომიკის დინამიზმს. მაგრამ მომდევნო პერიოდში და მომავალშიც ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის ინტერესები მოით-

ხოეს კონგლომერატების როლის შეცვლას იმ აზრით, რომ ისინი შედარებით ნაკლებად განსაზღვრავდნენ ქვეყნის ეკონომიკის ბედს. ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს უფრო მობილური, დამოუკიდებელი კომპანიების არსებობას მკაცრი სპეციალიზაციით, რომელთაც შეეძლებათ ინოვაციური პროცესებისათვის აქტიური ხელშეწყობა და კონკურენტუნარიანი იქნებიან. ამისათვის აუცილებელია მკაცრი ანტიტრესტული ღონისძიებები, რაც ქვეყანას თაეიდან ააცილებს წარმოების უკიდურეს კონცენტრაციას მრეწველობაში. ქვეყანაში ჯერ კიდევ 1981 წ. იქნა შემოღებული კანონი მონოპოლიებისა და ვაჭრობის რეგულირების შესახებ, რაც ითვალისწინებდა ღია კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორების ლიკვიდაციას. ეს კანონი დღეისათვის დახვეწასა და სრული ძალით ამოქმედებას მოითხოვს.

ამ ასპექტით, კორეის რესპუბლიკის ეკონომიკის თანამედროვე პრობლემად მართლაც იქცა ისეთი უზარმაზარი კონგლომერატების დომინირებადი ფუნქციონირება, როგორიც არის „ჩებოლი", რომელთა განვითარებაც, გარკვეულწილად (თუ მნიშვნელოვანწილად არა) მცირე და საშუალო ბიზნესის ხარჯზე ხდებოდა. ფაქტია, რომ გასული საუკუნის 60-80-იან წლებში „ჩებოლების" ჩამოყალიბება და ფუნქციონირება ხდებოდა სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობით. ისინი აერთიანებდნენ მრეწველობის, ვაჭრობის, საფინანსო, მომსახურებისა და სხვა პროფილის ათობით სხვადასხვა საწარმოს. ამასთან, მსხვილი და მცირე ბიზნესი არა მხოლოდ სუსტად იყო დაკავშირებული ერთიმეორესთან, არამედ მათ ურთიერთობაში ჭარბობდა წინააღმდეგობა და კონფლიქტური სიტუაციები. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ საბანკო სისტემა ტრადიციულად ორიენტირებული იყო მსსვილი ბიზნესის მომსახურებაზე, ხოლო მცირე ბიზნესი ქრონიკულად განიცდიდა კომერციული კრედიტის უკმარისობას. აღნიშნული თუ სხვა მიზეზების გამო კონგლომერატების დივერსიფიკაციის პროცესი სულ უფრო უმართავი ხდებოდა, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებდა წამყვან საწარმოთა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვის პროცესს, რითაც იზრდებოდა ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტზე, და შესაბამისად – საგაჭრო ბალანსის დეფიციტიც. კორეის რესპუბლიკის ეკონომიკური სიძნელეების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ქვეყნის მთელი მაკროეკონომი-

კური პოლიტიკის მიზანი იყო ეკონომიკური ზრდის დაფიქსირება ყველა საშუალებითა და ხერხებით. ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა მიზნად არ ისახავდა ზრდის შიდა რეზერვების ძიებას — იყენებდა რა არსებითად საგარეო ფაქტორებს. ქვეყანა გახდა რა ძალზე მოკლე პერიოდში მაღალგანვითარებული, უწინდელი მეთოდებით ვერ გააგრძელებს ეკონომიკური წინსვლის პროცესს, აუცილებელია ასეთი სტრატეგიის გადასინჯვა, უნდა განხორციელდეს სტრუქტურული გარდაქმნები, გიგანტურ მონოპოლიათა მიზანსწრაფული დაწვრილერთეულება და მათი სპეციალიზაცია ბაზრის კონკრეტულ სეგმენტზე. ამ და სხვა ნეგატიური მოელენების შენელებისა თუ აღმოფხვრის მიზნით, XX ს. 90-იან წლებში კორეის რესპუბლიკაში განსორციელდა რიგი ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმა. კერძოდ, 1993 წელს გადაისინჯა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პოლიტიკა, უფრო მეტიც, უარყოფილ იქნა ეკონომიკაში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის პოლიტიკა, საფინანსო სექტორი განთავისუფლდა სახელმწიფო მოხელეთა დიქტატისაგან, დაისახა სახელმწიფო სექტორის პრივატიზების, ასევე სახელმწიფოსა და მსხვილ ბიზნესს შორის ურთიერთდამოკიდებულების ლიბერალიზაციის ღონისძიებები, საიმპორტო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და უცხოური კაპიტალის მოდინების შეზღუდვის მაქსიმალური მოხსნა. ამ ღონისძიებათაგან ბევრი ვერ განხორციელდა, რაც შეეხება „ჩებოლს", მათი მნიშვნელობა ეკონომიკაში არათუ შემცირდა, არამედ კიდევაც გაიზარდა — განსაკუთრებით დიდი ოთხეულისა: „სამსუნგი", „ჰენდე", „ელჯი" და „დეუ". 1997 წელს მთავრობა კვლავ შეეცადა სწრაფი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით მოეხდინა ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზება. იმავდროულად დაიწყო სახელმწიფო ხარჯების 2,2 მლრდ დოლარით შეკვეცისა და სახელმწიფო მომსახურეთა 10 ათასი კაცით შემცირების პროგრამის განხორციელება, მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მოდინება. განსახორციელებელ ღონისძიებათა ქმედითუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, 1997 წლის დეკემბერში შემუშავდა შეთანხმებული (ყოფილ და მომავალ ხელისუფლებას შორის) ანტიკრიზისული პროგრამა სახელწოდებით: „რვა ანტიკრიზისული ღონისძიება", რომელთა შორისაა საავალუტო კურსის კონტროლის გამკაცრება და საპროცენტო განაკვეთის

30%-მდე გადიდება; კაპიტალის ბაზრების გახსნა და შეზღუდვების მოხსნა ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე უცხოელთა მონაწილეობაზე; ფინანსური სექტორის სანაცია; გადასახადების აკრეფის გადიდება; მკაცრი მონიტორინგი საგარეო ვალების სფეროში და ა.შ. ახალმა მთავრობამ გამოკვეთა თავისი მიდგომები „ჩებოლის" მიმართ: დღის წესრიგში დგას მათი სხვადასხვა სახეობის ჰოლდინგად გარდაქმნის საკითხი, რათა მათ საქმიანობის კონცენტრაცია მოახდინონ ორ-სამ დარგში, გაიმიჯნოს ფლობისა და მართვის ფუნქციები, სრულყოფილ იქნეს დაფინანსების სისტემა და სხვ.

დასახულია ასევე საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციის ღონისძიებები: 1999 წლიდან 88 სახეობის საქონელზე იმპორტის აკრძალვის მოხსნა, ასევე ექსპორტზე ყველა სავაჭრო სუბსიდიის გაუქმება და სხვ. ეს, უეჭველია, გაამძაფრებს კონკურენციულ ბრძოლას საშინაო და საგარეო ბიზნესს შორის, რაც ადგილობრივ ბიზნესს დიდი დანაკარგებით ემუქრება, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ის ხელს შეუწყობს მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარებას, და შესაბამისად, კორეის საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.[1]

80-იანი წლებიდან კორეის რესპუბლიკაში მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის რეგულირების ხასიათის კარდინალური ცვლილების პროცესი მისი მოქნილობის გაძლიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებისადმი მისადაგების მიზნით. მთავრობა კვლავაც ამუშავებს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პროგრამებს, განსაზღვრავს სტრუქტურული გარდაქმნის ძირითად მიმართულებებს, რომლითაც 2010 წლისათვის განზრახულია ეკონომიკის წამყვან სექტორად გადაიქცეს ელექტროტექნიკური მრეწველობა; მისი წილი ინდუსტრიული წარმოების მთლიან მოცულობაში გაიზრდება 22%-მდე. გასწრებადი ტემპით გაიზრდება ასევე მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით კი — ავტომშენებლობის პროდუქცია. ახალი პროგრამა განხორციელდება უპირატესად საბაზრო რეგულირების მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა — სამეცნიერო-ტექნიკური პრო-

[1] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 1998, №8, გვ. 132-136.

გრესის სტიმულირება საკრედიტო, საგადასახადო და სხვა ეკონომიკური ბერკეტების აქტიური გამოყენებით. ამას ხელს შეუწყობს სახელმწიფო საკუთრების ნაწილობრივ პრივატიზება.

ამ და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებით კორეის რესპუბლიკა მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყანათა რიცხვში უნდა დამკვიდრდეს. ამის საწინდარია ისიც, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეშვიდე (1992-1996წწ.) ხუთწლიანი გეგმის ძირითადი პარამეტრები წარმატებით განხორციელდა (ამოცანას შეადგენდა მეპ-ის საშუალო წლიური ზრდა 7,5%-ით და მშპ-ს მოცულობის გადიდება 450 მლრდ დოლარამდე).

ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები დაკავშირებულია, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების აქტიური გამოყენებით, მაღალტექნოლოგიური წარმოების შექმნასთან, მეცნიერულ გამოკვლევათა ინტენსიური განვითარების საფუძველზე. დღეისათვის ქვეყანაში არის 600 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება 50 ათასი მეცნიერ-მუშაკით, იქმნება სამეცნიერო ცენტრები კომპიუტერული ტექნიკის, ნახევარგამტარების, თეითმფრინავთმშენებლობის დარგებში. 2000 წელს სამეცნიერო-ტექნიკურ და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დანახარჯებმა მიაღწია მშპ-ს დაახლოებით 5%-ს, ნაცვლად 2%-ისა 1987 წელს.

დღეისათვის კორეაში ფორმირებულია დივერსიფიცირებული სამრეწველო კომპლექსი, ეკონომიკაში წამყვანია გადამამუშავებელი მრეწველობა. კორეის რესპუბლიკა ტაივანთან, სინგაპურთან და ჰონგკონგთან ერთად გადაქცეულია მაღალი სამრეწველო-სავაჭრო აქტიურობის ზონად აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

კორეის რესპუბლიკის პირობებში ეკონომიკური განვითარების „საექსპორტო მოდელმა" ნათელი გახადა თავისი მაღალი ეფექტიანობა, ბუნებრივი რესურსებით ღარიბ ქვეყანას შესაძლებლობა მისცა გასულიყო ეკონომიკისა და ტექნოლოგიების მოწინავე მსოფლიო პოზიციებზე, ხოლო რიგი სამრეწველო დარგით გამხდარიყო აშშ-ს, იაპონიისა და დასავლეთი ევროპის ქვეყნების სერიოზული კონკურენტი.

ამრიგად, ეკონომიკური განვითარების ყველა ეტაპზე კორეის რესპუბლიკაში უზრუნველყოფილი იყო ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, მათ შორის მშპ-ს წარმოების მაღალი

ტემპები. მშპ-ს საშუალო წლიურმა ზრდამ შეადგინა (%) 60-იან წლებში – 8,7, 70-იან წლებში – 10, 80-იან წლებში – 10,4, 90-იან წლებში – 7,6. ამასთან, მეურნეობის სტრუქტურაში მოხდა კარდინალური ძვრები: 1950-1994 წწ. მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა შემცირდა 40-დან 7%-მდე, ხოლო მრეწველობის წილი გაიზარდა 43%-მდე.[1]

მართალია, 1997-1998 წლების „აზიის კრიზისმა" მძიმე დარტყმა მიაყენა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკას, მათ შორის კორეის რესპუბლიკას, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე დაძლეულია, ეკონომიკური ზრდის პოტენციალი აღდგენილია, ზრდის ტემპი კი აღემატება აშშ-სა და დასავლეთი ევროპის ქვეყნების ზრდის ტემპებს (იხ. ცხრილი).

აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების
ეკონომიკური ზრდის ტემპები (მშპ-ს ზრდა %)[2]

	1998	1999	2000	2001	2002 (პროგნოზი)
იაპონია	-0,8	1,9	1,7	-1,9	-0,7
კორეის რესპუბლიკა	-6,7	10,9	8,8	3,0	6,0
ტაივანი	4,6	5,6	6,4	-1,9	2,5
სინგაპური	0,4	5,8	9,9	-2,0	3,2
ჰონკონგი	-5,3	3,0	10,5	0,1	1,5
ტაილანდი	-10,2	3,3	4,4	1,8	2,7
მალაიზია	-7,5	5,8	8,5	0,4	3,0
ფილიპინები	-0,5	3,4	4,0	3,4	4,0
ინდონეზია	-13,2	0,8	4,8	3,3	3,5
ჩინეთი	7,8	7,1	8,0	7,3	7,0
რუსეთი	...	5,4	9,0	5,0	4,4

[1] Ломакин В.К. დასახ. ნაშრომი, გვ. 83-84.
[2] ჟურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2003, №7, გვ. 45.

4. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები

კორეის რესპუბლიკის ეკონომიკის დინამიკასა და თვისებრივ მახასიათებლებს განსაზღვრავს მისი საგარეო-ეკონომიკური კავშირების განვითარება. კორეა, უკავია რა მე-12 ადგილი მსოფლიოში საგარეო სავაჭრო ბრუნვით, გადაიქცა მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლად საქონელთა და მომსახურების, კაპიტალისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლაში.[1]

ექსპორტის თანამედროვე სტრუქტურა ასახავს როგორც ქვეყნის ეკონომიკის ტრადიციულ სპეციალიზაციას, ასევე მისწრაფებას მყარი ადგილი დაიმკვიდროს მაღალი ტექნოლოგიების დარგში მსოფლიოს ლიდერ ქვეყანათა შორის. 90-იანი წლების შუა რიცხვებში ქვეყნის ექსპორტის მოცულობა უდრიდა 62,4 მლრდ დოლარს (მსოფლიო ექსპორტის 2%). ექსპორტის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია მზა სამრეწველო ნაწარმს – 95%, მათ შორის ნახევარზე მეტი მძიმე მრეწველობის პროდუქციაა. ექსპორტში მნიშვნელოვანი ოდენობითაა წარმოდგენილი საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია – 25%, ელექტრონიკა და ელექტროტექნიკური ნაკეთობა – 28%, ავტომობილები – 6%, გემები – 2,4%, ფეხსაცმელი – 6% და ა.შ.

კორეის რესპუბლიკა, სხვა ანალოგიური მასშტაბის ქვეყნებთან შედარებით, უფრო მეტად არის დამოკიდებული იმპორტზე, რომელმაც ზემოაღნიშნული პერიოდისათვის შეადგინა 61,5 მლრდ დოლარი. იმპორტის სტრუქტურაში ჭარბობს წარმოებრივი დანიშნულების პროდუქცია, მხოლოდ 10%-მდეა სამომხმარებლო დანიშნულების საქონელი. იმპორტის ნახევარზე მეტი ნედლეულსა და მასალებზე მოდის, რომელთა შორისაა ნავთობი, ქვანახშირი, ფოლადი, კოქსი, რკინის მადანი, ხე-ტყე, მინერალური ნედლეული, ბამბა, აბრეშუმი, ქიმიური საქონელი, კაუჩუკი. ამასთან, იმპორტის დაახლოებით მესამედი სამრეწველო მოწყობილობაა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ფართო პროფილის სამრეწველო მოწყობილობები – ელექტროტექნიკური და ენერგეტიკული ნაწარმი, საგრანსპორტო საშუალებები და ა.შ.

---

[1] ეურნ. „Мировая экономика и международные отношения", 2002, № 8, გვ. 95.

მთლიანობაში მსოფლიო ბაზარი ამარაგებს კორეულ „ფაბრიკას“ როგორც ნედლეულით, ასევე მნიშვნელოვანი ძირითადი კაპიტალით.

სამომხმარებლო საქონელთა ჯგუფში ძირითადი მარცელეულია.[1]

კორეას ფართო სავაჭრო ურთიერთობა აქვს აშშ-თან – 35% კორეის ექსპორტისა მასზე მოდის, საერთოდ კი – აშშ-თან ვაჭრობით მე-7 ადგილი უკავია. აშშ-ში სხვა საქონელთან ერთად, დიდი მოთხოვნაა კორეული წარმოების ფერად ტელევიზორებზე. თანაც, საინტერესოა, რომ კორეას აშშ-ში აქვს თავისი ქარხნები, საიდაც ის უშვებს 1,8 მლნ ფერად ტელევიზორს წელიწადში და რაც აკმაყოფილებს აშშ-ს მთელი მოთხოვნის 12%-ს. აშშ-ში დიდი მოწონებით სარგებლობს ასევე ელექტროგამომთელელი მანქანები, ნახევარგამტარები, ვიდეომაგნიტოფონები.

[სპეციფიკურია კორეის საგარეო ურთიერთობა იაპონიასთან, რომელიც აგარებს დახმარების, ახალი ტექნოლოგიების მიწოდების, პოლიტიკური და სამხედრო კავშირების განმტკიცების ხასიათს.] თავის მხრივ, იაპონიის მთავრობა ყოველთვის ხაზს უსვამს კორეასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზანშეწონილობას, რაც აღმოსაელეთი აზიის და მათ შორის ორივე ქვეყნის უშიშროებისათვის აუცილებელია.

სწორედ ასეთი პოლიტიკის შედეგია ის, რომ იაპონია აქტიურად დამკვიდრდა კორეის ეკონომიკაში. ჯერ კიდევ 1985 წლისთვის კორეის რესპუბლიკაში მოქმედებდა ათასზე მეტი საწარმო ელექტროტექნიკურ, საავტომობილო, საფეიქრო, გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში. იაპონიის კონცერნები მთლიანად აკონტროლებენ ქიმიურ, შუშის მრეწველობას, 80%-ით – ნაგლინის წარმოებას, ცემენტის წარმოების მნიშვნელოვან ნაწილს; კორეაშია განლაგებულია ფილიალები იაპონიის კონცერნებისა: „მიცუი“, „მიცუბისი“, „სუმიტომო“ და სხვ. კორეის ეკონომიკაში საზღვარგარეთულ კერძო კაპიტალდაბანდებათა თითქმის 50% იაპონიაზე მოდის.[2]

ყოველივე ეს შემთხვევითი როდია. საქმე ის არის, რომ XIX საუკუნის ბოლოს მსოფლიოსგან მოწყვეტილი, ეკონომიკურად და

---

[1] Толорая Г.Д. დასახელ. ნაშრომი, გვ. 98.

[2] Игреблев А.Т., Осипов В.И. დასახელ. ნაშრომი, გვ. 48.

პოლიტიკურად ჩამორჩენილი კორეა დიდი ქვეყნების ინტერესების არეალში ხვდება. ყველაზე აქტიურ ბრძოლას კორეის კოლონიზაციისათვის ეწეოდა იაპონია, რომელმაც 1894-1895 წწ. ომში მარცხი აგემა ჩინეთს, რითაც ბოლო მოეღო ჩინეთზე კორეის დამოკიდებულებას. კორეა ჯერ გამოცხადდა დამოუკიდებლად, რამდენადაც იაპონიის პრეტენზიებს მისადმი წინ აღუდგა რუსეთი, რაც რუსეთ-იაპონიის ომში გადაიზარდა – მანჯურიისა და კორეისათვის. ამ ომში დამარცხებამ რუსეთს პოზიციები დააკარგვინა კორეაში და იძულებული გახდა კორეა იაპონიის გაელენის სფეროდ ეღიარებინა.[1]

XXI საუკუნის დასაწყისში კორეის რესპუბლიკა აღმოჩნდა აუცილებლობის წინაშე მოდიფიკაცია გაუკეთოს ეროვნული ეკონომიკის ურთიერთობას მსოფლიო მეურნეობასთან. მისი ძირითადი ნიშნები ჩამოყალიბდა 60-70-იანი წლების ექსპორტორიენტირებული განვითარების პირობებში და იარსება რამდენადმე კარდინალური ცვლილების გარეშე ორმოცი წლის მანძილზე. აქტიურად უჭერდა რა მხარს ეროვნულ ექსპორტიორებს, მთავრობა უკიდურესი სიფრთხილით ეკიდებოდა საშინაო ბაზრის გახსნას. სახელმწიფო ზღუდავდა ეკონომიკაში კერძო უცხოური კაპიტალის შეჭრას, თუმცა მიიზიდავდა მნიშვნელოვან უცხოურ სესხებს.

მესაბამისად, ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრებოდა საგარეო ეკონომიკური კავშირებით, განსაკუთრებით – ვაჭრობით. 60-80-იან წლებში საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპები 1,5-4,0-ჯერ აღემატებოდა მშპ-ს ზრდის ტემპს. ექსპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი შეადგენდა: 60-იან წლებში – 33,4%, 70-იან წლებში – 39,8%, 80-იანში – 14,5%, 1990-1994 წ.წ. – 10%-ს.

საგარეო-ეკონომიკური კურსის კორექტირების აუცილებლობამ განსაკუთრებულად იჩინა თავი 1997-1998 წწ. ფინანსური კრიზისის შემდეგ.

60-იან წლებში დაადგა რა ექსპორტორიენტირებული განვითარების გზას, კორეის რესპუბლიკა ატარებდა მკაცრ საიმპორტო პოლიტიკას. მისი პრიორიტეტული ამოცანა იყო ეროვნული წარმოების დაცვა საშინაო ბაზარზე და საექსპორტო დარგების მოთ-

---

[1] Ковалев А.В. Политика США и Японии на Корейском полуострове, М., 1990, გვ. 9.

ხოვნილების უზრუნველყოფა აუცილებელი სამრეწველო მოწყობილობით, ასევე ნედლეულით, ნახევარფაბრიკატებითა და მაკომპლექტებელი ნაკეთობით.

საიმპორტო პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, საეტაპო მოვლენა იყო 1989-1994 წწ. ეროვნული ეკონომიკის მომზადება საერთაშორისო წესების მოდიფიკაციასთან მისადაგებისათვის. სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებით, კორეის რესპუბლიკამ გააკეთა მობრუნება ოცდაათწლიანი პროტექციონისტული პოლიტიკიდან „დიდი გასხნილობის" ეკონომიკური სტრატეგიისაკენ.

სამამულო წარმოებისათვის მხარდაჭერის მიზნით, მთავრობამ 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ხელშეწყობა კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნისათვის იმპორტშემცვლელი პოლიტიკის ნაწილობრივ აღორძინების კურსის ფარგლებში. ძირითადად ეს ეხებოდა მოწყობილობებსა და მაკომპლექტებელ ნაკეთობებს.

სოფლის მეურნეობა იყო და რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად, რომლის როლიც განისაზღვრება როგორც საკუთრივ ეკონომიკური, ასევე სოციო-კულტურული ფაქტორებით. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა მშპ-ში 1970-1997 წწ. შემცირდა 23,3-დან 4,5%-მდე, საშუალებების ხვედრითი წონა წარმართული აგრარული სექტორის მხარდაჭერაზე, გაიზარდა საერთოსახელმწიფოებრივ ხარჯებში 6-დან 14,1%-მდე 1975-1998 წლებში.

მთავრობამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა მოახმარა, რათა ზემოქმედება მოეხდინა აგრარული სექტორის ადაპტაციაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის თანდათანობით ლიბერალიზაციასა და კონკურენციის გაძლიერებასთან საშინაო ბაზარზე.

სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის იმპორტი ყველაზე ნაკლებად ექვემდებარებოდა ლიბერალიზაციის ღონისძიებებს და ტრადიციულად რჩება სახელმწიფოს მკაცრ კონტროლქვეშ. მიუხედავად ამისა, საშინაო ბაზრის გახსნის პროცესმა, რაც 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო, ზემოქმედება მოახდინა სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის რეგულირებაზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის ლიბერალიზაცია დაიწყო 1978 წელს, როცა მთავრობამ აშშ-ს ზეწოლით ნაწილო-

ბრივ გახსნა სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული
სამინაო ბაზარი. საგარეო დაწოლა განსაკუთრებით გაძლიერდ
1986-1989 წწ. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა დადებითი საგარეო
სავაჭრო ბალანსი. კორეის რესპუბლიკამ დაკარგა შესაძლებლო
ბა შეეზღუდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის ლიბერალიზა
ციის საერთო დონემ 1994 წელს, ე.ი. მსოფლიო სავაჭრო ორგანი
ზაციაში შესვლის წინა წელს, მიაღწია 90%-ს, ნაცვლად 50%-ის
1978 წელს.

უკანასკნელ წლებში ადგილი აქვს პრიორიტეტთა ცვლილებას
ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკაში. უარს ამბობს რ
მხარი დაუჭიროს უპერსპექტივო აგრარულ დარგებს, მთავრობ
უწინდებურად იბრძვის სოფლის მეურნეობის სოციალურად მნიშ
ვნელოვანი მიმართულებების შენარჩუნებაზე ვაჭრობის არასატა
რიფო შეზღუდვის დახმარებით.

კორეის რესპუბლიკაში 60-იანი წლების შუა ხანებში ჩამოყა
ლიბდა ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ასტიმულირებდა საქო
ნელთა წარმოებას სამრეწველო ბაზრისათვის: პირდაპირი და ფა
რული სუბსიდიები, სამრეწველო ინფრასტრუქტურის დაფინანსება
რეგიონში, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ინ
დუსტრიული და სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრების ფორმირება
სათვის; საზღვარგარეთის გრანტებისა და შეღავათიანი კრედ
იტების გამოყენება სამმართველო კადრების მომზადებისათვის;
სამეცნიერო-ტექნიკურ და საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახ
არჯების შეღავათიანი დაბეგვრა; შეღავათიანი ტარიფები ელე
ქტროენერგიასა და სატრანსპორტო დანახარჯებზე (საშუალო
დონის 50%-მდე); წამყვანი ექსპორტიორებისათვის (რომელთა წი
ლიც სამრეწველო ექსპორტში აღემატება განსაზღვრულ სიდიდეს)
დამატებითი საგადასახადო და ფინანსური შეღავათები; ტარიფე
ბის შემცირება (ან საერთოდ მოხსნა) სამრეწველო მოწყობილო
ბის, ნედლეულისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა იმპორტზე.

ექსპორტიორთათვის ხელშეწყობა გამოიხატებოდა საგარეო
ბაზრებზე ორიენტირებულ განსაზღვრული რაოდენობის მსხვილი
კომპანიებისათვის მხარდაჭერით. სწორედ ამიტომ კორეის რეს-
პუბლიკის ბიზნესის ლიდერები საექსპორტო წარმოების განვი-

თარებისას იღებდნენ უპირატესობას სხვა კომერციულ სტრუქტურებთან შედარებით.

90-იან წლებამდე მთავრობა ფლობდა საკრედიტო რესურსების საექსპორტო სექტორის სასარგებლოდ გადანაწილების ბერკეტებს. ცენტრალური ბანკის მეშვეობით ის არეგულირებდა სარგებლის მონაკვეთს, საგარეო სესხების გადანაწილება კი ექვემდებარებოდა მკაცრ ადმინისტრაციულ მონიტორინგს.

ექსპორტიორთა განსაკუთრებულად აქტიური შეღავათიანი დაკრედიტება გამოიყენებოდა 60-80-იან წლებში. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დამდეგისათვის სამხრეთკორეული ექსპორტიორების პირდაპირი მხარდაჭერა თანდათანობით იკვეცება და ძირითადად რჩება სამეცნიერო-ტექნიკური და საკონსტრუქტორო სამუშაოების სტიმულირება, საინფორმაციო და სამართლებრივი უზრუნველყოფა ქვეყნის ბიზნესის ინტერესებისა საგარეო ბაზრებზე.

გახდა რა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, კორეის რესპუბლიკამ სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის მონაწილეობით შეძლო ფაქტობრივად ნულიდან შეექმნა ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროგრესის მძლავრი ბაზა, მიეღწია მსოფლიო განზომილებით შთამბეჭდავი წარმატებებისათვის ისეთ დარგებში, როგორიცაა ელექტრონიკა, ბიოტექნოლოგია, ავტომობილმშენებლობა, ინფორმატიკა, ტელეკომუნიკაციები. ტექნოლოგიებით საგარეო ვაჭრობის რეგულირება, რაც კანონმდებლობით გაფორმდა 1978 წელს, უზრუნველყოფდა ტექნოლოგიური პროდუქტების გამარტივებულ იმპორტს. მიაღწია რა თავის პიკს 1989 წელს, ტექნოლოგიების იმპორტმა იწყო კლება, რაც გამოწვეული იყო ორი მიზეზით: ჯერ ერთი, 80-90-იან წლებში ინტენსიურად ვითარდებოდა სამამულო სამეცნიერო ბაზა. მეორე, აშშ-სა და იაპონიის კომპანიებმა, რომლებიც წინა ათწლეულებში ყველა თანამედროვე ტექნოლოგიების 67%-ის მიმწოდებლები იყვნენ, დაიწყეს დიდი სიფრთხილის გამოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა თავიანთ კორეულ კონკურენტებთან მიმართებით.

ქვეყნის უწინდელი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა ემყარებოდა მსოფლიო ბაზარზე პერსპექტიული სასაქონლო ნიშების დაპყრობას. ამ ამოცანას ასრულებდნენ მსხვილი კონგლომერატები, რომელთაც გააფართოვეს 60-იან წლებში სამშენებლო მომსა-

ხურება, გაზარდეს ქიმიური და მეტალურგიული პროდუქციების წარმოება, 80-90-იან წლებში – ავტომობილმშენებლობის, გემთმშენებლობის და ელექტრონიკის პროდუქციის წარმოება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ეპოქამი პრინციპულ მნიშვნელობას იძენს საწარმოო კოოპერაციამი, საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკურ გაცვლებში მონაწილეობა. ამიტომ, აუცილებელია საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტების გადასინჯვა. პირველ პლანზე გამოდის არა იმდენად სასაქონლო ექსპორტის მხარდაჭერა, რამდენადაც სამხრეთკორეული ბიზნესის მონაწილეობა მსოფლიოსამეურნეო კავშირების ყველა კომპლექსში – დაწყებული პროდუქციის დამუშავების სტადიით და დამთავრებული მისი გასაღებით.

სახელმწიფო და ბიზნესი იძულებული არიან გადაწყვიტონ ქვეყნის სამეწარმეო სტრუქტურების საერთაშორისო კომერციულ კავშირებსა და გაერთიანებებში ინტეგრაციის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობამ წამოაყენა „სტრუქტურული გარდაქმნის მეორე ეტაპი". მისი ამოცანაა სტრატეგიული უცხოელი ინვესტორების მოზიდვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ლიბერალიზაცია.

შესაბამისად, ევოლუციას განიცდის საგარეო-ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკა. ეწევა რა საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მოდიფიკაციას, მთავრობა კელავაც აგრძელებს სამხრეთკორეული ბიზნესის საექსპორტო ექსპანსიის მხარდაჭერის პრაქტიკას. 90-იანი წლების ბოლოდან პრიორიტეტული ამოცანა ხდება ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოზიციების განმტკიცების ხელშეწყობა.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, კორეის რესპუბლიკის მთავრობა თანდათანობით ამაღლებს უცხოელთა მონაწილეობას ეკონომიკის საკვანძო კომპანიებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებას იაპონიასთან, რომლის თანახმადაც შემოღებულია ქვეყნებს შორის კაპიტალისა და მოგების მოძრაობის გაიოლებული რეჟიმი. ეს ასეთი ხასიათის პირველი დოკუმენტია, რომელიც კორეის რესპუბლიკამ დადო საზღვარგარეთის ქვეყანასთან. დოკუმენტი გარანტიას აძლევს, ანუ იურიდიულად იცავს უცხო ინვესტორის ინტერესებს.

საფინანსო კრიზისამდე კორეის რესპუბლიკა ეწეოდა ექსპორტის რეგულარულ სუბსიდირებას. მაგრამ 1997 წლის შემდეგ, ეკონომიკის რეფორმირების სფეროში მსოფლიო სავალუტო ფონდთან შეთანხმების ფარგლებში, მთავრობამ უარი თქვა ექსპორტის სუბსიდირების ყოველგვარ ფორმაზე.

ᲛᲐᲑᲝᲚᲝᲡ, ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲠ-Ს ᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲣᲚ ᲠᲔᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠ ᲛᲐᲙᲠᲝᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲫᲕᲠᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲛᲐ. ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲛᲐ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ, ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲐᲜᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ. ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲙᲘᲓᲔᲒᲐᲜᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2002 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲐᲡ�პᲔᲥᲢᲘᲗ, ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲓᲘᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ �გᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲝᲑᲐᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲕᲘᲬᲠᲝᲐ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲝᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲓᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲐᲓ ᲠᲩᲔᲑᲐ.[1]

---

[1] ᲟᲣᲠᲜ. „Мировая экономика и международные отношения", 2003, №6, გვ. 74.

ლიტერატურა

ა. აბრალავა, გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თბ., 2001.

ა. აბრალავა, გლობალური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2003, № 1.

ვ. ადვაძე, კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური ისტორია, თბ., 1985.

ანანიაშვილი ი. უმუშევრობის ბუნებრივი დონის განსაზღვრის მოდელი, კრებ. „საერთაშორისო ბიზნესი", I ტ., № 1-2, თბ., 2002.

რ. ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა, წარსული, აწმყო, პერსპექტივები, თბ., 2002.

თ. აქუბარდია, საბაზრო სისტემა და სახელმწიფო, თბ., 1996.

გ. ბაბუნაშვილი, გ. ბხუტაშვილი, ეკოლოგია და გარემოს დაცვა, თბ., 2003.

ლ. ბალცეროვიჩი, სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ., 2002.

თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001.

რ. ბასარია, ი. მესხია, გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები, თბ., 1995.

რ. ბასარია, ი. მესხია, ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, თბ., 1996.

ე. ბარათაშვილი, გ. ნაკაიძე, ნ. ჯანელიძე, ეკონომიკური განვითარების თანამედროვე თეორიები, თბ., 2000.

ვ. ბურკაძე, აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში. საქართველოს ეკონ. მეცნ. აკად. შრომები, ტ. 3, თბ., 2003.

გ. გამსახურდია, საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 1995.

გ. გამსახურდია, ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ პერიოდში, თბ., 1997.

მ. გველესიანი, ეკონომიკური თეორიის საგანი, პრობლემები, ამოცანები, თბ., 1999.

მ. გველესიანი, ეკონომიკსი, თბ., 2002.

რ. გველესიანი, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, თბ., 1999.

რ. გველესიანი, საერთაშორისო მეწარმეობის რისკები და სადაზღვევო ბიზნესის პრობლემები, თბ., 2003.

რ. გოგოხია, საბაზრო ეკონომიკა, თბ., 1996.

რ. გოგოხია, საბაზრო ეკონომიკა თუ შერეული ეკონომიკური სისტემა, ჟურნ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა", 2001, № 4.

რ. გოგოხია, შერეული ეკონომიკური სისტემის საკითხისათვის მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ფორმების პროცესში. საქართველოს ეკონ. მეცნ. აკად. შრომები, ტ. 2, თბ., 2001.

რ. გოგოხია, შერეული ეკონომიკური სისტემის ქვეყნების სოციალური ორიენტაციის საკითხები, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2002, №3.

რ. გოგოხია, საბაზრო და არასაბაზრო ურთიერთობათა თანაფარდობისა და პერსპექტივების საკითხისათვის მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2003, №6.

რ. გოცირიძე, ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999.

პ. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, თბ., 1970.

ა. გრიშიკაშვილი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები: პრობლემები, პერსპექტივები. თბ., 1998.

შ. დოლონაძე, ევროპის საბჭო და საქართველო, თბ., 2000.

ე. ეთერია, გლობალური ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2003, №1.

ეკონომიკური თეორია, პროფ. გ. აღეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქტორობით, თბ., 1998.

გ. თოდუა, ეროვნული ფაქტორის როლი საერთაშორისო ეკონომიკაში და თანამედროვეობა, ჟურნ. „ეკონომიკა", 1997, №7-8.

გ. თოდუა, მართვის მეცნიერული ორგანიზაციის სათავეებთან (ბიბლიური პასაჟები), ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2003, №2.

გ. თოდუა, შ. ვეშაპიძე, (რედაქტორები), მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2001.

ა. თეთრაული, საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თავისებურებანი, კრებ. „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში", ტ. 1, თბ., 2000.

რ. კაკულია, საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები, თბ., 1995.

რ. კაკულია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003.

რ. კაკულია, გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ., 2000.

რ. კაკულია, ლ. ხაბურზანია, ფული და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნაწ. I, ნაწ. II, თბ., 1997.

მ. კაკულია, ნ. ასლამაზიშვილი, დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები, თბ., 2000.

მ. კაკულია, სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ., 2001.

მ. კაკულია, ვალუტის გაცვლითი კურსის რეჟიმი ფიქსირებული, მართვადი თუ მცურავი? ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 1999, №3.

ი. კალანდია, სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთი თავისებურება, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2002, №4.

ე. კანდელაკი, სიახლე ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკულ ფილოსოფიაში. საქართველოს ეკონ. მეცნ. აკად. შრომები, ტ. 3, თბ., 2002.

ე. კანდელაკი, ჩინეთის ფენომენი და თანამედროვეობა, თბ., 1997.

ჯ. კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, II ნაწ., თბ., 1997.

დ. კვარაცხელია, გლობალიზაცია და ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნული სისტემა, თბ., 2000.

ი. კოვზანაძე, საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 2001.

ი. კურატაშვილი, ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები და საგადასახადო სისტემა. კრებ. „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. 1, თბ., 2000.

პ. ლეიამშვილი, ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე, თბ., 2000.

პ. ლეიამშვილი, ეკონომიკსი (შემდგენელი), თბ., 2003.

ე. ლეკაშვილი, სახელმწიფო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სისტემაში, კრებ. „საერთაშორისო ბიზნესი“, ტ. I, № 1-2, თბ., 2002.

პ. ლემონჯავა, ბუნებრივი პირობები, როგორც უთანაბრო ეკონომიკური განვითარების ფაქტორი, კრებ. „საერთაშორისო ბიზნესი“, I ტ., № 1-2, თბ., 2002

გ. მალამხია, ეკონომიკის თვითრეგულირებისა და ინსტიტუციურ-სოციალური რეგულირების ერთიანობა, სესპსკი — შრომები, ტ. IV, თბ., 1999.

გ. მალამხია, მეტაეკონომიკა. ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995.

გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2000.

ი. მესხია, ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების მეთოდოლოგიური პრობლემები, ფსკი-ს შრომების კრებული, ტ. IV, თბ., 2002.

ი. მესხია, საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები, კრებ., „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, ტ. IV, თბ., 2000.

ი. მესხია, მ. მურჯიკნელი, ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბ., 1996.

ი. მესხია, რ. ბასარია, საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები, თბ., 2001.

ი. მესხია, ვ. კვარაცხელია, გლობალიზაციისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის თავსებადობის საკითხისათვის, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2003, №2.

ი. მესხია, ო. ნიკოლეიშვილი, გადასახადები და დაბეგვრა, თბ., 2002.

ე. მექვაბიშვილი, ეკონომიკური ზრდისა და გლობალიზაციის ზემოქმედება ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე საქართველოში, ჟურნ. „ბანკი“, 2000, №2.

ე. მექვაბიშვილი, სახელმწიფო და ეკონომიკა, თბ., 1995.

დ. მოურავიძე, ახალი სამრეწველო პოლიტიკის რეგიონული ასპექტები. სესპსკი-ის შრომების კრებული, ტ. IV, თბ., 1999.

რ. ოთინაშვილი, ჩრდილოეთი ეკონომიკა. კორუფცია, თბ., 2001.

ს. პაველიამშვილი, სრულვყოთ სახელმწიფო ქონების მართვა, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2002, №2.

ნ. პაიჭაძე, შრომის ეკონომიკა, თბ., 2000.

ნ. პაიჭაძე, პერსონალთან მუშაობის ამერიკული გამოცდილება. საქართველოს ეკონ. მეცნ. აკად. შრომები, ტ. 3., თბ., 2003.

ნ. პაიჭაძე, მოსახლეობის დასაქმების აქტუალური პრობლემები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. კრებ. „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, ტ. X, თბ., 2000.

ჯ. პაჭკორია, „ეკონომიკსი“ თუ ერთიანი პოლიტიკური ეკონომია, ზუგდიდი, 1994.

გ. პაპავა, საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია საქართველოში, თბ., 2003.

ვ. პაპავა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მილწევები და შეცდომები, თბ., 2000.

ვ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002.

ე. პაპავა, საბაზრო წონასწორობის დოქტრინა, თბ., 1999.

ვ. პაპავა, საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღებისა და ნორმალიზაციისათვის საქართველოში, თბ., 2000.

პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, „ეკონომიკა“, ოთხ ტომად, თბ., 2000.

ა. სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

ნ. სანთელაძე, სახელმწიფო მართვის სრულყოფის აქტუალური ამოცანები, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, თბ., 2001, №6.

ნ. სანთელაძე, ეკონომიკის რეფორმირება და ახალი სოციალური ეკონომიკის ჩამოყალიბება საქართველოში, საქართველოს ეკონ. მეცნ. აკად. შრომები, ტ. 2, თბ., 2001.

ნ. სანთელაძე, საბაზრო ეკონომიკის მოდელები, თბ., 1991.

ვ. სართანია, განათლების ეკონომიკა (ისტორია, თეორია, პერსპექტივა), თბ., 2001.

ო. საღარეიშვილი, ძველი ქართული ეკონომიკური წყობის მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის. საქ. ეკონ. მეცნ. აკად. შრომები. ტ. 2, თბ., 2001.

მ. ტუსამშვილი, საქართველოს შრომითი პოტენციალი (ფორმირება და განაწილება), თბ., 1998.

რ. ქუტიძე, სახელმწიფო და ბაზარი: მითი თუ სინამდვილე, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2001, №6.

შ. ქისტაური, ლ. ქისტაური, თეორიები და ანტითეორიები: ფულის, ფინანსების, კრედიტის, პროცენტის, თბ., 2001

ა. ღვამიჩავა, ევროკავშირი XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 1998.

კ. ღურწკაია, საკუთრებით ურთიერთობათა გარდაქმნის ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები გარდამავალ პერიოდში, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2001, №6.

ლ. ყორღანაშვილი, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2001.

ლ. ყორღანაშვილი, საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საქართველო. საქ. ეკონ. მეცნ. აკად. შრომები, ტ. 1, თბ., 2000.

გ. ყუფუნია, საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზეგავლენის გაძლიერებისათვის, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2003, №2.

გ. ყუფუნია, სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობის საკითხისათვის, სესპსკი-ის შრომების კრებული, ტ. V, თბ., 2000.

გ. შიხაშვილი, ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი, თბ., 1996.

თ. შენგელია ინოვაციური პროცესები: პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა, თბ., 1997.

გ. შუბლაძე, ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური არსის შესახებ, კრებ. „საერთაშორისო ბიზნესი“, ტ. V, № 1-2, თბ., 2002.

თ. ჩიკვაიძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი XXI საუკუნის მიჯნაზე. სეპსკი-ის შრომების კრებული, თბ., 1998.

თ. ჩიკვაიძე, საქართველოს პოლოგრამა და პროგრესის ფორმულა: თვითგანვითარების პრაქტიკული სტრატეგია ახალი ათასწლეულისათვის, ესპსკი-ის შრომების კრებული, ტ. V, თბ., 2000.

თ. ჩიკვაიძე, სოციალური იმპერატიეები და საქართველოს მომავალი: სტრატეგია მომავალი საუკუნისათვის, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 1999, №2.

ლ. ჩიქავა, საქართველოს ეკონომიკა, თბ., 1995.

ლ. ჩიქავა, ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997.

დ. ძნელაძე, მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 1997.

გ. წერეთელი, პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის შეფასების საკითხისათვის, პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ. 2003.

გ. წერეთელი, (რედ.), საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები, შრომების კრებ., ტ. III, თბ., 2003.

გ. წერეთელი, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განვითარების ზოგადი მოთხოვნები და პერსპექტივები, კრებ. „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში", თ. II, თბ., 2002.

გ. ჭანუყვაძე, ქართული ეკონომიკური აზრის რეტროსპექტივა (1918-1970 წ.წ.), თბ., 2001.

ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1997.

ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1999.

ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 2001.

მ. ფრიდმანი, კაპიტალიზმი და თავისუფლება, თბ., 2002.

ჯ. ფრიში, ინფლაციის თეორია (თარგმანი ინგლისურიდან), თბ., 2000.

ს. ფრიში, რ. დორნბუში. ეკონომიკა, ოთხ ტომად, თბ., 1998.

ჯ. ხარიტონაშვილი, გერმანული „აღმზრდელობითი პროტექციონიზმის" ისტორიული გამოცდილება, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 2002, №2.

გ. ხელაია, საერთაშორისო საკალუტო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობები, თბ., 1996.

თ. ხომერიკი, მენეჯმენტი, თბ, 2000.

თ. ხომერიკი, ბიზნესის განვითარების სტრატეგია, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", 1999, №5.

მ. ჯიბუტი, კორპორაციული მართვა საქართველომი: მდგომარეობა, განვითარების პერსპექტივები, ფსკი-ის შრომების კრებული, ტ. VI, თბ., 2002.

მ. ჯიბუტი, მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების უახლესი ისტორია და პერსპექტივები. კრებ. „ეკონომიკის საკითხები", ტ. XVI, თბ., 2001.

ა. ჯიბუტი, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, საქ. ეკ. მეცნ. აკად. შრომები, ტ. 3, თბ., 2002.

ტ. ჯოლია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 1998.

Абалкин Л.И. Вызов нового века, М., 2001.

Абалкин Л.И. (ред.). Курс переходной экономики. М., 1997.

Авдокушин Е. Международные экономические отношения. М., 1996.

Авилова А. Италия: Своеобразие южноевропейского пути развития, ж. МЭ и МО, 2001, №5.

Автономов В.С. Модель человека в экономической науке. С-П, Экономическая школа, 1999.

Автономов В.С. Социальное рыночное хозяйство.Теория и этика экономического порядка в России и Германии. С-П, Экономическая школа, 1999.

Алексашенко С. Экономическая реформа: польский путь. Журн. Мировая Экономика и международные отношения (შემდგომში - МЭ и МО), №7, 1990.

Алексеев А.М. и др. Современный цивилизованный рынок. Зарубежный опыт и его распространение в СНГ. М., ЭА, 1995.

Анисимов А.Н. Финансовая стратегия Китая. В кн.: Крах доллара, М., 2001.

Асатиани Р. Особенности и перспективы развития экономики Грузии в переходный период, Общество и экономика, №2, 1998.

Аукуционок С. Теория переходной экономики и ее место в ряду экономических наук, ж. МЭ и МО, №10, 1996.

Афронцев С. Экономическая политика и модели экономического развития, ж. МЭ и МО, №4, 2002.

Баев И., Кожин С. Диверсификация промышленных предприятий в США, ж. МЭ и МО, 2001, №10.

Бальцерович А. Социализм, капитализм, трансформация: Очерки на рубеже эпох, М., 1999.

Барр Н. Роль государства в рыночной экономике. В кн.: Рынок труда и социальная политика в центральной и восточной Европе. Переходный период и дальнейшее развитие, М., 1997.

Барфус К. История экономики Германии после второй мировой войны. В кн.: Менеджмент и рынок: германская модель. Под ред. У. Рора и С. Долгова, М., 1998.

Басария Р. Общественный менталитет и проблемы становления рыночных отношений в Грузии, Общество и экономика, №2, 1997,

Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования, М., 1999.

Белокрылова О.С. Теория переходной экономики, Ростов-на-Дону, 2002.

Беридзе Т., Чарекишвили Л., Социальные аспекты экономической реформы в Грузии, Общество и экономика, №2, 1998.

Блейер М.И. Китай. Затянувшиеся реформы и ослабление налогово-бюджетного контроля. В кн.: Переход к рынку: изучение реформ в налогово-бюджетной сфере. Под ред. В. Танзи, М., 1994.

Бок З.К. Япония. Какая она? М., 2002.

Болотин Б. Мировая экономика за 100 лет. Статистическое положение, ж. МЭ и МО, №9, 2001.

Брагинский С.В. Кредитно-денежная политика в Японии, М.. 1989.

Бузгалин А.В. Переходная экономика: курс лекций по политической экономики, М., 1994.

Бурдули В., Церетели Г. Проблема динамизации экономического развития Грузии. Известия АН Грузии – серия экономическая, т.7, №3-4, 1998.

Бучкин А.Я. Социальная эволюция современной Кореи, М., 1987.

Гардаш С. Федеральная налоговая система США: современные особенности. США, Канада, 2000, №8.

Василенко И. Политическая глобалистика. М., 2000.

Гайгер Л.Т. Макроэкономическая теория и переходная экономика, М., 1996.
Гельбрас В., Кузнецова В. КНР, ж. МЭ и МО, №8, 2001.
Герасименко В.В. (ред.). Теория переходной экономики. Т.1, М., 1997.
Герчикова И.Н. Международные экономические организации, М., 2000.
Государство и рынок: американская модель. М., 1999.
Гоциридзе Р., Канделаки О. Грузия: половинчатость реформ как фактор экономического кризиса. Центральная Азия и Кавказ, №6, 2001.
Глобализация и неравномерность мирового развития, ж. МЭ и МО, 2001, №3.
Гунтик В. Политика хозяйственного порядка в Германии, М., 2002.
Гунтик В. Германия, ж. МЭ и МО, 2001, №8.
Гунтик В (ред.) Теория хозяйственного порядка. „Фрайбургская школа" и немецкий неолиберализм, М., 2002.
Гельбрас И., Кузнецова В. КНР, ж. МЭ и МО, 2001, №8.
Гелбрейт Дж. Экономические теории и цели общества, М., 1979.
Гелбрейт Дж. Новое индустриальное общество. Пер. с англ., М., 1969.
Дейкин А.И. „Новая экономика" Клинтона и Профицитные планы" Буша. США. Канада. Экономика. Политика. Культура, №10, 2001.
Дернберг Р.Л. Международное налогообложение, М., 1997.
Добровинский Б.Н. Япония: Проблемы эффективности экономики, М., 1975.
Доклад о мировом развитии 1999/2000 года. Всемирный банк, М., 2000.
Дорнбуш Р. Фишер С. Макроэкономика, М., 1997.
Емельянов С. Международная конкурентоспособность производителей США, ж. МЭ и МО, 2002, №3.
Ермошенко Н.Н., Крицук Т.А., Скворцов Н.И. Модели перехода к рыночному хозяйству, К., 1991.
Зарицкий Б.Е. Людвиг Ерхард: секреты „экономического чуда", М., 1997.
Зидентоп Л. Демократия в Европе, пер. с англ., М., 2001.
Игребаев А.Т. Осипов В.И. Южная Корея, М., 1990.
История Корей с древнейших времен до наших дней, М., 1974.
Иноземцев В. Расколотая цивилизация. М., 1999.
Иноземцев В.Л. Переосмысливая грядущее. Крупнейшие американские экономисты и социологи о перспективах и противоречиях современного развития, ж. МЭ и МО, №11, 1999.
Иноземцев В.Л. За пределами экономического общества. Постиндустриальные теории и постэкономические тенденции в современном мире, М., 1999.
Капица С., Курдюмов С., Малинецкий Г. Синергетика и прогнозы будущего, М., 1997.
Ковалев А.В. Политика США и Японии на Корейском полуострове. М., 1990.
Колодко Г.В. От шока к терапии. Политическая экономия постсоциалистических преобразований, М., ЗАО "Журнал Эксперт", 2000.

Корнан Я. Путь к свободной экономике (страстное слово в защиту экономических преобразований), М., 1990.

Косолапов Н. Глобализация: сущностные и международно-политические аспекты. ж. МЭ и МО, 2001, №3.

Касаль Л.Я. Российский путь экономических преобразований: между "китайским" и "восточно-европейским" вариантами. В кн: Экономика и политика в переходном обществе: кризис взаимодействия. Под ред. Л.И. Никовской, М., 2000.

Костюк В.Н. История экономических учений. М., 1997.

Красникова Е.В. (ред.) Теория переходной экономики, т.2. Макроэкономика, М., 1998.

Коуз Р. Фирма, рынок и право, М., 1993.

Крутман П.Р., Обстфельд М., Международная экономика. Теория и политика, М., 1997.

Кузин Д.В. (ред.), "Экономические чудеса": уроки для России, М., 1994.

Леонтьева Е. Япония: преодоления кризиса, МЭ и МО, 2000, №8.

Ломакин В. Мировая экономика, М., 1998.

Латышев И.А. Лицо и изнанка "Экономического чуда" Японии, М., 1970.

Леонтьева Е. Япония, ж. МЭ и МО, 2001, №1.

Лившиц А.Я. Введение в рыночную экономику, М., 1991.

Лукин А. Россия и две Кореи – проблемы и перспективы, ж. МЭ и МО, 2002, №6.

Львов Д.С. (ред.), Институциональная экономика, М., ИНФРА-М, 2001.

Макашева Н.А. США: консервативные тенденции в экономической теории, М., 1988.

Макашева Н.А. (ред.). Становление рыночной экономики в странах Европы, М., 1994.

Маркарян К. Общая теория постиндустриального государства, М., 2002.

Мартин Г.П., Шуман Х. Западная глобализация, пер. с нем., М., 2001.

Марцинкевич В., Кириченко С. США, ж. МЭ и МО, 2001, №8.

Меквабишвили Э. О противоречиях переходной экономики. Общество и экономика, №2, 1998.

Место национальной экономики в системе мирохозяйственных связей, М., 1996.

Михеев В. Экономика США: Не состоявшееся (пока) единство (Проблема стратегического видения), ж. МЭ и МО, 2003, №6.

Мир в 2000 году. Эксперт, 2000.

Мизес Фон. Индивид, рынок и правовое государство. с-П,1999.

Менкью Н.Г. Макроэкономика, М., 1994.

Менкью Н.Г. Принципы экономики, С-П., 1999.

Мировая экономика, под. ред. А. Булатова, М., 1999.

Мовсесян А.Г., Огнивцев С.Б. Мировая экономика, уч., М., 2001.

Моисеев Н. Мировоззрение XXI века, ж. Экология и жизнь, 1996, №1.

Наумов А.А. Бюджетная политика США в конце столетия. США, Канада. Экономика, политика, культура, №12, 2000.

Нестеренко А. Современное состояние и основные теории, Вопросы экономики, №3, 1997.

Нестеренко А. Социальная рыночная экономика: концептуальные основы, исторический опыт, уроки для России, ж. "Вопросы экономики", 1998, №8.

Николаева И.П. (ред.). Теория переходной экономики. М., 2001.

Новичков А. В. Политическая экономия (наука об измерении), М., 2002.

Нуреев Р. Теория общественного выбора, ж. „В.Э", 2002, №8.

Ойкен В. Основные принципы экономической политики, М., 1996.

Ойкен В. Основы национальной экономики, М., 1996.

Олейник А. Институциональная экономика, М., 2000.

Ольсевич Ю. К теории экономических трансформаций, М., 1997.

Островская Е. Франция, ж. МЭ и МО, 2001, №8.

Папава В. Грузия на пути к рыночной экономике, Тб., 1995.

Папава В., Беридзе Т. Экономические реформы в Грузии. Российский экономической журнал, №1, 1998.

Папава В. Хадури Н. Институциональная трансформация посткоммунистической экономики и человеческий фактор, Известия Академии наук Грузии – серия экономическая, т. 8, 2000.

Перехин Н. Новая экономика – лицо современной Европы, ж. Европа, 2000, №2.

Перская В. Внешнеэкономическая деятельность: специфика, госрегулирование, М., 1998.

Погорлецкий А. Экономика зарубежных стран, С – ПБ, 2000.

Покровский А. Феномен „Новой экономики" и функции государства. Российский экономический журнал, №9, 2002.

Портер М., Международная конкуренция, М., 1993.

Портер М., Конкуренция, М., 2000.

Примаков Е. Постиндустриальная эпоха: вызов российским политикам, ж. МЭ и МО, №3, 2001.

Рашковский Е., Хорос В. Мировые цивилизации и современность (к методологии анализа), ж. МЭ и МО, 2002, №1.

Пак М.Н. Очерки по историографии Кореи. М., 1987.

Республика Корея, ж. МЭ и МО, 2002, №8.

Рыбаков В. Розовая Европа в час глобализации, ж. МЭ и МО, 2001, №3.

Сакс Дж. Рыночная экономика и Россия, М., 1995.

Сакая Т. Что такое Япония? М., 1992.

Самуэльсон П.А., Нордхаус В.Д. Экономика, М., 1999.

Сантеладзе Н. Функционирование промышленного производства Грузии в рыночных условиях хозяйствования. Общество и экономика, №2, 1998.

Саттон Э. Кто управляет Америкой? М., 2002.

Силагадзе А. Социально-экономические аспекты приватизации государственного имущества в Грузии, Общество и экономика, №2, 1998.

Симония Н. Методологические проблемы анализа моделей социально экономического развития, Общество и экономика, №10-11, 1999.

Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов, М., 1992.

Соколов В. Контуры будущего мира: регионы, транснациональные общности, ж. МЭ и МО, 2001, №3.

Спиридонов А. Мировая экономика, М., 1997.

Супян В.Б. Американская экономика: новые реальности и приоритеты XXI века, М., 2001.

Симония Н. Глобализация и неравномерность мирового развития, ж. МЭ и МО, 2001, №3.

США: Общественно-политическое развитие на рубеже нового века, ж. МЭ и МО, 2001, №5.

Тейт А. Глобализация – угроза или новые возможности для Европы? ж. Проблемы теории и практики управления, 1998, №6.

Трейси М. Сельское хозяйство и продовольствие в экономике разных стран: введение в теорию, практику и политику. С-П, 1995.

Толорая Г.Д. Республика Корея, М., 1991.

Федоровский А. Развитие интеграционных процессов в АТР: роль и приоритеты Южной Кореи. Ж. МЭи МО, 2002, №6.

Фишер С., Сахаи Р. Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки, ж. Вопросы экономики, №5, 1997.

Халевинская Е., Крозе И. Мировая экономика, М., 1999.

Хасбулатов Р. Мировая экономика. М., 1994.

Хайек Ф.А. Пагубная самонадеянность. Ошибки социализма. М., 1992.

Хайек Ф.А. Познание, конкуренция и свобода. С-П, 1999.

Целищев И. Японская фирма на пути к новой модели, ж. МЭ и МО, 2001, №9.

Целищев И. Восточная Азия: интеграция? (Статья первая), ж. МЭ и МО, 2003.

Целищев И. Восточная Азия: интеграция? (Статья вторая), ж. МЭ и МО, 2003.

Цивилизационные исследования, М., 1996.

Цой Хё Юль. Торгово-экономическое сотрудничество России и республики Корея, ж. МЭ и МО, 2001, №11.

Цвылев Р. Метаморфоза индустриальной экономики, ж. МЭ и МО, 2001, №2.

Цуру С. Конец японского "Экономического чуда", М., 1981.

Чикава Л. Рыночная экономика: проблема социальных противоречий, ж. Общество и экономика, №1, 1998.

Чикава Л.О социальной ориентированности национальной экономики Грузии, ж. Общество и экономика, №10-11, 2001.

Шведская социальная модель: управление и развитие (http www/ptpy).

Щетинин В. Человеческий капитал и неоднозначность его трактовки, ж. МЭ и МО, 2001, №2.

Шиман М. Государство и транснациональные компании. Проблемы теории и практики управления, 1994, №4.

Ширяева Л., Мамедова Н. Неоклассическая модель государственного регулирования рыночных отношений, Российский экономический журнал, №4, 1992.

Широков Г. Парадоксы эволюции капитализма (Запад и Восток). М., 1998.

Шлезингер А. Циклы американской истории, М., 1992.

Шумпетер Й. Капитализм, социализм и демократия. М., 1995.

Эклунд К. Эффективная экономика. Шведская модель, М., 1991.

Экономика США. Под ред. В.Б. Супяна, М., 2003.

Экономическая история. Под ред. Быкова, М., 1967.

Экономическая история: теория и практика. М., 1992.

Экономическая история зарубежных стран. Курс лекций. Под общей ред. В.И. Голубевича, Минск, 1997.

Эрхард Л. Благосостояние для всех, М., 1991.

Юданов Ю. Европейские корпорации в условиях глобализации, ж. МЭ и МО, 2001, №11.

Якобсон Л.И. Экономика общественного сектора. Основы теории госфинансов, М., 1996.

Якока Ли. Карьера менеджера (пер. с англ.), М., 1991.

Р. Гогохия

Смешанная экономическая система: сущность, модели, тенденции развития

Резюме

В книге развитые страны охарактеризованы как мир смешанной экономической системы. Особое внимание уделено моделям смешанной экономической системы (так называемой рыночной экономики). Детально и основательно рассмотрены Американская, Японская, Немецкая, Шведская, Французская, Корейская модели, пути и зигзаги их исторического развития. Особенно заострено внимание на том, с чего эти страны начали, какую цель они поставили перед собой, как и какими путями достигли определенных успехов, каковы тенденции их развития и какие проблемы стоят сегодня перед ними.

В книге также должное внимание уделено анализу вопроса о том, какова сущность развития новой мировой экономической системы, которая на сегодняшний день является не только простой совокупностью национальных экономик, а единой целостностью, имеющей общие интересы, т. е. современная мировая экономическая система, по мнению автора, представляет собой сложное мегаэкономическое образование.

На данном этапе возник мощный информационный сектор экономики, что вносит большой вклад в ВВП развитых стран. Ядром этого сектора является информационная индустрия, в недрах которой формируется Интернет-экономика.

Автор считает, что для стран переходной экономики, в том числе особенно для Грузии, будет весьма полезным и ценным научный анализ и теоретическое обобщение пройденных исторических путей, специфических характеристик, современных проблем и перспектив микроэкономических моделей национальных хозяйств мира, что изложено в данной книге.

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ელიზბარაშვილი

კორექტორები: მ. ქუმსიაშვილი

ქ. გაჩეჩილაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა სათუნა ბადრიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.III.04
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 17,06
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 14,36

შეკვეთა №5 ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო კომპიუტერული სამსახური
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.